14. იმ საკითხთა შორის, რომლებიც განიხილება კომიტეტის მიერ თავის ყოველწლიურ ანგარიშებში გენერალური ასამბლეისთვის, ყურადღება ეთმობა იმის აუცილებლობას, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა დაიცვან წამებების წინააღმდეგ კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლები და უზრუნველყონ წამების გამოყენების შესახებ ყველა საჩივრის სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება. მაგალითად, კომიტეტმა მიუთითა, რომ 15 თვითინი ვადა წამების გამოყენების შესახებ განცხადებების გამოძიებისთვის, გაუმართლებლად ხანგრძლივად მიაჩნია და არ შეესაბამება მე-12 მუხლს<sup>19</sup> კომიტეტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მე-13 მუხლის თანახმად არ მოითხოვება წამების გამოყენების შესახებ საჩივრის ფორმალური წარდგენა და რომ „საკარისია საგარაუდო მსხვერპლის დასტური წამების გამოყენების თაობაზე იმისათვის, რომ ვალდებულება დაეკისროს [მონაწილე სახელმწიფოს] სწრაფად და მიუკერძოებლად შეამოწმოს სავარაუდო მსხვერპლის ასეთი მტკიცება“<sup>20</sup>.

#### ბ) აღამიანის უფლებათა კომიტეტი

15. ადამიანის უფლებათა კომიტეტი დაფუძნდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის 28-ე მუხლის საფუძველზე და მონაწილე სახელმწიფოების მიერ პაქტის დაცვაზე კონფრონტის განხორციელების შესახებ მოთხოვნის შესაბამისად. კომიტეტის შემადგენლობაში შედის მაღალი მორალური თვისებებისა და ადამიანის უფლებათა სფეროში აღიარებული კომპეტენციის მქონე 18 დამოუკიდებელი ექსპერტი.

<sup>18</sup>მაგრამ საჭიროა ადინიშნოს, რომ მე-20 მუხლის მიმართ მონაწილე სახელმწიფომ შეიძლება გააკეთოს შესწორება და ასეთ შემთხვევაში მუხლი 20 გამოიყენება.

<sup>19</sup> იხ. გენერალური ასამბლეისთვის წამების წინააღმდეგ კომიტეტის 1994 წლის 26 ივნისის მოხსენებაში (A/49/44) მოყვანილი შეტყობინების 8/1991 პუნქტი 18.5.

<sup>20</sup> იხ. გენერალური ასამბლეისთვის წამების წინააღმდეგ კომიტეტის 1995 წლის 26 ივნისის მოხსენებაში (A/50/44) მოყვანილი შეტყობინების 6/1990 პუნქტი 10.4.

16. პაქტში მონაწილე სახელმწიფოებმა ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ მოხსენებები მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ პაქტში აღიარებული უფლებების ცხოვრებაში გასატარებლად, და მათ მიღწევებზე ამ უფლებათა განხორციელებაში. ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეისწავლის ასეთ მოხსენებებს იმ მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენლებთან დიალოგის საფუძველზე, რომლის მოხსენებასაც ის იხილავს. ამის შემდეგ კომიტეტს გამოაქვს შემაჯამებელი დასკვნითი მოსაბრებანი იმ ძირითადი მომენტების შესახებ, რომელთაც გამოიწვია მისი შეშფოთება, და სთავაზობს შესაბამის წინადაღებებსა და რეკომენდაციებს მონაწილე სახელმწიფოს. გარდა ამისა, კომიტეტი ამზადებს ზოგადი ხასიათის შენიშვნებს, რომლებშიც იძლევა პაქტის ცალკეული მუხლების განმარტებას, რათა მონაწილე სახელმწიფოებმა იხელმძღვანელონ ამ განმარტებებით თავიანთი მოხსენებების მომზადებისას, და პაქტის დებულებების შესრულების მსვლელობაში. ერთეულ ასეთ ხოგადი ხასიათის შენიშვნაში კომიტეტმა განმარტა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მუხლი 7, რომელიც იუწყება, რომ არაფის მიმართ არ უნდა იქნას გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და დასჯა. მოხსენებაში შესულ ზოგადი ხასიათის შენიშვნებში პაქტის მე-7 მუხლის მიმართ კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომელ-7 მუხლის შესასრულებლად საკმარისი არ არის მხოლოდ წამების აკრძალვა ან ამ ქმედების დანაშაულებრივად გამოცხადება<sup>21</sup>. როგორც კომიტეტმა განაცხადა, „სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური დაცვა საკონფროლო მექანიზმების მეშვეობით. საჩივრები სასტიკი მოპყრობის თაობაზე ეფექტურად უნდა იქნას გამოიძებული კომპეტენცური ორგანიზების მიერ“.

17. 1992 წლის 10 აპრილს კომიტეტმა მიიღო ზოგადი ხასიათის ახალი შენიშვნები მე-7 მუხლის მიმართ, რომლებშიც გააფართოვა თავისი პირვანდელი შენიშვნები. კომიტეტმა გაამკაცრა მე-7 მუხლის განმარტება და განაცხადა, რომ „საჩივრები განხილულ უნდა იქნას კომპეტენცური ორგანოების მიერ სწრაფად და მიუკერძობლად, რათა დაცვის ეს საშუალება გახდეს ნამდვილად ეფექტური“. თუ შესაბამისმა სახელმწიფომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველი უაკელტატიური პროტოკოლის რატიფიცირება მოახდინა, ნებისმიერ პირს შეუძლია წარადგინოს კომიტეტში შეცყობინება საჩივრით პაქტში გათვალისწინებული მისი უფლებების დარღვევის შესახებ. თუ ეს შეცყობინება განხილვისათვის მისაღებად მიიჩნევა, კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას საქმის შინაარსიდან გამომდინარე, და ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება მის ყოველწლიურ მოხსენებაში.

### გ) ადამიანის უფლებათა კომისია

18. ადამიანის უფლებათა კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად ორგანოს წარმოადგენს, რომელიც დასაქმებულია ადამიანის უფლებათა საკითხებით. მის შემადგენლობაში შედის 53 წევრი სახელმწიფო, რომლებსაც სამი წლის ვადით ირჩევს კონომიკური და სოციალური საბჭო. ყოველწლიურად ექვსი კვირის განმავლობაში კომისია აგარებს უწევებაში თავის სხდომებს, რომლებზეც განიხილავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. კომისია მოახდინოს ფაქტების შემსწავლელი და დამდგენი მისიების ორგანიზების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოებისთვის დასამტკიცებლად წარსადგენი კონვენციებისა და დეკლარაციების პროექტების შემუშავების ინიციორება და განიხილოს დია და დახურულ სხდომებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული შემთხვევები. 1967 წლის 6 ივნისს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ თავის 1235 რეზოლუციაში უფლებამოსილება მიანიჭა კომისიას განიხილოს მტკიცებები ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის თაობაზე და „გულმოდგინედ შეისწავლოს სიტუაციები, რომლებიც მოწმობენ ადამიანის უფლებათა სისტემატიკური დარღვევის შესახებ.“<sup>22</sup> ამ მანდაციის ჩარჩოებში კომისიამ სხვა პროცედურებთან ერთად მიიღო რიგი რეზოლუციები, რომლებშიც გამოთქვამს შეშფოთებას ადამიანის უფლებათა დარღვევების თაობაზე, და დანიშნა სპეციალური მომხსენებლები კონკრეტულ სფეროებში ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევების განსახილველად. კომისიამ მიიღო აგრეთვე რიგი რეზოლუციები, რომლებიც, წამებასა და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა და დასჯას ეხება. თავის 1998/38

<sup>21</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი A/37/40 (1982)

<sup>22</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი E/4393 (1967)

რებოლუციაში კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ “ყველა მტკიცება, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემდახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ, სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა განხილოს კომპეტენტურმა ეროვნულმა ხელისუფლებაში“.

#### დ) სპეციალური მომხსენებელი წამების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

19. 1985 წელს კომისიამ თავის 1985/33 რებოლუციაში დაადგინა დაინიშნოს სპეციალური მომხსენებელი წამების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სპეციალურ მომხსენებელს ეკისრება წამებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უტყუარი და საიმედო ინფორმაციის მოთხოვნა და მიღება და მასზე დაუყოვნებელი რეაგირება. თავის შემდგომ რებოლუციებში კომისიამ არაერთხელ გააგრძელა სპეციალური მომხსენებლის მანდაგის მოქმედების ვადა.

20. სპეციალური მომხსენებლის უფლებამოსილებანი მონიტორინგის მიმართ ვრცელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოზე, რომელსაც აქვს მეთვალყურეს სტატუსი, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა შესაბამისმა სახელმწიფომ წამების წინააღმდეგ კონვენციის რატიფიცირება. სპეციალური მომხსენებელი ამყარებს კონფაქტებს მთავრობებთან; მოითხოვს მათგან ინფორმაციას წამების თავიდან აცლების მიზნით მათ მიერ მიღებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების შესახებ; სთავაბობს მათ წამების ნებისმიერი შედეგების აღმოფხვრას და თავიანთი შენიშვნების მოწოდებას წამების გამოყენების სავარაუდო არსებული ფაქტების შესახებ შეტყობინებების მიმართ. სპეციალური მომხსენებელი დებულობს აგრეთვე მოთხოვნებს სასწრაფო ზომების მიღებაზე, რომელთა შესახებ აცნობებს შესაბამის მთავრობებს ამა თუ იმ პირის ფიზიკური ან ფსიქიური ხელშეუხებლობის უფლების დაცვის უბრუნველყოფის მიზნით. გარდა ამისა, სპეციალური მომხსენებელი აგრებს კონსულტაციებს მთავრობების წარმომადგენლებთან, რომლებიც გამოთქვამენ მასთან შეხვედრის სურვილს, და მოქმედებს რა თავისი მანდატის შესაბამისად, ახორციელებს გასვლით ღონისძიებებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. სპეციალური მომხსენებელი წარუდგენს მოხსენებებს ადამიანის უფლებათა კომისიას და გენერალურ ასამბლეას. ამ მოხსენებებში მოყვანილია ინფორმაცია იმ მოქმედებების შესახებ, რომლებიც განახორციელა სპეციალურმა მომხსენებელმა თავისი მანდატის აღსასრულებლად, და ისევ და ისევ გამახვილებულია უურადღება წამებების შესახებ შეტყობინებების ოპერატორი გამოძიების დიდ მნიშვნელობაზე. 1995 წლის 12 იანვრის მოხსენებაში ნაიჯელ როდლიმ, წამების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა, წარმოდგინა რამოდენიმე რეკომენდაცია. მოხსენების 926 გ) პუნქტში ის აღნიშნავდა, რომ:

“იმ შემთხვევებში, როდესაც დაკავებულს ან მის ნათესავს ან აღვოკაჭს შეაქვს საჩივარი წამების გამოყენების შესახებ, ყოველთვის უნდა ჩაგარდეს შესაბამისი გამოძიება... საჩივრების მიღებისა და გამოძიებისთვის უნდა დაფუძნდეს ისეთი დამოუკიდებელი ეროვნული ორგანოები, როგორცაა ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია ან უფლებამოსილის ინსტიტუტი, რომლებც უფლებამოსილი არიან ჩაგარონ გამოძიება და/ან აღძრას საქმის გარჩევა. საჩივრები წამების გამოყენების შესახებ დაუყიველელი ტრანსპორტი, რომელიც არანაირად არ არის დამოკიდებული იმ ორგანოსთან, რომელიც აწარმოებს მიერ და მხარს უჭერს ბრალდებას წამების სავარაუდო მსხვერპლის მიმართ<sup>23</sup>”

21. ეს რეკომენდაცია სპეციალურმა მომხსენებელმა განსაკუთრებით გამოყო თავის 1996 წლის 9 იანვრის მოხსენებაში<sup>24</sup>. გამოხატა რა თავისი შემფოთება წამების გამოყენების პრაქტიკის მიმართ, სპეციალურმა მომხსენებელმა თავისი მოხსენების 136-ე პუნქტში მიუთითა, რომ: “ზოგადი საერთაშორისო სამართლითაც, და წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემდახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის შესაბამისადაც სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება გამოიძიოს მტკიცებები წამების გამოყენების შესახებ“.

ე) სპეციალური მომხსენებელი ქალების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

22. ქალების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის პოსტი დაფუძნდა 1994 წელს ადამიანის უფლებათა კომისიის 1994/45 რებოლუციის

<sup>23</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი E/CN.4/1995/34

<sup>24</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი E/CN.4/1996/35

შესაბამისად, ხოლო 1997/44 რეზოლუციის შესაბამისად მისი მანდატი იყო გაგრძელებული. ნებისმიერ ქვეყანაში ქალების მიმართ ძალადობის გამოყენების შესახებ კონკრეტული სიტუაციებისა და მტკიცებების გამოვლენისა და გამოძიებისათვის სპეციალურმა მომხსენებელმა გამოიმუშავა და შემოიღო მთავრობებისადმი პუმანიფარული ხასიათის მიმართვის პროცედურა ინფორმაციის მიღების მიზნით სავარაუდო ძალადობის კონკრეტული შემთხვევების შესახებ. ასეთი შეტყობინებები შეიძლება ერთ ან რამდენიმე პირს ეხებოდეს (მათი სახელების მითითებით), ან შეიძლება შეიცავდეს უფრო ბოგადი ხასიათის ინფორმაციას, რომელიც ქალების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მიმზებებლობის გარემოებაზე ან ასეთი ძალადობის სისტემატიკურ პრაქტიკაზე მოწმობს. ქალების მიმართ ძალადობის განსაზღვრება, რომელსაც იყენებს სპეციალური მომხსენებლი, ისევე როგორც სქესობრივი ნიშნის საფუძველზე ჩადგნილი ძალადობის ნებისმიერი აქცის განსაზღვრება, აღებულია ექნერალური ასამბლეის მიერ 1993 წლის 20 დეკემბრის 48/1/04 რეზოლუციის სახით მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციიდან ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ. ქალების მიმართ ძალადობის აქცის შემთხვევებში, რომლებიც ჩადგნილია სქესობრივი ნიშნის საფუძველზე და რომლებიც უქმნის ან შეიძლება უშუალო საფრთხე შეუქმნას რომელიმე პირის სიცოცხლის უფლებას ან უიზიკურ ხელშეუხებლობას, სპეციალურ მომხსენებელს შეუძლია გაუგგავნოს შესაბამის მხარეებს სასწრაფო შეტყობინებები. ასეთ შემთხვევებში სპეციალური მომხსენებელი დაეინებით სთავაბობს კომპეტენტურ ეროვნულ ხელისუფლებებს მხოლოდ წარმოადგინონ საქმესთან დაკავშირებული სრული და ყოველმხრივი ინფორმაცია, არამედ ჩაატარონ კიდეც მიღებული შეტყობინების მიმართ დამტკიდებული და მიუკრძოლუბელი გამოძიება, და აგრეთვე მიიღონ გადაუდებელი ბომები იმისათვის, რომ შემდგომში ადარ განმეორდეს ადამიანის უფლებათა დარღვევები ქალებთან მიმართებაში.

23. სპეციალური მომხსენებელი ყოველწლიურად ახსენებს ადამიანის უფლებათა კომისიას მთავრობებისთვის გაგაზავნილი შეტყობინებებისა და მათგან მიღებული პასუხების შესახებ. მთავრობებისგან და სხვა საიმედო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაფუძნებით სპეციალური მომხსენებელი აძლევს შესაბამის მთავრობებს რეკომენდაციებს ამა თუ იმ ქვეყანაში ქალების მიმართ ძალადობის ამოსაფხვრელად გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მოსანახად. იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობებისგან არ მიიღება პასუხი ან წარმოდგენილია არასაქმარისი ინფორმაცია, სპეციალურ მომხსენებელს შეუძლია განმეორებით შეტყობინების გაგგავნა. ხოლო, თუ ამა თუ იმ ქვეყანაში, სადაც ადგილი აქვს ქალების მიმართ ძალადობის გამოყენებას, კონკრეტული სიტუაცია არ იცვლება, სპეციალური მომხსენებლის მიერ კი მიღებული ინფორმაცია იმაზე მოწმობს, რომ ამ ქვეყნის მთავრობას არ მიუღია და არც ამჟამად არ იღებს არანაირ ბომებს, რათა უზრუნველყოს ქალებისთვის მათი ადამიანის უფლებათა დაცვა, სპეციალური მომხსენებელი განიხილავს შესაძლებლობას მიმართოს მთავრობას ნებართვისთვის ჩავიდეს ამ ქვეყანაში ფაქტების აღვიდებების დასადგენად.

## C. რეგიონალური ორგანიზაციები

24. თავიანთი წვლილი წამების თავიდან აცილებასთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავებაში შეაქვთ რეგიონალურ ორგანიზაციებსაც. ასეთი ორგანიზაციების რიცხვის მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისია, ადამიანის უფლებათა პანამერიკული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, წამების თავიდან აცილების უვროპის კომიტეტი და ადამიანის უფლებათა აფრიკის კომისია.

### I. ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისია და ადამიანის უფლებათა პანამერიკული სასამართლო

25. 1969 წლის 22 ნოემბერს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ მიიღო ამერიკის კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც 1978 წლის 18 ივლისს შევიდა ძალაში<sup>25</sup>. ამ კონვენციის მე-5 მუხლი იუწყება, რომ:

<sup>25</sup> Organization of American States Treaty Series No 36; 1144 United Nations Treaty Series 123. კონვენცია შევიდა ძალაში 1978 წლის 18 ივლისს, გამოქვეყნებულია Basic Documents Pertaining to Human Rights in the Inter-American System, OEA/Ser.L/V/II. 82, document 6, rev.1, 25 (1992)

“1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მისი ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური ხელშეუხებლობის პატივისცემაზე.

2. არაფინ არ უნდა განიცადოს წამება ან სასტიკი, არაადამიანური ან მისი ღირსების შემდახველი მოპყრობა ან დასჯა. ყველა თავისუფლება აღვევთილ პირს უფლება აქვს პატივი სცენ მის ღირსებას, რომელიც დამახასიათებელია ადამიანის პიროვნებისთვის”.

26. კონვენციის 33-ე მუხლში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა პანამერიკული კომისიის და ადამიანის უფლებათა პანამერიკული სასამართლოს დაფუძნება. როგორც კომისიის რეგლამენტით ჩაწერილი, მისი მთავარი უწესებია იმაში მდგომარეობს, რომ მხარი დაუჭიროს ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეუხებლობას და წარმოადგენდეს კონსულტატიურ ორგანოს ამ დარგში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისთვის<sup>26</sup>. თავისი უწესების შესრულების დროს, ტერმინის “წამება” მე-2 მუხლის შინაარსით განმარტებისას კომისიამ მიმართა პანამერიკულ კონვენციას წამების თავიდან აცილებისა და მათი გამოყენებისთვის დასჯის შესახებ<sup>27</sup>. პანამერიკული კონვენცია წამების თავიდან აცილებისა და მათი გამოყენებისთვის დასჯის შესახებ მიღებულ იქნა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიერ 1987 წლის 28 თებერვალს<sup>28</sup>. კონვენციის მე-2 მუხლში წამება განიმარტება როგორც:

“... ნებისმიერი განჩრას ჩადენილი აქტი, რომლითაც რომელიმე პირს მიეკუნება ფიზიკური ტკიფილი ან ტანჯვა სისხლის სამართლის გამოძიების ინტერესებში, როგორც აღნიშნული პირის დაშინების საშუალება, როგორც პრევენტიული გონია, როგორც სანქცია ან სხვა ნებისმიერი მიმნით. წამებად აგრეთვე ითვლება რომელიმე პირის მიმართ გემოქმედების მეთოდების გამოყენება, რომლებიც მიმართულია მსხვერპლის პიროვნების დანგრევაზე ან მისი ფიზიკური და გონებრივი უნარის დაქვეითებაზე, თუნდაც ასეთმა მეთოდებმა არ მიაკუნოს მსხვერპლს ფიზიკური ტკიფილი ან ფსიქიკური ტანჯვა”.

27. 1 მუხლის თანახმად მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას თავიდან აიცილონ წამება და დასაჯონ წამების გამოყენებისთვის კონვენციის დებულებების შესაბამისად. კონვენციის წევრ ქვეყნებისაგან მოითხოვება მათი იურისდიქციის ფარგლებში წამების გამოყენების შესახებ ნებისმიერ მტკიცებულებათა დაუყოვნებლივ და სათანადო გამოძიების ჩატარება.

28. როგორც ეს გათვალისწინებულია მე-8 მუხლი, “მონაწილე სახელმწიფოები გარანტიას იძლევიან, რომ ნებისმიერ პირს, რომელმაც წამოაყენა ბრალდება, რომ განიცადა წამება მათი იურისდიქციის ფარგლებში, უფლება აქვს მოითხოვოს მისი საქმის მიუკერძოებელი განხილვა”. ამის ანალოგიურად, თუ წამოყენებულია ბრალდება ან არსებობს იმის დამაჯერებელი საფუძველი, რომ რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილია წამების აქტი, მონაწილე სახელმწიფოები გარანტიას იძლევიან, რომ მათი შესაბამისი ორგანოები დაუყოვნებლივ შეუდგებიან ასეთი შემთხვევის სათანადო გამოძიების ჩატარებას და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ.

29. 1998 წლის ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ქვეყნების მიხედვით კომისიამ აღნიშნა, რომ შეფერხებას იმ პირთა ეფექტური სასამართლო დევნისათვის, რომლებიც წამებას იყენებენ, წარმოადგენს დამოუკიდებლობის უქონლობა წამების შესახებ განცხადებების გამოძიებისას, რადგან ფედერალური ორგანოები, რომლებიც ძიებას ატარებენ, ყოვლად შესაძლებელია, კონფაქტი იმყოფებიან წამების გამოყენებაში ბრალდებულ მხარეებთან<sup>29</sup>. მე-8 მუხლზე დაყრდნობით, კომისია ხასს უსვამს ნებისმიერი საქმის “მიუკერძოებელი განხილვის” დიდ მნიშვნელობას<sup>30</sup>.

30. საკითხი ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის დარღვევების თაობაზე განცხადების გამოძიების აუცილებლობის შესახებ წამოწეულ იქნა ადამიანის უფლებათა პანამერიკულ სასამართლოში. თავის გადაწყვეტილებაში ველასკეს როდრიგესის საქმეზე (1988 წლის 29 ივნისის დადგენილება) სასამართლომ განაცხადა:

<sup>26</sup> Regulations of the Inter-American Commission on Human Rights, Organization of American States Series L. V/II.92, document 31, revision 3 of May 1996, Article 1 (1)

<sup>27</sup> ob. Case 10.832, Report No 35/96, Inter-American Commission on Human Rights Annual Report 1997, paragraph 75

<sup>28</sup> Organization of American States Treaty Series No 67

<sup>29</sup> Report on the Situation Rights in Mexico, 1998, the Inter-American Commission on Human Rights, paragraph 323

<sup>30</sup> Ibid., paragraph 324

“ სახელმწიფო ვალდებულია გამოიძიოს კონვენციით დაცული უფლებების დარღვევის ყოველი სიტუაცია. თუ სახელმწიფო პაპატის ქმედებები დაუსჯელს ტოვებს ასეთ დარღვევას და მსხვერპლისთვის უზრუნველყოფილი არ არის შესაძლებლობა რაც შეიძლება მაღლ ისევ ისარგებლოს ასეთი უფლებებით მთელი მოცულობით, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებებს მისი იურისიდების ფარგლებში მყოფი პირებისთვის ამ უფლებების თავისუფლად და სრულად განხორციელების უზრუნველსაყოფად.“

31. კონვენციის მე-5 მუხლში გათვალისწინებულია წამების თავიდან აცილების უფლება. და, თუმცა ზემოაღნიშნული საქმე არ ეხებოდა ადამიანის გაუჩინარების კონკრეტულ შემთხვევას, ერთ-ერთი იმ უფლებათაგან, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციით, და რომლებგეც მიუთითებდა სასამართლო, არის წამების ან სასტიკი მოპყრობის თავიდან აცილების უფლება.

## 2. ადამიანის უფლებათა უკროპის სასამართლო

32. 1950 წლის 4 ნოემბერს ევროპის საბჭომ მიიღო ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებათა და სხვა თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს<sup>31</sup>. ევროპის კონვენციის მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ “არავინ არ უნდა განიცადოს წამება და არაადამიანური ან ღირსების შემდახველი მოპყრობა და დასჯა“. ევროპის კონვენციის შესაბამისად შეიქმნა საკონგროლო მექანიზმები — ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლო და ევროპის კომისია. 1998 წლის 1 ნოემბერს ძალაში შესული რეფორმის შემდეგ ადრე მოქმედი სასამართლო და კომისია შეცვალა ახალმა მუდმივად მოქმედმა სასამართლომ. ახლა გათვალისწინებულია საგალდებული წესით ინდივიდუალური საჩივრების შეცანის უფლება, და პირდაპირი შედწევა ამ სასამართლო ორგანოში ნებადართულია ყველა დაბარალებულისთვის. იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოს უხდებოდა საკითხის განხილვა წამების გამოყენების თაობაზე მტკიცებების გამოძიების აუცილებლობის შესახებ (როგორც მე-3 მუხლში გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფის საშუალების).

33. პირველი სასამართლო დაგენილება ამ საკითხზე იყო გადაწყვეტილება საქმეზე აქსო თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც გამოტანილ იქნა 1996 წლის 18 დეკემბერს<sup>32</sup>. ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო მიუთითა:

“იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციის მიერ დაპატიმრებული ადამიანი ჯანმრთელი იყო, და გათავისუფლებისას აღმოჩნდება, რომ მას მიყენებული აქეს სხეულის დაზიანება, სახელმწიფო ვალდებულია წარმოადგინოს ამგვარი დაზიანების გამომწვევა მიზების გონივრული ახსნა-განმარტება. თუ ის ამას არ გააკეთებს, მთელი სიცხადით წამოიჭრება საკითხი კონვენციის მე-3 მუხლის დაცვის შესახებ”<sup>33</sup>.

34. შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეზე განმცხადებლისათვის მიყენებული დაზიანებები წამების შედეგს წარმოადგენს და ადგილი ქონდა მე-3 მუხლის დარღვევას<sup>34</sup>. გარდა ამისა, სასამართლომ განმარტა კონვენციის მე-13 მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია უფლება სახელმწიფო ორგანოს წინაშე სამართლებრივი დაცვის უფლებური საშუალებებზე, როგორც ვალდებულების დამკისრებელი ჩატარდეს გულმოდგინედ გამოძიება წამების გამოყენების ფაქტზე. “წამების აკრძალვის ფუძემდებელი მნიშვნელობის” და წამების შესვერპლთა მოწყვლადობის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ „“მუხლი 13 აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, შიდასახელმწიფოებრივი სისტემის ჩარჩოებში ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებებისთვის ზიანის გარეშე, ჩაატარონ წამების გამოყენების შემთხვევების გულმოდგინე და ეფუძურ გამოძიებას”<sup>35</sup>.

35. სასამართლოს განმარტების თანახმად, მე-13 მუხლში მოცემული ცნება “სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები” გულისხმობს წამების გამოყენების თაობაზე ყოველი “დასამტკიცებელი საჩივრის” გულმოდგინე გამოძიებას. სასამართლომ მიუთითა, რომ, თუმცა კონვენციაში არ არის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-12 მუხლის მსგავსი შესაბამისი მკაფიო დებულება, “ასეთი მოთხოვნა გამომდინარეობს ცნებიდან “სამართლებრივი დაცვის

<sup>31</sup> United Nations Treaty Series 222

<sup>32</sup> United Nations Treaty Series 222 (№ 3, 5 და 8 პროტოკოლებით შეტანილი შესწორებით, რომლებიც ძალაში შევიდა 1970 წლის 21 სექტემბერს, 1971 წლის 20 დეკემბერს და 1990 წლის 1 იანვარს, შესაბამისად).

<sup>33</sup> Ibid., paragraph 61

<sup>34</sup> Ibid., paragraph 64

<sup>35</sup> Ibid., paragraph 98

ეფექტური საშუალებები“, რომელიც მოყვანილია მე-13 მუხლში<sup>36</sup>. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია მუხლი 13, რადგან არ გამოიძია განმცხადებლის საჩივარს წამების გამოყენების თაობაზე<sup>37</sup>.

36. 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე ახეროვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (90//1997//874//1086) სასამართლომ უფრო მეტად განავითარა თავისი მოსამართებები და აღიარა, რომ სახელმწიფოების ვალდებულება გამოიძიონ მტკიცებები წამების გამოყენების შესახებ არა მხოლოდ მე-13, არამედ მე-3 მუხლიდანც გამომდინარეობს. მოცემულ საქმეში პოლიციის მიერ დაკავებული ახალგაზრდა ბიშა მამაკაცმა წარმოადგინა სამედიცინო დასკვნა ცემის სახით მისთვის მიყენებული ზიანის შესახებ, მაგრამ, ამასთან, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, თუ ვის მიერ არის მიყენებული სხეულის დაზიანება — მამამისის თუ პოლიციის თანამშრომლების მიერ. სასამართლომ აღიარა, რომ „ჰემატომის ხასიათი, რომელიც აღმოაჩინა ექიმმა ბ-ნი ასენოვის დათვალიერებისას, მიუთითებს იმაზე, რომ მის მიერ მიღებული სხეულის დაზიანებები, იმისდა მიუხედავად, მამამისის მიერ არის მიყენებული თუ პოლიციის თანამშრომლების მიერ, საქმაოდ სერიოზულია, რათა ისინი განხილულ იქნას როგორც სასტიკი მოპყრობა, მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე“<sup>38</sup>. კომისიის აზრის მიუხედავად, რომელმაც დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მუხლი 3 არ დარღვეულა, სასამართლო ამით არ შემოიფარგლა. მან ჩათვალა, რომ მოცემული ფაქტები „იწვევენ დასაბუთებულ ეჭვს, რომ სხეულის ასეთი დაზიანებები შეიძლება მიყენებულ იქნა პოლიციის თანამშრომლების მიერ“<sup>39</sup>. გამომდინარე აქედან, სასამართლომ დაადგინა:

„პირობებში, როდესაც ფიზიკური პირი აკეთებს დასამტკიცებელ განცხადებას, რომ მის მიმართ სამართალსაწინააღმდეგოდ და მე-3 მუხლის დარღვევით გამოყენებულ იქნა სასტიკი მოპყრობა პოლიციის თანამშრომლებისა ან სხვა ანალოგიური სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, მე-3 მუხლის დებულებებიდან კონვენციის 1 მუხლის დებულებებთან შეთავსებით იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოები უზრუნველყოფნ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანისთვის წინამდებარე კონვენციაში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“, იმპლიციტურად გამომდინარეობს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ უნდა ჩატარდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება, ამ ვალდებულების შესრულების შედეგად უნდა გამოვლინდეს და დაისაჯოს დამააშავები. თუ ეს არ მოხდება, მათიც წამებისა და აგრეთვე არაადამიანური და დირსების შემდაცველი მოპყრობისა და დასჯის გოგაღამართლებრივი აკრძალვა, თავისი ფუქტურებული მნიშვნელობის მიუხედავად, არ იმოქმედებს პრაქტიკაში და ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლებს შეიძლება გაუწნდეს შესაძლებლობა ფაქტიურად დასჯელად დაარღვიონ მათი ძალაუფლების ქვეშ მოქცეულ პირთა უფლებები“<sup>40</sup>.

37. აქ სასამართლო პირველად მივიდა დასკვნამდე, რომ მე-3 მუხლის დაღვევას ადგილი ქონდა არა სასტიკი მოპყრობის, არამედ სასტიკი მოპყრობის შესახებ მტკიცების ეფექტური ოფიციალური გამოძიების ჩაუტარებლობის შედეგად. გარდა ამისა, სასამართლომ დაადასტურა პიტიცია, რომელიც მას დაკავებული ქონდა აქსოის საქმეში, და გამოიგანა დასკვნა იმის შესახებ, რომ დარღვეულ იქნა აგრეთვე მუხლი 13. სასმართლომ მოიყვანა შემდეგი მოსამართებები:

„როდესაც ფიზიკური პირი აკეთებს დასამტკიცებელ განცხადებას იმის შესახებ, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნა სასტიკი მოპყრობა მე-3 მუხლის დარღვევით, მათიც ცნებაში სასამართლო დაცის ეფექტური საშუალებები იგულისხმება გულმოდგინება და ეფექტური გამოძიების გარდა, რომელიც მოთხოვება აგრეთვე მე-3 მუხლის თანახმად, განმცხადებლისთვის გამოძიების პროცედურის ეფექტური ხელმისაწვდომობაც, ისევე როგორც სათანადო შემთხვევებში მისთვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდაც“<sup>41</sup>.

### 3. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემდლახავი მოპყრობისა და დასჯის თავიდან აუღილების ეკროპის კომიტეტი

38. 1987 წელს ევროპის საბჭომ მიიღო კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემდლახავი მოპყრობის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვლიდან<sup>42</sup>. 1999 წლის 1 მარტიდან კონვენცია რატიფიცირებულ

<sup>36</sup> Ibid., paragraph 98

<sup>37</sup> Ibid., paragraph 100

<sup>38</sup> Ibid., paragraph 95

<sup>39</sup> Ibid., paragraph 101

<sup>40</sup> Ibid., paragraph 102

<sup>41</sup> Ibid., paragraph 117

<sup>42</sup> European Treaty Series 126

იქნა ევროპის საბჭოს ყველა 40 წევრ სახელმწიფოს მიერ. კონვენციას შემოაქვს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციაში გათვალისწინებული სასამართლო მექანიზმის დამატების სახით პრევენციული ხასიათის შესაბამისი მექანიზმიც. კონვენცია წამების თავიდან აცილების შესახებ განმრავ არ ადგენს არანაირ მაგერიალურ-სამართლებრივ ნორმებს. კონვენციის შესაბამისად დაუუძნდა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყობისა და დასჯის თავიდან აცილების ევროპის კომიტეტი, რომლიც შემადგენლობაში შედის თითოეული წევრი სახელმწიფოს ერთი წარმომადგენელი. კომიტეტის არჩეულ წევრებს უნდა ახასიათებდეს მაღალი მორალური თვისებები, ისინი უნდა იყვნენ მიუკერძოებელნი, დამოუკიდებელნი და მათ იყვნენ ადგილზე მივლინებებისათვის.

39. ნაწილობრივ რეგულარულ და ნაწილობრივ ერთჯერად საფუზველზე კომიტეტის წარმომადგენლები ვიზიგით ჩადიან ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში. კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან კომიტეტის წევრები და მათი თანმხლები ექსპერტები მედიცინის, სამართლის და სხვა საქმიანობის დარგებში, თარჯიმანები, სამდივნოს თანამშრომლები. ქვეყანაში ჩასვლისას ეს დელეგაციები ხვდებიან პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ<sup>43</sup>. დელეგაციებს გააჩნია საქმაოდ ფართო ულებამოსილებანი: მათ შეუძლიათ მონაბულონ ნებისმიერი ადგილი, სადაც იმყოფებიან თავისუფლება აღკვეთილი პირები; მონაბულონ ნებისმიერი ასეთი ადგილი წინასწარი შეცყობინების გარეშე; მონაბულონ ასეთი ადგილები ხელმეორედ; პირისპირ ესაუბრონ თავისუფლება აღკვეთილ პირებს; შეხვდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ნებისმიერ პირს თავიანთი შეხედულებისამებრ ან ყველას ერთდროულად; დაათვალიერონ ყოველგვარი შებდების გარეშე ყველა სათავსო (და არა მხოლოდ საქნები). დელეგაციისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დოკუმენტი და დოსიე, რომელსაც კავშირი აქვს მოსანახულებელ პირთან. კომიტეტის მთელი მუშაობა აგებულია კონფიდენციურობისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

40. ამა თუ იმ სახელმწიფოდან დაბრუნების შემდეგ კომიტეტის წარმომადგენლები ამზადებენ წერილობით მოხსენებას. ვიზიგის მსელელობაში დადგენილი ფაქტების საფუძველზე მოხსენებაში კეთდება შენიშვნები პატიმრობის პირობების შესახებ და გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები. ასევე ისმევა ის საკითხები, რომელიც დამატებით განმარტებას საჭიროებენ. მონაწილე სახელმწიფო პასუხობს მოხსენებაზე წერილობითი ფორმით, რის შედეგად კომიტეტსა და მონაწილე სახელმწიფოს შორის იმართება დიალოგი, რომელიც გრძელდება შემდეგ ვიზიგამდე. კომიტეტის მოხსენებები და მონაწილე სახელმწიფოების პასუხები კონფიდენციური ხასიათის დოკუმენტებს წარმოადგენს, მაგრამ მონაწილე სახელმწიფოს (და არა კომიტეტს) შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება როგორც მოხსენებების, ასევე პასუხების საჯაროდ გამოქვეყნების შესახებ. დღემდე თითქმის ყველა მონაწილე სახელმწიფო აქვეყნებდა მოხსენებებსაც და პასუხებსაც.

41. ამგვარი საქმიანობით ბოლო ათი წლის განმავლობაში კომიტეტმა თანდათან გამოიმუშავა პატიმრობაში მყოფ პირებთან მოყვრობის კრიტერიუმების რიგი სფანდარტი, რომელიც საერთო ხასიათის სფანდარტებად იქცა. ეს სფანდარტები ეხება არა მხოლოდ მატერიალურ პირობებს, არამედ პროცესუალურ გარანტიებსაც. მაგალითად, კომიტეტი აქტიურად ცდილობს სამი გარანტიის გაფანას პოლიციის ორგანოების მიერ დაკავებული პირებისათვის:

ა) თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლება, მისი სურვილის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეაცყობინოს თავისი დაკავების შესახებ მესამე პირს (ოჯახის წევრს);

ბ) თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლება დაუყოვნებლივ მიმართოს აღვორაცხვა;

გ) თავისუფლება აღკვეთილი პირის უფლება დაუყოვნებლივ მიმართოს ექიმს, ამასთან, მისი სურვილის შემთხვევაში, იმ ექიმს, რომელსაც თვითონ დამოუკიდებლად ამოირჩევს.

42. გარდა ამისა, კომიტეტმა არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან სასტიკი მოყვრობის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ საშუალებას კომპეტენტური ხელისუფლების მიერ ასეთი მოპყობის შესახებ მათთან შემოსული ყველა საჩივრის გულდასმით განხილვა, და როდესაც ეს

<sup>43</sup> თავისუფლება აღკვეთილ პირებად ითვლებან პირები, რომლებსაც თავისუფლების აღეკვეთა მიესაჯათ სახელმწიფო ორგანოების ხელისუფლების მიერ, და ასეთ პირთა რიცხვს მიეკუთხნებიან, კერძოდ, დაკავებული ან რაიმე სხვა ფორმით დაპატიმრებული პირები; პატიმრები, რომლებიც სასამართლოს მოლოდინში იმყოფებიან; პატიმრები, რომელთა მიმართ გამოტანილია განაჩენი, აგრეთვე პირები, რომლებიც იძულებითი წესით მოთავსებული არიან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

აუცილებელია, დამნაშავეთა შესაბამისი დასჯა წარმოადგენს. ეს დიდ აღმზრდელობით გეგავლენას ახდენს.

#### 4. ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის კომისია და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის სასამართლო

43. ევროპული და პანამერიკული სისტემებისგან განსხვავებით, აფრიკაში არ არსებობს სპეციალური კონვენცია წამებისა და მისი თავიდან აცილების შესახებ. საკითხი წამების შესახებ განიხილება იმავე დონეზე, რაზედაც ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევები. ძირითადად საკითხი წამების შესახებ რეგულირდება ადამიანისა და ხალხთა უფლებათა აფრიკის ქარტიაში, რომელიც მიღებულია 1981 წლის 27 ივნისს აფრიკული ერთობის ორგანიზაციის მიერ და ძალაში შევიდა 1986 წლის 26 ოქტომბერს<sup>44</sup>. აფრიკის ქარტიის მუხლი 5 იუწყება:

“ყოველ ადამიანს აქვს უფლება ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსების პატივისცემისა და მისი სამართლური უფლებელობის აღიარებისა. აკრძალულია ადამიანის ექსპლუატაციისა და დამცირების ყველა ფორმა, განსაკუთრებით მონობა, მონებით ვაჭრობა, წამება, სასტიკა, არაადამიანური ან ღირსების შემღაბველი მოპყრობა და დასჯა”.

44. აფრიკის ქარტიის 30-ე მუხლის შესაბამისად, 1987 წლის ივნისში შეიქმნა ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის კომისია, რომელსაც დაევალა “მხარი დაუჭიროს ადამიანისა და ხალხის უფლებათა განვითარებასა და უზრუნველყოს მათი დაცვა აფრიკაში”. თავის პერიოდულად მოწვეულ სესიებზე კომისიამ მიიღო რებოლუციიები აფრიკის ცალკეულ ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მდგომარეობის შესახებ, ამასთან ზოგიერთ ასეთ რებოლუციაში სხვა დარღვევებთან ერთად საუბარი იყო აგრეთვე წამების შესახებაც. რიგ თავის რებოლუციებში კომისიამ გამოთქვა შემფოთება იმ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მოწმობებს ადამიანის უფლებათა სფეროში მდგომარეობის გაუარესების, მათ მორის წამების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

45. კომისიამ დააფუძნა ისეთი ახალი მექანიზმები, როგორიცაა სპეციალური მომსხენებელი ციხეების საკითხებზე, სპეციალური მომსხენებელი თვითნებური და დაუყოვნებლივი სიკვდილით დასჯის საკითხებზე და სპეციალური მომსხენებელი ქადების მდგომარეობის საკითხებზე, რომელთა უფლებამოსილებაში შედის მოხსენებების წარდგენა კომისიის ღია სესიებზე. ასეთი მექანიზმების შექმნაშ შესაძლებლობა მისცა დაბარალებულ პირებს და არასამთავრობო თრგანიზაციებს მიაწოდონ ინფორმაცია უშუალოდ სპეციალურ მომსხენებლებს. ამავე დროს, წამების მსხვერპლებს და არასამთავრობო თრგანიზაციებს შეუძლიათ შეიგანონ კომისიაში საჩივრები წამების აქტების შესახებ, როგორც ისინი განსაზროველია აფრიკის ქარტიის მე-5 მუხლში. იმ დროის განმავლობაში, სანამ ინდივიდუალური საჩივრები განიხილება კომისიაში, დაბარალებულ პირებსა და არასამთავრობო თრგანიზაციებს შეუძლიათ მიაწოდონ ანალოგიური ინფორმაცია სპეციალურ მომსხენებლებს კომისიის სესიებზე წარსადგენ ღია მოხსენებებში გამოსაყენებლად. იმ ორგანოს შექმნის მიზნით, რომელიც განიხილავს საჩივრებს აფრიკის ქარტიაში გარანტირებულ უფლებათა დარღვევის თაობაზე, აფრიკული ერთობის ორგანიზაციის ასამბლეამ 1998 წელს მიიღო პროტოკოლი ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკის სასამართლოს დაფუძნების შესახებ.

#### D. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო

46. 1998 წლის 17 ივლისს მიღებული რომის ხელშეკრულების შესაბამისად დაფუძნდა მუდმივად მოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, რომელიც მოწოდებულია განიხილოს საქმეები გენოციდის აქტებზე, კაცობრიობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაულთა ჩადენაზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმეები, რომლებიც ეხება განცხადებებს წამების გამოყენების შესახებ, როგორც გენოციდის დანაშაულის, ან კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ნაწილის, თუ წამება წარმოადგენს “ფართომასშტაბიან ან სისტემატური სასტიკა მოპყრობის ნაწილს”, ან

<sup>44</sup> OAU Document CAB/LEG/67/3 rev. 5, 21.I.L.M. 58 (1982)

როგორც სამხედრო დანაშაულის ნაწილს, რომელიც ექსევა 1949 წლის ქენევის კონვენციის მოქმედების ქვეშ. წამება განსაზღვრულია რომის ხელშეკრულებაში როგორც “ძლიერი ტეივილის ან ფიზიკური თუ ფსიქიკური ტანჯვის განგრახ მიუწება პფიმრობაში ან ბრალდების კონტროლის ქვეშ მყოფი პირისათვის“. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სფატური (რომის ხელშეკრულება) შევა ძალაში 60 ქვეყნის მიერ მისი რატიფიცირებიდან სამი თვის შემდეგ. 1999 წლის აპრილის მდგომარეობით, ანუ ცხრა თვის მერე ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომის ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 81 ქვეყანამ. ამ ახალი სასამართლოს ადგილმდებარეობა იქნება პააგაში, ნიდერლანდები. სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებმაც სახელმწიფოებს შესაძლებლობა არ გააჩნიათ ან სურვილი არა აქვთ რომის ხელშეკრულებაში მითითებულ დანაშაულებათა ჩადენაზე პასუხისმგებელ პირთა დევნა განახორციელონ.

## თავი II

### შესაბამის სურათია ეთიპის კოდექსი

47. ყველა პროფესიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს თავის მუშაობაში ეთიკის კოდექსით, რომელიც ასახავენ მათვის საერთო, მათ მიერვე აღიარებულ პროფესიულ მოვალეობებს, აგრეთვე მათვის სავალდებულო მორალის ნორმებს შეიცავენ. არსებობს ეთიკური სტანდარტების ორი ძირითადი წყარო:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საერთაშორისო დოკუმენტები და პრინციპების კრებული, რომლებიც დადგენილია თავად ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლების მიერ ეროვნული ან საერთაშორისო დონის შესაბამის ასოციაციათა ჩარჩოებში. ფუძემდებელი პრინციპები ყველა შემთხვევაში ერთნაირია და ძირითადად ეხება შესაბამისი პროფესიების წარმომადგენლით ვალდებულებებს ცალკეული კლიენტების ან პაციენტების, მთლიანად საბოგადოების, და აგრეთვე თავისწილი კოლეგების მიმართ პროფესიული დირსების დასაცავად. ამ ვალდებულებებში ასახულია ყველა უფლება და დამატებითი უფლებანი, რომლებიც ენიჭება ყველა ადამიანს საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად.

#### A. იურიდიული პროფესიის ეთიკური ნორმები

48. მოსამართლეები, როგორც მართლმსაჯულების ადსრულების უმაღლესი არბიტრები, განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მოქალაქეთა უფლებების დაცვაში. საერთაშორისო ნორმების თანახმად, მოსამართლეთა ბნეობრივი ვალია – უზრუნველყონ ყოველი ადამიანის უფლებათა დაცვა. სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების მე-6 პრინციპი იუწყება: „სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის პრინციპი აძლევს მათ უფლებას და აკისრებს მათ მოვალეობას უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო განხილვა და ყოველი მხარის უფლებათა დაცვა“<sup>45</sup>. ანალოგიურად, პროკურორის ბნეობრივი ვალია – განახორციელოს სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულებების გამოძიება და დევნა სასამართლო წესით, როგორიცაა წამების გამოყენება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელი პრინციპების მე-15 მუხლში სასამართლო დევნის მსველობაში ბრალდების მსარდამჭერ პირთა როლის მიმართ ნათქვამა: „პროკურორები ვალდებული არიან სათანადო ყერადება დაუთმონ სასამართლო დევნას სახელმწიფო მოსამსახურების მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულებებისათვის, როგორიცაა კორუფცია, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ადამიანის უფლებათა სერიოტული დარღვევები და სხვა დანაშაულებები, რომლებიც ასეთებად არის აღიარებული საერთაშორისო სამართალში, და როდესაც ეს დაწესებულია კანონით ან ასეთი სამართალდარღვევების გამოძიების ადგილობრივ პრაქტიკას შეესაბამება“<sup>46</sup>.

49. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოვალეობა, თავისი პროფესიული უუნციების შესრულებისას ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა, ეკისრება აგრეთვე ადვოკატებს. ძირითადი პრინციპების მე-14 მუხლი, რომელიც ადვოკატთა როლს ეხება, იუწყება: „იუდენ რა თავისი კლიენტების უფლებებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს, ადვოკატები ცდილობენ ხელი შეუწყონ ეროვნული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

<sup>45</sup> პრინციპები მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვიდე კონგრესზე დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის საკითხებზე, რომელიც ჩატარდა მიღანში 1985 წლის 26 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე და მოწონებულია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 1985 წლის 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციისთვის.

<sup>46</sup> პრინციპები მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მერვე კონგრესზე დამნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის საკითხებზე, რომელიც ჩატარდა პავანაში, კუბა, 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე.

დაცვას, და ნებისმიერ შემთხვევაში მოქმედებენ დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად, კანონის, აღიარებული ნორმებისა და იურისტის პროფესიული ეთიკის შესაბამისად<sup>47</sup>.

## B. ეთიკის ნორმები ჯანდაცვის სფეროში

50. არსებობს პირდაპირი და აშკარა ურთიერთკავშირი ადამიანის უფლებების კონცეპტუალურ ცნებებისა და ეთიკური ნორმების დაცვის ჯანდაცვის სფეროში მტკიცედ დამკაიდრებულ პრინციპს შორის. ისევე, როგორც იურისტის პროფესიაში, ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტთა ზნეობრივი ვალი და მოვალეობები ჩამოყალიბდება სამ დონეზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღოვანენტენდებში აისახება, ისინი აგრეთვე ჩართულია სამედიცინო მუშაკების ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების დეკლარაციებში, როგორიცაა მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია, მსოფლიო ფინანსურიული ასოციაცია და მედიცინის დების საერთაშორისო საბჭო<sup>48</sup>. ეროვნული სამედიცინო ასოციაციები და მედიცინის დების ორგანიზაციები ასევე გამოსცემენ ეთიკის კოდექსებს, რომლებიც უნდა დაიცვან წევრებმა. სამედიცინო ეთიკის უმთავრეს პროტულატს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმით არის ის გამოხატული, წარმოადგენს მედიცინის მუშაკის ყველაზე უბინაეს მოვალეობას იმოქმედოს პაციენტთა საუკეთესო ინგენერებისათვის, ნებისმიერი შეფერხების, მძიმე გარემოების ან სახელშეკრულებო ვალდებულებების მიუხედავად. ბოგიერთ ქვეყანაში სამედიცინო ეთიკის ისეთი პრინციპები, როგორიცაა ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობათა კონფიდენციურობის დაცვის პრინციპი, შესეულია შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ეთიკური პრინციპები არ არის განმტკიცებული სამართალში, ჯანდაცვის სფეროს ყველა სპეციალისტს ეკისრება მორალური მოვალეობა დაიცვას მათი პროფესიული ორგანიზაციების მიერ დაწესებული ნორმები. ისინი დამნაშავეებად ჩაითვლებიან თავიანთი პროფესიული მოვალეობის დარღვევაში, თუ არ დაიცვენ პროფესიულ ნორმებს მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე.

### I. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღოვანენტენდები ჯანდაცვის მუშაკების შესახებ

51. ჯანდაცვის მუშაკები, ისევე როგორც პრინციპურ დაწესებულებათა სისტემის ყველა დანარჩენი თანამშრომელი, ვალდებული არიან დაიცვან პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტებით, წესები, რომლებიც შეიცავენ მოთხოვნებს, რომ სამედიცინო, მათ შორის ფინანსურიული მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს უკლებლივ ყველა პატიმრისათვის, და რომ ექიმმა ყოველდღე მიიღოს და მოინახულოს ყველა ავადმყოფი პატიმარი ან პატიმარი, რომელმაც მას მკურნალობის თხოვნით მიმართა<sup>49</sup>. ეს მოთხოვნები კიდევ ერთხელ მიუთითებენ ექიმების მორალურ ვალზე (რომლის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი) ჩააგარის მკურნალობა და მიიღოს ბომები პაციენტთა საუკეთესო ინგენერებისათვის, რომლებიც მათ უნდა იმრუნონ. ამასთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯანდაცვის მუშაკების, განსაკუთრებით ექიმების, სამედიცინო ეთიკის პრინციპებში განსაკუთრებით გამოყო საკითხი ექიმებისა და ჯანდაცვის სხვა მუშაკების ეთიკური მოვალეობების შესახებ დაიცვან პატიმრები ან დაკავებული პირები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემდახავი მოპყრობისა და დასჯისაგან<sup>50</sup>. პრინციპებიდან მთელი სიაშპარავით გამოდინარების, რომ ჯანდაცვის მუშაკებზე დევს მორალური მოვალეობა დაიცვან პატიმრებისა და დაკავებული პირების ფიზიკური და ფინანსური ჯანმრთელობა. მედიკოსებს კონკრეტულად ეკრძალებათ თავიანთი სამედიცინო ცოდნისა და უნარის გამოყენება ნებისმიერი ხერხით, რომელიც არ შესაბამება საერთაშორისო

<sup>47</sup> იხ. მითითება 46

<sup>48</sup> არსებობს აგრეთვე რიგი სხვა ორგანიზაცია, მაგალითად, თანამეგობრობის სამედიცინო ასოციაცია და ისლამური სამედიცინო ასოციაციების საერთაშორისო კონფერენცია, რომლებიც დებულობენ მნიშვნელოვან დეკლარაციებს სამედიცინო ეთიკისა და ადამიანის უფლებათი საკითხებზე.

<sup>49</sup> პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტებით, წესები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1955 წელს მიღებული მინიმალური სტანდარტებით წესების შესრულების ეფექტური პროცედურები.

<sup>50</sup> მიღებულია 1982 წელს გენერალური ასამბლეის მიერ.

დოკუმენტებს ადამიანის უფლებათა შესახებ<sup>51</sup>. კერძოდ, სამედიცინო ეთიკის უხეშ დარღვევას წარმოადგენს წამებაში აქტიური ან პასიური მონაწილეობა ან მათი მიმნებებლობა.

52. „წამებაში მონაწილეობა“ შეიცავს ადამიანის უნარის შეფასებას გაუძლოს სასტიკ მოპყრობას, სასტიკ მოპყრობის აქტებზე დასწრებას, კონფრონტის განხორციელებას ასეთ აქტებზე ან მათ ჩადენაზე; ადამიანების გონზე მოყვანას მათთვის შემდგომი ფანჯვის მისაყვენებლად ან მათთვის სამედიცინო დახმარების გაწევის უშუალოდ წამების წინ, წამების პროცესში ან მისი დასრულების შემდეგ იმ პირთა განკარგულებებით, რომლებიც, სავარაუდო, პასუხისმგებელი არიან წამების გამოყენებაზე, და აგრეთვე მონაცემთა განზრახ იგნორირებაზე და საანგარიშო დოკუმენტების, მაგალითად, ანგარიშების აუფოსის შესახებ და მტკიცებულებების სიკვდილის შესახებ, ფალსიფიცირებაზე<sup>52</sup>. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები შეიცავს არგეთვე სამედიცინო ეთიკის ერთერთ უმთავრეს ნორმას: მათში განსაკუთრებით ხაგბასმულია, რომ ერთადერთი ეთიკურად დასაშვები კავშირი პატიმრებსა და მედიცინის მუშაკებს შორის არის კავშირი, რომლის მიზანია გამოიკვლიოს, დაიცვას და გაამაგროს პატიმრების ჯანმრთელობა. მაშინადამე, პატიმრის ან დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება მისი დასჯის ან წამების ხელშეწყობის მიზნით აშკარად ეწინააღმდეგება ეთიკას.

## 2. საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების დოკუმენტები

53. საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციათა მრავალი დოკუმენტის ქვაკუთხედს ადამიანის უფლებათა პრინციპები წარმოადგენს, რაც მიუთითებს ამ საკითხებთან დაკავშირებით სრული კონსენსუსის არსებობაზე საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებაში. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის დეკლარაციაში განსაზღვრულია საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ეთიკურ მოვალეობათა ასექტები, რომლებიც უნდა დაიცვას კველა ექიმმა. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ტოკიოს დეკლარაციაში<sup>53</sup> დასტურდება მედიცინის მუშაკების წამების ან სასტიკი მოპყრობის აქტებში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობის ან ასეთი აქტების ჩადენისას მათი დასწრების აკრძალვა. ეს აკრძალვა განმტკიცებულია იმ გარემოებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ პრინციპებში კეთდება სპეციალური მითითება ტოკიოს დეკლარაციაზე. ექიმებს პირდაპირ აერძმალებათ ინფორმაციის ან რაიმე სამედიცინო ინსტრუმენტების ან ნივთიერებების გადაცემა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს სასტიკ მოპყრობას. ასეთივე წესი შემოღებულია ფსიქიატრიაში, მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ მიღებული ჰაგბის დეკლარაციის<sup>54</sup> შესაბამისად, რომელშიც აკრძალულია ფსიქიატრიული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიმართებაში ადამიანის უფლებათა დარღვევის მიზნით. მსგავსი დებულება შესულია ისლამური მედიცინის საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ ქუვეითის დეკლარაციაში<sup>55</sup>, რომელშიც ექიმებს კერძალებათ თავიანთი სპეციალური ცოდნის გამოყენება „ადამიანის გონებისა და სულისათვის ვნების, მოშლის ან ზიანის მისაყვენებლად, როგორც სამხედრო, ასევე პოლიციური თვალსაზრისით“. ანალოგიური დებულებები მედიცინის დების მიმართ ჩართულია დირექტივაშიც „მედიცინის დების როლი ჰაგიმრებისა და დაკავებული პირებისთვის დახმარების გაწევაში“.

54. ჯანდაცვის მუშაკები აგრეთვე ვალდებული არიან დახმარება გაუწიონ კოლეგებს, რომლებიც გამოდიან ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ. ასეთი დახმარების არ აღმოჩენა შეიძლება არა მხოლოდ პაციენტების უფლებათა დარღვევის და ზემოჩამოთვლილი დეკლარაციების დებულებათა დარღვევის მიზები გახდეს, არამედ შეარყიოს სამედიცინო პროფესიის რეპუტაცია. პროფესიული დირსებისათვის მიანის მიყენება სერიოზულ პროფესიულ გადაცდომად ითვლება. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში

<sup>51</sup> კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთათ დეკლარაციით, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პატებით და დეკლარაციით წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემღავით მოპყრობისა და დასჯისაგან კველა პირის დაცვის შესახებ.

<sup>52</sup> თუმცა, მედიცინის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ თავისი ვალდებულებანი დაიცვან კონფიდენციურობა პაციენტების მიბრრი, აგრეთვე მოვალეობანი მიღობს მათგან შეგნებული თანხმობა ინფორმაციის გამოაშკარავებაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი გამოაშკარავება შეიძლება რაიმე საფრთხის მიზები გახდეს შესაბამისი პირისათვის (იხ. ნაწილი II, მუხლი 3).

<sup>53</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1975 წელს.

<sup>54</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1977 წელს.

<sup>55</sup> მიღებულია 1981 წელს (1401 წელი ისლამის კალენდრის მიხედვით).

ადამიანის უფლებათა შესახებ<sup>57</sup> შესულია მოწოდება ყველა ეროვნული სამედიცინო ასოციაციისადმი შეისწავლონ მდგომარეობა ადამიანის უფლებათა სფეროში მათ ქვეყნებში და ყველა ბორბა გამოიყენონ იმისათვის, რომ ექიმებმა არ დამალონ დარღვევების მტკაოსტულებები რეპრესიების საფრთხის ქვეშაც კი. ამ რეზოლუციაში შესულია მთხოვნა ეროვნული ორგანიზაციების მიმართ შეიმუშაონ მკაფიო ინსტრუქციები – განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებათა სისტემაში მომუშავე ექიმებისათვის – გამოვიდნენ პროცესტით ადამიანის უფლებათა არსებული, შეტყობინებების თანახმად, დარღვევათა წინააღმდეგ, აგრეთვე უგრუნველყონ ეფექტური მეთოდების არსებობა ექიმების მხრიდან ადამიანის უფლებათა მიმართ ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ქცევის გამოსაძიებლად. ამავე რეზოლუციაში მოთხოვნილია, რომ ეროვნულმა ორგანიზაციებმა დახმარება აღმოუჩინონ ცალკეულ ექიმებს, რომლებიც მიუთითებენ ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებზე. მოგვიანებით მიღებულ ჰამბურგის დეკლარაციაში<sup>58</sup> მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ დასტურდება როგორც ცალკე პირების, ასევე მთელი მსოფლიოს მედიცინის მუშაკთა ორგანიზებული ჯგუფების მოვალეობა წააქებონ ექიმები წინააღმდეგობა გაუწიონ წამებას და ეთიკის პრინციპებთან შეუთავსებელი საქციელის დაძალებას. ამ დეკლარაციაში შესულია მოწოდება ყველა ექიმისადმი გამოვიდეს სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ, ხოლო ეროვნული და საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციებისათვის რეკომენდებულია მხარი დაუჭირონ ექიმებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ასეთი სახის დაძალებას.

### 3. სამედიცინო ეთიკის ეროვნული კოდექსი

55. მესამე დონე, რომელზეც ხდება ეთიკური პრინციპების ფორმულირება – ეს ეროვნული კოდექსების დონეა. მათში ასახულია იგივე ძირითადი ფასეულობანი, რომლებიც ზემოთ არის სესენტული, რადგან სამედიცინო ეთიკის ნორმები არის ყველა ექიმისათვის საერთო ფასეულობების გამოხატვა. პრაქტიკულად ყველა კულტურასა და კოდექსში ჩადებულია ერთნაირი ამოსავალი დებულებანი ზიანის მიყენების თავიდან აცილების, ავადმყოფებისათვის დახმარების აღმოჩენის, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფთა დაცვისა და პაციენტებს შორის რაიმე განსხვავების დაუშვებლობის მიზნით, იმ განსხვავებების გარდა, რომლებიც ნაკარნახევია პაციენტისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევით. იღენტური ფასეულობანი ასახულია აგრეთვე სამედიცინო დების პროფესიულ კოდექსებში. მაგრამ, ეთიკური პრინციპების პრობლემურ ასპექტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათში არ არის ასახული მკაფიო წესები ყველა წარმოქმნილი დილემის გადასაწყვეტად, რის გამოც ჩნდება შესაბამისი განმარტების აუცილებლობა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ წარმოქმნილი ეთიკური დილემების შეფასებისას ჯანდაცვის მუშაკებმა არ დაივიწყონ თავიანთი ძირითადი მორალური ვალდებულებანი, რომლებიც გამოიხატება მათ საერთო პროფესიულ ფასეულობებში, და შესარულონ ეს ვალდებულებანი თავიანთი ძირითადი მოვალეობის შესაბამისად – არ ავთონ პაციენტს.

## C. ეთიკის საერთო პრინციპები ჯანდაცვის სფეროს ყველა კოდექსისათვის

56. პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპი მოითხოვს მედიცინის მუშაკებისგან მუდმივად ახსოვდეთ მედიცინის ძირითადი მიზნის შესახებ – შეუმსუმბუქონ ტანჯვა და ტკივილი და არ ავთონ პაციენტს, ნებისმიერი გარე ზეწოლის მიუხედავად. რიგ სხვა ეთიკურ პრინციპს აქვს იმდენად დიდი ფუძემდებლური მნიშვნელობა, რომ ისინი უცვლელად ჩადებულია ყველა კოდექსში და ღოკუმენტში სამედიცინო ეთიკის შესახებ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა თანაგრძნობის გამოხატვა დახმარების გაწევისას, ზიანის არ მიყენება და პაციენტის უფლებათა პატივისცემა. ეს – მთავარი მოთხოვნებია ჯანდაცვის სფეროს ყველა მუშაკისათვის.

### I. თანაგრძნობით ხაკარნახევი დახმარების გაწევის ვალდებულება

<sup>57</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1990 წელს.

<sup>58</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1977 წელს.

57. დახმარების გაწევის ვალდებულება სხვადასხვანაირად არის ასახული ეროვნულ და საერთასორისო კოდექსებში და ღოკუმენებში. ამ ვალდებულების ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს მედიკოსების მოვალეობა დაქმარინონ იმათ, ვისაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროება. ეს მოვალეობა ასახულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ შემუშავებულ სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსში<sup>59</sup>, რომელშიც მედიცინის მუშაკთა მორალური ვალდებულება აღმოუჩნიონ პაციენტს გადაუდებელი დახმარება მათ ჰუმანიტარულ მოვალეობად მიიჩნევა. ვალდებულება, დახმარება აღმოუჩნიონ ყველა გაჭირვებულსა და ტანჯვაში მყოფს პოულობს თავის ასახვას პრაქტიკულად ყველა კულტურის ტრადიციებში.

58. სამედიცინო ეთიკის მრავალ თანამედროვე ნორმებს საფუძვლად უდევს ამ პროფესიის მორალური პრინციპების შესახებ ყველაზე აღრინდელ ღოკუმენებში დადგენილი პრინციპები, რომლებიც შეიცავს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ექიმებმა დახმარება უნდა გაუწიონ პაციენტს თავიანთი რისკის ხარჯზეც კი. მაგალითად, ინდური კოდექსის „ჩარაკა სამხიგა“ შესაბამისად, რომელიც მიეკუთვნება I საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ექიმებს მიეთითებათ „მთელი სულითა და გულით შეეცადონ შეამსუბუქონ ავადმყობის მდგომარეობა; არ უნდა მიატოვონ თავისი ავადმყოფი და არ აენონ მას თავისი სიცოცხლის გადასარჩენად ან ხელფასის გულისთვის“. ანალოგიური მითითებები შესულია ადრეულ ისლამურ კოდექსშიც, ხოლო უკვე თანამედროვე პერიოდში მიღებული ქუვეითის დეკლარაცია მიუთითებს ექიმებს მთავარი ყურადღება მიაქციონ იმათ, ვისაც ესაჭიროება დახმარება, მიუხედავად იმისა „ახლოს არიან ისინი თუ არა, მაღალი ბნეობის ადამიანია თუ ცოდვილი, მეგობარია თუ მგერი“.

59. დასავლური მედიცინის მორალური ფასეულობანი ჩამოყალიბდა ჰიპოკრატეს ფიცის და სხვა მსგავსი აღთქმის გავლენის ქვეშ, ისეთის როგორც მაიმონიდის ლოცვები. ჰიპოკრატეს ფიცი წარმოადგენს საბეიმო დაპირებას გამოიჩინოს სხვა ექიმებთან და აიღოს ვალდებულება სარგებლობა მოუტანის ავადმყოფებს და იზრუნოს მათზე ისე, რომ არაფრით არ აენოს. მასში შედის აგრეთვე დაპირება დაიცვას კონფიდენციურობა. ეს ოთხი ძირითადი იდეა ასახულია პროფესიული ეთიკის ყველა თანამედროვე კოდექსში ჯანდაცვის სფეროში. ღოკუმენებს, რომელშიც უკვე თანამედროვე ღონებები თითქოს ისევ დასტურდება ჰიპოკრატეს ფიცი, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის უქნევის დეკლარაცია წარმოადგენს<sup>60</sup>. ეს ერთგვარი ფიცია, რომლითაც ექიმები ვალდებულებას იღებს თავის უპირველეს საბრუნავად ჩათვალონ პაციენტთა ჯანმრთელობა და საბეიმოდ იძლევიან პირობას, რომ შესწირავენ თავიანთ თავს კაცობრიობის კეთილსინდისიერ და დირსეულ სამსახურს.

60. დახმარების გაწევის ვალდებულების სხვადასხვა ასპექტები ასახულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მრავალ დეკლარაციაში, რომლებშიც სავსებით გარკვეულად არის ნათქვამი, რომ ექიმებმა ყოველთვის უნდა გააკეთონ ის, რაც ყველაზე უფრო პასუხობს პაციენტთა ინტერესებს, მათ შორის პატიმრობაში მყოფის და დანაშაულების ჩადენაში ბრალდებულის ინტერესებს. ხშირად ეს ვალდებულება გამოიხატება პროფესიული დამოუკიდებლობის ცნებით, რომლის შესაბამისად ექიმებმა მკურნალობის საუკეთესო მეთოდები უნდა გამოიყენონ, ნებისმიერი ზეწოლის მიუხედავად, რომელიც მათ მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ მიღებულ სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსში ხაბგასმულია, რომ ექიმების ვალია – დახმარება გაუწიონ პაციენტს და ამასთან „შეინარჩუნონ სრული დამოუკიდებლობა როგორც ტექნიკურად, ასევე მორალურად და თანაგრძობა და პატივისცემა გამოიჩინონ ადამიანის ღირსების მიმართ“. მასში აგრეთვე ხაზი აქვს გასმული ექიმების ვალდებულებას იმოქმედონ მხოლოდ პაციენტთა ინტერესებში და მითითებულია, რომ ექიმებმა უნდა დაიცვან სრული ღონიალობა თავიანთი პაციენტების მიმართ. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ტრკიოს დეკლარაციიდან და დეკლარაციიდან ექიმის დამოუკიდებლობისა და პროფესიული თავისუფლების შესახებ<sup>61</sup> მთელი სიამქარავით გამომდინარეობს, რომ ექიმებმა დაქინებით უნდა განაცხადონ, რომ ისინი თავისუფლები არიან თავიანთ მოქმედებებში პაციენტების ინტერესებში, ყველა სხვა მოსაზრების, მათ შორის დამქირავებულების, ციხის ხელმძღვანელობის ან უშიშროების სამსახურის მითითებების მიუხედავად. ამ უკანასკნელი დეკლარაციის თანახმად ექიმებმა უნდა მიაღწიონ „თავიანთ პროფესიულ დამოუკიდებლობას, რათა მათ წარმოადგინონ და დაიცვან პაციენტთა მოთხოვნები სამედიცინო დახმარებაზე ყველას წინაშე, ვინც უარს იტყვის ავადმყოფებისათვის ან

<sup>59</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1949 წელს.

<sup>60</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1948 წელს.

<sup>61</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1986 წელს

დაბარალებულებისათვის აუცილებელ დახმარებაზე ან შებღუდავს ამ დახმარებას“ ანალოგიური პრინციპები სამედიცინო დებისათვის შესულია სამედიცინო დების საერთაშორისო საბჭოს მიერ მიღებულ კოდექსში.

61. ერთ-ერთ ფორმას, რომლის დახმარებითაც მსოფლიო სამედიცინო ასოციაცია დახმარების გაწევის ვალდებულებას გამოხატავს, წარმოადგენს პაციენტთა უფლებათა აღიარება. ლისაბონის დეკლარაციაში ადამიანის უფლებათა შესახებ<sup>62</sup> ნათქვამია, რომ უკლებლივ ყველა ადამიანს უფლება აქვს სათანადო სამედიცინო დახმარებაზე, და კვლავ დასტურდება, რომ ექიმებმა ყოველთვის უნდა იმოქმედონ პაციენტთათვის საუკეთესო ინტერესებში. ამ დეკლარაციის თანახმად, პაციენტათვის გარანტირებული უნდა იყოს ნების თავისუფლება და სამართლიანი მოპყრობა, და როგორც ექიმებმა, ასევე სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან პაციენტთას უფლებანი. „ყველა შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობის დებულებანი ან მთავრობის ან ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან დაწესებულების მოქმედები ხელს უშლის პაციენტთა ამ უფლებათა რეალიზებას, ექიმები უნდა შეეცალონ სათანადო საშუალებებით აღადგინონ ისინი და უბრუნველყონ მათი დაცვა“ ყოველ ადამიანს უფლება აქვს აუცილებელ სამედიცინო დახმარებაზე, ისეთი ფაქტების მიუხედავად, როგორიცაა ეთნიკური წარმომობა, პოლიტიკური მრწამი, მოქალაქეობა, სქესი, სარწმუნოება ან პიროვნული თვისებები. ბრალდებულ ან დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ აღიარებულ ადამიანებს, ისევე როგორც ყველა დანარჩენს, მორალური უფლება აქვთ სათანადო დახმარებაზე ექიმების და სამედიცინო დების მხრიდან. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ მიღებულ ლისაბონის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ პაციენტებს მორის რამე განსხვავების ერთადერთ დასაშვებ კრიფერიუმს წარმოადგენს კრიფერიუმი, რომლებიც ნაკარნახევია პაციენტისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევით.

## 2. შევნებული თანხმობა

62. ის ფაქტი, რომ მედიკოსების მხრიდან სამედიცინო დახმარების გაწევის მოვალეობის ამსახველ ყველა დეკლარაციაში ხაზი აქვს გასმელი ჯანდაცვის მუშაკთა ვალდებულებას იმოქმედონ იმ პირის საუკეთესო ინტერესებში, რომელიც გამოკვლევას ან მკურნალობას გადის, გულისხმობს, რომ ჯანდაცვის მუშაკებისათვის ცნობილია, თუ რაში მდგომარეობს პაციენტთა საუკეთესო ინტერესები. თანამედროვე სამედიცინო ეთიკის უმთავრეს მცნებას წარმოადგენს პოსტულაცი იმის შესახებ, რომ თავიანთი ინტერესები უპირველეს ყოვლისა უნდა განსაზღვრონ თავად პაციენტებმა. ეს ნიშნავს, რომ იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ რა არის ყველაზე უკეთესი კონკრეტული ადამიანისთვის, ჯანდაცვის მუშაკებმა ნირმალურ პირობებში უპირატესობა უნდა მიანიჭონ გონივრული ზრდასრული პაციენტის, და არა ძალაუფლების მქონე რომელიმე პირის სურვილებს. იმ შემთხვევებში, როდესაც პაციენტი უგონო მდგომარეობაში იმყოფება ან რამე სხვა მიზებით გააზრებული შევნებული თანხმობის მიცემის უნარი არ შესწევს, გადაწყვეტილება იმის შესახებ, როგორ უფრო უკეთესად შეიძლება მისი ინტერესების დაცვა და მათი ხელშეწყობა, უნდა მიიღონ ჯანდაცვის მუშაკებმა. ნავარაუდევია, რომ სამედიცინო დები და ექიმები უნდა გამოლიონენ თავიანთ პაციენტთა ინტერესების ერთგვარ მცველებად, რაც აშკარად გამომდინარეობს ისეთი დოკუმენტებიდან, როგორიცაა მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ლისაბონის დეკლარაცია და სამედიცინო დების საერთაშორისო საბჭოს მიერ მიღებული განცხადება „სამედიცინო დების როლი ადამიანის უფლებათა გარანტიების უბრუნველყოფაში“<sup>63</sup>.

63. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ლისაბონის დეკლარაციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ექიმების ვალდებულება მიიღონ ნებაყოფლობითი და შეგნებული თანხმობა უსიქიურად ნორმალური პაციენტებისაგან დათვალიერების ან რამე გამოკვლევის ან სხვა პროცედურის ჩატარებაზე. ამითომ, გამოკვლევის ჩატარებამდე ჯანდაცვის მუშაკებმა დიად უნდა განუმარტონ პაციენტს დათვალიერებისა და მკურნალობის მიზანი. თანხმობა, რომელიც

<sup>62</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 1981 წელს, შეცვლილია 1995 წლის სექტემბერში გენერალური ასამბლეის ორმოცდამეშვიდე სესიაზე.

<sup>63</sup> მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის მიერ 19483 წელს

მიღებულია ბეწოლის ქვეშ ან იმის შედეგად, რომ პაციენტს მიაწოდეს ცრუ ინფორმაცია, ბათილად ითვლება, ხოლო ასეთი თანხმობის საფუძველზე მოქმედი ექიმები შეიძლება ბრალდებული იყვნენ სამედიცინო ეთიკის დარღვევაში. რაც უფრო მძიმე იქნება პროცედურები, რომლებიც უნდა ჩაუტაროს პაციენტს, მით უფრო მნიშვნელოვანია მორალური იმპერატივი მიღებულ იქნას ამისათვის შეგნებული თანხმობა. ანუ, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოკვლევამ და მკურნალობამ აშკარად სარგებლობა უნდა მოუტანოს ადამიანებს, შეიძლება საკმარისი იყოს მათი ნაგულისხმები თანხმობა, რომელიც გამოიხატება მათ თანამშრომლობაში შესაბამისი პროცედურების ჩატარებისას. ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დათვალიერების ან გამოკვლევის მთავარ მიზანს სამედიცინო დახმარების გაწევა არ წარმოადგენს, საჭიროა დიდი სიურთხილის გამოჩენა და დარწმუნება იმაში, რომ პაციენტმა იყის ამის შესახებ და თანახმა ამაზე, აგრეთვე იმაში, რომ ასეთი დათვალიერება არანაირად არ ეწინააღმდეგება მოცემული პაციენტის საუკეთესო ინტერესებს. როგორც გემოთ იყო აღნიშნული, პაციენტის დათვალიერება იმაში დასარწმუნებლად, რომ ამა თუ იმ პირს შეუძლია გაუძლოს დასჯას, წამებას ან ფიზიკურ გეწოლას დაკითხვის დროს, არაეთიკურია და ეწინააღმდეგება მედიცინის ამოცანებს. პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთადერთ ეთიკურ გამოკვლევას წარმოადგენს მისი გამოკვლევა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად, მისი ჯანმრთელობის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნების ან გაუმჯობესების შიზნით, და არა დასჯის ხელშეწყობისთვის. სამედიცინო ექსპერტიამ, რომელიც ტარდება მონაცემების მოსაგროვებლად რაიმე გამოიძების მსვლელობაში, მოითხოვს გამოსაკვლევი პაციენტის შეგნებულ თანხმობას იმ თვალსაზრისით, რომ პაციენტს უნდა ესმოდეს, თუ როგორ იქნება გამოყენებული ექსპერტიამის შედეგად მიღებული სამედიცინო მონაცემები, როგორ შეინახება ისინი და ვისთვის იქნება ხელმისაწვდომი. თუ ეს და სხვა მომენტები, რომლებიც პაციენტის გადაწყვეტილებას ეხება, წინასწარ არ იქნება განმარტებული, თანხმობა ექსპერტიამი და მისი შედეგების რეგისტრაცია ბათილად ჩაითვლება.

### 3. კონფიდენციურობა

64. ყველა ეთიკური კოდექსი, დაწყებული ჰიპოკრატეს ფიცით და ყველაზე თანამედროვე დეკლარაციებით დამთავრებული, ითვალისწინებს კონფიდენციურობის დაცვის ვალდებულებას, როგორც ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლის შესახებ მყაფიოდ არის მითითებული მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის დეკლარაციებში, კერძოდ, ლისაბონის დეკლარაციაში. გემოერთ ქვეყანაში პროფესიული საიდუმლოს დაცვის ვალდებულებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ის ჩართულია ეროვნულ სამართალში. კონფიდენციურობის დაცვის ვალდებულება არ არის აბსოლუტური და ეთიკისათვის ყოველგვარი ზიანის გარეშე შეიძლება დაირღვეს განსაკუთრებულ გარემოებებში, როდესაც წინააღმდეგ შემთხვევები აშკარად შეიძლება ზიანის მიყენება ადამიანებისათვის ან დაშვებულ იქნას მართლმასაჯულების უხეში დარღვევა. თუმცა, როგორც წესი, კონფიდენციურობის დაცვის ვალდებულება ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიმართ, რომელიც იდენტიფიკაციის ჩატარების და პიროვნების დადგენის საშუალებას იძლევა, შეიძლება არ იქნას დაცული მხოლოდ ამისათვის თვითონ პაციენტის შეგნებული თანხმობის არსებობისას<sup>31</sup>. ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიკაციის ჩატარების საშუალებას არ იძლევა, თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისთვის და ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც პაციენტის პიროვნების დადგენას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ამას შეიძლება ადგილი ქონდეს, მაგალითად, წამების მეთოდებისა და სასტრი მოპყრობის ხსიათის შესახებ ინფორმაციის მოგროვებისას. დილემა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ჯანდაცვის მუშაკებზე ხორციელდება გეწოლა ან კანონი მოითხოვს მათგან ადამიანების შესახებ ინფორმაციის გამედავნებას, რომელიც იდენტიფიკაციის ჩატარების საშუალებას იძლევა, რამაც შეიძლება პაციენტებისათვის ზიანის მიყენება გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევებში მედიკოსის ძირითადი ვალდებულებაა – პატიმა სცეს ნების თავისუფლებასა და დაიცვას პაციენტთათვის საუკეთესო ინტერესები, აგრეთვე დათესოს სიკეთე და არ ავნოს პაციენტს. ამ მოსაზრებებს უპირატესობა ენიჭება ყველა სხვა დანარჩენთან შედარებით. სასამართლოს ან ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც მოითხოვენ ასეთ ინფორმაციას, ექიმებმა უნდა პირდაპირ განუცხადონ, რომ ისინი შეზღუდული

<sup>31</sup> ეს არ მიეკუთვნება ჯანდაცვის ისეთ გოგად მოთხოვნებს, როგორიცაა ინფექციური დაავადებებით ავალმყოფ, ნარკოლამკიდებულ, ფსიქიკურად დაგვადებულ და ა.შ. პირთა სახელმისათვის აღრიცხვა.

არიან პროფესიული ვალდებულებით დაიცვან კონფიდენციურობა. ჯანდაცვის მუშაკების, რომლებიც ამგვარად მოიქცევიან, მხარდაჭერის უფლება აქვთ თავიანთი პროფესიული ასოციაციებისა და კოლეგების მხრიდან. გარდა ამისა, შეიარაღებული კონფლიქტების დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უბრუნველყოფს ექიმსა და პაციენტს მორის ურთიერთობათა კონფიდენციურობის განსაკუთრებულ დაცვას და მოითხოვს, რომ ექიმებმა არ გასცენ ავადმყოფები ან დაჭრილები<sup>32</sup>. დაცვას ჯანდაცვის მუშაკებისთვის შეიძლება წარმოადგენდეს ის, რომ ასეთ სიტუაციებში უფლება არა აქვთ დააძალონ მათ ინფორმაციის გამედავნება თავიანთი პაციენტების შესახებ.

## D. ორგვარი ვალდებულებათა მქონე ჯანდაცვის მუშაკები

65. ჯანდაცვის მუშაკებზე დაკისრებულია ორგვარი ვალდებულებანი: მათი უპირველესი ვალია პაციენტების მიმართ – ხელი შეუწყონ პაციენტთა ინტერესების ყველაზე სრულ გათვალისწინებას, ხოლო საერთო ვალი საბოგადოების მიმართ – უბრუნველყონ მართლმსახულების განხორციელება და არ დაუშვან ადამიანის უფლებათა დარღვევა. დილემები, რომლებიც ამ ვალდებულებათა ორგვარი ხასიათიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებით მწვავე ხდება პოლიციის, შეიარაღებული ძალების ორგანოებში და უსაფრთხოების სხვა სამსახურებში ან პენიტენციურ დაწესებულებათა სისტემაში მომუშავე მედიკოსებისათვის. მათი დამქირავებლებისა და კოლეგების ინტერესები, რომლებიც მედიკოსები არ არიან, შეიძლება წინააღმდეგობაში შევიდეს პატიმრობაში მყოფ პაციენტთა საუკეთესო ინტერესებთან. მათი შრომითი ურთიერთობების ხასიათის მიუხედავად ჯანდაცვის ყველა მუშაკის ვალია – იმრუნოს ადამიანებზე, რომელთა შემოწმება ან მკურნალობა მას უწევს. არ შეიძლება სახელშეკრულებო საფუძველზე ან რაიმე სხვა მოსამარებით მედიკოსების დავალდებულება არ დაიცვან თავიანთი პროფესიული დამოუკიდებლობა. მათ მიუკერძოებლად უნდა შეაფასონ პაციენტის ჯანმრთელობის უბრუნველყოფის ინტერესები და მოიქცნენ ამ ინტერესების შესაბამისად.

### I. პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს ორგვარი ხასიათის ვალდებულებათა მქონე ყველა ექიმმა.

66. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმები მოქმედებენ რომელიმე მესამე მხარის თხოვნით ან დავალებით, მათ ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ პაციენტს შეგნებული ჰქონდეს ეს<sup>33</sup>. ექიმები უნდა გაეცნონ პაციენტებსა და განუმარტონ მათ ნებისმიერი გამოკვლევისა და მკურნალობის მიბანი. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ექიმებს ნიშნავს და ანაბლაურებს მათ შრომას რომელიმე მესამე მხარე, მათ უნარჩუნდებათ ვალდებულება იმრუნონ ნებისმიერ პაციენტზე, რომელსაც ისინი იკვლევენ ან მკურნალობას უტარებენ. მათ უარი უნდა თქვან ნებისმიერი პროცედურის შესრულებაზე, რომელმაც შეიძლება ავნოს პაციენტებს ან გახადონ ისინი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მოწყვლადი ზიანის მიყენებისადმი. ექიმებმა თვალყური უნდა აღვენონ იმას, რომ მათი სახელშეკრულებო ვალდებულებანი ხელს არ უშლიდეს მათი პროფესიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას სამედიცინო გადაწყვეტილებათა მიღებისას. მათ უნდა მიაღწიონ იმას, რომ პატიმრობაში მყოფ ყოველ პირს საშუალება ჰქონდეს გაიაროს ნებისმიერი სახის აუცილებელი სამედიცინო დათვალიერება და მიიღოს მკურნალობა. იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმრობაში მყოფი პირი არასრულწლოვანია ან სრულწლოვანია, მაგრამ მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფება, ექიმები ვალდებული არიან იყვნენ აგრეთვე მათი დამსკვლებიც. ექიმებს უნარჩუნდებათ საერთო მოვალეობა დაიცვან კონფიდენციურობა და არ გაამჯდავნონ არანაირი ინფორმაცია პაციენტის თანხმობის გარეშე. მათ თვალყური უნდა ადგენონ იმას, რომ მათი სამედიცინო ანგარიშები საიდუმლოდ იყოს შენახული. ექიმებს აქისრიათ ვალდებულება ყურადღება გაამახვილონ შემთხვევებზე, როდესაც მოქმედებანი, რომლებიც ისინი მონაწილეობენ, ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს, აფარებს არაპუმანურ ხასიათს, არააღექვატური და პაციენტების ჯანმრთელობისთვის პოტენციური საფრთხის მომტანია, და ღიად გამოთქვან თავიანთი საწინააღმდეგო აზრი. ასეთ შემთხვევებში ექიმების

<sup>32</sup> ექნევის კონვენციის პროტოკოლის I (1977 წლის) მუხლი 16 და პროტოკოლის II მუხლი 10.

<sup>33</sup> მოცემული პრინციპები მოყვანილია გამოცემაში „ორგვარი სახის ვალდებულებათა მქონე ექიმები“ (“Doctors with Dual Obligations”), რომელიც გამოცემულია 1995 წლს ბრიგანეთის სამედიცინო ასოციაციის მიერ.

ეთიკური ვალია – მაშინვე მიიღონ შესაბამისი ბომები, რადგან, თუ ისინი დაუყოვნებლივ არ დაიპავებენ შესაბამის პოზიციას, მაშინ მოგვიანებულ ეტაპზე პროტესტის გამოთქმა გაცილებით როთული იქნება. მომხდარი შემთხვევის შესახებ მათ უნდა შეატყობინონ შესაბამის ხელისუფლებებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელსაც შეუძლია გამოძიების ჩატარება, მარგამ ამასთან ერთად, საფრთხეში არ უნდა ჩააგდონ თავიანთი პაციენტები, მათი ოჯახები ან თავიანთ თავი, თუ იმის საფუძველი არსებობს, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს გიანის მიყვნება. ექიმებმა და პროფესიულმა ასოციაციებმა, საკარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, ხელი უნდა შეუწყონ ასეთნაირად მოქმედ თავიანთ კოლეგებს.

## 2. ორგვარი სახის ვალდებულებათა არსებობით წარმოქმნილი დილექტები

67. იმ შემთხვევებში, როდესაც ეთიკის ნორმები წინააღმდეგობაში შედის სამართლის ნორმებთან, შეიძლება დილემა წარმოიქმნას. გამორიცხული არ არის გარემოებანი, როდესაც ჯანდაცვის მუშაქები, ეთიკური მოსაბრეებებიდან გამომდინარე, იძულებული იქნებიან არ დაემორჩილონ ამა თუ იმ კანონს, რომელიც ითვალისწინებს რომელიმე პაციენტის შესახებ კონფიდენციური სამედიცინო ინფორმაციის გამქდავნების ვალდებულებას. ეთიკური პრინციპების საერთაშორისო და ეროვნული დეკლარაციები ერთსა და იმავეს მიუთითებენ იმის თაობაზე, რომ სხვა იმპერატივები, მათ შორის სამართლებრივი, ვერ დაავალდებულებენ პროფესიულ მედიკოსებს იმოქმედონ სამედიცინო ეთიკისა და თავიანთი სინდისის საწინააღმდეგოდ. ასეთ შემთხვევებში ჯანდაცვის მუშაქებმა უფრო კანონის დარღვევით უნდა იმოქმედონ, ვიდრე არ დაიცვან თავიანთი ძირითადი ეთიკური პრინციპები და დასაშვები გახადონ იმის შესაძლებლობა, რომ პაციენტები სერიოზული საფრთხის ქვეშ მოექცნენ.

68. ცალკეულ შემთხვევებში ორი სხვადასხვა ეთიკური ვალდებულება შეიძლება ერთმანეთი ეწინააღმდეგებოდეს. საერთაშორისო კოდექსებისა და პრინციპების შესაბამისად, აუცილებელია ინფორმაციის შეცყობინება წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დირსების შემლახავი მოყვრობის შესახებ ამა თუ იმ უფლებამოსილ ორგანოსათვის. ბოგიეთ ქვეყანაში ეს აგრეთვე დადგენილია კანონით. მაგრამ, რიგ შემთხვევაში პაციენტები შეიძლება არ დათანხმდნენ ამ მიზნისათვის ჩასატარებელ ექსპერტიზაზე ან იმაზე, მსგავსი ექსპერტიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამქდავნებულ იქნას სხვა პირებისა და ორგანოებისათვის. პაციენტებს შიში უნდა ჰქონდეთ, რომ მათზე ან მათი ოჯახების წევრებზე შეიძლება განხორციელდეს რეპრესიები. ასეთ გარემოებებში ჯანდაცვის პროფესიულ მუშაქებს შეექმნებათ ორმაგი პასუხისმგებლობა: პირველ რიგში პაციენტის, ხოლო შემდგომ მთლიანად საზოგადოების წინაშე, რომლის ინტერესები იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანობისათვის სამართალდარღვევებში ბრალდებული პირები იყვნენ გასამართლებული. მსგავსი სახის დილექტების გადასაწყვეტად უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ უნდა იქნას გიანის არ მიყენების ფუძემდებულერი პრინციპი. ჯანდაცვის მუშაქები ისეთ გადაწყვეტილებებს უნდა პოულობდნენ, რომლებიც ხელს შეუწყობს მართლმაჯულების აღსრულებას, მაგრამ ამასთან არ დაირღვევა ცალკეული პირების უფლება კონფიდენციურობის დაცვაზე. ასეთ შემთხვევებში საჭიროა კონსულტაციები სანდო დაწესებულებებთან; ბოგჯერ ეს შეიძლება იყოს შესაბამისი ეროვნული სამედიცინო ასოციაცია ან არასამთავრობო ორგანიზაციები. სხვა შემთხვევებში კი შესაბამისი მხარდაჭერისა და დაწმუნებისას ბოგიერთი პაციენტი, რომელიც უარს ამბობდა დიად მიეცა მონაცემები, შეიძლება დათანხმდეს ინფორმაციის გამქდავნებაზე წინასწარ დათქმულ ჩარჩოებში.

69. ექიმის ეთიკური ვალდებულებანი შეიძლება შეიცვალოს იმ გარემოებების მიხედვით, რომლებშიც მას უწევს პაციენტთან შეხვედრა, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რამდენად შესწევს უნარი პაციენტს თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილებები ინფორმაციის გამქდავნების მიმართ. ასე, იმ შემთხვევებში, როდესაც ექიმისა და პაციენტის ურთიერთობანი მხოლოდ მკურნალობის ჩარჩოებით შემოიფარგლება, მაგალითად, საავადმყოფოში სამედიცინო დახმარების გაწევისას, ექიმებს აკისრიათ ყველაზე მნიშვნელოვანი მორალური ვალდებულება დაცვან კონფიდენციურობის საყოველთაოდ მიღებული წესები, რომლებიც ჩვეულებრივ მოქმედებს ექიმსა და პაციენტს შორის. შეტყობინება მტკიცებულებების შესახებ ექიმისა და პაციენტის ასეთი შეხვედრების დროს გამოვლენილი წამების ფაქტების თაობაზე აბსოლუტურად გამართლებულია, თუ ამის წინააღმდეგი არ არის თვითონ პაციენტი. ექიმებმა უნდა აცნობონ ასეთი მტკიცებულებების შესახებ იმ შემთხვევებშიც, როდესაც პაციენტები სიხოვენ მათ ან იძლევიან

შეგნებულ თანხმობას. ექიმები ხელს უნდა უწყობდნენ პაციენტებს ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში.

70. სასამართლო მედიცინის ექსპერტებს ურთიერთობანი გამოსაკვლევ პირებთან სხვა ხასიათს აფარებს, და ეს ექსპერტები, როგორც წესი, ვალდებული არიან მოახსენონ თავიანთი ექსპერტის მედეგები და გადმოსცენ კონკრეტული ფაქტები. ასეთ სიტუაციებში პაციენტს ნაკლები უფლება და არჩევანის თავისუფლება გააჩნია, და მას შეიძლება ნაკლები შესაძლებლობები პქნებდეს დად ილაპარაკოს მომხდარის შესახებ. ექსპერტის ჩატარებამდე სასამართლო მედიცინის ექსპერტებმა უნდა განუმარტონ პაციენტებს თავიანთი როლი და პირდაპირ განუცხადონ, რომ საექიმო საიდუმლოს დაცვა ამ შემთხვევაში, ექიმსა და პაციენტს შორის ნორმალური ურთიერთობებისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ გათვალისწინებული არ არის. შესაბამისი წესების თანახმად, პაციენტს შეიძლება არ ქონდეს ექსპერტისაზე უარის თქმის უფლება, მაგრამ მას ყოველთვის შეუძლია აირჩიოს, გაამქდავნოს თუ არა მიღებული დაბიანებების მიზები. სასამართლო მედიცინის ექსპერტებმა არ უნდა მოახდინონ თავიანთი ანგარიშების ფალსიფიცირება, მათ უნდა წარმოადგინონ ობიექტური მტკიცებულებანი, მათ შორის პირდაპირ მიუთითონ თავიანთ ანგარიშებში ყველა ფაქტი, რომელიც სასტიკ მოპყრობაზე მოწმობს<sup>34</sup>.

71. ციხის ექიმები მოწოდებული არიან პირველ რიგში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ, გარდა ამისა, მათ ასევე უნდა დაათვალიერონ დაკავებული, რომელიც მოყავთ ციხეში ჰოლიციაში პატიმრობაში ყოფნის შემდეგ, ამ ფუნქციების შესრულებისას ან ციხეში ხალხის მკურნალობის დროს ექიმებმა შეიძლება აღმოაჩინონ დაუშეგველი ძალადობის მტკიცებულებანი, რომელთა შესახებ თვითონ პატიმრებს რეალური შესაძლებლობა არა აქვთ ვინმეს განუცხადონ. ასეთ სიტუაციებში ექიმებმა უნდა გაითვალისწინონ პაციენტების საუკეთესო ინტერესები და ახსოვდეთ თავიანთი ვალდებულება დაიცვან კონფიდენციურობა ასეთი პირების მიმართ, მაგრამ ამავე დროს ექიმებს უწნედებათ მნიშვნელოვანი მორალური საფუძველი სასტიკი მოპყრობის აღმოჩენილი მტკიცებულებების გახსნის სასარგებლოდ, რადგან თავად პატიმრებს ხშირად შესაძლებლობა არა აქვთ გააკეთონ ეს საქმარისი ეუქსტურობით. იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმრები თანხმდებან ინფორმაციის გამქდავნებაზე, არანაირი წინააღმდეგობანი არ წარმოიქმნება და ექიმის მორალური ვალი აშკარაა. ხოლო, თუ პატიმარი უარს აცხადებს ამა თუ იმ ინფორმაციის გამქდავნების ნებართვის მიცემაზე, ექიმებმა უნდა აწონ-დაწონონ, რა უფრო მნიშვნელოვანია – რისკი და პოტენციური საფრთხე მოცემული პაციენტისთვის, თუ მიღებული ინფორმაციის გამქდავნებით გამოწვეული სარგებლობა ყველა პატიმრისათვის, აგრეთვე საბოგადოებისათვის, რომელიც დაინტერესებულია იმაში, რომ შემდგომში მსგავსი სამართალდარღვევები არ დაიშვას.

72. ჯანდაცვის მუშაკებმა აგრეთვე მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სასტიკი მოპყრობის აქტების შესახებ შეცყობინებათათ წარდგენამ ხელისუფლებისათვის, რომელთა იურისდიქციის ფარგლებში სავარაუდოდ ჩადენილია ასეთი აქტები, სავსებით შეიძლება ზიანი მიაყენოს პაციენტს ან სხვა პირებს, მათ შორის გარჩევის ინიციატორსაც. ექიმებმა შეგნებულად არ უნდა მოაქციონ ადამიანები რეპრესიების საფრთხის ქვეშ. ისინი არ თავისუფლებიან ვალდებულებისაგან მიიღონ შესაბამისი ზომები, მაგრამ ამასთან უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, და აგრეთვე განიხილონ მიღებული ინფორმაციის შესახებ შეცყობინების შესაძლებლობა უფლებამოსილ ორგანოსათვის, რომელიც პირდაპირი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ იმყოფება, ან, თუ ეს წინასწარ ნავარაუდევ საფრთხეს არ შეუქმნის მედიკოსებსა და პაციენტებს – ამ ინფორმაციის შეტყობინების შესაძლებლობას კონკრეტული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. აშკარაა, რომ თუ არჩეულ იქნება ბოლო ვარიაცია, ჯანდაცვის მუშაკებმა უნდა გაითვალისწინონ მაინდენტიფიცირებელი მონაცემების მიღების მიზნით მათზე ბეჭოლის გამოყენების შესაძლებლობა, ან მათ მიერ მომზადებული სამედიცინო ანგარიშების ძალადაგანებით ამოღების შესაძლებლობა. და თუმცა ასეთ სიტუაციაში ადვილი გადაწყვეტილებანი არ არსებობს, ჯანდაცვის მუშაკები უნდა ხელმძღვანელობნენ ზიანის არ მიყენების ძირითადი პრინციპით, რომელსაც ყველა დანარჩენ მოსაბრებაზე მაღლა აყენებენ, და, გარდა ამისა, როდესაც ეს შესაძლებელია, შეეცადონ მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ეროვნულ და საერთასორისო სამედიცინო ორგანიზაციებში.

<sup>34</sup>ib. Iacopino V. et al Physician complicity in misrepresentation and omission of evidence of torture in post-detention medical examinations in Turkey. *Journal of the American Medical Association (JAMA)*, 276 1996:396-402.

### თავი III

#### წამების გამოყენების ზაქტების სამართლებრივი გამოძიება

73. საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად სახელმწიფოებმა სწრაფად და მიუკერძოებლად უნდა გამოიძიონ წამების გამოყენების შეცყობინებული შემთხვევები. თუ არსებული მტკიცებულებანი ამის საფუძველს იძლევა, სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება წამების გამოყენებაში ბრალდებული ან ამ აქტებთან კავშირის მქონე პირი, უნდა გადასცეს სავარაუდო დამნაშავე შესაბამისი კომპეტენტური იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს, ან გადასცეს საქმე საკუთარ კომპეტენტურ თრგანოებს დევნის მიზნით ეროვნული ან ადგილობრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად. წამების შემთხვევათა ნებისმიერი რეალური გამოძიების ფუძემდებულ პრინციპებს წარმოადგენს მისი კომპეტენტურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, სისწრაფე და გულმოდგინება. ეს ელემენტები ამა თუ იმ ფორმით შეიძლება ადაპტირებული იყოს ნებისმიერ სამართლებრივ სისტემასთან, და გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო პრინციპები წამების გამოყენების შესახებ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ყველა გამოძიების ჩატარების დროს.

74. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოძიების პროცედურები არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს რესურსების ან გამოცდილების უკმარისობის, წინასწარ აკვიატებულობის გამოვლენის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სისტემატური შემთხვევების არსებობის გამო ან რაიმე სხვა არსებითი მიზებით, სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ გამოძიება დამოიკიდებული საგამოძიებო კომისიის მეშვეობით ან რომელიმე ანალოგიური პროცედურის ჩარჩოებში. ასეთი კომისიების შემადგენლობაში აირჩევიან ადამიანები, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი მიუკერძოებლობით, კომპეტენტურობით და დამოუკიდებლობით. კერძოდ, ისინი დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ ნებისმიერი დაწესებულების, უწყების ან პირის მიმართ, რომელთა ქმედებებზეც გამოძიება შეიძლება ტარდებოდეს.

75. A ნაწილში მოცემულია წამების გამოყენების ფაქტების გამოძიების ზოგადი მიზნის დახასიათება. B ნაწილში მოვანილია ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეხება წამებისა და სასტიკი, არააღამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ეფექტურ გამოძიებასა და დოკუმენტირებას. C ნაწილში მოცემულია წამების გამოყენების შესახებ შეცყობინებების გამოძიების შეთავაზებული პროცედურები, ამასთან საუბარია ჯერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ სათანადო საგამოძიებო ორგანოს მიმართ, ხოლო შემდეგ შემოთავაზებულია სახელმძღვანელო პრინციპები სავარაუდო მსხვერპლებისაგან ზეპირი ჩვენების ჩამორთმევასთან, და აგრეთვე ნივთობრივი მტკიცებულებების მოგროვებასთან დაკავშირებით. D ნაწილში წარმოდგენილია ზოგადი პრინციპები, რომლებითაც უნდა იხელდდონ სპეციალური დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის ჩამოყალიბებისას. ამ პრინციპებს საფუძვლად უდევს ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება, რომლებშიც შექმნილია ადამიანის უფლებათა სავარაუდო უხეში დარღვევების, მათ შორის სასამართლო წარმოების უარგლებს გარე მკელელობების, ადამიანების წამებისა და გაუჩინარების ფაქტების, გამოძიების განმახორციელებელი დამოიკიდებული კომისია.

#### A. გამოძიების მიზნები წამების შესაძლო გამოყენებისას

76. ჩასატარებელი გამოძიების ზოგადი მიზანი მდგომარეობს იმ ფაქტების დადგენაში, რომლებიც ეხება წამების გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს, იმ პირთა გამოსავლენად, ვინც პასუხს აგებს ასეთ შემთხვევებზე, და სასამართლო დევნის ხელშესაწყობად ან სხვა ზომების

ჩარჩოებში ასეთი ფაქტების გამოყენების მიზნით, წამების მსხვერპლთა ინტერესებიდან გამომდინარე. მოცემულ ნაწილში წამოწეული პრობლემები შეიძლება წამების ფაქტების სხვა ფორმებსაც ეხებოდეს. ამ მიზნის მისაღწევად პირებმა, რომლებიც გამომიებას ატარებენ, ყველა ძალისხმევა უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ განცხადება მიიღონ წამების სავარაუდო გამოყენების მსხვერპლთაგან; მოიძიონ და შეინახონ მტკიცებულებები სავარაუდო წამების თაობაზე, მათ შორის სამედიცინო მტკიცებულებანიც, რაც დაეხმარებათ მათ დამნაშავის ნებისმიერი შესაძლო დევნის დროს; გამოავლინონ შესაძლო მოწმეები და მიიღონ მათგან წამების სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებული ჩვენებანი, და აგრეთვე დაადგინონ, თუ როგორ, როდის და სად ადგილი ქონდა წამების გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს, ისევე როგორც ნებისმიერ ტიპიურ გარემოებებს, რომლებმაც გამოიწვია წამების გამოყენება.

## **В. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების პრინციპები**

77. ქვემოთ მოყვანილი პრინციპები ასახავენ წამების ფაქტების გამოძიების სფეროში გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ცალკე პირებისა და ოპგანიზაციების საერთო თვალსაზრისს. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის (შემდგომში წოდებული – წამება და სასტიკი მოპყრობა) ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების მიზნები მდგრმარეობს შემდეგში:

ა) ფაქტების გარკვევა და დაზარალებულთა და მათი ოჯახების წინაშე ინდივიდუალური და სახელმწიფო პასუხისმგებლობის დადგენა და აღიარება;

ბ) რეციდივების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების განსაზღვრა;

გ) ხელშეწყობა იმ პირთა სასამართლო დევნისათვის ან, შესაბამის შემთხვევებში, დისციპლინარული დასჯისათვის, რომელთა ბრალი დადგენილია გამოძიების მსვლელობაში, აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან სრული ანაზღაურებისა და კომპენსირების აუცილებლობის დასაბუთება, სამართლიანი და ადეკვატური ფინანსური კომპენსაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის საშუალებების გამოყოფის ჩათვლით.

78. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ საჩივრებისა და შეტყობინებების ეფექტური გამოძიება. პირდაპირ გამოხატული საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი უნდა ჩატარდეს გამოძიება, თუ არის სხვა მითითებები იმის შესაძლებლობაზე, რომ ადგილი ჰქონდა წამებას ან სასტიკ მოპყრობას. გამოძიების ჩამგარებელი პირი, რომლებიც დამოუკიდებელი უნდა იყვნენ სავარაუდო დამნაშავეებისა და იმ დაწესებულებებისგან, სადაც ისინი მუშაობენ, კომპეტენტური და მიუკერძოებელი უნდა იყვნენ. მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიმართონ სამედიცინო და სხვა ობიექტურ ექსპერტებს ან უფლება ქონდეთ მოწვიონ ისინი გამოძიების ჩასაგარებლად. ასეთი გამოძიებების ჩატარებისას გამოყენებული მეთოდები უნდა აკმაყოფილებდეს ყველაზე მაღალ პროფესიულ მოთხოვნებს, ხოლო მათი დასკვნები საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

79. საგამოძიებო ორგანოს უფლება აქვს და ვალდებულია მოითხოვოს გამოძიების ჩასატარებლად მთელი აუცილებელი ინფორმაცია<sup>35</sup>. გამოძიების ჩამგარებელ პირებს თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ ყველა აუცილებელი საფინანსო და ტექნიკური საშუალება ეფექტული გამოძიების ჩასატარებლად. ისინი აგრეთვე უფლებამოსილნი უნდა იყვნენ

<sup>35</sup> ბოგიერთ გარემოში პროფესიული ეთიკის მოსაზრებები შეიძლება მოითხოვდეს ინფორმაციის კონფიდენციურობის დაცვას. საჭიროა ასეთი მოთხოვნების დაცვა.

დაავალდებულონ თფიციალური სახით მოქმედი და წამებასთან ან სასტიკ მოპყრობებთან სავარაუდოდ კავშირის მქონე პირები, რომ ისინი გამოცხადდნენ ჩვენებების მისაცემად. იგივე ეხება ნებისმიერ სხვა მოწმესაც. ამ მიზნით საგამოძიებო ორგანო უფლებამოსილია გასცეს უწყებები მოწმეების გამოსაძახებლად, ასეთ მოქმედებებთან სავარაუდოდ კავშირის მქონე ნებისმიერი თფიციალური პირების ჩათვლით, და მოითხოვოს მტკიცებულებათა წარდგენა. წამების ან სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლები, მოწმეები, გამოძიების ჩამტარებელი პირები და მათი ოჯახები დაცული უნდა იყვნენ ძალადობისაგან, ძალადობის გამოყენების მუქარებისაგან ან დამინების ნებისმიერი სხვა სახეებისაგან, რომლებიც შესაძლებელია გამოძიებასთან დაკავშირებით. პირები, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეთ წამებასთან ან სასტიკ მოპყრობასთან, მოცილებულ უნდა იქნენ ნებისმიერ თანამდებობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უზრუნველყოფს კონფრონლს ან ძალაუფლებას მოსარჩევების, მოწმეებისა და მათი ოქახების, აგრეთვე გამოძიების ჩამტარებელ პირთა მიმართებაში.

80. წამების ან სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს უნდა ეცნობოთ გამოძიებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოსმენისა და ინფორმაციის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის, და აგრეთვე მათ უფლება უნდა ჰქონდეთ წარმოადგინონ სხვა მტკიცებულებები.

81. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოძიების დადგენილი პროცედურები არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს შესაბამისი ორგანოების არაკომეტერნტურობის ან სავარაუდო მიკერძოებულობის, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სისტემატური შემთხვევების არსებობის გამო, ან სხვა არსებითი მიზეზით სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ გამოძიება დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის მეშვეობით ან რომელიმე ანალოგიური პროცედურის ჩარჩოებში. ასეთი კომისიების შემადგენლობაში აირჩევიან ადამიანები, რომლებიც ცნობილია არიან თავიანთი მიუკერძოებლობით, კომპეტენტურობით და პირადი დამოუკიდებლობით. კერძოდ, ისინი დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ნებისმიერი სავარაუდო დამნაშავე პირის, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დადაწესებულების მიმართ, სადაც ისინი შეიძლება მუშაობდნენ. კომისია უფლებამოსილი უნდა იყოს მოითხოვოს გამოძიების ჩასატარებლად აუცილებელი მთელი ინფორმაცია და ჩაატაროს გამოძიება მოცემული პრინციპების შესაბამისად<sup>36</sup>. გონივრული ვადის განმავლობაში მჩადვება წერილობითი მოხსენება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გამოძიების სფერო, მტკიცებულებების შესაფასებლად გამოყენებული პროცედურები და მეთოდები, აგრეთვე გამოვლენილ ფაქტებზე და მოქმედ კანონმდებლობაზე დაუქმნებული დასკვნები და რეკომენდაციები. მოხსენების დასრულებისთანავე ის საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. მოხსენება უნდა შეიცავდეს დაწვრილებით ინფორმაციას კონკრეტული მოვლენების შესახებ, რომლებსაც, როგორც დადგინდა, ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში, აგრეთვე მტკიცებულებანი, რომელთაც უფრონება ზემოაღნისნული დასკვნები, და ჩვენების მიმცემ მოწმეთა გვარების ჩამონათვალი, იმ მოწმეთა გარდა, რომელთა პიროვნება არ არის გამოაშეარავებული მათი დაცვის მიზნით. სახელმწიფომ ასევე გონივრულ ვადებში პასუხი უნდა მოამზადოს ამ მოხსენებაზე და გამოცხადოს, თუ რა ბომები იქნება მიღებული ამასთან დაკავშირებით.

82. წამების ან სასტიკი მოპყრობის შემთხვევების გამოძიებაში მონაწილე სამედიცინო ექსპერტებმა უნდა იხელმძღვანელონ ყველაზე მაღალი ეთიკური ნორმებით, და, კერძოდ, უნდა მიიღონ შეგნებული თანხმობა ნებისმიერი ექსპერტისა და გამოკვლევის ჩატარებაზე. ექსპერტია უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო პრაქტიკის დადგენილ სფანდარტებს. კერძოდ, დათვალიერება ექსპერტის მიზნებისთვის უნდა ჩატარდეს დახურული კარის მიღმა სამედიცინო ექსპერტის კონფრონლის ქვეშ, უსაფრთხოების სამსახურების აგენტების და სხვა სახელმწიფო

<sup>36</sup> იხ. სქოლით 68.

ოფიციალური პირების გარეშე. სამედიცინო ექსპერტმა ოპერატიულად უნდა მოამზადოს ზუსტი წერილობითი ანგარიში. ამ ანგარიშში მითითებული უნდა იყოს შემდეგი:

ა) გამოკითხვის გარემოებანი. გამოსაკვლევი პირის გვარი, აგრეთვე ექსპერტისაზე დამსწრე პირთა გვარები, ნათესაური კავშირი და შეხება მოცემულ საქმესთან; ზუსტი დრო და თარიღი; დაწესებულების ადგილმდებარეობა, ხასიათი და მისამართი (შესაძლებლობისამებრ, თთახის ნომერის ჩათვლით), სადაც ტარდება ექსპერტიმა (მაგალითად, პენიფენციური ცენტრი, კლინიკა, სახლი); ექსპერტის მომენტისათვის არსებული ყველა შესაბამისი გარემოება (მაგალითად, ნებისმიერი დამაწყნარებელი მოწყობილობების ხასიათი მოსვლისას ან ექსპერტის დროს, უსაფრთხოების სამსახურების მუშაკთა დასწრება ექსპერტის დროს, პატიმრის თანმხლებ პირთა საქციელი, მუქარის გამომხატველი გამოთქმები პირის მისამართით, რომელიც ექსპერტისა აფარებს); და საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ფაქტები.

ბ) მომხდარის წინაისტორია. გამოსაკვლევი პირის გამოკითხვის საფუძველზე შედგენილი დაწვრილებითი ანგარიში იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა მას, სავარაუდო წამების ან სასტიკი მოპყრობის ჩათვლით, სავარაუდო წამების ან სასტიკი მოპყრობის გამოყენების დრო და ყველა საჩივარი ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ სიმპტომებზე.

გ) ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოკვლევა. ანგარიში სამედიცინო გამოკვლევისას გამოვლენილი ყველა ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმპტომის შესახებ, შესაბამისი დიაგნოსტიკური ანალიზების ჩათვლით, და, შესაბლებლობისამებრ, სხეულის ყველა სახის დაზიანების ფორმულაციები.

დ) დასკვნა. გამოთქმული აზრი აღმოჩენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმპტომების წამების ან სასტიკი მოპყრობის შესაძლო გამოყენებასთან სავარაუდო კავშირის თაობაზე. გამოფანილ უნდა იქნას რეკომენდაცია ნებისმიერი აუცილებელი მკურნალობისა და ფსიქოლოგიური დახმარების და/ან შემდგომი გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ.

ე) მონაცემები ანგარიშის ავტორის შესახებ. ანგარიში უნდა შეიცავდეს იმ პირთა გვარებს, რომლებიც ატარებდნენ ექსპერტისას, და მათ ხელმოწერებს.

83. ანგარიში კონფიდენციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და მისი შინაარსი ცნობილი უნდა გახდეს გამოსაკვლევი პირისათვის ან მის მიერ დანიშნული წარმომადგენლისათვის. მოთხოვნილ და შეტანილ უნდა იქნას ანგარიშში გამოსაკვლევი პირისა და მისი წარმომადგენელის აზრი ექსპერტის ჩატარების მიმართ. თუ ეს საჭირო იქნება, ანგარიში უნდა წარედგინოს წერილობითი სახით წამების ან სასტიკი მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოძიებაზე პასუხისმგებელ ორგანოს ან პირს. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშის უსაფრთხო წარდგენა ამ ორგანოსთვის ან პირებისთვის. ანგარიში არ უნდა გადაეცეს არანაირ სხვა პირებს, თუ არა მხოლოდ გამოსაკვლევი პირის თანხმობით ან სასამართლოს დადგენილებით, რომლის კომპეტენციაში შედის ასეთი გადაცემის უზრუნველყოფა. გროვით ხასიათის მოსაბრებები წამების გამოყენების შესახებ შეტყობინებების შედეგების მიხედვით წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშების თაობაზე იხილეთ IV თავში. V და VI თავებში მოცემულია შესაბამისად სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტის დაწვრილებითი აღწერა.

### C. გამოძიების პროცედურები წამების შესაძლო გამოყენებისას

#### I. ხათანადო საგამოძიებო ორგანოს განსაზღვრა

84. იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ეჭვი წამებასთან სახელმწიფო თანამდებობის პირთა კავშირის თაობაზე, კერძოდ, როდესაც არსებობს იმის ვარაუდი, რომ ბრძანებებს წამების გამოყენების შესახებ გასცემდნენ მინისტრები, მათი თანაშემწეები, მინისტრების ნებართვით მოქმედი თანამდებობის პირები, სახელმწიფო სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები ან მაღალი თანამდებობის, მხედართმთავრები, ან იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი პირები თავის ნებაზე უშვებდნენ წამების გამოყენებას, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის გარეშე. ასეთი კომისიის ჩამოყალიბების აუცილებლობა შეიძლება გაჩნდეს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც დაიბადება ეჭვი იმ პირთა ცოდნისა და გამოცდილების ან მიუკერძოებლობის მიმართ, რომლებმაც უნდა ჩაატარონ გამოძიება.

85. იმ ფაქტორებს, რომლებიც ადასტურებენ ეჭვებს, რომ სახელმწიფო იყო წამების თანამონაწილე ან იმას, რომ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა გამო აუცილებელია დამოუკიდებელი სპეციალური საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, მიეკუთვნება შემდეგი:

ა) თუ მაშინ, როდესაც დაგარალებული ბოლოს ნახეს პოლიციის უბანში ან წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დროს მას ჯერ არ ქონდა სხეულის დაზიანებები;

ბ) თუ მოქმედებების მიღებული წესი შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ წამების გამოყენებას მხარს უჭერს სახელმწიფო;

გ) თუ სახელმწიფოს წარმომადგენელი ან მათთან დაკავშირებული პირები ცდილობენ ხელი შეუშალონ წამების შესაძლო გამოყენების გამოძიებას, ან აჭიანურებენ მას;

დ) თუ საბოგადოების ინტერესების დაცვა შეიძლება მხოლოდ დამოუკიდებელი გამოძიების ჩარჩოებში;

ე) თუ იბადება ეჭვი გამოძიების მიმართ, რომელიც შეიძლება ჩატარდეს ჩვეულებრივი საგამოძიებო ორგანოების მიერ, მათი ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის, გამომძიებელთა მიუკერძოებლობის გარანტის არარსებობის გამო ან რაიმე სხვა მიზეზით, მათ შორის საქმის მნიშვნელოვნების, აგრეთვე ძალაუფლების სისტემატიკურად ბოროტად გამოყენების, შესაბამისი პირის მხრიდან საჩივრის ან ბემოაღნიშნული შეუსაბამობათა გამო, ან რაიმე სხვა არსებითი მიზეზებით.

86. სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გათვალისწინებულ უნდა იქნას რამოდენიმე მოსაზრება. პირველ რიგში, გამოძიების სფადიებზე პირებს, რომელთა მიმართ ფარდება გამოძიება, უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო სამართალში გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიების მინიმალური მოცულობა მაინც. მეორე რიგში, გამოძიების შედეგად სისხლის სამართლის გარჩევის თვალსაზრისით მისაღები მტკიცებულებების ხელში ჩასაგდებად, გამოძიების ჩამტარებელ პირებს დასახმარებლად უნდა მიამაგრონ შესაბამისი აღმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და მისცენ მათ ობიექტური და მიუკერძოებელი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა. მესამე რიგში, გამოძიების ჩამტარებელმა პირებმა სრული მოცულობით უნდა მიიღონ სახელმწიფოსაგან შესაბამისი რესურსები და უფლებამოსილებანი. და ბოლოს, გამოძიების ჩამტარებელ პირებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ დახმარებისათვის მიმართონ სამართლისა და მედიცინის სფეროს ექსპერტთა საერთაშორისო სამოგადოებას.

## 2. საგარაუდო მსხვერპლის და სხვა მოწმეების გამოკითხვა

87. წამების ფაქტების შესახებ საქმეთა განსაკუთრებული ხასიათის და იმ ფსიქოლოგიური ტრაგების გათვალისწინებით, რომლებისგან იგანვევით, ტრაგმაგადაჭანილი პირები, მათ

შორის საკუთარი უძლეურობის გამაჩანაგებელი გრძნობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულისხმიერების გამოჩენა წამების სავარაუდო მსხვერპლის და სხვა მოწმების მიმართ. სახელმწიფომ უნდა დაიცვას წამების სავარაუდო მსხვერპლები, მოწმები და მათი ოჯახები ძალადობისაგან, ძალადობის მუქარისაგან ან დაშინების ნებისმიერი ფორმისაგან, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებით. გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა უნდა განუმარტონ მოწმეებს გამოძიებაში მათი მონაწილეობის შედეგები, აგრეთვე აცნობონ მათთან დაკავშირებული საქმის ყველა შემდგომი ვითარების შესახებ.

### ა) შეგნებული თანხმობა და სავარაუდო მსხვერპლის დაცვის სხვა გომები

88. სავარაუდო მსხვერპლს თავიდანვე, თუ ეს შესაძლებელია, უნდა ეცნობოს გამოძიების ხასიათის, მიზეზების შესახებ, თუ რატომ არის აუცილებელი მისი ჩვენებები, აგრეთვე იმის შესახებ იქნება თუ არა გამოყენებული მისი ჩვენებები, და თუ იქნება, როგორ გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა უნდა განუმარტონ სავარაუდო მსხვერპლს, გამოძიების მასალების რა ნაწილი იქნება საჯაროდ გამოტანილი, და რა ნაწილი შეინახება საიდუმლოდ. მსხვერპლს უფლება აქვს უარი თქვას თანამშრომლობაზე მთელი გამოძიების პროცესში ან მის რომელიმე ნაწილში. აუცილებელია ყველა შესაძლო ძალისხმევის გამოყენება იმისათვის, რომ მსხვერპლის გეგმები და სურვილები არ დაირღვეს. წამების სავარაუდო მსხვერპლს რეგულარულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია გამოძიების მსვლელობის შესახებ. სავარაუდო მსხვერპლს ასევე უნდა ეცნობოს ყველა საკვანძო მოსმენის შესახებ, რომელიც ტარდება გამოძიებისა და საქმის შემდგომი განხილვის მსვლელობაში. გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა უნდა შეატყობინონ სავარაუდო მსხვერპლს ეჭვმიტანილი დამნაშავეების დაკავების შესახებ. სავარაუდო მსხვერპლს უნდა აცნობონ აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დაკავშირება სამართალდამცავ და სამედიცინო ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეუძლიათ მისთვის დახმარების გაწევა. გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა უნდა ითანამშრომლონ შესაბამისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, რაც ინფორმაციის გაცვლის და წამების დაუშვებლობის შესახებ მათ პერსონალისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარების შესაძლებლობას მისცემს.

### ბ) გამოძიების ჩამგარებელი პირის არჩევა

89. ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებიც ატარებენ გამოძიებას, უნდა დანიშნონ პირი, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა სავარაუდო მსხვერპლის დაკითხვაზე. იმ უაქტის გათვალისწინებით, რომ, შესაძლოა, სავარაუდო მსხვერპლისთვის აუცილებელი იქნება იმსჯელოს თავის საქმეზე როგორც იურისტებთან, ასევე მედიკოსებთანაც. საგამოძიებო ჯგუფმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს დაბარალებულის მიერ განმეორებით მოყოლის აუცილებლობა იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა მას. მთავარი გამომძიებელი პირის არჩევისას, რომელიც პასუხისმგებელია წამების მოცემული სავარაუდო მსხვერპლის საქმეზე, განსაკუთრებით უნდა იქნას გათვალისწინებული მსვერპლთა სურვილი საქმე ჰქონდეთ მათივე სქესის პირთან, იმავე კულტურული გარემოდან, რომელსაც შეუძლია მათთან ურთიერთობა მათ მშობლიურ ენაზე. მთავარმა გამომძიებელმა პირმა უნდა გაიაროს წინასწარი მომზადება ან მას უნდა გააჩნდეს წამების დოკუმენტირებისა და იმ პირებთან მუშაობის გამოცდილება, რომლებმაც მიიღეს ფსიქოლოგიური ტრავმები, წამების შედეგად მიღებული ტრავმების ჩათვლით. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოძიების ჩასატარებლად შეუძლებელი გახდა ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელმაც გაიარა წინასწარი მომზადება ან აქვს შესაბამისი გამოცდილება, დანიშნულმა მთავარმა გამომძიებელმა გამოკითხვის წინ ყველა

პალისხმევა უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ გაეცნოს ინფორმაციას წამებისა და მათი სამედიცინო და ფიქტოლოგიური შედეგების შესახებ. წამების შესახებ ინფორმაციის მიღება შეიძლება სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის წარმოდგენილ სახელმძღვანელოდან, ზოგიერთი პროფესიული და სასწავლო გამოცემიდან, მოსამზადებელ კურსებზე და მოცემულ პრობლემაზე სპეციალისტების თათბირების მსვლელობაში. გამოძიების ჩამგარებელ პირს შესაძლებლობა უნდა ქონდეს მთელი გამოძიების პროცესში მიიღოს კონსულტაციები და დახმარება საზღვარგარეთის ექსპერტებისაგან.

### გ) გამოძიების ჩატარების პირობები

90. გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა ძალგებ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ პირობებს, რომლებმიც მათ მოუხდებათ მუშაობა, უნდა მიიღონ სიფთხილის ყველა ზომა და ამის შესაბამისად გაითვალისწინონ ყველა აუცილებელი გარანტია. თუ ტარდება იმ პირთა გამოკითხვა, რომლებიც ჯერ კიდევ პატიმრობაში ან სხვა ანლოგიურ სიტყაციებში იმყოფებიან, სადაც შესაძლებელია შესაბამისი რეპრესიები, გამომკითველმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა თავიდან ააცილოს ასეთ პირებს რაიმე საფრთხე. იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ ადამიანის გამოძახება გამოძიების ჩამგარებელ პირთან შეიძლება საშიში აღმოჩნდეს გამოძახებულისათვის, უპირატესობა ენიჭება არა ინდივიდუალურ, არამედ „ჯგუფურ“ გამოკითხვას. ხოლო სხვა შემთხვევაში შეირჩევა ადგილი, სადაც გამოკითხვის ჩამგარებელ პირთან პირისპირ ყოფნისას, გამოსაკითხი პირი უსაფრთხოდ იყრძნობს თავს და შესძლებს თავისუფალ საუბარს.

91. მიღებული ინფორმაციის შეფასება შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა პოლიტიკურ პირობებში. ასეთი პირობების მიხედვით შეიძლება მოხდეს შეფასების ჩატარების მეთოდების არსებითი ვარიორება. სამართლებრივ სტანდარტებზე, რომელთა შესაბამისად ტარდება გამოძიება, აგრეთვე მოქმედებს მისი ჩატარების პირობები. მაგალითად, გამოძიება, რომელსაც მოსდევს სასამართლო პროცესი სავარაუდო დამნაშავებელ, მოითხოვს უმაღლესი დონის დამამტკიცებელ ფაქტებს, მაშინ როდესაც ანგარიშის შედგენისათვის რომელიმე მესამე ქვეყანაში პოლიტიკური თავმესაფარის მიღების სესახებ განცხადების მხარდასაჭერად საკმარისი იქნება წამების გამოყენების ფაქტების შედარებით ნაკლები მტკიცებულებანი. კონკრეტული სიტყაციიდან და შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, გამომძიებელმა შესაბამისად უნდა გამოიყენოს ქვემოთ მოყვანილი სახელმძღვანელო პრინციპები. გამოკითხვის ჩატარების ვითარების ვარიანტთა რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი:

- i. ციხეში ან წინასწარი პატიმრობის ადგილას, რომელიც შესაბამისი პირის წარმოშობის ქვეყანაში მდებარეობს;
- ii. ციხეში ან წინასწარი პატიმრობის ადგილას, რომელიც რომელიმე სხვა ქვეყანაში მდებარეოს;
- iii. წარმოშობის ქვეყანაში, არა პატიმრობის ადგილას, მაგრამ მძიმე, მტრულ ვითარებაში;
- iv. წარმოშობის ქვეყანაში, არა პატიმრობის ადგილას და მშვიდობისა და უსაფრთხოების პირობებში;
- v. სხვა ქვეყანაში, რომელიც მეგობრულ, ან პირიქით მტრულ დამოკიდებულებას ავლენს წამების მსხვერპლის მიმართ;
- vi. ლტოლევილთა ბანაკში;
- vii. სამხედრო დანაშაულებათა ტრიბუნალის ან ჭეშმარიტების დამდგენი კომისიის სხდომებზე.

92. მაგალითად, პოლიტიკური პირობები შეიძლება იყოს არასახარბიელო როგორც წამების მსხვერპლისათვის, ასევე იმ პირისათვის, რომელიც ატარებს გამოკითხვას, იმ შემთხვევებში, როდესაც პატიმრების გამოკითხვა ხდება ციხეში, სადაც ისინი მოათავსა საკუთარი ქვეყნის მთავრობამ, ან როდესაც ისინი დააკავა სხვა ქვეყნის მთავრობამ შესაძლო დეპორტაციასთან დაკავშირებით. ქვეყნებში, სადაც წამების გამოყენების მტკიცებულებათა გამოვლენის მიზნით გამოიკითხება თავშესაფარის მაძიებელი პირები, გრავმებისა და წამების შესახებ განცხადებათა აღიარების სურვილის უქონლობას შეიძლება პოლიტიკური სარჩელი ჰქონდეს. იმ საშიში მდგომარეობის გაუარესების შესაძლებლობა, რომელშიც პატიმარი იმყოფება, საკმაოდ რეალურია, და ის გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი მოკედლევის ჩატარებისას. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პირნი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ წამება გამოიყენეს, რაიმე უშუალო საფრთხე არ ემუქრებათ, მათი განცხადებების გამომძიებელმა პირებმა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მათთან კონფაქტის დროს. იმან, თუ როგორ ფორმულირებებს და ქცევის როგორ მანერას აირჩევს გამოკითხვის ჩამტარებელი პირი, შეიძლება დიდი გაელენა მოახდინოს სავარაუდო მსხვერპლის უნარზე და მზადყოფნაზე პასუხი გასცეს კითხვებზე. გამოკითხვის ჩატარების ადგილი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად უსაფრთხო და მოხერხებული, კერძოდ უბრუნველყოფილი უნდა იყოს საპირფარეშოთი, ძალის აღდგენისა და კვების შესაძლებლობით. წამების სავარაუდო მსხვერპლის გამოკითხვას საკმარისი დრო უნდა დაეთმოს. კერძო ხასიათის შეკითხვები სავარაუდო მსხვერპლისათვის შეიძლება ფსიქოლოგიურად მტკიცნეული აღმოჩნდეს. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მძიმე გამოცდა შეიძლება აღმოჩნდეს სავარაუდო მსხვერპლისათვის ჩვენების მიერმა, გამოკითხვის ჩამტარებელი პირი გულისხმიერი უნდა იყოს დასმული შეკითხვების ფორმისა და თანმიმდევრობის მიმართ. მოწმეს უნდა აცნობონ იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს გამოკითხვა, საჭიროების შემთხვევაში, დაისვენოს ან თავისი შეხედულებისამებრ პასუხი არ გასცეს ამა თუ იმ შეკითხვას.

93. თუ ეს შესაძლებელია, სავარაუდო მსხვერპლი, მოწმეები და აგრეთვე გამომიების წამყვანი ჯგუფის წევრები უბრუნველყოფილი უნდა იყვნენ წამების მსხვერპლებთან მუშაობისათვის სპეციალურად მომზადებული ფსიქოლოგებისა და კონსულტანტების მომსახურებით. გადატანილი წამების შესახებ მოყოლამ, შეიძლება აიძულოს ადამიანი ხელახლა განიცადოს მომხდარი ან გააძლიეროს მისთვის მიყენებული ფსიქოლოგიური ტრაქმა (იხ. ნაწილი IV. H). წამების წვრილმანების მოსმენამ შეიძლება გამოიწვიოს მეორადი ტრავმული სიმპტომები გამოკითხვის ჩამტარებელ პირებშიც, ამიტომ მათთვის რეკომენდებულია გაუტარონ ერთმანეთს თავისი შთაბეჭდილებები, ამასთან დაიცვან პროფესიული ეთიკის მოთხოვნები კონფიდენციურობის მიმართ. ყველა შემთხვევაში, როდესაც ეს შესაძლებელია, ასეთი შსჯელობები უნდა ჩატარდეს გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ორი შესაძლო საფრთხე: პირველ რიგში, იმის საფრთხე, რომ გამოსაკითხმა პირმა შეიძლება გააიგივოს თავის თავი პირთან, რომელიც ამტკიცებს, რომ მის მიმართ გამოიყენეს წამება, და საკმაოდ კრიტიკულად არ აღიქვას მოყოლილი; მეორე რიგში, წამების შესახებ მონაცემის მოსმენა შეიძლება იმდენად ჩვეულ საქმედ იქცეს გამოკითხვის ჩამტარებელი პირისათვის, რომ ის აღარ იქნება ისეთი გულისხმიერი იმისადმი, რაც სინამდვილეში შეემთხვა გამოსაკითხ პირს.

#### დ) მოწმეთა უსაფრთხოება

94. სახელმწიფო პასუხს აგებს სავარაუდო მსხვერპლთა, მოწმეთა და მათ ოჯახთა დაცვაზე ძალადობისაგან, ძალადობის მუქარისაგან ან დაშინების ნებისმიერი სხვა ფორმისაგან, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოცემულ გამომიებასთან. პირები, რომლებსაც,

შესაძლოა, კავშირი აქვთ წამებასთან ან სასტიკ მოპყრობასთან, გათავისუფლებულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი თანამდებობიდან, რომელიც აძლევს მათ კონტროლის საშუალებას და ბალაუფლებას, პირდაპირ და არაპირდაპირ, მოსარჩევების, მოწმეებისა და მათი ოჯახების, აგრეთვე გამოძიების ჩამტარებელი პირების მიმართ. პირებს, რომლებიც ატარებენ გამოძიებას, მუდამ უნდა ახსოვდეთ გამოძიების შესაძლო შედეგების შესახებ მათთვის, ვინც აცხადებს წამების გამოყენების შესახებ, და აგრეთვე სხვა მოწმეებისათვის.

95. გამოსაკითხ პირთა, მათ შორის პატიმართა, გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთერთ რეკომენდებულ მეთოდს ქვეყნებში, რომლებიც კონფლიქტებს განიცდიან, წარმოადგენს გამოსაკითხ პირთა სახელებისა და გვარების წერილობითი დაფიქსირება და საიდუმლოდ შენახვა, რათა შემდგომში გამოძიების ჩამტარებელმა პირებმა განმეორებითი ვიზიტის დროს შეძლონ იმის შემოწმება, არიან თუ არა ეს ადამიანები საფრთხისგან დაცულნი. გამოძიების ჩამტარებელ პირებს თავისუფლად და პირისპირ საუბრის ნებართვა უნდა ჰქონდეთ იმათთან, ვინც ამას მოისურვებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მათ უნდა შეეძლოდ განმეორებით მოინახულონ იგივე ადამიანები (სწორედ ამით აიხსნება გამოსაკითხ პირთა სახელებისა და გვარების ჩაწერის აუცილებლობა, შემდგომი შემოწმების მიზნით). ყველა ქვეყანა არ ეთანხმება ამას, და გამოძიების ჩამტარებელი პირები შეიძლება სირთულეებს შეეჯახონ ასეთი სახის გარანტიების მიღებისას. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ჩვენების მიცემამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოწმეებს, გამოძიების ჩამტარებელმა პირმა მტკიცებულებათა მოგროვების სხვა ფორმები უნდა მონახოს.

96. პატიმრობაში შეოფი პირები პოტენციურად უფრო დიდი საფრთხის ქვეშ ექსევიან, ვიდრე თავისუფლებაზე მყოფნი. სხვადასხვა სიტუაციებში პატიმრები სხვადასხვანაირად იქცევიან. ერთ შემთხვევაში პატიმრებმა შეიძლება წინდაუხედავად ჩაიგდონ თავი საფრთხეში, თუ დაუფიქრებლად გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, რადგან ფიქრობენ, რომ „უცხო“ გამომდიებლის დასწრების ფაქტი მათთვის დაცვას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. სხვა შემთხვევაში, გამოძიების ჩამტარებელი პირები შეიძლება „დუმილის კედელს“ შეეჯახონ, რადგან პატიმრები, ჩვეულებრივ, მეტისმეტად დაშინებულნი არიან იმისათვის, რომ ენდონ ვინმეს, ვინც არ უნდა იყოს ეს, თუნდაც მათ პირისპირ საუბარი შესთავაზონ. უკანასკნელ სიტუაციაში საჭიროა, ალბად, დაწყება „ჯგუფური გამოკითხვით“, რათა იყოს სფეროს მკაფიოდ განმარტებისა და გამოძიების ამოცანების ახსნის შესაძლებლობა, რის შემდეგ შეიძლება პირისპირ საუბრის შეთავაზება მათთვის, ვისაც თავისი აზრის გამოთქმის სურვილი ექნება. ხოლო, თუ რეპრესიების შიში, მიუხედავად იმისა, გამართლებულია ის თუ არა, ზედმეტად დიდია, შეიძლება ყველას გამოკითხვის აუცილებლობა წამოჭრას, ვინც იმყოფება პატიმრობის ამა თუ იმ ადგილას, რათა გამხილულ არ იქნას კონკრეტული პირი. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოძიება სრულდება საქმის აღმდენით სასამართლოში ან მისი განხილვით რომელიმე საჯარო ფორუმზე ჭეშმარიტების დასადგენად, გამოძიების ჩამტარებელმა პირმა რეკომენდაცია უნდა მისცეს წამების სავარაუდო მსხვერპლისათვის ვნების მიყენების თავიდან აცილების მიზნით საჭირო გომების გამოყენებასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ ამოღებულ იქნას სახელები და სხვა მონაცემები, რომლებიც იძლევიან შესაბამისი პირის იდენტიფიცირების საშუალებას საქმის დია მასალებზე დაყრდნობით, ან შესთავაზოს ასეთ პირს ჩვენების მიცემა მისი გარეგნობისა და ხმის შემცველელი აპარატურის მეშვეობით, ან ჩაკეფილი სატელევიზიო სისტემის გამოყენებით. ამ ზომებმა არ უნდა დაარღვიოს ბრალდებულთა უფლეანი.

### ე) თარჯიმანების მომსახურებით სარგებლობა

97. წამების გამოყენების ფაქტების გამოძიება თარჯიმანების დახმარებით, თუნდაც პროფესიულის, ადვილი არ არის. ყოველთვის არ ხერხდება სხვადასხვა დიალექტისა და ენის

თარჯიმანების მოძებნა, და ბოგჯერ საჭირო ხდება თარჯიმანის სახით ოჯახის ან იმ კულტურული ჯგუფის წევრების მოწვევა, რომელსაც მიეკუთვნება გამოსაკითხი პირი. რა თქმა უნდა, ასეთი გამოსავალი იდეალური არ არის, რადგან მსხვერპლმა შეიძლება უხერხულობა იგრძნოს, მის მიერ გადატანილი წამების შესახებ ნაცნობი აღამიანებისათვის მოყოლისას. იდეალურ ვარიანტში თარჯიმანი უნდა შედიოდეს საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობაში და წამებასთან დაკავშირებული საკითხების კურსში იყოს (იხ. ნაწილები IV.I და VI.C.2).

**3) ინფორმაცია, რომელიც მიღებულ უნდა იქნას პირისაგან, რომელიც ამტკიცებს, რომ მას მიმართ წამება იქნა გამოყენებული**

98. გამოძიების ჩამტარებული პირი უნდა შეუცადოს სავარაუდო მსხვერპლის ჩვენების საფუძველზე მიიღოს ინფორმაციის მაქსიმალურად შესაძლო მოცულობა შემდეგ ასპექტებზე (იხ. ნაწილი IV.E):

- i. წამების ხელშემწყობი გარემოებები, მათ შორის დაკავება ან გატაცება და პატიმრობაში ყოფნა.
- ii. წამების გამოყენების, მათ შორის წამების ბოლო შემთხვევის, მიახლოებითი თარიღი და დრო. ასეთი ინფორმაციის გამოკვლევა შეიძლება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდეს, რადგან წამება შეიძლება გამოყენებულიყო სხვდასხვა ადგილზე და სხვადასხვა ბრალდებულის (ან ბრალდებულთა ჯგუფების) მიერ. საჭიროა მონაცემების ცალ-ცალკე შეგროვება წამების გამოყენების თითოეული ადგილის მიხედვით. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ფაქტების ქრონოლოგია შეიძლება იყოს არატუსტი, ბოგჯერ კი არეულ-დარეული – წამებაგამოვლილ პირისათვის ხშირად ძნელია ბუსტი წარმოდგენის შედეგნა დროის შესახებ. მონაცემი წამების გამოყენების შესახებ სხვა და სახვა ადგილზე შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს არსებული მდგომარეობის სურათის შედეგის მცდელობისას. წამებაგამოვლილ პირებმა ხშირად არ იციან ბუსტად, სად წაიყვანეს ისინი, რადგან მათ თვალებს უხვევდნენ, ან ისინი ნახევრად გონებადაკარგულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ერთმანეთთან დაკავშირებული ეპიზოდების შესახებ ყველა ჩვენების ერთად შეკრებისას ყოველთვის შეიძლება - წამების გამოყენებასთან კავშირის მქონე კონკრეტული ადგილების, მეთოდებისა და ადამიანების მოზაიკური“ რუქის შედგენა“. იმ პირთა დაწვრილებითი აღწერა, რომელიც დაკავების, პატიმრობაში მოქცევისა და წამების თანამონაწილენი არიან, მათ შორის იმ პირთა, რომელთაც დაზარალებული არ იცნობდა წამების სავარაუდო ფაქტებისას დაკავშირებულ მოვლენებამდე; მათი ჩატარების, ისეთი განსაკუთრებული ნიშნების აღწერა, როგორიცაა ნაიარევები, ხალები, ტატუირებები; მათი სიმაღლის, წონის (დაზარალებულს შეუძლია აღწეროს იმ პირების სიმაღლე და აღნაგობა, ვინც მას აწამებდა თავის თავთან შედარების გზით) და დამნაშავეთა სხეულის აღნაგობის ნებისმიერი უზვეულო თავისებურებების აღწერა; აგრეთვე იმის აღწერა, რა ენაზე და როგორი აქცენტით საუბრობდნენ დამნაშავენი, ასევე იმყოფებოდნენ თუ არა ისინი რომელიმე მომენტში აღკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში.
- iii. მათ პირთა დაწვრილებითი აღწერა, რომელიც დაკავების, პატიმრობაში მოქცევისა და წამების თანამონაწილენი არიან, მათ შორის იმ პირთა, რომელთაც დაზარალებული არ იცნობდა წამების სავარაუდო ფაქტებისას დაკავშირებულ მოვლენებამდე; მათი ჩატარების, ისეთი განსაკუთრებული ნიშნების აღწერა, როგორიცაა ნაიარევები, ხალები, ტატუირებები; მათი სიმაღლის, წონის (დაზარალებულს შეუძლია აღწეროს იმ პირების სიმაღლე და აღნაგობა, ვინც მას აწამებდა თავის თავთან შედარების გზით) და დამნაშავეთა სხეულის აღნაგობის ნებისმიერი უზვეულო თავისებურებების აღწერა; აგრეთვე იმის აღწერა, რა ენაზე და როგორი აქცენტით საუბრობდნენ დამნაშავენი, ასევე იმყოფებოდნენ თუ არა ისინი რომელიმე მომენტში აღკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში.

- iv. იმის შინაარსი, თუ რას ეუბნებოდნენ დაზარალებულს და რას ეკითხებოდნენ მას. ეს მონაცემები დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა, რომელიც საჭირო იქნება პატიმრობის საიდუმლო და დაუმტკიცებელი აღგილების დასადგენად.
- v. პატიმრობის აღგილას ყოველდღიური განაწესის და სასტიკი მოპყრობის ჩვეულებრივად გამოყენებად მეთოდების აღწერა.
- vi. წამების ფაქტების, მათ შორის გამოყენებული ხერხების აღწერა. გასაგებია, რომ ასეთი აღწერის მიღება ხშირად ადვილი არ არის, და გამოძიების ჩამტარებელ პირებს იმის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ მოახერხებენ ყველა დაწვრილებითი მონაცემის მიღებას ერთი გამოკითხვის მსვლელობაში. დიდი მნიშვნელობა აქეს ზუსტი ინფორმაციის მიღებას, მაგრამ გადატანილი დამცირებებისა და ძალადობის ინტიმურ დეტალებთან დაკავშირებულმა საკითხებმა შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოლოგიური ტრაქტა, ხშირად მეტად სერიოზული.
- vii. ინფორმაცია იმის შესახებ, განიცადა თუ არა მსხვერპლმა სექსუალური ძალადობა. ადამიანების უმეტესობა, სექსუალური ძალადობის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისას, გულისხმობენ ამაში ფაქტიურად ჩადენილ ძალადობას ან სოდომიას. გამოძიების ჩამტარებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სიტყვიერი დაცინვა, ტანსაცმლის გახდა, ხელებით შეხება, უხამსი და დამამცირებელი მოპყრობა, აგრეთვე სასქესო ორგანოებზე დარტყმის მიყენება და მათზე ელექტრო დენით მოქმედება ხშირად არ აღიქმება მსხვერპლის მიერ როგორც სექსუალური ძალადობის აქტები. ძალიან ხშირად სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მაღავენ ან უარყოფენ კიდეც ასეთი ძალადობის ფაქტებს. შემდგომი წერილმანები ხშირად ამოგივდივდება ხოლმე მხოლოდ მეორე ან მესამე ვიზიგის დროს, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხერხდება მჭიდრო და სანდო კონტაქტის დამყარება შესაბამის პირთან, რომელიც პასუხობს მის კულტურულ და პიროვნულ თავისებურებებს.
- viii. წამების დროს მიღებული სხეულის დაზიანებანი.
- ix. წამებისათვის გამოყენებული საგნების ან სხვა იარაღის აღწერა.
- x. წამების მოვლენებთან დაკავშირებულ მოწმეთა პიროვნელი მონაცემები. გამომძიებელმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე მოწმეთა უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით და კარგად მოიფიქროს, დირს თუ არა მათი პიროვნული მონაცემების დაშიფვრა და ძირითადი გამოკითხვის დროს გაკეთებული ჩანაწერებისაგან ცალკე შენახვა.

8) იმ პირის განცხადება, რომელიც ამტკიცებს, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნა წამება

99. გამოძიების ჩამტარებელმა პირმა უნდა ჩაიწეროს ასეთი პირის განცხადება მაგნიტოფონზე, ხოლო შემდეგ მოახდინოს მისი აღწარმოება წერილობითი სახით. განცხადება უნდა ეყრდნობოდეს პასუხებს, რომლებიც მიღებულ იქნა მის მიერ დასმულ არამისახვედრ კითხვებზე. არამისახვედრი კითხვები არ უნდა შეიცავდეს რაიმე ვარაუდებსა და დასკვნებს, და მათი მიზანია – მიეცეს შესაბამის პირს შესაძლებლობა გადმოსცეს თავისი ჩვენებანი რაც შეიძლება უფრო სრულად და მიუკერძოებლად. მაგალითად, არამისახვედრი იქნება ისეთი

კითხვა, როგორც “რა შეგვმთხვათ და სად მოხდა ეს?”, - ისეთი კითხვისაგან განსხვავებით, როგორც “გაწამეს თუ არა თქვენ ციხეში?”. უკანასკნელი შეკითხვა უკვე შეიცავს იმის ვარაუდს, რომ ის, რაც მოწმეს შეემთხვა, წამებას წარმოადგენდა, რითაც შემთხვევის ადგილი იმდევნება ციხით. მოერიდეთ კითხვების დასმას ჩამონათვალის ფორმით, რადგან ამან შეიძლება აიძულოს გამოსაკითხი პირი გასცეს არაზუსტი პასუხები იმ შემთხვევაში, თუ ის, რაც მოხდა სინამდვილეში, არ იქნება რომელიმე შეთავაზებულ ვარიანტთან გუსტ შესაბამისობაში. მიეცით მას საშუალება თავისი სიტყვებით მოყვეს იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა, და ნუ დაეხმარებით მას უფრო კონკრეტული კითხვების დასმის გზით. მიეცით იმის საშუალება, რომ სავარაუდო მსხვერპლმა თავად აღწეროს თავისი გრძნობები. შეეკითხეთ მას იმის შესახებ, რა დაინახა, რა იყნოსა, რა გაიგო და რა იგრძნო მან. ეს მნიშვნელოვანია, მაგალითად, ისეთ სიტუაციებში, როდესაც ადამიანს შეხვეული ჰქონდა თვალები ან მასზე ძალადობა სიბრუნვილი განხორციელდა.

### თ) სავარაუდო დამნაშავეთა განცხადებები

100. თუ ეს შესაძლებელია, გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა უნდა ჩააგარონ სავარაუდო დამნაშავეთა გამოკითხვა. მათ უნდა უბრუნველყონ დამნაშავენი სამართლებრივი დაცვით, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო და ეროვნული სამართალის ნორმების შესაბამისად.

### 3. ნივთობრივ მტკიცებულებათა მოპოვება და მიღება

101. წამების გამოყენების ცალკეული შემთხვევის ან სისტემატური პრაქტიკის დოკუმენტირების მიზნით გამოძიების ჩამგარებელმა პირმა უნდა მოაგროვოს ნივთობრივი მტკიცებულებების მაქსიმალურად შესაძლო მოცულობა. ნივთობრივი მტკიცებულებათა მოგროვება და ანალიზი გულმოდგინე და მიუკერძოებელი გამოძიების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა უნდა განახორციელოს ნივთობრივ მტკიცებულებათა მიღებისა და შენახვის მთელი თანმიმდევრობის დოკუმენტირება შემდგომ გარჩევებში, მათ შორის შესაძლო სისხლის სამართლის გარჩევებში, მათი გამოყენების მიზნით. წამება ძირითადად გამოიყენება ადგილებში, სადაც ადამიანები პატიმრობაში არიან აყვანილი ამა თუ იმ ფორმით, და ნივთობრივ მტკიცებულებათა შენახვა ან მათი შეუბრუდავი ხელისაწვდომობა საწყის ეჭაპე შეიძლება როთული ან შეუძლებელიც კი იყოს. სახელმწიფო უნდა მიანიჭოს გამოძიების ჩამგარებელ პირებს ნებისმიერ ადგილზე ან სათავსოში შეუბრუდავი შესვლის უფლება, აგრეთვე გარემოსთან გაცნობის შესაძლებლობა, რომელშიც, როგორც ამტკიცებები გამოყენებულ იქნა წამება. გამოძიების ჩამგარებელმა პერსონალმა ისევე, როგორც სხვა გამომძიებლებმა უნდა მოახდინონ თავისი ძალისხმევის კოორდინირება იმ ადგილის გულმოდგინე გამოკვლევის ჩასაგარებლად, სადაც, განცხადების თანახმად, გამოყენებულ იქნა წამება. გამოძიების ჩამგარებელ პირებს იმ ადგილზე შესვლის შეუბრუდავი უფლება უნდა ჰქონდეთ, სადაც ადამიანებს აწამებდნენ. კერძოდ, მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დია ან დახურული ადგილები, შენობების, სატავებოების, აგრეთვე სხვა ადგილების ჩათვლით, სადაც, შეტყობინებების თანახმად, ფარდებოდა წამება,

102. იმისათვის, რომ არ დაიკარგოს არანაირი შესაძლო მტკიცებულებანი, უცხო პირებისათვის აკრძალული უნდა იყოს შესვლა ნებისმიერ გამოსაკვლევ შენობაში ან ნებისმიერ გამოსაკვლევ სივრცეში. მას შემდეგ, რაც ესა თუ ის სივრცე განისაზღვრება როგორც გამოსაკვლევი, იქ შესვლა ნებადართულია მხოლოდ გამოძიების ჩამგარებელი პირებისათვის და მასთან მომუშავე პერსონალისათვის. ნივთობრივ მტკიცებულებათა აღმოსაჩენად უნდა

ჩატარდეს მოვლენათა ადგილის დათვალიერება. იმისათვის, რომ მტკიცებულებები არ მოისვაროს, არ დაბიანდეს ან არ განადგურდეს, ისინი სათანადოდ უნდა იყოს მოგროვებული, დამუშავებული, შეფუთული, მარკირებული და უსაფრთხო ადგილზე გადაგანილი. თუ წამებას, როგორც ამას ამტკიცებენ, სულ ცოტა ხნის წინ ჰქონდა ადგილი, და ამიტომ შესაბამისი მტკიცებულებები გამოლებები საქმეში გამოსაყენებლად, უნდა განხორციელდეს ბიოლოგიური ხსნარების (ისეთის, როგორც სისხლი ან სპერმა) ნებისმიერი აღმოჩენილი ნიმუშების, თმების, ქსოვილების ბოჭკოების და ძაფების მოგროვება, მარკირება და გულმოდგინედ შენახვა. უნდა ამოღებულ და შენახულ იქნას ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო წამების დროს, მიუხედავად იმისა, სპეციალურად ამ მიზნისთვის იყო ისინი განკუთხნილი, თუ გამოყენებულ იქნა იმიტომ, რომ ხელთ აღმოჩნდა. ასევე აღებული და შენახული უნდა იყოს თითების ნებისმიერი აღმოჩენილი ანაბეჭდები, თუ ისინი ჯერ კიდევ საქმაოდ მკაფიოდ და შეიძლება მათი გამოყენება საქმეში. საჭიროა იმ სათავსოების ან ადგილის ნახაზის შედგენა ამა თუ იმ მასშტაბით და შესაბამისი ჩანიშვნით, სადაც სავარაუდო გამოყენებული იყო წამება. ნახაზზე მონიშნული უნდა იყოს ყველა არსებითი დეტალი, მაგალითად, შენობის სართულები, ცალკე ოთახები, შესასვლელები და გამოსასვლელები, ფანჯრები, ავეჯის საგნები და მიმდებარე ტერიტორია. ამ მონაცემების ფიქსირებისათვის, გარდა ამისა, გაკეთებული უნდა იყოს ფერადი ფოტოსურატები. აუცილებელია წამების სავარაუდო ადგილზე ყველა დამსწრე პირის სახელობითი სის შედგენა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მათი სრული სახელები და გვარები, მისამართები და ტელეფონის ნომრები ან სხვა საკონტაქტო მონაცემები. თუ წამებას ადგილი ჰქონდა სულ ცოტა ხნის წინ, საქმის მასალებში გამოყენების მიზნით უნდა შედგეს იმ პირის ფანსაცმლის ყველა საგანის ჩამონათვალი, რომელშაც განაცხადა წამების გამოყენების შესახებ, ხოლო თვითონ ფანსაცმელი უნდა გადაეცეს ლაბორატორიას, თუ ასეთი არსებობს, ბიოლოგიური სითხეების ნაკვალევისა და სხვა ფიზიკური მტკიცებულებების აღმოსაჩენად. სავარაუდო წამების შესაძლო მოწმების გამოვლენის მიზნით საჭიროა გამოსაკვლევ სათავსოებში ან ტერიტორიებზე მყოფი ყველა პირის გამოკითხვა. მტკიცებულებების სახით გამოსაყენებლად და გრაფოლოგიური ექსპერტის ჩასატარებლად საჭიროა საქმესთან დაკავშირებული ყველა ქადალის, ჩანაწერისა და დოკუმენტის შენახვა.

#### 4. სამუშაოს მონაცემები

103. გამოძიების ჩამტარებელმა პირმა ორგანიზება უნდა გაუწიოს სავარაუდო მსხვერპლის სამედიცინო ექსპერტის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი სამედიცინო ექსპერტის (შემოწმების) დროულად ჩატარება. სამედიცინო ექსპერტია აუცილებლად უნდა ჩატარდეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დრო გავიდა წამების გამოყენების მომენტიდან, მაგრამ, თუ განცხადებულია, რომ წამებას ადგილი ჰქონდა ბოლო ექვსი კვირის ჩარჩოებში, მაშინ ასეთი შემოწმება ორგანიზებული უნდა იყოს სასწრაფოდ, სანამ არ გაქრა წამების აშკარა კვალი. ექსპერტია უნდა შეიცვლეს სხეულის დაბიანებების ან დაავალებათა მკურნალობის, ფსიქოლოგიური დახმარების, კონსულტაციების ჩატარების და შემდგომი ზომების გამოყენების საჭიროების შეფასება (იხ. თავი V, რომელიც შეიცავს ფიზიკური გამოკვლევისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის აღწერას). ყოველთვის აუცილებელია ფსიქოლოგიური ექსპერტის ჩატარება და წამების სავარაუდო მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება. ამასთან, ეს ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს ფიზიკური გამოკვლევის მსვლელობაში, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს ხილული კვალი, ასეთი ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებლად (იხ. თავი VI, რომელშიც მოცემულია ფსიქოლოგიური ექსპერტის აღწერა).

104. სამედიცინო დასკვნის შედგენისას წამების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულებების მოგროვების მიზნით, აუცილებელია დაისვას ექვსი ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა:

ა) შეესაბამება თუ არა დადგენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემები შეტყობინებას ვითომ და წამების გამოყენების შესახებ?

ბ) გამოსაკვლევი პირის ფიზიკური მდგომარეობის რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას საერთო კლინიკურ სურათზე?

გ) შეესაბამება თუ არა მიღებული მონაცემები გამოსაკვლევი პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ექსტრემალურ სტრესზე, მოსალოდნელ ან ტიპიურ რეაქციებს, რომლებიც აღინიშნება იმ კულტურულ-სოციალურ გარემოში, რომელსაც მიეკუთვნება ეს პირი?

დ) ფსიქოლოგიური ტრაფების შედეგად წარმოქმნილი ფსიქიკურ მოშლილობათა დროთა განმავლობაში ცვალებადი ხასიათის გათვალისწინებით, როგორია ასეთ მოშლილობათა დროითი ჩარჩოები წამების შემთხვევათა მიმართებაში? გამოჯამრთელების რა სტადიაზეა გამოსაკვლევი პირი?

ე) სტრესის კიდევ რა ფაქტორები მოქმედებს გამოსაკვლევი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (მაგალითად, დევნის გაგრძელება, იძულებითი მიგრაცია, თავშესაფარის უბრუნველყოფა ქვეყანაში ყოფნა, ოჯახსა და საბოგადოებაში როლის დაკარგვა და ა.შ.)? როგორ მოქმედებს ეს პრობლემები მსხვერპლის მდგომარეობაზე?

ვ) ხომ არ მოწმობს გამოსაკვლევი პირის კლინიკური მონაცემები იმაზე, რომ მის მიმართ წამების გამოყენების შესახებ მტკიცება მცდარია?

## 5. ფოტოგრაფიურება

105. აუცილებელია გაკეთდეს იმ პირთა მიერ მიღებული სხეულის დაზიანებათა ფერადი ფოტოსურათები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ გამოყენებულ იქნა წამება: სათავსოების ფოტოსურათები (შიგნიდან და გარედან), სადაც სავარაუდო გამოყენებული იყო წამება, აგრეთვე იქ აღმოჩენილი სხვა ნივთობრივ მტკიცებულებათა ფოტოსურათები. ფოტოსურათების გადაღების პროცესში მნიშვნელოვანია საზომი სახაზავის ან რაიმე სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც მასშტაბის მითითების შესაძლებლობას იძლევა. ფოტოსურათები რაც შეიძლევა სწრაფად უნდა გაკეთდეს, თუნდაც ყველაზე მარტივი ფოტოაპარატით, რადგან ზოგიერთი ფიზიკური მტკიცება მაღლე ქრება, ხოლო მოვლენების ადგილზე სამხილები შეიძლება წინასწარ განმრახით მოისპოს. სწრაფი გამჭდავნების ფოტოსურაები დროთა განმავლობაში შეიძლება გამჭრალდეს. შესაბამისი მოწყობილობის არსებობისას სასურველია უფრო მაღალი პროფესიული ხარისხის სურათების დამზადება. თუ ეს შესაძლებელია, სურათები უნდა გაკეთდეს ავტომატური დათარილების მქონე 35-მილიმეტრიანი კამერით. ფირების, ნებაზივებისა და ფოტოსურათების შენახვის ადგილებისა და სხვა ადგილებზე მათი გადაცემის მთელი რგოლი უნდა იყოს დოკუმენტირებული.

## D. საგამოძიებო კომისია

### 1. საგამოძიებო კომისია

106. საგამოძიებო კომისიების დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა და ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ გამოძიების სფერო და დათქვან იმ საკითხების წრე, რომელიც შედის კომისიის კომპეტენციაში მათ შექმნასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში. საკითხების ასეთი წრის განსაზღვრამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი მათი საქმიანობის წარმატებას, რადგან

ამგვარად ის ლეგიტიმურობას იძენს და, გარდა ამისა, კომისიის წევრებისთვის უფრო ადვილია თანხმობის მიღწევა გამოძიების სფეროს მიმართ. აგრეთვე ეს კომისიის დასკვნითი მოხსენების შეფასების კრიტერიუმების დადგენის შესაძლებლობას იძლევა. კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების წრის განსაზღვრის მიმართ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი რეცომენდაციები:

- ა) ასეთი განსაზღვრების ფორმულირებები უნდა იყოს ნეიტრალური, რათა გამოირიცხოს რაიმე წინასწარ განსაზღვრული შედეგის ვარაუდი. ასეთი ნეიტრალობის მისაღწევად კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების წრემ არ უნდა შეზღუდოს გამოძიების ჩარჩოები იმ სფეროებში, რომლებშიც შეიძლევა გამოვლინდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გამოყენებულ წამებაზე;
- ბ) კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების წრეში მკაფიოდ მითითებული უნდა იქნას, თუ რა მოვლენები და რა საკითხები ექვემდებარება გამოძიებასა და განიხილება კომისიის დასკვნით მოხსენებაში;
- გ) საკითხების აღნიშნულმა წრემ უნდა უზრუნველყოს გამოძიების სფეროს მოქნილობა, რაც იმის გარანტია იქნება, რომ ბედმეტი შეზღუდვა და უფლებამოსილებათა მეტისმეტი სიფართვე უარყოფითად არ იმოქმედებს გამოძიების გულმოდგრედ ჩაფარებაზე. საჭირო მოქნილობა შეიძლება მიღწეულ იქნას, მაგალითად, იმის წყალობით, რომ კომისიისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში, ნებადართულია მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების წრის შეცვლა. მაგრამ, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კომისიაში ინფორმაცია მიაწოდოს საბოგადოებას თავისი მანდატის ყველა ცვლილების შესახებ.

## 2. კომისიის უფლებამოხილებანი.

107. ბოგადად კომისიის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია ბემოთ მოყვანილ პრინციპებში. კონკრეტულად კომისიისთვის აუცილებელია შემდეგი უფლებამოსილებანი:

- ა) მიიღოს გამოძიების ჩასაფარებლად აუცილებელი ინფორმაცია, აგრეთვე უფლება ჰქონდეს აიძულოს შესაბამისი პირები მისცენ ჩვენებები სამართლებრივი სანქციების გამოყენების შიშის ქვეშ, მოითხოვოს დოკუმენტების, მათ შორის სახელმწიფო და სამედიცინო სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა, დაიცვას მოწმეები, მსხვერპლთა ოჯახების წევრები და ინფორმაციის სხვა წყაროები;
- ბ) გამოაქვეყნოს დია ანგარიშები;
- გ) მოინახულოს მისთვის საინტერესო ადგილები, მათ შორის ადგილები, სადაც სავარაუდო გამოყენებული იყო წამება;
- დ) მიიღოს მტკიცებულებები მოწმეებისაგან და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარეორგანიზაციებისაგან.

## 3. კომისიის წევრობის კრიტერიუმები

108. კომისიის წევრებად აირჩევიან თავისი მიუკერძოებლობით, კომპეტენტურობითა და პირადი დამოუკიდებლობით ცნობილი პირები; ეს თვისებები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) მიუკერძოებლობა. კომისიის წევრები არ უნდა იყვნენ მჭიდრო კავშირში რომელიმე პირთან, სახელმწიფო ორგანოსთან, პოლიციკურ პარტნიორთან ან სხვა ორგანიზაციისთან, რომელსაც პოტენციურად კავშირი აქვს წამების გამოყენებასთან. მათ არ უნდა ჰქონდეთ მჭიდრო კავშირი აგრეთვე ორგანიზაციისთან ან ჯგუფთან, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება, რადგან ამან შეიძლება ნდობა შეარყიოს კომისიისადმი. მაგრამ ამ მოთხოვნამ არ უნდა

გამოიწვიოს კომისიის შემადგენლობიდან, მაგალითად, მსხვილი ორგანიზაციების წარმომადგენლების უპირობო გარიცხვა, თუ მათგან ერთ-ერთის ან მეტის წევრი მსხვერპლიც კი აღმოჩნდება, ან იმ პირთა გარიცხვა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან წამების მსხვერპლთა მკურნალობითა და რეაბილიტაციით დასაქმებულ ორგანიზაციებთან.

ბ) კომპეტენტურობა. კომისიის წევრებისაგან მოითხოვება მტკიცებულებათა შეფასებისა და აწონ-დაწონის და დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი. თუ ეს შესაძლებელია, საგამოძიებო კომისიის შემადგენლობაში აუცილებელია იმ პირთა შეყვანა, რომლებსაც აქვთ ცოდნა და გამოცდილება სამართლისა და მედიცინის, და აგრეთვე სხვა საჭირო სპეციალურ სფეროში.

გ) დამოუკიდებლობა. კომისიის წევრებს უნდა პქონდეთ პატიოსანი და სამართლიანი ადამიანის რეპუტაცია თავიანთ გარემოში.

109. კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიებისა და გაკეთებული დასკვნების ობიექტურობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს, მაგალითად, მისმა რაოდენობრივმა შემადგენლობამ: უმჯობესია, რომ მის შემადგენლობაში შედიოდეს სამი ან მეტი წევრი, ეიდრე ერთი ან ორი. პრინციპში კომისიის წევრებმა არ უნდა ჩატარონ წამების გამოყენების შესახებ მტკიცებულებათა გამოძიება ცალ-ცალკე. კომისიის წევრის მარტო მუშაობისას, გამოძიება, როგორც წესი, უფრო ბედაპირულად ფარდება. გარდა ამისა, მარტო მომუშავე კომისიის წევრს მოუწევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება სხვებთან მსჯელობის გარეშე, და ეს გადაწყვეტილებით ყოველთვის უდავო არ არის, რაც გახდის მის მდგომარეობას განსაკუთრებით მოწყვლადს სახელმწიფოს მხრიდან დაწოლისა და გარედან ზემოქმედების მიმართ.

#### 4. კომისიის პერსონალი

110. საგამოძიებო კომისიას მუშაობაში უნდა ეხმარებოდნენ თბიექტური და კვალიფიციური მრჩეველები. იმ შემთხვევებში, როდესაც კომისია იძიებს მტკიცებულებებს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე დარღვევების შესახებ, სასურველია დაინიშნოს მრჩეველი, რომელიც დაკავშირებული არ არის იუსტიციის სამინისტროსთან. კომისიის მთავარი მრჩეველი დაცული უნდა იყოს ყოველგვარი პოლიტიკური ზემოქმედებისაგან; სასურველია, რომ, თუ ის სახელმწიფო სამსახურში იმყოფება, მას პქონდეს თანამდებობაზე ყოფნის ფიქსირებული ვადა ან ის იყოს დამოუკიდებელი ადვოკატი. გამოძიებების ჩატარებისას ხშირად ჩნდება ექსპერტ-კონსულტანტების მომსახურებით სარგებლობის აუცილებლობა. კომისიებს უნდა პქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ისეთი სფეროების სპეციალისტთა მომსახურით, როგორიცაა პათოლოგიური ანატომია, სასამართლო მედიცინა, ფსიქიატრია, ფსიქოლოგია, გინეკოლოგია და პედიატრია. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს აბსოლუტურად მიუკერძოებელი და გულმოძგინე გამოძიებების ჩატარება, კომისიას პრექტიკულად ყოველთვის სჭირდება საკუთარი გამომძიებლები, რომლებიც განსაბამის გამოძიების მიმართულებასა და იმუშავებენ მის დამამტკიცებრლ ნაწილზე. რაც უფრო მეტად დაეყრდნობა კომისია საკუთარი გამომძიებლების სამუშაოს, მით უფრო მაღალი იქნება ნდობა მის მიერ ჩატარებული გამოძიების მიმართ.

#### 5. მოწმეთა დაცვა

111. სახელმწიფო უნდა დაიცვას განმცხადებლები, მოწმეები, გამოძიების ჩამოარებელი პირები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები ძალადობისაგან, ძალადობის მუქარისიგან ან დაშინების

ნებისმიერი სხვა ფორმისაგან (იხ. ნაწილი III.C.2.d). თუ კომისია დაასკვნის, რომ არსებობს მოწმის ან პოტენციური მოწმის დევნის, დაშინების ან ზიანის მიყენების დასაბუთებული საშიშროება, მას შეუძლია მიზანშეწონილად ჩათვალოს მოწმეთა ჩვენებების მოსმენა დახურული კარების მიღმა, საიდუმლოდ შეინახოს ინფორმაციის ან მოწმის პირადი მონაცემები, გამოიყენოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა საფუძველზე შეუძლებელია მოწმის პიროვნების დადგენა, აგრეთვე მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა.

#### 6. მუშაობის წესი

112. სისხლის სამართლის გოგადი პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო მოსმენები უნდა ჩატარდეს დიად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოწმის დაცვის თვალსაზრისით აუცილებელი ხდება დახურული სხდომის ჩატარება. დახურული სხდომების მსვლელობა უნდა დაფიქსირდეს ოქმში, ხოლო დალუქელი ტექმები, რომლებიც საჯაროობას არ ექვემდებარება, უნდა ინახებოდეს კომისიისათვის ცნობილ აღვილზე. ზოგჯერ იმისათვის, რომ მოწმე ჩვენებების მიცემაზე დათანხმდეს, შეიძლება საჭირო გახდეს სრული საიდუმლოების დაცვა, და კომისიამ შესაძლოდ ჩათვალოს მოწმის მოსმენა კერძო, არაოფიციალურ გარემოში ან ოქმში მისი ჩვენებების შეტანის გარეშე.

#### 7. მუშაობის გამოძიების ჩატარების შესახებ

113. საჭიროა ფართო საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია კომისიის დაფუძნებისა და გამოძიების საგნის შესახებ. შესაბამისი შეტყობინება უნდა შეიცავდეს თხოვნას კომისიისათვის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებისა და მისთვის წერილობითი განცხადების წარდგენის შესახებ. აგრეთვე შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებებს ჩვენებების მისაცემად მგადლოფი პირებისათვის იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცენ ისინი ამ შემთხვევაში. შეტყობინების გავრცელება შეიძლება გაზეობის, უკრნალების, რადიოსა და ტელევიზიის, ან სააგიფაციო ფურცლებისა და პლაკატების მეშვეობით.

#### 8. მოწმეთა ჩვენებების ჩამორთმეული და მტკიცებულებათა მოგროვება

114. საგამოძიებო კომისიებს უფლება უნდა ჰქონდეთ ძალდაფანებით ჩამოართვან ჩვენებები მოწმებსა და წარადგინო ღოკუმენტები, ისევე როგორც, ძალდაფანებითი ჩვენებების ჩამორთმევის უფლება თანამდებობის პირებისაგან, რომლებსაც სავარაუდოდ კავშირი აქვთ წამებასთან. პრაქტიკაში ამ უფლებამოსილებებში შეიძლება იგულისხმებოდეს ჯარიმების დაკისრება ან სასჯელის შეფარდება, თუ თანამდებობის ან სხვა პირები უარს აცხადებენ შესაბამისი განკარგულების შესრულებაზე. მტკიცებულებათა მოგროვებისას, პირველი ნაბიჯის სახით, საგამოძიებო კომისიებმა უნდა შესთავაზონ შესაბამის პირებს ზეპირი ან წერილობით ჩვენებათა მიცემა. წერილობითი ჩვენება შეიძლება მტკიცებულებათა მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდეს, თუ მოწმეებს ეშინიათ ზეპირი ჩვენების მიცემა, არ შეუძლიათ განხილვაზე მისვლა ან ხელმიუწვდომელნი არიან რაიმე მიზეზის გამო. საგამოძიებო კომისია უნდა გაეცნოს სხვა განხილვების მასალებს, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

## *9. მხარეთა უფლებები*

115. პირებს, რომელიც ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ გამოყენებული იქნა წამება, აგრეთვე მათ კანონიერ წარმომადგენლებს, უნდა ეცნობოს ნებისმიერი სასამართლო მოსმენის ჩატარების შესახებ, დასწრება, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის, აგრეთვე მათ უნდა მიიღონ გამოძიებასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია; გარდა ამისა, მათ მტკიცებულებათა წარმოდგენის უფლება უნდა ჰქონდეთ. წამებაგამოვლილ პირთა, როგორც განხილვის მხარეთა, როლზე ასეთი განსაკუთრებული აქცენტი იმის მიმანიშნებელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ინტერესების დაცვის გამოძიების მსვლელობაში. მიუხედავად ამისა, ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეს გამოთქმის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. საგამოძიებო ორგანოს უფლება უნდა ჰქონდეს გაუფაგნოს მოწმეებს უწყებანი, მათ შორის თანამდებობის პირებს, რომლებსაც სავარაუდოდ კავშირი აქვთ მოცემულ საქმესთან, და მოითხოვთ მტკიცებულებათა წარმოდგენა. ყველა ასეთი მოწმისათვის ნებადართული უნდა იყოს აღვთეაგის აყვანა, თუ იმის ვარაუდი არსებობს, რომ ისინი შეიძლება დაზარალდნენ გამოძიების შედეგად, მაგალითად ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოწმეების ჩვენებები საფუძველს წარმოადგენს სისხლის სამართლის ან სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებაში მათი მიცემისათვის. არ შეიძლება მოწმეთა იძულება თავიანთ წინააღმდეგ ჩვენებების მიცემისათვის. აუცილებელია პირობების შექმნა კომისიის წევრების მიერ მოწმეთა ეფექტური გამოკითხვისათვის. გამოძიების მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ კომისიას შეკითხვებით მიმართონ წერილობით.

## *10. მტკიცებულებათა შეფასება*

116. კომისიამ უნდა შეაფასოს მთელი ინფორმაცია და მის მიერ მოპოვებული მტკიცებულებანი მათი საიმედოობისა და უტყუარობის დასადგენად. კომისიამ უნდა შეაფასოს გეპირი ჩვენებანი, მოწმის ქცევის მანერის, და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, თუ, მისი აბრით, რამდენად სანდოა ეს მოწმე. აუცილებელია იმ სოციალური, კულტურული და გენდერული ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც გავლენას ახდენს მოწმის ქცევაზე. რამდენიმე წყაროდან მიღებული მონაცემების ურთიერთდადასტურება ამაღლებს მათ დამამტკიცებელ ძალას, და აგრეთვე სხვისი გადმოცემით მიღებული ჩვენებების უტყუარობას. კომისიამ შეიძლება გაითვალისწინოს სხვისი გადმოცემით მიღებული ჩვენებანი მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულმოდგინედ აწონ-დაწონის, რამდენად სანდოა აღნიშნული ჩვენებები. ასევე საჭიროა სიფრთხილის გამოხენა ისეთი ჩვენებების მიმართ, რომლებიც მიღებულია შეუმოწმებელი ჯვარედინული გამოკითხვის გზით. დახურულ სხდომებზე მოცემულ და დახურულ ოქმში შეტანილი ან საერთოდ ოქმში არშეგანილი ჩვენებები ხშირად არ წარმოადგენს ჯვარედინული გამოკითხვის საგანს, ამიგომ მათ ზოგჯერ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

## *11. კომისიის მოხსენება*

117. კომისიამ გონივრულ ვაღებში უნდა გამოაქვეყნოს ღია მოხსენება. გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როდესაც კომისიის წევრები ვერ ახერხებენ ერთსულოვნების მიღწევას დასკვნების გამოგანისას, უმცირესობამ უნდა წარმოადგინოს თავისი განსაკუთრებული მოსაბრება. საგამოძიებო კომისიის მოხსენება უნდა შეიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ ინფორმაციას:

- გამოძიების სფერო და კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების წრე;
- მტკიცებულებათა შეფასების პროცედურები და მეთოდები;

გ) ჩვენების მიმცემი ყველა მოწმის სახელობითი სია, მათი ასაკისა და სქესის მითითებით, გარდა იმ მოწმეებისა, რომელთა სახელები საიდუმლოდ ინახება მათი დაცვის მიზნით, აგრეთვე ნივთობრივი მტკიცებულებების სახით მითითებული საგნების ჩამონათვალი;

დ) ყოველი სხდომის დრო და ადგილი (ეს მონაცემები შეიძლება მოცემულ იქნას მოხსენების დანართის სახით);

ე) გამოძიებისათვის აუცილებელი ისეთი საწყისი მონაცემები, როგორიცაა საქმესთან დაკავშირებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები;

ვ) ადგილის მქონე კონკრეტული მოვლენები და მტკიცებულებანი, რომელთა საფუძველზე გაკეთდა დასკვნები ამ მოვლენათა შესახებ;

გ) სამართლის ნორმები, რომლებსაც ეყრდნობოდა კომისია;

თ) მოქმედი სამართლისა და დადგენილი ფაქტების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები;

ი) კომისიის მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები.

118. სახელმწიფომ საჯაროდ რეაგირება უნდა გააკეთოს კომისიის მოხსენებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, მიუთითოს, რა ზომების მიღებას აპირებს წარმოდგენილ მოხსენებაზე რეაგირების სახით.

## თავი IV

### გამოკითხვის ჩატარებასთან დაკავშირებული გოგილი მოსაზრებანი

119. არსებობს მთელი რიგი გასათვალისწინებელი საკითხებისა და პრაქტიკული ფაქტორებისა ადამიანის გამოკითხვის დროს, რომლის მიმართ, სავარაუდო, წამება იქნა გამოყენებული. ეს მოსაზრებანი გამოკითხვის ჩამტარებელ ყველა პირს, მათ შორის იურისტებს, ექიმებს, ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებს, ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ პირებს, ან ნებისმიერი სხვა პროფესიის წარმომადგენელს. ქვემოთ მოცემულ ნაწილში განიხილება ასეთი „ზოგადი საფუძველი“ და კეთდება მცდელობა წარმოდგენილ იქნას ისეთ კონტექსტში, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს წამების გამოყენების შემთხვევის გამოძიებისა და მისგან დაბარალებული პირების გამოკითხვის დროს.

#### A. გამოძიების, გამოკვლევისა და დოკუმენტირების მიზანი

120. გამოკვლევის საერთო მიზანია წამების გამოყენების სავარაუდო შემთხვევებთან დაკავშირებული ფაქტების დადგენა (იხ. ნაწილები III.D და VI.A). სამედიცინო ექსპერტის წამებისგან დაბარალებულთა მიმართ შეიძლება სასარგებლო მტკიცებულებას წარმოადგენდეს შემდეგ სამართლებრივ კონტექსტში:

- წამების გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენისას და პასუხისგებაში მიცემისას;
- პოლიტიკური თავშესაფარის მოთხოვნის შესახებ განცხადების მხარდაჭერისას;
- იმ გარემოებათა დადგენისას, როდესაც სახელმწიფო ორგანოთა თანამდებობის პირთა მიერ, შესაძლოა მიღებულ იქნა ყალბი აღიარებანი;
- წამების გამოყენების რეგიონალური პრაქტიკის გამოვლენისას. სამედიცინო ექსპერტის მონაცემების გამოყენება შეიძლება აგრეთვე იმის გამოსავლენად, ესაჭიროება თუ არა წამებაგამოვლილ პირებს მკურნალობა, აგრეთვე ჩვენებების სახით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გამოძიების დროს.

121. ექიმის წერილობითი და ზეპირი ჩვენებების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გაკეთდეს საექსპერტო დასკვნა, თუ რამდენად შეესაბამება სამედიცინო შემოწმება პაციენტის განცხადებას სასტიკი მოპყრობის შესახებ, და ეს შედეგები და ექიმის დასკვნები სათანადოდ მიეწოდოს სასამართლო ან სხვა შესაბამის ორგანოებს. გარდა ამისა მედიკოსების ჩვენები ხშირად გამოიყენება იმისათვის, რომ სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოება გაეცნოს წამების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს. ექსპერტი მზად უნდა იყოს შემდეგი მოქმედებებისათვის:

- შეაფასოს სხეულის შესაძლო დაბიანებისა და სასტიკი მოპყრობის ხარისხი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ცალკე პირთა, სამართალდამცავ ან სასამართლო ორგანოთა კონკრეტული განცხადებანი;
- ასახოს დოკუმენტაციაში სხეულის დაზიანებისა და სასტიკი მოპყრობის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულებანი;
- განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება კონკრეტული გამოკვლევის შედეგები მონაცემებს რომელიმე რეგიონში გამოყენებული წამების ხერხების და მათი ჩვეულებრივი შედეგების შესახებ;

დ) თავშესაფარის მოთხოვნაზე განცხადებათა მოსმენისა და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისა ან სამოქალაქო სასამართლო გარჩევათა მსვლელობაში განმარტოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის შეღები და წარმოადგინოს საექსპერტო დასკვნა სასტიკი მოპყრობის შესაძლო მიზეზების შესახებ;

ე) გამოიყენოს სათანადოდ მოპოვებული ინფორმაცია წამების შემთხვევათა გამოძიებისა და შემდგომი დოკუმენტირების ხელშესაწყობად.

## B. პატიმრობაში მყოფ პირთა პროცესუალური გარანტიები

122. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტისა პატიმრობაში მყოფ (დაკავებულ) პირთა მიმართ უნდა ჩატარდეს პროკურორის ან სხვა შესაბამისი თანამდებობის პირის ოფიციალური წერილობითი მოთხოვნით. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა მიერ მიწოდებული მოთხოვნები სამედიცინო ექსპერტის ჩატარების შესახებ უქმად ჩაითვლება, თუ ისინი დამტკიცებული არ არის პროკურორის წერილობითი დადგენილებით. მაგრამ, თავად დაკავებულებს, მათ ადვოკატებს ან ნათესავებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამედიცინო ექსპერტის ჩატარება წამებისა და სასტიკი მოპყრობის მტკიცებულებათა მისაღებად. დაკავებულის მიერანას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ჩასატარებლად ახორციელებენ არა სამხედრო მოსამსახურეები ან პოლიცია, არამედ სხვა თანამშრომლები, რადგან წამებასა და სასტიკ მოპყრობას შესაძლოა ადგილი ჰქონდა, როდესაც დაკავებული სამხედრო მოსამსახურეების ან პოლიციის თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, და ამგვარად, დაკავებულებები ან ექიმები შეიძლება დაუშვებელი ბეჭოლა ხორციელდებოდა წამების ან სასტიკი მოპყრობის ფაქტიური დოკუმენტირების ხელშემდის მიზნით. მოსამსახურენი, რომელიც მეთვალყურეობას ახორციელებენ დაკავებულის მიერანაზე, უნდა ექვემდებარებოდნენ პროკურატურას და არა სამართალდამცავი ორგანოების რომელიმე თანამდებობის პირს. დაკავებულის განცხადების მიწოდებას ექსპერტის ჩატარების შესახებ და მისი უკან დაბრუნებას ექსპერტის ჩატარების შემდეგ უნდა ესწრებოდეს ადვოკატი. დაკავებულებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელმეორე ან ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტისა რომელსაც აფარებს კვალიფიციური ექიმი აღნიშნული პირის პატიმრობაში ყოფნისას ან მის შემდეგ.

123. პატიმრობაში მყოფი ყოველი პირის დათვალიერება უნდა ფარდებოდეს დახურულ კარებს მიღმა. პოლიციელები და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლები არ უნდა იმყოფებოდნენ იმ ოთახში, სადაც ტარდება დათვალიერება. ეს პროცესუალური გარანტია შეიძლება დაირღვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, დათვალიერების ჩამგარებელი ექიმის აზრით, იმის დამაჯერებელი მტკიცებულებანი არსებოს, რომ დაკავებული სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს სამედიცინო პერსონალისათვის. ასეთ შემთხვევაში დათვალიერების ჩამგარებელი ექიმის მოთხოვნით დათვალიერებას უნდა დაესწრონ სამედიცინო დაწესებულების დაცვის თანამშრომლები, და არა პოლიციელები ან სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლები. ამასთან, დაცვის თანამშრომლები მაინც სმენადობის ფარგლებს გარეთ უნდა იმყოფებოდნენ (ანუ მხოლოდ პაციენტთან ვიზუალური კონტაქტის რაღიასში). სამედიცინო ექსპერტია დაკავებულთა მიმართ უნდა ფარდებოდეს ისეთ ადგილას, რომელიც, ექიმის აზრით, ყველაზე უფრო შესაფერისია ამისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში ოპტიმალური იქნებოდა იმის დაქინებით მოთხოვნა, რომ ექსპერტია ჩატარდეს ოფიციალურ სამედიცინო დაწესებულებაში, და არა ციხეში. სხვა შემთხვევაში დაკავებულთათვის შეიძლება უმჯობესი იყოს გაიარონ დათვალიერება თავიანთ საკანში შედარებითი უსაფრთხოების პირობებში, მაგალითად, თუ მათ მიაჩნიათ, რომ სამედიცინო დაწესებულებაზე ხორციელდება მეთვალყურეობა. ადგილის შემთხვევა განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მაგრამ შემთხვევაში გამოძიების ჩამგარებელმა

პირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაკავებულებები ბეჭოლა არ მოხდეს, რათა ისინი დათანხმდნენ დათვალიერების ისეთ ადგილზე ჩატარებას, რომელიც მათ არ აწყობთ.

124. ნებისმიერი მიზებით პოლიციელთა, სამხედრო მოსამსახურეთა ან სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომელთა დასწრება იმ ოთახში, სადაც დათვალიერება ტარდება, აღნიშნული უნდა იყოს ექიმის ოფიციალურ სამედიცინო ანგარიშში. პოლიციელთა, სამხედრო მოსამსახურეთა ან სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომელთა დასწრება დათვალიერების ჩატარებისას შეიძლება იმის საფუძველი გახდეს, რომ უარყოფითი დასკვნის შემცველი სამედიცინო ანგარიში იქნას გაუქმებული. ანგარიშში მითითებული უნდა იყოს სხვა პირების გვარები და თანამდებობები, რომლებიც ესწრებოდნენ სამედიცინო ექსპერტის ჩატარებას. დაკავებულების მიმართ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ჩატარებისას გამოყენებულ უნდა იქნას სამედიცინო ანგარიშის სტანდარტული ბლანკები (იხ. IV დანართში სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს სამედიცინო ანგარიშის სტანდარტული ბლანკების შესამუშავებლად).

125. ექსპერტის შესახებ შესტებული ანგარიშის დედანი ეგზავნება უშუალოდ პირს, რომელმაც მოითხოვა ასეთი ანგარიში, როგორც წესი, პროკურორს. თუ მოთხოვნა სამედიცინო ანგარიშის შესახებ შემოსულია დაკავებულისაგან ან მისი სახელით მოქმედი ადვოკატისაგან, მათ უნდა წარედგინოს ეს ანგარიში. სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებების ექიმმა უნდა შეინახოს ყველა სამედიცინო ანგარიშის ასლები. ეროვნულ სამედიცინო ასოციაციას ან საგამომიებო კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო ანგარიშების შემოწმების შესახებ, დოკუმენტირების სათანადო პროცესუალური გარანტიებისა და სტანდარტების დაცვაში დარწმუნებისათვის, განსაკუთრებით სახელმწიფო სამსახურში მყოფი მედიკოსების მხრიდან. ანგარიშები უნდა გაეგზავნოს ასეთ ორგანიზაციას, დამოუკიდებლობისა და კონფიდენციურობის მოთხოვნების დაცვის პირობით. სამედიცინო ანგარიშის ასლები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაეცეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელებს. აუცილებელია, დაკავებულმა გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა პატიმრობაში ყოფნის დროს და აგრეთვე გაიაროს სამედიცინო დათვალიერება და ექსპერტია გათავისუფლებისთანავე<sup>70</sup>. სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების დროს დაკავებულისათვის უზრუნველყოფილ უნდა იყოს ადვოკატთან კონტაქტის შესაძლებლობა. მრავალი ციხის პირობებში შეუძლებელია რომელიმე უცხო პირის დასწრება სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების დროს. ასეთ შემთხვევებში გათვალისწინებულ უნდა იქნას სამედიცინო ეთიკის დაცვა ციხის ექიმების მხრიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ პატიმრების სამედიცინო მომსახურებას, და მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობანი, რომელიმე მესამე მხარის ბეგავლენის მიუხედავად. თუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტია ადასტურებს განცხადებას წამების გამოყენების შესახებ, მაშინ არ შეიძლება დაკავებულის პატიმრობის ადგილზე დაბრუნება, და ის უნდა წარსდგეს პროკურორის ან მოსამართლის წინაშე შემდგომი პატიმრობის პირობების განსაზღვრისათვის<sup>71</sup>.

### C. ოფიციალური გიზიგები პატიმრობის ცენტრებში

126. დაკავებულებთან ვიზიგები მოითხოვს პასუხისმგებლობის გამოჩენას. ცნობილია, რომ ამ მისიის განხორციელება სათანადო ობიექტურობითა და პროფესიონალიზმით შეიძლება მეტად რთული აღმოჩნდეს, განსაკუთრებით ზოგიერთ ქვაყანაში, სადაც ჯერ კიდევ გამოიყენება წამება. ერთჯერადი ვიზიგები, გამოკითხულთა უსაფრთხოების შემდგომი ზომების გამოყენების

<sup>70</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული „პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები“ (ნაწილი II.B).

<sup>71</sup> Anonymous. Health care for prisoners: implications of Kalk's refusal. *Lancet*, 337:647-648.

გარეშე, შეიძლება ძალიან საშიში იყოს. ბოგიერთ შემთხვევაში, უმჯობესია საერთოდ არ მოხდეს ვიზიტების ორგანიზება, ვიდრე განხორციელდეს მხოლოდ ერთი ვიზიტი მისი შესაძლო გამეორების გარეშე. პირები, რომლებიც საუკეთესო განჩრახვით ატარებენ გამოძიებას, შეიძლება შეცდომაში შეყვანილნი აღმოჩნდენ და მოინახულონ ციხე ან პოლიციის უბანი და ამასთან ვერ გაიაჩრონ, თუ რა შეიძლება მოყვეს ამას. მათ შეიძლება მიიღონ არასრული ან დამახინჯებული შთაბეჭდილება რეალურ პირობებზე ან უნებლივთ საფრთხეში ჩააგდონ პატიმრები, რომლებსაც, შესაძლოა, ისინი მეტი ადარ ნახავენ. მათი ვიზიტით შეიძლება ისარგებლონ წამების გამომყენებელმა პირებმა როგორც აღიბით, რაც საშუალებას მიცემს მათ იმის დასამტკიცებლად, რომ უცხო პირებმა მოინახულეს მათი ციხე და არაფერი აღმოაჩინეს.

127. ციხეები ვიზიტით უნდა მოინახულონ გამოძიების ჩამგარებელმა პირებმა, რომლებსაც შეუძლიათ პროფესიულად მოაწყონ ასეთი ვიზიტები და მიიღონ შემდგომი ბომები, აგრეთვე ისინი სარგებლობენ თავიანთ მუშაობაში გარკვეული ჩამოყალიბებული პროცესუალური გარანტიებით. წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ნებისმიერ მტკიცებულებათქა არსებობა ჯობია, ვიდრე მათი საერთოდ არარსებობა. ცდარია, როდესაც საუბარია პატიმრებზე, რომლებიც შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდენ მიცემული ჩვენებების გამო. იმ პირთა მიერ საუკეთესო განჩრახვით პატიმრობის ცენტრების მონახულება, რომლებიც თფიციალურ და არასამთავრობო დაწესებულებებს წარმოადგენენ, შეიძლება დაკავშირებული იყოს სირთულეებთან, უფრო მეტიც, შეიძლება უკუშედეგები გამოიწვიოს. განხილულ შემთხვევაში საჭიროა სხვაობის ხაზგასმა ნამდვილად გამოსაძიებელ ვიზიტებს, რომელთა მიბანშეწონილობა ეჭვის ქვეშ არის, და იმ არააუცილებელ ვიზიტებს შორის, რომლებიც სხვა მიბანს ისახავს და, თუ მათ არასპეციალისტები აფარებენ, შეიძლება უფრო ზიანის მომგანი იყოს, ვიდრე სარგებლობის, ქვეყანაში, რომელშიც გამოიყენება წამება. დამოუკიდებელი კომისიებისათვის, რომელთა შემადგენლობაში იურისტები და ექიმები შედიან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პატიმრობის ადგილებისა და ციხეების პერიოდულად მონახულების შესაძლებლობა.

128. ცხადია, რომ იმ ადამიანთა გამოკითხვა, რომლებიც ჯერ კიდევ პატიმრობაში და, შესაძლოა იმათ ხელში იმყოფებიან, ვინც წამებას იყენებს, განსხვავდება კონფიდენციურ და ისეთ უსაფრთხო პირობებში ჩატარებული გამოკითხვებისაგან, რომლებიც დამოკიდებული არ არის პატიმრობის ადგილზე და სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ბაზე. შეუძლებელია იმისი შეფასება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთ სიტუაციაში ნდობის მოპოვება. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, ბოროტად არ იქნას გამოყენებული ასეთი ნდობა, თუნდაც გაუაზრებლად. აუცილებელია სიფრთხილის ყველა ბომის მიღება იმისათვის, რომ პატიმრობაში მყოფ პირებს საფრთხე არ ემუქრებოდეს. დაკავებულებისაგან, რომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა წამება, საჭიროა ნებართვის მიღება, შეიძლება თუ არა მათგან მიღებული ინფორმაციის გამოყენება და რა სახით. ანგარიშეწორების მოლოდინით ისინი შესაძლოა ძალგედ შექმნებულნი იყვნენ მათი გვარების გამოყენების გამო. გამომძიებლები, ექიმები და თარჯიშნები ვალდებული არიან შეასრულონ დაკავებულისათვის მიცემული დაპირება.

129. შეიძლება წარმოიქმნას აშკარა დილემა, თუ, მაგალითად, ცხადია, რომ მოცემულ ადგილზე ბევრი დაკავებულის მიმართ გამოყენებულ იყო წამება, მაგრამ ყველა მათგანს ეშინია ნება დართოს გამოძიების ჩამგარებელ პირს მათგან მიღებული ინფარმაციის გამოყენებაზე. თუ საჭირო ხდება არჩევანი: წამების ადკვეთისათვის ბოროტად გამოყენებულ იქნას პატიმრების ნდობა ან ასეთი ნდობის შესანარჩუნებლად არ იქნას მიღებული არანაირი გომა, - უნდა მოინახოს გონივრული გამოსავალი ასეთი მდგომარეობიდან. გარკვეული რაოდენობის პატიმართა გამოვლენისას, რომლებსაც ცემისა და გარობგვის აშკარა ნაკვალები, ჯობით მიყენებული ნაგლევი ჭრილობები აქვთ სხეულზე და ა.შ., მაგრამ ყველა ისინი რეპრესიების შიშით უარს ამბობენ ამის შესახებ საუბარზე, მიზანშეწონილია საკნებში მყოფი ყველა პატიმრის „სანიგარული შემოწმება“ ყველას თვალწინ შიდა ეზოში. ასეთნაირად გამოძიების ჩამგარებელი

მედიკოსი, პატიმართა მწერივის ჩამოვლისას, შეძლებს უშუალოდ დაინახოს წამების ნაკვალები მათ ზურგზე და წარადგინოს ანგარიში ნანახის შესახებ; ამასთან, მას არ მოუწევს იმის აღნიშვნა, რომ პატიმრები ჩიოდნენ წამების გამოყენების შესახებ. ეს პირველი ნაბიჯი იქნება პატიმრების ნდობის მოსაპოვებლად, რომელიც აუცილებელია შემდგომი ვიზიტებისათვის.

130. ცხადია, რომ წამების სხვა, უფრო გაწაფული ფორმები, მაგალითად, ფსიქოლოგიური ან სექსუალური, სხვანაირ მიღომას მოითხოვს. ასეთ შეთხვევაში გამოძიების ჩამტარებელ პირებს შეიძლება მოუწევთ კომენტარისაგან თავშეკავება ერთი ან რამდენიმე ვიზიტისას მანამ, სანამ გარემოებანი შესაძლებელს არ გახდის ან არ დაეხმარება პატიმრების დასძლიონ თავიანთი შიში და ნება დართონ მათგან მიღებული ინფორმაციის გამოყენებაზე. ექიმმა და თარჯიმანმა უნდა აცნობონ თავიანთი გვარები და განმარტონ თავიანთი როლი ექსპერტის ჩატარებაში. წამების სამედიცინო მტკიცებულებათა დოკუმენტირება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და ხორციელდება პრაქტიკის მქონე ექიმის მიერ, რომელსაც აქვს შესაბამისი ლიცენზია. წამებისა და მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგების შესახებ ცოდნის მიღება შეიძლება ჰუბლიკაციებიდან, სასწავლო კურსებზე, პროფესიულ კონფერენციებზე, აგრეთვე პრაქტიკის გზით. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს წამებისა და სასტიკი მოპყრობის გამოყენების რეგიონალურ პრაქტიკაში გათვითცნობიერებას, რადგან ასეთი ინფორმაცია შეიძლება ადასტურებდეს ამა თუ იმ პირის შეცყობინების წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ. იმ უნარ-ჩვევათა მიღება, რომელიც აუცილებელია ცალკეულ პირთა გამოკითხვისა და გამოკვლევისათვის, მათგან წამების გამოყენების შესახებ ფიზიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულებების მიღებისა და მიღებული შედეგების დოკუმენტირების მიზნით, ხდება გამოცდილი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

131. ჯერ კიდევ პატიმრობაში მყოფი პირები ბოგჯერ შეიძლება ზედმეტად მიმნდობნი იყვნენ სიტუაციებში, როდესაც მკვლევარს არ შეუძლია იმის გარანტირება, რომ გამოკითხვა არ გამოიწვევს რეპრესიებს: მაგალითად, თუ არ შემდგარა მსჯელობა ხელმეორე ვიზიტის თაობაზე და მთლიანად არ არის შეთანხმებული ეს საკითხი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან, თუ მოცემული პატიმრის პიროვნება არ იყო დადგენილი შემდგომი ბომების ჩასატარებლად. საჭიროა სიფრთხილის ყველა ბომის მიღება იმისათვის, რომ პატიმრებმა გაუმართლებელ საფრთხეში არ ჩაიგდონ თავი იმის იმედით, რომ უცხო პირი შეძლებს მათ დაცვას.

132. იდეალურ შემთხვევაში, პატიმრობაში მყოფი ადამიანების მონახულების დროს მოწვევული უნდა იყვნენ უცხო თარჯიმანები, და არა ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის დაქირავებული პირები. ეს ძირითადად იმისთვის კეთდება, რომ ადგილი არ ჰქონდეს ზეწოლას მათგან ან მათ ოჯახებზე ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, რომლებიც ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა ინფორმაცია გადაეცა გამოძიების ჩამტარებელ პირებს. მდგომარეობა შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმრები სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები არიან, ვიღრე მათი ციხის ზედამხედველები. უნდა იყოს თუ არა ადგილობრივი თარჯიმანი იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელსაც მიეკუთვნებიან პატიმრები, რაც შესაძლებელს გახდიდა მათი ნდობის მოპოვებას, მაგრამ ამავე დროს უნდობლობას გამოიწვევდა ხელისუფლების მხრიდან, რომელიც შეცდებოდა თარჯიმანის დაშინებას? გარდა ამისა, შესაძლოა თარჯიმანი თვითონაც არ მოინდომებდა თავის საფრთხეში ჩაგდებას მტრულ ვითარებაში მუშაობისას. აუცილებელია თუ არა ისეთი თარჯიმანის მოწვევა, რომელიც იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი იქნება, რომელსაც მიეკუთვნებიან ციხის ზედამხედველები, და ამით მათ ნდობას მოიპოვებს, მაგრამ პატიმრების ნდობას დაკარგავს, და ამავე დროს მაინც რისკავს დაშინებულ იქნას ხელისუფლების მხრიდან? იდეალში, ალბად, არცერთი ვარიანტი არ არის მისაღები. თარჯიმანები მოწვევული უნდა იყვნენ სხვა რეგიონებიდან და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი ისეთივე დამოუკიდებელი არიან, როგორც გამოძიების ჩამტარებელი პირები.

133. პირი, რომელთანაც საუბარი სადამოს 8 საათზე ტარდება, ისეთივე ყურადღებას მოითხოვს, როგორც პირი, რომლის გამოკითხვა დილის 8 საათზე ტარდება. გამოძიების ჩამტარებელმა პირებმა იმაზე უნდა იჩრუნონ, რომ მათ საკმარისი დრო ჰქონდეთ, და არ გადაიღალონ. უსამართლობა იქნებოდა, რომ დროის უკმარისობის გამო ბოლომდე არ იყოს მოსმენილი ადამიანი, რომლის გამოკითხვა დანიშნული იყო სადამოს 8 საათზე ( და ამასთან რომელიც მთელი დღე ელოდებოდა, რომ მოეყოლა თავისი ისტორია). ამის ანალოგიურად, მეცხრამეტე ისტორია „ფალანგის“ წამების შესახებ ისეთივე ყურადღებით უნდა იყოს მოსმენილი, როგორც პირველი. პატიმრობაში მყოფ პირებს, რომლებიც იშვიათად ხვდებიან გარეშე პირებს, შესაძლოა არასოდეს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ მოეყოლათ მათ მიმართ გამოყენებული წამების შესახებ. ის პატიმრები, რომლებსაც არ შეუძლიათ გამოძიების ჩამტარებელი პირისათვის რაიმე ახალის შეყყობინება, ისეთივე ყურადღებას მოითხოვენ, როგოსაც სხვა პატიმრები.

#### D. გამოკითხვის ჩატარების მეთოდები

134. გამოკითხვის ჩატარებისას აუცილებელია რამდენიმე ძირითადი წესის დაცვა (იხ. ნაწილი III.C.2.8). ინფორმაციას, უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია გამოსაკითხი პირი, ამიგომ მოსმენის უნარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კითხვების დასმის უნარი. დაკავებულისათვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი ოჯახის ამბის მოყოლა, ვიდრე წამებაზე საუბარი. გამომკითხველმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ეს და გარკვეული დრო დაუთმოს პირად საკითხებზე მსჯელობას. წამება, განსაკუთრებით კი სექსუალური ხასიათის, უაღრესად ინტიმურ საკითხს წარმოადგენს, და ამის შესახებ საუბარი შეიძლება შედგეს მხოლოდ ხელმეორე ვიზიგის დროს, ან უფრო მოგვიანებით. არ შეიძლება აიძულო ადამიანი ისაუბროს წამების რაიმე ფორმაზე, რომელზე საუბარიც მას ეუხერხულება.

#### E. საწყისი ინფორმაციის დოკუმენტური ასახვა

##### 1. დაპატიმრების წინა პერიოდის ფსიქო-სოციალური ანამნეზი და ცხოვრების წესი

135. თუ წამების სავარაუდო მსხვერპლი პატიმრობაში აღარ იმყოფება, გამოძიების ჩამტარებელმა პირმა უნდა მოიპოვოს მონაცემები ამ პირის ცხოვრების წესის, შეგობრებთან და ოჯახში მისი ურთიერთობების, მისი სამსახურისა და სწავლის, პროფესიის, ინტერესების, მომავლის გეგმების, აგრეთვე ალკოჰოლურ სასმელებთან და ნარკოტიკებთან მისი დამოკიდებულების შესახებ. აუცილებელია ასევე ამ ადამიანის გათავისუფლების შემდეგ მის ფსიქო-სოციალურ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება. თუ რომელიმე პირი ჯერ კიდევ პატიმრობაში იმყოფება, მაშინ საკამარისია უფრო მოკლე ფსიქოსოციალური ანამნეზის შედგენა, მისი საქმიანობისა და განათლების დონის მითითებით. საჭიროა მის გამორკვევა, თუ როგორი მედიკამენტოზური მკურნალობა დაენიშნა მოცემულ პაციენტს; ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პატიმრობაში მყოფ პირს შეიძლება უარი ეთქვას ასეთი მედიკამენტებით მკურნალობაზე, რასაც შეიძლება ნეგატიური შედეგი მოჰყვეს მისი ჯანმრთელობისათვის. ინფორმაციის მიღებას პოლიგიკური საქმიანობის, პოლიგიკური შეხედულებებისა და მრწამსის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი მეშვეობით იმის ახსნა შეიძლება, რატომ იყო ეს პირი დაკავებული და რატომ გახდა წამების მსხვერპლი. მაგრამ, უმჯობესია ასეთი მონაცემების მიღება არაპირდაპირი გზით, ანუ მის გარკვევით, რა

ბრალდებია წაყენებული მოცემული პირის მიმართ და, მისი აზრით, რატომ იქნა ის დაკავებული და რატომ გამოიყენეს მის მიმართ წამება.

## 2. მოკლე ინფორმაცია პატიმრობისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ

136. მომხდარი მოვლენების შესახებ დაწვრილებითი მოთხრობის მიღებამდე საჭიროა მოკლე ინფორმაციის შეგროვება პატიმრობაში ყოფის თარიღების, ადგილისა და წამების გამოყენების შემთხვევათა სიხშირისა და ხანგრძლივობის შესახებ, ასეთი მოკლე ინფორმაცია ხელს უწყობს დროის რაციონალურ გამოყენებას. იმ შემთხვევებში, როდესაც წამებაგამოვლილი პირები, რომელთა მიმართ არაერთხელ იქნა გამოყენებული წამება, შესაძლოა, გაიხსენებენ, რა შეემთხვათ მათ, მაგრამ ზუსტად ვერ გაიხსენონ, სად და როგორ მოხდა ცალკეული მოვლენები. ასეთ გარემოებებში, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება იმის მიღწევა, რომ დაბარალებულმა პირმა მოყვეს სასტიკი მოპყრობის ყოველ ხერხზე ცალ-ცალკე, და არა მოვლენათა ჩამონათვალის სახით დაკავების კონკრეტულ შემთხვევებში. ამის ანალოგიურად, ანამნეზის შედგენისას ხშირად სასარგებლობა რაც შეიძლება დაწვრილებით აისახოს დოკუმენტაციაში „სად და რა მოხდა“. უსაფრთხოების, პოლიციისა და სამხედრო ძალების სხვადასხვა სამსახურებს გააჩნია თავიანთი პატიმრობის ადგილები, და მონაცემები იმის შესახებ, თუ რა მოხდა ამ თუ იმ ადგილზე, ხელს შეუწყობს სრული წარმოდგენის შექმნას წამების სისტემის შესახებ. სხვადასხვა ადამიანების მონაყოლის მთლიანი სურათის წარმოსადგენად კარგი იქნებოდა იმ რუქის ქონა, სადაც ხდებოდა წამება. ხშირად ეს მთლიანობაში გამოძიებასაც ხელს უწყობს.

## 3. დაკავების გარემოებები

137. საჭიროა პასუხების მიღება შემდეგ კითხვებზე: რომელი საათი იყო? სად იმყოფებოდით თქვენ? რას აკეთებდით? ვინ იმყოფებოდა თქვენთან ერთად? აღწერეთ იმ პირთა გარეგნობა, რომლებმაც დაგაკავეს. ისინი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები იყვნენ, ფორმით იყვნენ თუ ეცვათ ჩვეულებრივი ტანსაცმელი? რა იარაღი ჰქონდათ მათ? რაზე ლაპარაკობდნენ? იყვნენ თუ არა მოწმეები? ეს ოფიციალური დაპატიმრება იყო, ადმინისტრაციული დაკავება თუ გატაცება? იყო თუ არა გამოყენებული ძალადობა, ან მუქარა? იყო თუ არა რამე კონტაქტი ოჯახის წევრებთან? აღნიშნეთ, უბოჭავლენენ თუ არა ხელ-ფეხს დაკავებულებს, უხუჭავლენენ თუ არა თვალებს, ტრანსპორტის რა საშუალებები იყო გამოყენებული, სად მიიყვანეს დაკავებულები, აგრეთვე მიუთითოთ ამ დროს დამსწრე თანამდებობის პირთა გვარები, თუ ისინი თქვენთვის ცნობილია.

## 4. პატიმრობის ადგილი და პირობები

138. აქ უნდა აღინიშნოს, ამლევლენ თუ არა დაკავებულებს სასმელსა და საჭმელს, და , კერძოდ, რას, შეეძლოთ თუ არა დაკავებულებს ტუალეტით სარგებლობა, აგრეთვე საჭიროა სათავსოს განათების, ტემპერატურისა და ვენტილაციის მითითება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, ჰქონდათ თუ არა დაკავებულს კონტაქტებით ტანაციის წევრებთან, აღვოკატებთან ან ჯანდაცვის მუშაქებთან, ხალხმრავალ საკანში იმყოფებოდა დაკავებული თუ ცალკე საკანში იქნა მოთავსებული, პატიმრობის ადგილის სიღიღე და არის თუ არა სხვა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ იმის დადასტურება, რომ დაკავებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. მიიღეთ პასუხები შემდეგ კითხვებზე: რა მოხდა თავიდან? სად მიგიყვანეს? ჩატარდა თუ არა პიროვნების დაგდენის პროცედურა (პირადი მონაცემების რეგისტრაცია, თითების ანაბეჭდების აღება, ფოტოგრაფირება)? გთხოვთ თუ არა რამებებ ხელის მოწერა? აღწერეთ პირობები საკანში ან

ოთახში (მიუთითეთ მისი სიდიდე, მასში სხვა პირების ყოფნა, განათება, ვენტილაცია, ტემპერატურა, მწერების, მღრღნელების არსებობა, არის თუ არა საწოლი ადგილი, საჭმელი, წყალი და ტუალეტი). რა დაინახეთ და რა მოისმინეთ, რა სუნი იგრძენით? გქონდათ თუ არა კავშირი ადამიანებთან პატიმრობის ადგილის გარეთ, გქონდათ თუ არა სამედიცინო მომსახურება? როგორია იმ ადგილის დაგეგმარება, სადაც თქვენ პატიმრობაში იმყოფებოდით?

### 5. წამებისა და სასტიკი მოპყრობის მეთოდები

139. წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ ამოსავალი ინფორმაციის მიღებისას დიდი სიფრთხილით უნდა შეეთავაზოს გამოსაკითხ პირს სასტიკი მოპყრობის სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც მის მიმართ სავარაუდო იქნა გამოყენებული. ასეთი სიფრთხილე გაზიადებულსა და ნამდვილ ამბავს შორის განსხვავების დადგენის საშუალებას იძლევა. თუმცა, წამების სხვადასხვა ფორმების შესახებ კითხვებზე უარყოფითი პასუხების დახმარებითაც შეიძლება იმის განსაზღვრა, იმსახურებს თუ არა ნდობას მოცემული პირი. გამოყითხვა ისეთნაირად უნდა აიგოს, რომ მიღებულ იქნას გამართული დაწვრილებითი მოთხოვობა. შეიძლება შემდეგი შეკითხვების დასმა: სად ქონდა ადგილი სასტიკ მოპყრობას, როდის და რამდენად დიდხანს? დაუჭული გქონდათ თუ არა თვალები? სასტიკი მოქცევის ფორმებზე მსჯელობის დაწყებამდე აღნიშნეთ ვინ ესწრებოდა ამას (გვარები, თანამდებობები). აღწერეთ ოთახი ან ადგილი. რა საგნები შენიშნეთ? თუ ეს შესაძლებელია დაწვრილებით აღწერეთ წამების იარაღი; დენით წამებისას – დენის პარამეტრები, გამოყენებული მოწყობილობა, ელექტროდების რაოდენობა და ფორმა. შეეკითხ ტანსაცმლის შესახებ: მოუხდა თუ არა ტანსაცმლის გახდა ან გამოცვლა. სიცოვასიცყვით ჩაწერეთ, რაზე იყო საუბარი დაკითხვის დროს, პიროვნების შეურაცხმყოფელი როგორი გამოთქმები იყო გამოყენებული და ა. შ. რაზე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ისინი, ვინც წამება გამოიყენეს?

140. სასტიკი მოპყრობის ყოველი ფორმის მიმართ აღნიშნეთ შემდეგი: სხეულის მდგომარეობა, იმობილიბაციის საშუალებათა გამოყენება, კონტაქტის ხასიათი, მისი ხანგრძლივობისა და სიხშირის ჩათვლით, ხელის ანაფომიური ადგილმდებარეობა და ნაწილი, რომელზეც ბერძნება ხდებოდა. ჰქონდა თუ არა ადგილი სისხლდენას, თავის ტრავმასა და გონების დაკარგვას. ხომ არ იყო გამოწვეული გონების დაკარგვა თავის ტრავმით, გაგუდვით ან ტკივილით? საჭიროა აგრეთვე გარკვევა, როგორ მდგომსრეობაში იმყოფებოდა დაბარალებული წამების შემდეგ? შეეძლო თუ არა მას სიარული? საჭირო გახდა მისთვის დახმარების გაწევა საკანში დაბრუნებისას თუ აუცილებელი შეიქმნა მისი მიგანა საკანში? შეეძლო თუ არა მას საწოლიდან ადგომა მეორე დღეს? რამდენად დიდანს დარჩა მას ფეხების შეშეპება? ყველაფერი ეს უბრუნველყოფს აღწერის გარკვეულ სისრულეს, რომელსაც არ იძლევა წამების მეთოდების საკონტროლო ჩამონათვალი. ანამნეზში აუცილებლად უნდა მიეთითოს „მდგომარეობით“ წამების თარიღი, რამდენჯერ და რამდენი დღის განმავლობაში გამოიყენებოდა მოცემული წამება, ყოველი ეპიზოდის ხანგრძლივობა, რა მდგომარეობაში იყო ჩამოკიდებული დაბარალებული (თავდაყირა, მჭიდრო საბურველში გახვეული ან უბრალოდ თოკით გაკოჭილი ისეთნაირად, რომ მთელი წონა ფეხებზე მოდიოდა და ქაჩავდა ქვემოთ). ჩამოკიდებულ მდგომარეობაში წამების შემთხვევაში, საჭიროა გაირკვეს, რა სახის მასალა გამოიყენებოდა (თოკი, მავთული და ქსოვილი სხვადასხვა ნაკვალევს ტოვებს კანჩე, თუ ასეთი არსებობს). გამოკვლევის ჩამგარებელს უნდა ახსოვდეს, რომ წამებაგამოვლილი პირი მსჯელობს წამების ხანგრძლივობის შესახებ სუბიექტურად და, შესაძლოა, არასწორად, რადგან, ჩვეულებრივ წამების დროს ხდება დეზორიენტირება დროში და სივრცეში. იყო თუ არა მოცემული მსხვერპლი რაიმე სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი? უნდა გაირკვეს, რაზე იყო საუბარი წამების დროს. მაგალითად, ელექტროშოკით წამების დროს სასქესო ორგანოებთან ელექტროდების

მიერთების გმით, ამ წამების განმახორციელებელი პირები ეუბნებიან თავიან მსხვერპლებს, რომ მათ არასდროს აღარ ექნებათ ნორმარული სქესობრივი ცხოვრება, ან რაღაც ამდაგვარს. დაწვრილებითი მსჯელობა საკითხზე სექსუალური ხასიათის წამების, მათ შორის გაუპატიურების შესახებ განცხადებების შეფასების თაობაზე.

#### F. ამოსაგალი ინფორმაციის შეფასება

141. წამების კონკრეტული წვრილმანების შესახებ მოყოლა შეიძლება მძიმე აღმოჩნდეს წამებაგამოვლილ პირისათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიზების გამო, მათ შორის:

- ა) ფაქტორები, რომლებიც წინ უძლვოდა თავად წამებას, მაგალითად, თვალების დაკარგვა და ა.შ.;
- ბ) საკუთარი თავისა და სხვების საფრთხეში ჩაგდების შიში;
- გ) უნდობლობა დათვალიერების ჩამტარებელი ექიმის ან თარჯიმანის მიმართ;
- დ) წამების ფსიქოლოგიური შედეგები და ტრავმები, მაგალითად, ძლიერი ემოციური აღგზნება და მეხსიერების აშლილობა ტრავმით გამოწვეული სულიერი დაავადების შედეგად, როგორიცაა დეპრესია ან პოსტტრავმული სტრესული აშლილობა;
- ე) მექსიერების ნეირო-ფსიქიატრიული აშლილობა თავშე დარტყმების მიენების, გაგუდვის, წყალში ჩაძირვის ან შიმშილის შედეგად;
- ვ) ისეთი დამტავი საადაპტაციო მექანიზმები, როგორც უარყოფა და თავის დაძვრენა;
- ზ) მოცემული კულტურით დაწესებული შეზღუდვები, რომელთა თანახმად მოყოლა მიღებული ტრავმების შესახებ ნებადართულია მხოლოდ მკაცრი კონფიდენციურობის პირობებში<sup>72</sup>.

142. ამ ფაქტორთაგან ნებისმიერი ან ყველა ერთად შეიძლება შეუსაბამობათა მიზები გახდეს ამა თუ იმ პირის მონაყოლში. თუ ეს შესაძლებელია, გამოძიების ჩამტარებელმა პირმა უნდა მიაღწიოს შემდგომი ახსანა-განმარტებების მიღებას. თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, გამოძიების ჩამტარებელმა პირმა უნდა მოიპოვოს ამ მონაყოლის უარყოფელი ან დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებანი. ურთიერთშეთანხმებული დამატებითი წვრილმანების ერთობლიობამ შეიძლება დაადასტუროს ან დააზუსტოს დაბარალებულის მონაყოლი. მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება ვერ შეძლოს გამოძიების ჩამტარებელი პირისთვის საჭირო წვრილმანების, მაგალითად, თარიღის, დროის, პერიოდულობის და იმ პირის შესახებ ზუსტი მონაცემების შეფყობინება, რომელიც წამებას იყენებდა, მოვლენათა აზრი და ტრავმის გამომწვევი წამების ხასიათი მაინც გაირკვევა და დადგენილი იქნება.

#### G. წამების მეთოდების ანალიზი

143. მოვლენების შესახებ დაწვრილებითი მოთხოვნის მიღების შემდეგ მიზანშეწონილია წამების სხვა შესაძლო მეთოდების გაანალიზება. აუცილებელია წამების გამოყენების რეგიონალური პრაქტიკის გაცნობა და გამოძიების ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოცემული ადგილის მიმართებაში. წამების კონკრეტული ფორმების შესახებ გამოკითხვის ჩატარებას შეუძლია დახმარების გაწევა იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) ფსიქოლოგიური სიმპტომები ხელს უშლის ადამიანს მოვლენების გახსენებაში;
- ბ) ტრავმა დაკავშირებულია სენსორული აღქმის დარღვევასთან;
- გ) არსებობს თავის ტვინის ორგანული დაბიანების აღბათობა;

დ) არსებობს შემაკავებელი საგანმანათლებლო და კულტურული ფაქტორები.

144. ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდების გამიჯვნა ხელოვნურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, სექსუალური ხასიათის წამება, რორც წესი, იწვევს როგორც ფიზიკურ ასევე ფსიქოლოგიურ სიმპტომებს მაშინაც კი, როცა ადგილი არა აქვს ფიზიკურ ძალადობას. წამების მეთოდების ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი მოცემულია შესაძლო სასტიკი მოპყრობის ზოგიერთი კატეგორიის დემონსტრირების მიზნით. ის არ არის განკუთვნილი იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას გამოძიების ჩამოგრებელი პირების მიერ საკონტროლო ჩამონათვალის ან ანგარიში წამების მეთოდების ჩამოსათვლელად ნიმუშის სახით. მეთოდების ჩამონათვალის გამოყენებამ შეიძლება მოსალოდნელის საწინააღმდეგო შედეგები გამოიღოს, რადგან წამების შედეგად წარმოქმნილი ბოგადი კლინიკური სურათი არ დაიყანება სიაში მითითებული მეთოდების საშუალებით მიყენებული სხეულის დაზიანებების უბრალო ერთობლიობამდე. არსებითად, გამოცდილება უჩვენებს, რომ წამებისადმი ასეთ „კომპლექსურ“ მიღვომასთან შეჯახებისას, წამების გამომყენებელი პირები ხშირად ამახვილებენ ყურადღებას ერთერთ მეთოდზე და იწყებენ დავას, რომ ეს კონკრეტული მეთოდი წამების ფორმას წარმოადგენს. წამების მეთოდებს, რომლებიც საჭიროა განიხილოს მიეკუთვნება შემდეგი მეთოდები, და არა მხოლოდ ისინი:

ა) ბლაგვი საგნით ტრავმის მიყენება, მაგალითად, დარტყმები მუშტით, ფეხით, სილის გაწვნა, ცემა, ცემა ელექტრომავთულით ან ხელკეფით, ან წაქევა;

ბ) წამება მდგომარეობით, რომლის დროს გამოიყენება ჩამოქიდება, კიდურების გაწელვა, ხანგრძლივი იმობილიზაცია, გარკვეულ მდგომარეობაში ყოფნის დაძალება;

გ) დამწვრობის მიყენება სიგარეტებით, გავარვარებული ინსტრუმენტებით, მდუღარე სითხით ან რაიმე მწვავე ნივთიერებით;

დ) ელექტროშოკი;

ე) ასფიქსია, მაგალითად, „ნოგიო“ და „მშრალი“ მეთოდების გამოყენება, წყალში ჩაძირვა თავით, გაგუდვა, მოხრჩობა ან ქიმიური ნივთიერებების გამოყენება;

ვ) სხეულის ნაწილების გაჭეშყვა, მაგალითად, თითებზე ძლიერი დარტყმით ან ცილინდრის ფორმის მიმებ საგნის გამოყენებით თემოებზე ან ზურგბე ტრავმების მისაყენებლად;

ზ) გამჭოლი ტრავმების მიყენება, მაგალითად, ნაჩხვლეტი ან ცეცხლსასროლი ჭრილობების, ფრჩხილების ქვეშ ნემსების ჩარჭობა;

თ) მარილის, ცხარე წიწაკის, ბენზინის და ა.შ. ქიმიური თვისებების გამოყენება (ჭრილობებზე ან სხეულის სხვადასხვა დრუში);

ი) სექსუალური ძალადობა სასქესო ორგანოების დაზიანებით, სექსუალური ძალადობის მცდელობები, სხვადასხვა საგნების გამოყენება, გაუპატიურება;

კ) თითების ან კიდურების გაჭეშყვა ან მოჭრა;

ლ) თითების ან კიდურების ამპუტაცია, ორგანოების ამპუტაცია ქირურგიული გზით;

მ) ფარმაკოლოგიური წამება სედატიური, ნეიროლეპტიური ან პარალიტიკური პრეპარატების ტოქსიური დოზების გამოყენებით და ა.შ.;

ნ) პატიმრობის პირობები, მაგალითად, პატარა ფართის მქონე ან ხალხით გატენილი საკანი, ცალკე საკანი, ანგისანიფარული პირობები, ტუალეტის არქონა, არარეგულარული კვება ან მოწამლული საკვები და წყალი, ექსტრემალური ტემპერატურის ზემოქმედება, უარის თქმა განმარტოების უფლებაზე და იძულებითი სიშიშვლე;

ო) უფლების ჩამორთმევა ნორმალურ სენსორულ სტიმულირებაზე, მაგალითად, ხმებზე, სინათლეზე, დროის შეგრძნებაზე, იზოლირება, საკანში განათებასთან დაკავშირებული

<sup>72</sup> Mollica R.F. and Caspi-Yavin Y. Overview: the assessment and diagnosis of torture events and symptoms. B: Ba o lu, M., cd.

განიპულაციები, უფლების ჩამორთმევა ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე, უფლების ჩამორთმევა ნორმალური ხანგრძლივობის ძილზე, საჭმელზე, წყალზე, ტეალეტით სარგებლობაზე, ჩამობანის შესაძლებლობაზე, აქციური მოძრაობის შეზღუდვა, უფლების ჩამორთმევა სამედიცინო დახმარების მიღებაზე, სოციალურ კონტაქტებზე, იზოლირება ციხის შიგნით, გარე სამყაროსთან კონტაქტზე (მსხვერპლები ხშირად მოთავსებული არიან ცალკე საკენებში, პატიმრების შორის კავშირისა და ინფორმაციის გაცვლის აღსაკვთად, აგრეთვე წამების გამოყენებელი პირების მიმართ პათოლოგიური სიმპათიის წარმოქმნის ხელშესაწყობად);

3) დამცირება, მაგალითად, სიცევიერი შეურაცხყოფა, ადამიანის დამამცირებელი მოქმედებების ჩადენის ძალდაგანება;

რ) სიკვდილის, ოჯახის წევრებისათვის ვნების მიყენების, წამების გაგრძელების, ციხეში ჩაჯენის მუქარა, სიკვდილით დასხის იმიტაცია;

ს) ცხოველების, მაგალითად, ძალების, კატების, ვირთხებისა და მორიელების თავდასხმის მუქარა;

ტ) პიროვნების ნების ჩახშობის ფსიქოლოგიური მეთოდები, როდესაც ადამიანს აიძულებენ მოღალატეობას, როდესაც ადამიანი გრძნობს თავის უსუსურობას, აღმოჩნდება ორაბროვან სიფუაციებში ან ღებულობს საპირისპირო შეტყობინებების;

უ) აკრძალვების დარღვევა;

ფ) ძალადობის მოხდენა ქცევაზე, როგორიცაა პიროვნების რელიგიის საწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენის დაძალება (მაგალითად, მუსლიმანების ძალდაგანება იმაზე, რომ ჭამონ ღორის ხორცი), წამების ან ძალადობის სხვა აქტების დახმარებით სხვებისთვის ზიანის მიყენების, ქონების განადგურების, მოღალატეობის დაძალება, რომლის შედეგად სხვა ადამიანები საფრთხეში ვარღვებიან;

გ) წამების ან სხვა ადამიანების მიმართ ბოროტმოქმედების ჩადენის დროს დასწრების დაძალება.

## H. გამოსაკითხი პირის განმეორებითი ტრავმირების რისკი

145. იმის გათვალისწინებით, რომ სხეულის სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დაზიანებები წამების გამოყენებულ მეთოდებს შეესაბამება. სრული სამედიცინო ანამნეზის შედგენისა და ფიზიკალური გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მიღებული მონაცემები უნდა შეფასდეს ლაბორატორიული და რენტგენოლოგიური გამოკვლევების შესაბამის შედეგებთან ერთად. ინფორმაციითა და განმარტებებით უზრუნველყოფა სამედიცინო ექსპერტის დროს გამოყენებული ყოველი პროცედურის მიხედვით, აგრეთვე ლაბორატორული მეთოდების საფუძვლიანი ცოდნა არსებით როლს თამაშობენ (იხ. ნაწილი VI.B.2.a).

146. წამებაგამოვლილ პირებში ფსიქოლოგიური გართულებების, კერძოდ, პოსტრავმატული სტრესული აშლილობის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს წამების მსხვერპლებში წამებისას გადატანილი შეგრძნებების ხელმეორედ განცდის შიში გამოკითხვის, სამედიცინო დათვალიერებისა და ლაბორატორიული გამოკვლევების დროს. სამედიცინო გამოკვლევის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს წინასწარი განმარტება წამებაგამოვლილი პირისათვის, რას უნდა მოელოდეს ის. წამებაგამოვლილ და იმავე ქვეყანაში დარჩენილ პირებს შეიძლება განმეორებითი დაპატიმრების შიში ჰქონდეთ; განმეორებითი დაპატიმრებისაგან თავის დაძვრენის მიზნით ისინი ხშირად იძულებული არიან იატაკქვეშეთში

იმყოფებოდნენ. მათ, ვინც გადასახლებაშია ან ლტოლვილი ხდება, შესაძლოა მოუწიოთ მშობლიური ენის, თავისი კულტურის, ოჯახის, მეგობრების, სამუშაოს და ყველაფერი იმის დაკარგება, რაც მათთვის ნაცნობი და ძვირფასია.

147. წამებაგამოვლილი ადამიანის პირად დამოკიდებულებამ გამოკითხვის ჩამტარებელი პირის მიმართ (აგრეთვე თარჯიმანის მიმართ, თუ ის მოწვეულია) შეიძლება გავლენა მოახდინოს გამოკითხვის ჩატარების პროცესზე და, აგრეთვე, გამოძიების შედეგებზე. ამის ანალოგიურად, გამოძიების ჩამტარებელი პირის პირადმა დამოკიდებულებამ გამოსაკითხი პირის მიმართ ასევე შეიძლება გავლენა მოახდინოს გამოკითხვის მსვლელობაზე და გამოძიების შედეგებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ეფექტური ურთიერთობისა და ურთიერთგაცების ხელშემშლელ შეფერხებათა შესწავლას, რომლებმაც შეიძლება შექმნას ეს პირადი დამოკიდებულება გამოძიების მსვლელობაში. გამოძიებით დასაქმებულმა პირებმა გამუდმებით უნდა შეისწავლონ გამოკითხვისა და გამოძიების პროცესი კოლეგებთან კონსულტაციებისა და დისკუსიების მეშვეობით, რომლებიც ჩახედულნი არიან ფსიქოლოგიური ექსპერტისა და წამებაგამოვლილი პირების მეურნალობის საკითხებში. ასეთი სახის ზედამხედველობა იმავე წრის პირთა მხრიდან შეიძლება ქმედითი საშუალება აღმოჩნდეს იმ გადახრებისა და შეფერხებათა გამოსავლენად, რომლებიც ხელს უშლის ეფექტური ურთიერთობების დამყარებას გამოძიების პროცესში და ზუსტი ინფორმაციის მიღებას (იხ. ნაწილი VI.C.2).

148. სიფრთხილის ყველა ბომის მიუხედავად, ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა, თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება პოსტტრავმატული სტრესის სიმპტომების პროცესირებით ან გაძლიერებით ხელახალი ტრაგმა მიაყენოს პაციენტს მტკივნეული მოგონებების გამომწვევი წვრილმანების გამორკვევის დროს (იხ. ნაწილი VI.B.2). უმეტესად ტრადიციულ საზოგადოებაში ფსიქოლოგიურ ტანჯვებთან, განსაკუთრებით, სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებული საკითხები აკრძალულია მსჯელობისათვის, და ამგვარი შეკითხვების დასმა უპატივცემლობას ან შეურაცხყოფის მიყენებას ნიშნავს. თუ ჩადენილ ძალადობის აქტებს შორის იყო სექსუალური წამება, მაშინ საჩივრის მომწოდებელს შეიძლება მიაჩნდეს, რომ მას წარუშლელი ლაქა ადევს და მის მორალურ, რელიგიურ, სოციალურ ან ფსიქოლოგიურ მთლიანობას განვითარებული აქვს მიყენებული. ამრიგად, ამ ნორმებისადმი მოწიწებული მიღებით გამოხატვას, აგრეთვე იმის დაზუსტებას, როგორ უნდა განიმარტოს კონფიდენციურობა და მისი საზღვრები, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს გამოკითხვის წარმატებით ჩატარებისათვის. საჭიროა სუბიექტურად შეფასდეს, რამდენად შეიძლება ზეწოლის გამოყენება წვრილმანების დასაზუსტებლად იმისათვის, რომ სასამართლოში გამოსვლა იყოს ეფექტური, განსაკუთრებით, თუ საჩივრის მომწოდებელი აშკარად დელავს გამოკითხვის ჩატარების დროს.

## I. თარჯიმანების მოწვევა

149. არსებობს უამრავი მიზები, რომლის გამო საჭირო ხდება თარჯიმანის მოწვევა იმისათვის, რომ გამოძიების ჩამტარებელმა პირმა გაიგოს, რაბეა საუბარი. მაშინაც კი, როდესაც გამოკითხვის ჩამტარებელი და გამოსაკითხი პირი გარკვეულ წილად ფლობენ ერთსა და იმავე ენას, ხოლო მოსაპოვებელი ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია, უნდა გამოირიცხოს ერთმანეთის არასწორად გაგების შედეგად შეცდომის წარმოქმნის შესაძლებლობა. თარჯიმანებს უნდა განემარტოს, რომ ყველაფერი, რასაც ისინი მოისმენენ და გადათარგმნიან, მკაცრად კონფიდენციურია. სწორედ თარჯიმანები ღებულობენ მთელ ინფორმაციას პირველი ხელიდან და ყოველგვარი ცენტურის გარეშე. გამოსაკითხი პირებს ეძლევათ იმის გარანტია, რომ

არც გამოძიების ჩამტარებელი პირი და არც თარჯიმანი ბოროტად არ გამოიყენებენ მიღებულ ინფორმაციას (იხ. ნაწილი VI.C.2).

150. თუ თარჯიმანი არ არის პროფესიონალი, ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ გამოძიების ჩამტარებელი პირი დაკარგავს კონფრონტს გამოძიების მსვლელობაზე. გამოსაკითხი პირები შეიძლება იმდენად გაერთონ მათ ენაზე მოლაპარაკე პირთან საუბრით, რომ გამოკითხვა გასცილდეს განსახილველ თემას. არსებობს აგრეთვე იმის საშიშროებაც, რომ თარჯიმანი წინასწარაკვიატებულობის გამო მისახვედრ კითხვებს დასვამს ან დაამახინჯებს პასუხებს. თარჯიმანის დახმარებით მუშაობისას გარდაუვალია ნაწილი ინფორმაციის დაკარგვა, ზოგჯერ – მეტად მნიშვნელოვანის, ზოგჯერ კი – უმნიშვნელოს. უკიდურეს შემთხვევებში გამოძიების ჩამტარებლებს, შესაძლოა, მოუხდეთ თავშეეკავება გამოკითხვის დროს ჩანაწერების გაკეთებაზე, და გამოკითხვის ჩაფარება რამდენიმე მოკლე სეანსად იმისათვის, რომ ამ სეანსებს შორის შესვენებების დროს მოასწორო მონაცემის ძირითადი დებულებების ჩაწერა.

151. გამოძიების ჩამტარებელ პირებს უნდა ახსოვდეთ, რომ უნდა მიმართონ უშეალოდ გამოსაკითხ პირს და უყურონ მას თვალებში მაშინაც კი, როდესაც მათთვის უფრო ბუნებრივია - მიმართონ თარჯიმანს. თარჯიმანის მეშვეობით ურთიერთობისას უმჯობესია მიმართოთ მეორე (მაგალითად, „რა გააკეთეთ თქვენ შემდგომ“), და არა მესამე პირში („კითხეთ მას, რა მოხდა შემდეგ“). ძალიან ხშირად გამოძიების ჩამტარებელი პირები აკეთებენ ჩანაწერებს იმ მომენტში, როდესაც ან თარჯიმანი თარგმნის შეკითხვას, ან გამოსაკითხი პირი პასუხობს ამ შეკითხვაზე. ზოგჯერ გამოძიების ჩამტარებელი პირები, როგორც სჩანს, ყურადღებით თვალყურს არ ადეკვატურა საუბარს, რადგან გამოკითხვა მიმდინარეობს მათთვის გაუგებარ ენაზე. ეს დაუშვებელია, რადგან, მნიშვნელოვანია, რომ გამოძიების ჩამტარებელმა პირებმა, თუ მათ სურთ წარმოდგენა იქნიონ მომხდარის შესახებ, თვალყური უნდა ადევნონ არა მხოლოდ მეტყველებას, არამედ გამოსაკითხი პირის ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, ხმის ტონს და მიმიკას. გამოძიების ჩამტარებელმა პირებმა უნდა დაიმახსოვრონ გამოსაკითხი პირის მიერ გამოთქმული წამებასთან დაკავშირებული სიტყვები, რათა უჩვენონ თავიანთი გათვითცნობიერება ამ საკითხში. ცოტხალი რეაქცია, და არა სიმშეიდის დემონსტრირება წამებასთან დაკავშირებული ისეთი სიტყვების წარმოთქმისას, როგორიცაა „სუბმარინო“ ან „დარმაშაკრა“, გაამყარებს ნდობას გამომძიებლის მიმართ.

152. პატიმრების მონახულებისას უმჯობესია არ იქნას მოწვევული ადგილობრივი თარჯიმანები, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ისინი ნდობით არ სარგებლობენ გამოსაკითხ პირთა შორის. ასევე არასამართლიანი იქნებოდა ადგილობრივი თარჯიმანების მოწვევა პოლიციკურ პატიმრებთან სამუშაოდ, რადგან პატიმართან ვიზიგის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიძლება „საუბარი“ ჩააფარონ მათთან ან სხვაგვარად მოახდინონ მათგან ზეწოლა. ყველაზე უკეთესია დამოუკიდებელი თარჯიმანების მომსახურებით სარგებლობა, რომელიც აშკარად არ არიან ადგილობრივი მაცხოვერებლები. თუ გამოძიების ჩამტარებელი პირი თავისუფლად არა ფლობს ადგილობრივ ენას, მან უნდა იმუშაოს კარგად მომზადებულ და ჭევიან თარჯიმანთან ერთად, რომელიც კარგად ერკევება წამების საკითხებში და იცის ადგილობრივი კულტურის თავისებურებანი. როგორც წესი, სასურველი არ არის თარჯიმანის როლში იმ პატიმრების გამოყენება, რომლებიც მოთავსებულნი არიან გამოსაკითხ პირთან ერთად. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც ცხადია, რომ გამოსაკითხმა პირმა აირჩია ვინმე, ვისაც ის ენდობა. ამ წესების უმეტესობა გამოიყენება აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ იმყოფებიან პატიმრობაში, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო ადვილია ვინმეს მონახვა გარედან (ადგილობრივი პირის), რაც საეჭვოა შესაძლებელი იყოს ციხის პირობებში.

## J. გენდერული საკითხები

153. იდეალურ შემთხვევაში საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ თრივე სქესის სპეციალისტები, რაც საშუალებას აძლევს პირს, რომელიც ამტკიცებს, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნა წამება, აირჩიოს ექსპერტის და, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანის სქესი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალის პატიმრობაში ყოფნისას, როდესაც ცნობილია, რომ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას, იმ შემთხვევებშიც კი, თუ მას ჯერ არ შეუტანია შესაბამისი საჩივარი. წამების უმრავლესობას სექსუალური ასპექტები აქვს პირდაპირი სექსუალური ძალადობის არარსებობის შემთხვევაშიც კი (იხ. ნაწილი V. D.8). ხშირად განმეორებითი ტრაგმირება ძლიერდება, თუ ქალი შეიგნებს, რომ მან უნდა მოუყვეს გადაფანილი ამბავი პირს, რომელიც ფიზიკურად აგონებს მას თავის ჯალათებს, რომლებიც ძირითადად ან უკლებლივ ყველა მამრობითი სქესისაა. ზოგიერთ კულტურაში გამოძიების ჩამტარებულ მამრობითი სქესის პირს უფლება არა აქვს დაკითხოს დაბარალებული ქალი, და ეს წესი დაცული უნდა იყოს. მაგრამ უმეტეს კულტურაში, თუ არის მხოლოდ მამაკაცი ექიმი, ბევრი ქალი მისთვის საჭირო სამედიცინო ინფორმაციისა და კონსულტაციის მისაღებად ამჯობინებენ ამ ექიმთან საუბარს, და არა სხვა პროფესიის ქალთან. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ თარჯიმანი, თუ ის საჭიროა, იყოს ქალი. ზოგიერთი გამოსაკითხი პირისათვის შეიძლება უმჯობესი იყოს, თარჯიმანი არ იყოს ადგილობრივი მაცხოვრებელი, რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ მოგონებებთან წამების შესახებ, არამედ მათი საიდუმლოების გახმაურების საშიშროებასთან (იხ. ნაწილი IV.I). თუ თარჯიმანი საჭირო არ არის, მაშინ საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი ქალი უნდა ესწრებოდეს, სულ ცოტა, სამედიცინო დათვალიერებას, და პაციენტის სურვილით გამოკითხვის მთელ მსვლელობას.

154. თუ მსხვერპლი მამაკაცია, რომლის მიმართ გამოყენებული იყო სექსუალური ძალადობა, მაშინ სიტუაცია იმით რთულდება, რომ რომ პირები, რომლებმაც ჩაიდინეს მის მიმართ სექსუალური ძალადობა, უმეტესად ან უკლევლივ ყველა იყო მამაკაცი. ამიტომ, ზოგიერთი მამაკაცი სხვა მამაკაცების მიმართ შიშის გამო ამჯობინებს მოუყვეს თავისი ამბავი ქალებს, მაშინ როდესაც სხვა მამაკაცებს არ სურთ პირად საკითხებზე მსჯელობა ქალების თანდასწრებით.

## K. სპეციალისტებთან მიმართვის ჩვენებანი

155. სამედიცინო გამოკვლევათა ჩატარება სასამართლო-სამედიცინო მიზნებისათვის წამების შემთხვევათა დოკუმენტირებისათვის შეძლებისდაგვარად უნდა შეუთავსდეს ექიმ-სპეციალისტებთან, ფსიქოლოგებთან, ფიზიოთერაპევტებთან, აგრეთვე იმ სამსახურებში მიმართვის მოთხოვნის შეფასებას, რომლებსაც შეუძლიათ სოციალური კონსულტაციის ან დახმარების გაწევა. გამოძიების ჩამტარებელი პირებისათვის ცნობილი უნდა იყოს რეაბილიტაციისა და დახმარების გაწევის ადგილობრივი სამსახურები. ექიმმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაუინებით უნდა მოითხოვოს ნებისმიერი კონსულტაცია ან ნებისმიერი გამოკვლევა, რომელსაც ის აუცილებლად ჩათვლის სამედიცინო ექსპერტის ჩარჩოებაში. წამებისა და სასტიკი მოპყრობის სამედიცინო მტკიცებულებების დოკუმენტირების მსვლელობაში ექიმები არ თავისუფლდებიან თავიანთი მორალური მოვალეობებისაგან. მათ, ვისაც ესაჭიროება შემდგომი სამედიცინო ან ფსიქოლოგიური დახმარება, მიმართვა უნდა მიიღონ შესაბამის სამსახურებში.

## L. მიღებული მონაცემებისა და დასკვნების ინტერპრეტირება

156. წამების ფიზიკური კვალი შეიძლება განსხვავდებოდეს სასტიკი მოპყრობის ინტენსიურობის, სიხშირისა და ხანგრძლივობის, წამების მსხვერპლის თავდაცვის უნარის, და წამების წინ პატიმრობაში მყოფი პირის ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით. წამების სხვა სახეებმა შეიძლება არ დაფორს ხილული ნაკვალევი, მაგრამ პქონდეს სხვა შედეგები. მაგალითად, თავზე დარტყმებმა, რომელთა შედეგად პატიმარმა გონება დაკარგა, შეიძლება გამოიწვიოს პოსტრავმული ეპილეფსია ან თავის ტვინის ორგანული დისფუნქცია. გარდა ამისა, ცუდმა კვებამ და პატიმრობის ცუდმა პირობებში შეიძლება გამოიწვიოს ვიტამინების უქმარისობის სინდრომი.

157. წამების ბოგიერთ სახეს უცვლელად თან სდევს კონკრეტული შედეგები. მაგალითად, თავზე დარტყმებს, რომელთა შედეგად პატიმარმა გონება დაკარგა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავის ტვინის ორგანული დისფუნქციის კლინიკური დაიგნოზისათვის. სასქესო ორგანოების ტრავმირება ხშირად დაკავშირებულია სასქესო ფუნქციის შემდგომ აშლილობასთან.

158. მნიშვნელოვანია იმის შეგნება, რომ პირებმა, რომლებიც წამებას იყენებენ, შეიძლება სცადონ თავიანთი ქმედებების დამალვა. იმისათვის, რომ ცემის ნაკვალევი არ დარჩეს, ამ სახით წამებისას გამოიყენება ფართო ბლაგვი საგნები, ხოლო წამების მსხვერპლს ბოგჯერ აფარებენ გადასაფარებელს ან, „ფალანგას“ წამების შემთხვევაში, აცევენ ფეხსაცმელს, რათა ცალკე დარტყმების ძალა თანაბრად განაწილდეს. ქსოვილების გაჭიმვა, გაჭეჭყა და ასფიქსია აგრეთვე წამების სახეებია, რომელთა მიზანია – მაქსიმალური ტკივილისა და ტანჯვის მიყენება და მინიმალური ნაკვალევის დატოვება. ამავე მიზეზით ელექტროშოკით წამებისას შეიძლება გამოყენებული იყოს სველი ტილო.

159. ანგარიშში მოყვანილი უნდა იყოს მონაცემები გამომიების ჩამტარებული პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. თუ შესაძლებებლია, საჭიროა მოწმის ან პაციენტის გვარის მითითება. თუ ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას გამოსაკითხ პირს, მაშინ გამოიყენება პირობითი ნიშნები, რომლებიც იმის მიხვედრის საშუალებას აძლევს საგამოძიებო ჯგუფს, ვისბეა საუბარი ჩანაწერებში, მაგრამ არავის არ აძლევს ამ ადამიანის პიროვნების დადგენის შესაძლებლობას. აუცილებელია მიეთითოს, კიდევ ვინ იმყოფებოდა ოთახში მთლიანი ან ნაწილობრივი გამოკითხვის დროს. ანგარიში უნდა შეიცავდეს შესაბამისი ინფორმაციის დაწერილებით აღწერას (თავიდან აცილებულ უნდა იქნას ჩვენებანი სხვისი გადმოცემით) და, საჭიროებისას, დასკვნებსაც. ანგარიში უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შეიცავდეს ნებისმიერ აუცილებების განცხადებას, რომელიც მოითხოვება იმ ორგანოების იურისდიქციის ჩარჩოებში, რომელთათვისაც ის შედგენილია (იხ. დანართი IV).

## თავი V

### ნამების ზიგიპური მტკიცება ულებანი

160. მოწმეთა და წამებაგამოვლილ პირთა ჩვენებანი წამების დოკუმენტირების აუცილებელი კომპონენტებია. თუკი სახებეა ფიზიკური მტკიცებულებანი, მაშინ დასტურდება მოცემულ პიროვნებაზე წამება, თუმცა ვარაუდი ფიზიკური მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში თითქოს წამებას ადგილი არ ჰქონია მცდარია, რამეთუ ასეთი ძალადობის აქტები ხშირ შემთხვევაში ნაკვალეებს არ სჭირდება.

161. მართლმსაჯულების მიზნით, აუცილებელია სამედიცინო ექსპერტიზა თბიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარდეს. იყო უნდა ეფუძნებოდეს ექიმის ცოდნას მედიცინის დარგში და მის პროფესიულ გამოცდილებას. მორალური ვალდებულება აკეთო სიკეთე, მოითხოვს ზედმიწევნით სიბუსტეს და მიუკერძოებლობას, რათა შექმნა და შეინარჩუნო პროფესიული რეპუტაცია. ექიმებს, რომლებიც იკვლევენ პატიორებს, შეძლებისდაგვარად უნდა ჰქონდეთ კონკრეტული, სპეციალური ცოდნა წამების სასამართლო დოკუმენტირების სფეროსა და, აგრეთვე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა ფორმების შესახებ. მათთვის ცნობილი უნდა იყოს ციხის პირობები და წამების ის მეთოდები, რომელსაც იყენებენ იმ რეგიონში, სადაც პაციენტია მოთავსებული და, აგრეთვე, წამების დამახასიათებელი შედეგები. სამედიცინო დასკვნა გუსტად უნდა იყოს ფორმულირებული და ეფუძნებოდეს ფაქტებს. უნდა მოვერიდოთ პროფესიულ უარგონებებს. სამედიცინო ტერმინოლოგია უნდა აიხსნას, რათა არაპროფესიონალისათვის გასაგები იყოს. ექიმმა არ უნდა ჩათვალოს, რომ თანამდებობის პირმა, რომელმაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა, აუწყა ყველა არსებითი, მნიშვნელოვანი ფაქტი. ექიმი ვალდებულია გამოავლინოს ნებისმიერი არსებითი გარემოება, რომელიც, მისი ვარაუდით, საქმეს ეხება, შეიტყოს მათ შესახებ, თუნდაც საქმეს არ ეხებოდეს ან არასასურველი იყოს იმ მხარის ვერსიისათვის, რომელმაც სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება მოითხოვა. მონაცემები, რომლითაც მტკიცდება წამების გამოყენება და სხვა სახის სასტიკი მოპყრობა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მოხსენებიდან არანაირი გარემოებების პირობებში არ უნდა იყოს ამოღებული.

#### A. გამოკითხვის ჩატარების სქემა

162. ეს შენიშვნები, ძირითადად, ეხება იმ ადამიანთა გამოკითხვას, რომლებიც ადარ იმყოფებიან საპატიმროში. დათვალიერებისა და გამოკითხვის ადგილი გედმიწევნით უსაფრთხო და მოხერხებული უნდა იყოს. ვრცელ გამოკითხვასა და გამოკვლევას საკმარისი დრო უნდა დაეთმოს. წამების ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შეფასებისათვის ორი-ოთხსაათიანი გამოკითხვა შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს. ამას გარდა, ექსპერტის ჩატარების ნებისმიერ მომენტში კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე გამოწვეველმა ცვლილებებმა – გამოკითხვის ჩატარების ტემპი, რასაც თან სდევს პირად ცხოვრებაში ჩარევა, უმწეობის შეგრძნება, მომავალში დევნის შიში, მომხდარზე სირცხვილი, წამების შემდეგ სიკვდილს გადარჩენილი ადამიანის დანაშაულის გრძნობა – შეიძლება გაახსენოს პაციენტს გადატანილი წამება. ამან ყველაფურმა შეიძლება უფრო დააფრთხოს პაციენტი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების სურვილი დაკარგვინოს. და ამდენად, ექსპერტიზის დასრულებისათვის აუცილებელი ხდება მეორე და ბოგჯერ მესამე გამოკითხვაც.

163. სასტიკი მოპყრობის გუსტი სურათის დასადგენად აუცილებელია ნდობის ფაქტორი. იმისათვის რომ დაიმსახურო ნდობა ადამიანისა, რომელმაც გაიარა წამება ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობა, მსმენელი უნდა იყოს აქტიური, ყურადღებიანი, თავაგიანი მოსაუბრე და გამოამჟღავნოს გულწრფელი თანაგრძნობა. უნდა შეეძლოს ნდობის გარემოს შექმნა,

რომელიც პაციენტს განაწყობს ისაუბროს მნიშვნელოვან, ზოგჯერ მისთვის დამამცირებელ, მტკიცნეულ ფაქტებზე. აუცილებელია იმის გააჩრება, რომ ეს ფაქტები შეიძლება მისი პირადი საიდუმლოც იყოს, რომელიც შესაძლებელია ამ ადამიანს პირველად გამოაქვს სააშკარაოზე. გამოკითხვის საკმარისი დროის უბრუნველყოფისა და ადექვატური პირობების შექმნის, დანაყრებისა და ტუალეტით სარგებლობის გარდა, უქიმმა უნდა აუხსნას პაციენტს, რას შეიძლება ელოდოს იგი ექსპერტის მსვლელობის დროს. უნდა გაიაზროს კითხვების ფორმულირება, ხასიათი, თანმიმდევრობა (გარევეული კონტაქტების დამყარების შემდეგ შესაძლებელია დელიკატური კითხვების დასმაც); აგრეთვე, უნდა აღიაროს პაციენტის უფლება, შეისვენოს, თუკი ამას საჭიროებს ან არ უპასუხოს ამა თუ იმ კითხვას.

164. ექიმები და თარჯიმანები ვალდებული არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციურობა და მხოლოდ პაციენტის თანხმობის შემთხვევაში გაახმაურონ (იხ. ნაწილი III. C). თითოეულმა პირმა დათვალიერება უნდა გაიაროს მარტომ დახურულ კარს მიღმა. გამოსაკვლევი პირი ინფორმირებული უნდა იყოს ექსპერტის კონფიდენციურობის შეზღუდვების შესახებ, რომელიც დაგვენილია სახელმწიფოს ან სასამართლო ორგანოების მიერ. გამოსაკვლევ პირს უნდა განემარტოს გამოკვლევის მიზანი. ექიმებმა უნდა უბრუნველყონ, რათა შეგნებული, გააჩრებული თანხმობა ეფუძნებოდეს სათანადო ცოდნას შესაძლებელი წარმატებისა და სამედიცინო ექსპერტის ნებაფიური შედეგების შესახებ და რომ თანხმობა ნებაყოფლობითი უნდა იყოს და არა ძალდაგანებითი სამართალდამცავი ორგანოების მიერ. გამოსაკვლევ პირს უფლება აქვს ექსპერტისაზე უარი განაცხადოს. ასეთ შემთხვევაში, უქიმმა დოკუმენტურად უნდა დააფიქსიროს უარის მიზეზი. ამას გარდა, თუკი ეს პიროვნება პატიმრობაში იმყოფება, მაშინ მოხსენებით ანგარიშს ხელი უნდა მოაწეროს მისმა აღვოკაფმა და მედიცინის ერთმა მუშაკმა.

165. პაციენტებს შეიძლება ექსპერტის მსვლელობის დროს მიწოდებული ინფორმაციის გაერნვის შიში გაუჩნდეთ, ეს ინფორმაცია, შესაძლებელია, ხელმისაწვდომი გახდეს ხელისუფლების ორგანოებისათვის, რომელიც დეკნას ახორციელებდნენ. სიფრთხილე და უნდობლობა უფრო ძლიერია იმ შემთხვევაში, როდესაც წამების პროცესში ექიმები და მედიცინის სხვა მუშაკები იღებდნენ მონაწილეობას. ხშირ შემთხვევაში, ექსპერტი კულტურულ და ეთნიკურ უმრავლესობას ეკუთვნის, მაშინ როდესაც პაციენტი დაკითხვის ადგილისა და გარემოებების მიხედვით, რომელიმე ჯგუფს ან კულტურულ უმცირესობას განეკუთვნება. უთანასწორობის ამ ფაქტორმა შეიძლება უფრო გააღრმავოს ძალთა განაწილების რეალური დისპროპორცია, პოტენციური შიშის გრძნობა, უნდობლობა და იძულებითი მორჩილება.

166. თანაგრძნობა და ადამიანური გაგება – ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც პატიმრები იღებენ გამომძიებლისაგან. თვითონ გამოძიება დასაკითხ პიროვნებას არანაირ კონკრეტულ უპირატესობას არ უქადის, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, წამება უკვე წარსულშია. იმის გამო, რომ ინფორმაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნებს, პატიმრის უმნიშვნელო სიმშვიდე შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს თუ გამომძიებელი სათანადო, ჯეროვან თანაგრძნობას გამოავლენს. ეს, ერთი შეხედვით, სავსებით შესაძლებელია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში საპატიმროში გამოძიების ჩაფარებისას გამომძიებლები ისე ერთობიან ინფორმაციის მიღებით, რომ თანაგრძნობა არც კი ახსოვთ.

## B. სამედიცინო ანამნეზი

167. საჭიროა მთლიანი ანამნეზის შეგროვება გადატანილი თერაპიული, ქირურგიული ან ფსიქიკური დაავადების ინფორმაციის დანართით. უნდა შეირჩეს დოკუმენტური ინფორმაცია დაკავებამდე მიღებული ტრავმებისა და შესაძლებელი შედეგების შესახებ. უნდა მოვერიდოთ დამხმარე კითხვებს და გამოკითხვა ისე უნდა ავაწყოთ, რომ მივიღოთ პატიმრობის პერიოდში მომხდარი შემთხვევების ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

168. მომხდარის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია შეიძლება გამოდგეს წამების გამოყენების რეგიონალური პრაქტიკისა და სასტიკი მოპყრობის ცალკეული განცხადებების შეპირისპირების შემთხვევაში. საჭირო, სასარგებლო ინფორმაციას განეკუთვნება წამების იარაღები, სხეულის მდგომარეობა, იმობილიზაციის ხერხები, ახალი ან არსებული ჭრილობებისა და ინვალიდობის გამომწვევი დაზიანებების აღწერა და, აგრეთვე, მონაცემები იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც პატიმრების წამების უშაალო მონაწილენი არიან. ამავდროულად, საჭიროა მივიღოთ ზუსტი ინფორმაცია, თუ რა ბედი ეწია წამებაგამოვლილ ადამიანს. დაკითხვის მეთოდის მოთხოვნით პაციენტმა უნდა აღიდგინოს და თავისი სიგყვებით მოუთხროს ყველა მოვლენის შესახებ. წამებაგამოვლილი ადამიანისათვის საკმაოდ მძიმე იქნება სიგყვებით გამოხატოს საკუთარი განცდები და სიმპტომები. ბოგ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა საკონტროლო კითხვარის გამოყენება ტრავების სიმპტომებისა და სახეობების დანართით. მიუხედავად იმისა, რომ პირებმა, რომლებიც დაკითხვას აწარმოებენ, იციან ამ კითხვარების სარგებლობის შესახებ, მაინც არ იყენებენ ამ მეთოდს, ვინაიდან არც ერთი კითხვარი არ უპასუხებს წამებაგამოვლილი ადამიანის ინგრეგებას. მათი ყველა ჩივილი არსებითია. ფიზიკური გამოკვლევის შედეგად, რეტულტატების შეუსაბამობის შემთხვევების კი, ჩივილების შესახებ უნდა ვაუწყოთ. მწვავე და ქრონიკული სიმპტომები, ინვალიდობის გამომწვევი დაზიანებებით, რომელიც დაკავშირებულია სასტიკი მოპყრობის კონკრეტულ შემთხვევასთან, აგრეთვე, გამოჯანმრთელების შემდგომი სტადია – ყველაფერი ეს უნდა იყოს დოკუმენტირებული.

### 1. მწვავედ განვითარებული სიმპტომები

169. დასაკითხმა პირმა უნდა აღწეროს ნებისმიერი დაზიანება, რომელიც სასტიკი მოპყრობის კონკრეტული მეთოდების გამოყენებით იქნა მიღებული. მაგალითად: სისხლდენა, ჰემატომა, ღია ჭრილობები, მოტეხილობები, სახსრების ქსოვილების დაჭიმვა, შარდსასქესო სისტემის დაზიანება, სისხლიანი ამონახველი, ნაღრძობები, პნევმოთორაქსი, ყურის ბარაბნის აპკის პერფორაცია, დამწვრობა (ფერი, წყლულები, დამწვრობის ხარისხის მიხედვით გამოწვეული ნეკრობი), ელექტროდენის ბემოქმედების შედეგად მიღებული ტრავმები (ბომა და რაოდენობა, ფერი, ბედაპირის დახასიათება), ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული დაზიანებები (ფერი, ნეკრობის ნიშნები), ტკივილი, დაბუქება, ყაბზობა და გულისრევა. საჭიროა მიეთითოს თითოეული სიმპტომის ინტენსიურობაზე, სიხშირესა და ხანგრძლივობაზე. აუცილებელია ადინიშნოს შემდგომი კანის დაზიანების განვითარება და შემოწმდეს წამების მსხვერპლის მდგომარეობა განთავისუფლების მომენტში: სიარული შეეძლო თუ საწოლს იყო მიჯაჭვული და რა ხნით? რა პერიოდში უხორცებოდა ჭრილობები? იყო თუ არა ჭრილობები ინფიცირებული? რა მკურნალობა უტარდებოდა? ექიმი მკურნალობდა თუ ტრადიციული მკურნალი? უნდა გვახსოვდეს, რომ წამებამ და მისმა შედეგებმა პაგიმარს შეიძლება დააკარგვინოს ამ მომენტების დამახსოვრებისა და აღნიშვნის უნარი, რაც დოკუმენტში უნდა აისახოს.

### 2. ქრონიკული სიმპტომები

170. საჭიროა ინფორმაციის მიღება საერთო მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რომელიც, დასაკითხი პირის ამრით, წამებასთან ან სასტიკი მოპყრობასთან არის დაკავშირებული. მიუთითეთ ყოველი სიმპტომისა და მასთან დაკავშირებული გართულების ხარისხის სიმძიმეზე, სიხშირესა და ხანგრძლივობაზე, აგრეთვე, ფსიქოლოგიურ დახმარებასა და თერაპიული მკურნალობის საჭიროებაზე. წამებაგამოვლილს მწვავე დაზიანების შედეგები რამდენიმე თვის ან წლის შემდეგაც აღვნიშნება – ელექტრო ან თერმული დამწვრობის შემდეგ დარჩენილი ნაწილები, ჩონჩხის ძვლების დეფორმაცია, მოტეხილობის არასწორი

შეხორცებები, კბილების დაზიანება, თმის ცვენა და მიოფიბროზი. გავრცელებულ ჩივილებს განეკუთვნება თავის ტკივილი, ტკივილი ზურგში, კუჭ-ნაწლავის სიმპტომები, სასქესო ფუნქციის მოშლა, კუნთების ტკივილი. გავრცელებული ფსიქოლოგიური სიმპტომებიდან აღსანიშნავია დეპრესიული რეაქცია, შფოთვა, უძილობა, დამის კოშმარები, რეფროსპექტია და მეხსიერების დაქვეითება (იხ. ნაწილი VI. B. 2)

### 3. გამოკითხვის რეზიუმე

171. წამებაგამოვლილი მსხვერპლის დაზიანებები არსებითად განსხვავდება ტრაგმის სხვა სახეობებისაგან. მიუხედავად მწვავე დაზიანებებისა, მათი შეხორცება ექვსი კვირის ფარგლებში ხდება და არანაირ ნაწილურებს არ ფოვებს ან რჩება არადამახასიათებელი უმნიშვნელო ნაწილურები. ასე ხშირად ხდება, ვინაიდან წამება მიმდინარეობს გარკვეული მეთოდებით, რომელიც სხეულის დაზიანების ნიშნებს ამცირებს ან საერთოდ აქრობს წამების კვალს. სამედიცინო დათვალიერების მონაცემები ასეთ სიტუაციაში ნორმის ფარგლებშია, მიუხედავად ამისა, არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს წამების ფაქტებს. პაციენტის ჩვენების ზუსტი ანგარიში, რომელიც ეხება მწვავე დაზიანებებსა და მათი შემდგომი შეხორცების პროცესს, ხშირ შემთხვევაში, მტკიცების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

### C. ხამედიცინო დათვალიერება

172. საწყისი ინფორმაციისა და პაციენტის გააჩრებული თანხმობის შემდეგ კვალიფიციურმა ექიმმა სრული სამედიცინო დათვალიერება უნდა ჩაატაროს. პაციენტს, შეძლებისდაგვარად, ექიმის სქესისა და თარჯიმანის (თუ ამას საჭიროება მოითხოვს) არჩევის საშუალება უნდა ჰქონდეს. თუ ექიმი და პაციენტი სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები არიან და პაციენტი წინააღმდეგი არ არის, მაშინ საჭიროა პაციენტის უზრუნველყოფა იმ სქესით, რომელსაც თავად განეკუთვნება. პაციენტს უნდა ესმოდეს, რომ მას სიტუაციის კონტროლირების უფლება აქვს, შეუძლია შეზღუდოს ან მთლიანად შეწყვიფოს გამოკვლევა (იხ. ნაწილი IV. J).

173. ამ თავში ხშირადაა ნახსენები დამატებითი გამოკვლევები. თუ პაციენტი არ იმყოფება პატიმრობაში და იგი საჭიროებს დახმარებას, ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ ექიმს შეეძლოს თერაპიული და ფსიქოლოგიური დახმარებისათვის მიმართოს სამკურნალო დაწესებულებას. მთელ რიგ სიტუაციაში დიაგნოსტიკური კვლევის გარკვეული მეთოდიკა შეიძლება მიუწვდომელი აღმოჩნდეს, რამაც ანგარიშის კანონიერება არ უნდა შეასუსტოს (დიაგნოსტიკური კვლევის შესაძლებელი მეთოდიკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ დანართი 11).

174. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს აცვია ის ტანსაცმლი, რომელიც მას ეცვა სულ ახლახან წამების დროს, საჭიროა გარეცხვის გარეშე გაიგგავნოს ექსპერტიზაბე და ამ ადამიანს მისცენ სხვა ტანსაცმელი. შენობას, სადაც ტარდება გამოკვლევა, სათანადო განათება და სამედიცინო მოწყობილობა უნდა ჰქონდეს, ხოლო ნებისმიერი ხარვეზი, ამ საკითხთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს მოხსენებით ანგარიშში. ყველა სახის დაზიანების ხასიათისა და ლოკალიზაციის რეგისტრაციისათვის, სქემატური გამოსახულების მეშვეობით ექიმმა უნდა აღნიშნოს პოზიტიური და ნეგატიური მონაცემები (იხ. დანართი III). წამების ბოგიერთი ფორმა, როგორიცაა ელექტროშოკი, ბლაგვი იარაღით მიყენებული ტრავმა, თავიდან შეიძლება არ გამომქდარდეს. იშვიათ შესაძლებლობას წარმოადგენს პატიმრობის პერიოდში წამებაგამოვლილი ადამიანის დაზიანებების ფოტოგრაფირება. ასეთი ფოტოგრაფირება ჩვეულებრივი გამოკვლევის ელემენტი უნდა გახდეს. სურათის უქონლობას, ჯობს ცუდი ხარისხის ფოტოსურათი. საერთოდ საჭიროა პროფესიული სურათების ბეჭდვა (იხ. ნაწილი III. C. 5)

## I. კანის საფარი

175. კანის გენერალიზებული დაზიანების ნიშნების გამოაშკარავების მიზნით გამოკვლევას ექვემდებარება სხეულის მთელი ზედაპირი. გამოკვლევაში შედის: წამებამდე არსებული ვიგამინების (A.B.C.) ნაკლებობა, ან წამების შედეგად დაზიანებები, როგორიცაა: დაბეჭილობა, დაგლეჯილი და ნაჩხვლეტი ჭრილობა, სიგარეტისა ან გავარვარებული ინსტრუმენტებისაგან მიღებული დამწვრობა, ელექტროშოკით მიყენებული დაზიანებები, თმის ცვენა, ფრჩხილების დაძრობა. წამების შედეგად მიღებული დაზიანებების აღწერას უნდა დაერთოს მათი ლოკალიზაცია, სიმეტრია, ფორმა, ფერი და ზედაპირი (მაგ. ქერცლიანი, დაფარული ქერქით, წყლულოვანი), აგრეთვე, მათი დემარკაცია და კანის საფარის ახლომდებარე ადგილების დონე. თუ შესაძლებელია, აუცილებლად უნდა გაკეთდეს ფოტოსურათი. ექიმმა, რომელიც ატარებს სამედიცინო გამოკვლევას, საბოლოო ჯამში, თავისი აბრი უნდა გამოთქვას დაზიანებების წარმომავლობაზე (სხვის მიერ არის დაზიანებები მიყენებული, თუ თავად მიაყენა საკუთარ თავს, შემთხვევით, თუ პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შედეგად)<sup>37,38</sup>.

### 2. სახე

176. მოტეხილობების, კრეპიტაციის, შეშუპების ან ტკივილის გამოსამჟღავნებლად საჭიროა სახის ქსოვილების პალპაციის ჩატარება. თავის ქალისა და ტვინის ყველა ნერვის მოძრავი და მგრძნობიარე კომპონენტი გამოკვლეული უნდა იქნეს, ამასთანავე უნდა შემოწმდეს სუნისა და გემოს აღქმის უნარი. სახის ძელების მოტეხილობების ხასიათის, მიმდებარე რბილი ქსოვილების დაზიანებისა და გართულების დასადგენად დიაგნოსტიკის საუკეთესო მეთოდად ითვლება კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ) და არა რენტგენოგრაფია. სახის ტრავმებს ხშირად თან სდევს ქალაშიდა დაზიანებები და ხერხემლის კისრის მონაკვეთის ტრავმები.

#### ა) თვალები

177. თვალის ტრავმის მრავალი ფორმა არსებობს: სისხლჩაქცევა კონიუნქტივაში, ბროლის გადაადგილება, სისხლჩაქცევა მინისებრი სხეულის ქვეშ, რეფრობულბარული სისხლჩაქცევა, სისხლჩაქცევა თვალის ბადურაში და მხედველობის დაკარგვა. როდესაც მკურნალობა არასწორად ან საერთოდ არ ფარდება, გასათვალისწინებელია სერიოზული შედეგები. როგორც კი ჩნდება ეჭვი თვალის ტრავმასა ან დაავადებაზე, საჭიროა ოკულისტის კონსულტაცია. თვალის ძელების მოტეხილობის, თვალის გუებისა და რეფრობულბარული რბილი ქსოვილების დაზიანების დროს დიაგნოსტიკის საუკეთესო მეთოდად კომპიუტერული ტომოგრაფია ითვლება. თვალის რბილი ქსოვილის დაზიანებების გამოვლენის დამატებით მეთოდად შეიძლება იყოს ვიზუალიზაცია ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის დახმარებით. თვალის გუგის ტრავმის აღტერნატიულ მეთოდად ულტრაბაგერითი გამოკვლევა ითვლება.

#### ბ) ყურები

178. ხშირი ცემის შედეგად ყურები ზიანდება, უფრო ხშირად კი ყურის ბარაბანის აპკი სკდება. ოტოსკოპის მეშვეობით უნდა გაისინჯოს სასმენი ხვრელი, ყურის ბარაბანის აპკები და აღინიშნოს დაზიანებები. ლათინურ ამერიკაში წამების გავრცელებული ფორმა “ტელეფონი” შემდეგში მდგრმარეობს: ხელის გულის ძლიერი დარტყმა ერთ ყურში ან ორივე ხელით ორივე ყურში ერთდროულად, რის შედეგადაც სკდება ყურის ბარაბანის აპკები. თუ დახეთქილი აპკები 20მ დიამეტრზე ნაკლებია, მაშინ იგი ათ დღეში შეხორცილება და, ამდენად, გაჭირდება მათი

<sup>37</sup> Rasmussen O.V. Medical aspects of torture. *Danish Medical Bulletin*, 1990, 37 Supplement 1:1-88.

<sup>38</sup> Bunting R. Clinical examinations in the police context. B: McLay WDS.,cd. *Clinical Forensic Medicine*. London, Greenwich Medical Media, 1996:59-73

გამოვლენა. ამის გამო, სამედიცინო გამოკვლევა სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს. შეა ან გარე ყურში შეიძლება გაჩნდეს სითხე. თუ ლაბორატორიული ანალიზის მეშვეობით ოფორეა დამტკიცდა, მაშინ დახეთქილი უბნის გამოსაკვლევად უნდა გამოვიყენოთ ვიზუალიზაცია ბირთვულ-მაგნიტური რეგონანსის დახმარებით, ან კომპიუტერული ტომოგრაფია. სმენის დაკარგვის გამომჯდავნება ხდება სკრინინგის მარტივი შეთოდით. აუცილებლობის შემთხვევაში, კვალიფიციურმა სპეციალისტმა აუდიომეტრის სფეროში უნდა ჩატაროს აუდიომეტრიული გამოკვლევები, ხოლო საფეთქლის ძვლების მოტეხილობის ან სასმენი ძვლების ჯაჭვის დახეთქვის რენტგენოგრაფიული გამოკვლევა უმჯობესია ჩატარდეს კომპიუტერის დახმარებით.

### ვ) ცხვირი

179. ცხვირის მდგომარეობის შეფასება დაგვეხმარება ძვალ-ხრფილოვანი ნატეხების სწორი მდებარეობის, კრეპიტაციის არსებობისა და ცხვირის ძგიდის გადაადგილების გამოსაკვლენად. ცხვირის ძვლებისა და ხრფილების მარტივი მოტეხილობების დასადგენად საკმარისია ცხვირის სფანდარტული რენტგენოგრამა, ხოლო ცხვირის ძვლებისა და ხრფილების რთული მოტეხილობებისა და ხრფილოვანი ძგიდის გადაადგილების შემთხვევაში—კომპიუტერული ტომოგრაფია. რინორეის შემთხვევაში რეკომენდებულია კომპიუტერული ტომოგრაფიული ან მაგნიტურ-რეგონანსული ვიზუალიზაციის ჩატარება.

### ღ) ყბა, კისერი და საყლაპავი

180. ცემამ შეიძლება გამოიწვიოს მოტეხილობები ან ქვედა ყბის გადაადგილება. სახის ქვედა ნაწილსა და ყბაში დარტყმების შედეგად, არცთუ იშვიათად, ადგილი აქვს საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრების სინდრომს. კისრის არეში დარტყმების შედეგად, ენის ქვედა ძვლებისა ან ხორხის ხრფილების კრეპიტაციის გამოსაკვლენად, პაციენტს უნდა ჩაუტარდეს გამოკვლევა. საჭიროა აღინიშნოს საყლაპავის მდგომარეობა: დაზიანებები, რომლებიც ელექტროდენით გამოწვეული დამახასიათებელი დამწვრობებითაა გამოწვეული, ასევე სხვა ტრავმები, როგორიცაა სისხლჩაქცევები ღრძილებში და მათი მდგომარეობა.

### ჟ) პირის ღრუ და კბილება

181. საპაგიმროში პერიოდული სამედიცინო დათვალიერების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს სტომატოლოგიური გამოკვლევა წარმოადგენს, რომელსაც ხშირ შემთხვევაში პაციენტები უგულვებელყოფენ. სტომატოლოგიურ დახმარებაზე შეიძლება შევნებულად ითქვას უარი, რათა პროგრესირებადი გახდეს კარიესი, გინგივიტი ან ოდონტოლოგიური აბსცესი. უნდა შედგეს სტომატოლოგიური ანამნეზი და თუკი პაციენტს გააჩნია სტომატოლოგიური ბარათი, იგი უნდა გამოვითხოვთ. დამტერეული, დაცვენილი კბილები, დამტერეული პროტეზი — აი, ტრავმებისა და ელექტროშოკით წამების შედეგი. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს კბილების კარიესი და გინგივიტი. კბილების არასწორი წყობა შეიძლება გამოწვეული იყოს პაგიმრობამდე ან პატიმრობის პერიოდში არსებული პირობების გამო. აუცილებელია პირის ღრუს გულდასმით გამოკვლევა. ელექტროდენის გამოყენების შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს ენის, ღრძილებისა და ტუხების ნაკბენის ნაკვალევი. დაზიანებები შეიძლება გამოწვეული იყოს პირის ღრუში რამე საგნების ძალადობრივი შეტენვით, აგრეთვე, ელექტროდენის გამოყენებით. რბილი ქსოვილების, ქვედა ყბისა და კბილების დაზიანების ხარისხის დასადგენად მიზანშეწონილია რენტგენოგრაფია და მაგნიტურ-რეგონანსული ვიზუალიზაცია.

### 3. გულმკერდი და მუსლის ღრუ

182. ტანის გამოკვლევა, გარდა კანის საფარის დაზიანებების კონსტატაციისა, უნდა ემსახურებოდეს მტკიცნეული უბნების, უსიამოვნო შეგრძნებების, პალპაციის შედეგად მტკიცნეული ზონების გამოვლენას, რაც ნათლად დაადასტურებს კუნთების, მუცელის ღრუსა და ნეკნების დაზიანებას. ექიმმა, გამოკვლევის პერიოდში, მხედველობაში უნდა მიიღოს შიდაკუნთოვანი და მუცელის ღრუში არსებული ჰემატომები, აგრეთვე, ნახეთქები ან მთლიანად დაგლუჯილი რომელიმე შიდა ორგანო. ამგვარი დაზიანებების დასამტკიცებლად, თუკი ეს რეალურად შესაძლებელია, მართებულია ჩავაგაროთ ულტრაბგერითი გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და ძვლის სცინტიგრაფია. საჭიროა, დადგენილი წესით, ჩატარდეს გულსისხლძარღვთა სისტემის, ფილტვებისა და მუცელის ღრუს გამოკვლევა. დაპატიმრებამდე არსებული სასუნთქი თრგანოების დაავადებები პატიმრობის პერიოდში, ხშირ შემთხვევაში, მწვავდება და ვითარდება სასუნთქი გზების პათოლოგიური ცვლილებები.

### 4. ძვალ-კუნთოვანი სისტემა

183. წამებაგამოვლილი პირები ხშირად ჩივიან სხვადასხვა ინტენსიურობის ძვლოვან და კუნთოვან ტკივილებებზე<sup>39</sup>, რაც არაერთგზის ცემით, ჩამოკიდებით, წამების სხვა მეთოდებით და, აგრეთვე, ყოფითი<sup>40</sup> პირობებითაა გამოწვეული. ტკივილებს, შესაძლებელია, სომატური ხასიათიც ჰქონდეს (იხ. ნაწილი VI. B.2). ასეთი ტკივილები, მიუხედავად სპეციუური ხასიათისა, დოკუმენტურად უნდა გაფარდეს. მათი წარმატებული მკურნალობა სიმპათიური ფიზიოთერაპიის<sup>41</sup> საშუალებით ხდება. ძვლოვანი სისტემის გამოკვლევა სახსრების, ხერხემლისა და კიდურების მოძრაობის კვლევას უნდა მოიცავდეს. აღსანიშნავია ტკივილები მოძრაობის დროს, კონტრაქტურა, სიმკვრივე, შემუპების სინდრომის ნიშნები, მოტეხილობები დეფორმაციით ან გადაადგილებით. ნაღრძობის, მოტეხილობის და ოსტეომიელიტის ეჭვის შემთხვევაში საჭიროა გაკეთდეს რენტგენოგრაფია. ოსტეომიელიტის ეჭვის შემთხვევაში კი რენტგენოგრაფიის შემდეგ სამუაბიანი ძვლის სცინტიგრაფია უნდა გაკეთდეს. მყენების, კვანძებისა და კუნთების დაზიანებების გამოკვლევა უმჯობესია მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაციის მეშვეობით, ამასთან, შეიძლება არტროგრაფიის გამოყენებაც. მწვავე სტადიის დროს, ასეთი სახის გამოკვლევები საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ სისხლჩაქცევები და კუნთების შესაძლებელი დაგლუჯა. როგორც წესი, კუნთები ნაწილების გარეშე ხორცდება, ამდენად დაგვიანებული ვიზუალიზაციური გამოკვლევები ნეგატიურ შედეგს მოგვცემს. დანერვირებული კუნთები და შემუპების ქრონიკული სინდრომი მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაციისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის გამოყენების შემდეგ გამოჩნდება, როგორც კუნთების ფიბრობი. დაკეტილი ძვლების აღმოჩენა შესაძლებელია მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაციისა და სცინტიგრაფიის მეშვეობით. როგორც წესი, დაქეტილი ძვლები შეხორცების შემდეგ კვალს არ ტოვებს.

### 5. შარდ-სასქესო სისტემა

184. სასქესო თრგანოების გამოკვლევა პაციენტის თანხმობით ხდება და საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გარკვეული დროით გადაიღოს. თუკი ექიმი და პაციენტი სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები არიან, მაშინ სამედიცინო დათვალიერებას პაციენტის სქესის წარმომადგენელი უნდა დაესწროს. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ: ნაწილი IV. J.

<sup>39</sup> Rasmussen O.V. Medical aspects of torture. *Danish Medical Bulletin*, 37 Supplement 1, 1990:1-88.

<sup>40</sup> Forrest D. Examination for the late physical after effect of torture. *Jounal of Clinical Forensic Medicine*, 6 1999:4-13

<sup>41</sup> Rasmussen O.V. Medical aspects of torture. *Danish Medical Bulletin*, 37 Supplement 1, 1990:1-88.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოკვლევის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: ნაწილი V. D.8. შარდ-სასქესო სისტემის დაზიანებების აღმოსაჩენად შეიძლება გამოვიყენოთ ულტრაბგერითი გამოკვლევა და დინამიკური სცინტიგრაფია.

#### 6. ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემა

185. ნევროლოგიური კვლევის დროს აუცილებელია შეფასდეს თავის ქალასა და ტვინის ნერვები, გრძნობის ორგანოები და პერიფერიული ნერვული სისტემა. ამასთან, უნდა შეფასდეს შემცნებითი უნარი და ფსიქიკური მდგომარეობა (იხ. ნაწილი VI. C). წამებაგამოვლილი (ჩამოკიდების მეთოდი) პაციენტების გამოკვლევის დროს განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი ურადღება მხრის წნევლის დაზიანებას უნდა მიექცეს (მგევნის კუნთების განსხვავებული ძალა, ხელის მფევნის კუნთოვანი ტონუსის მკვეთრი დაქვეითება, წინამხრის კუნთების სისუსტე სენსორული და მყენოვანი რეალურების მონაცემებით). წამებასთან დაკავშირებულმა ტრაგებმა შეიძლება გამოიწვიონ: რადიკულოპათია, სხვა ნეიროპათიები, თავის ქალასა და ტვინის ნერვების დაზიანება, ტკივილისაღმი მომატებული მგრძნობელობა, პარესთებია, ჰიპერესთებია, მდგომარეობის შეცვლა, კოორდინაცია, სიარული, მამოძრავებელი უუნქციების ცვლილება. ის პაციენტები, რომლებსაც ანამნეზი თავბრუსტვევა და გულის რევა აქვთ აღნიშნული, საჭიროებენ ვესპიციალული აპარატის შემოწმებას ნისტაგმის ნიმუშების აღნიშვნით. რენტგენოლოგიურ გამოკვლევაში უნდა შედიოდეს მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაცია ან კომპიუტერული გორგონაფია. ტკივილი და თავის ქალას უკანა ღრმულების რენტგენოლოგიური გამოკვლევის დროს უმჯობესია კომპიუტერული ტომოგრაფიის გამოყენება, ვიდრე მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაცია.

#### D. წამების გარკვეულ ფორმათა გამოყენების შემდგომი გამოკვლევა და ექსპერტიზა

186. ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები ამომწურავად ვერ მოიცავს წამების ყველა ფორმას. აქ შესულია, მეტწილად, წამების გავრცელებული ფორმები. ცალკეული დაზიანებებისა და დაზიანების საერთო ხასიათის მიხედვით ექიმმა უნდა მიუთითოს მათ შესაბამისობასა და პაციენტის მტკიცებულებაზე. ჩვეულებრივ, შემდეგი ტერმინები გამოიყენება:

- არ შეესაბამება: აღნიშნული ტრავმა ვერ გამოიწვევდა დაზიანებას;
- შეესაბამება: აღნიშნული ტრავმა გამოიწვევდა დაზიანებას, ოღონდ ის სპეციფიური არ არის და უამრავი სხვა მიზებით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული;
- შესაბამისობის მაღალი ხარისხი: აღნიშნული ტრავმა გამოიწვევდა დაზიანებას, ამასთან სხვა გამომწვევი მიზების რიცხვი არცუ ისე დიდია;
- ტიპიურია: დაზიანების გარეგნული იერი შეესაბამება ჩვეულებრივ ასეთი ტიპის ტრავმებს, მაგრამ სხვა მიზებიც შესაძლებელია;
- დიაგნოზის დასმის საშუალებას იძლევა: დაზიანების გარეგნული იერი მოწმობს, რომ შეუძლებელი იყო სხვა მიზები გარდა აღნიშნული ტრავმისა.

187. საბოლოო ჯამში, წამების გამოყენების შესახებ ცნობის შეფასებისას მნიშვნელობა აქვს დაზიანებების საერთო შეფასებას და არა წამების კონკრეტული ფორმის შესაბამისობას ცალკეულ დაზიანებებთან (წამების მეთოდების ჩამონათვალი იხ. ნაწილი IV. G).

## 1. სუმითა და ბლაგვი ხავნით მიყენებული ტრაგედია

### ა) კანის საფარის დაზიანება

188. წამებისათვის ხშირად დამახასიათებელია სხეულის მწვავე დაზიანებები, რომლებიც თავისი ფორმით, სხეულზე განმეორებითა და განლაგებით განსხვავდება ჩვეულებრივი დაზიანებებისაგან. წამებიდან ექვსი კვირის განმავლობაში დაზიანებები ხორცდება, ნაწიბურები ან სულ ქრება, ან რჩება უმნიშვნელო ხასიათის კვალი, ამდენად წამების გამოყენების დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება გამოდგეს მწვავე დაზიანებების გაჩენისა და მათ შეხორცებამდე განვითარების დამახასიათებელი ანამნეზი. კანზე ბლაგვი იარაღით მიყენებული ტრაგები შეუქსევადი ცვლილებებით იშვიათად გვხვდება, ის არასპეციფიკურია და, როგორც წესი, არ გააჩნია დიაგნოსტიკური მნიშვნელობა. ბლაგვი საგნით ცემა მიმდინარეობს ხანგრძლივი დროით, მჭიდროდ მოჭერილი ბორკილებით, რომლის დადგენაც შესაძლებელია წინამხრის, ან უეხის (მაჯის ან კოჭის) გარშემო არსებული ზოლებით. ამ ნაწილებში თმის რაოდენობა ან ფოლიკულები მცირე რაოდენობითაა, და სწორედ ეს წარმოადგენს ნაწიბურის ალოპეციის ერთ-ერთ ფორმას. კანის სპონტანური დავადებების ალტერნატიული დიაგნოზი არ არსებობს, ამიტომ მნელია წარმოვიდგინოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამგვარი ხასიათის რომელიმე ტრაგება.

189. კანის გედაპირის დაზიანების შედეგად მიღებულ მწვავე დაბეჭილობებს შეიძლება ჰქონდეს გაჩხაპნილი, ხახუნის შედეგად მიღებული დამწვრობის ან კანის საფარის უფრო ფართო დაზიანების იერი. დაბეჭილი ადგილების მდებარეობა ზოგჯერ წარმოდგენას გვიქმნის იმ იარაღის კონტურებზე, რომლითაც მიყენებული იყო ესა თუ ის დაზიანება. მრავალგზის ან ღრმა დაბეჭილობებმა, კანის ტიპის სახეობიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოქმნას ჰიპო ან ჰიპერპიგმენტაციის არეები. ეს ხდება მაჯის შიდა გედაპირზე, როცა ხელები მჭიდროდაა შეკრული.

190. ბლაგვი საგნით მიყენებული ტრავმის შედეგად მიღებული დაუეჭილობები და დაღილავებული ადგილები მოწმობები რბილ ქსოვილში სისხლჩაქცევებზე, რომლებიც წარმოიშვა სისხლძარღვების დასკდომის შემდეგ. დაუეჭილობის ხარისხი და სიმძიმე არა მხოლოდ დარტყმის ძალაზეა დამოკიდებული, არამედ ამ არეში სისხლძარღვთა სტრუქტურასა და რაოდენობაზე. სილურჯე ხშირ შემთხვევაში ჩნდება იქ, სადაც ცვალბე თხელი კანია გადაკრული ან ცხიმგროვაა. ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათ შორის ჰიპოვიგამინოზი და კვების უკმარისობა, ხელს უწყობს სილურჯისა და სიწითლის სწრაფ განვითარებას. სილურჯე და დაბეჭილობა მოწმობს დაზიანებულ არეში ბლაგვი საგნის ბემოქმედებას, სილურჯისა და სიწითლის უქონლობა სულაც არ ნიშნავს ბლაგვი საგნის ბემოქმედების უარყოფას. დაბეჭილობის მდებარეობამ და ფორმამ შეიძლება დაგვანახოს იმ ბლაგვი საგნის კონტურები, რომლითაც აწამებდნენ ადამიანს. ისეთი სილურჯე, რომელიც გარდიგარდმო გოლის ფორმით გვხვდება, შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი ბლაგვი საგნის გამოყენებით, როგორიცაა ხელკეფი ან ჯოხი. საგნის ფორმის შესახებ მსჯელობა სილურჯის ფორმის მიხედვითა შესაძლებელი. დაბეჭილობის არეში კანის ფერის შეცვლა დამოკიდებულია მათი გაწოვების ხარისხზე. სილურჯეს, ხშირ შემთხვევაში, დასაწყისში მუქი ლურჯი, ალისფერი ან მუქი წითელი ფერი აქვს. დალურჯებული ადგილი, ჰემოგლობინის დაშლის მიხედვით თანდათან ფერს იცვლის: ისფერიდან მწვანეზე, შემდეგ მუქ ყვითელზე, მერთალ ყვითელზე და ბოლოს ქრება. თუმცა დაბეჭილობის ზუსტი თარიღის დადგენა ძალბედ მნელია. დაბეჭილობის ბოგიერთმა სახეობამ შეიძლება ჰიპერპიგმენტაცია განიცადოს და შენარჩუნდეს რამდენიმე წლის განმავლობაში. ღრმა კანქვეშა დაბეჭილობები შეიძლება ტრავმიდან რამდენიმე დღეში გამომუდავნდეს, როდესაც სისხლჩაქცევები კანის ბედაპირს მიაღწევს. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლს განცხადების პერიოდში (წამების შესახებ) დაბეჭილობის ნიშნები აღენიშნება, მაშინ რამდენიმე დღის შემდეგ

უნდა ჩატარდეს განმეორებითი შემოწმება. გასათვალიწინებელია, რომ დალურჯებული ადგილების საბოლოო ფორმა და მდგომარეობა არანაირ კავშირში არ არის პირვანდელ ტრაგმასთან, და რომ ზოგიერთი დაზიანება განმეორებითი გამოკვლევის დროს შეიძლება საერთოდ გაქრეც<sup>42</sup>.

191. ბლაგვი საგნით მიყენებული ტრავმების შედეგად სხეულის ნაწილებზე სწრაფად წარმოიქმნება ნახეთქები ან კანისა და ძვლის ზედაპირი იჭეჭყება. თუმცა ძლიერი დარცყმის შედეგად ნახეთქები შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ნაწილზე. წინასწარ გამიზნულ დაზიანებათა თვალსაჩინო მაგალითია: ასიმეტრიული ნაწიბურები<sup>43</sup>, უზვეულო ნაწილებში წარმოქმნილი ნაწიბურები, შეხორცებების დიფუზური გავრცელება.

192. ცემის შედეგად წარმოქმნილი ნაწიბურები თავისთავად წარმოადგენს შეხორცებულ დაფლეთილ ჭრილობებს. ასეთი ნაწიბურები დეპიგმენტურია, ხშირად ჰიპერფოფირებული, აგრეთვე, გარშემორტყმულია ვიწრო ჰიპერპიგმენტური ზოლებით. ერთადერთ სადიფერენციო დიაგნოზად მზარდი დერმატიტი ითვლება, თუმცა მისთვის დამახასიათებელია ჭარბი ჰიპერპიგმენტაცია და შედარებით მოკლე ნაწიბურები. და პირიქით, მუცელის, იღლიის ღრმულისა და ფეხების არეში წარმოქმნილი სიმეტრიული, ატროფიული დეპიგმენტირებული ხაზოვანი ცვლილებები, რომელიც ზოგჯერ გვევლინება როგორც წამების შედეგი, წარმოადგენს კანის ატროფიულ ბოლს, რომელიც დაჭიმვითაა გამოწვეული და, ჩვეულებრივ, წამებასთან არანაირ კავშირშია<sup>44</sup>.

193. დამწვრობა წამების იმ ფორმას განეკუთვნება, რომელიც კანზე შეუქცევად ცვლილებებს ტოვებს და რომელიც, ზოგჯერ, დიაგნოსტიკურ ფასეულობას წარმოადგენს. სიგარეტით გამოწვეული დამწვრობის შემდეგ რჩება ლაქების სახით 5-10მმ სიგრძის მრგვალი ან ოვალური ნაწიბურები ჰიპერ— ან ჰიპოპიგმენტირებული ცენტრით ან შედარებით არამკაფიო, გაურკვეველი ჰიპერპიგმენტირებული პერიფერიით. წამებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, ცნობილია სიგარეტის მეშვეობით ტატუირების ამოწვა. ტატუირების შედეგად წარმოქმნილი ნაწიბურების დამახასიათებელი ფორმის მიხედვით შესაძლებელი გახდება დიაგნოზის დასმა<sup>45</sup>. გავარვარებული საგნით მოწვის შემდეგ რჩება ატროფიული ხასიათის ნაწიბურები, რომლებიც შეესაბამება გამოყენებული საგნის ფორმას ვიწრო ჰიპერფოფირებული ან ჰიპერპიგმენტირებული ბონების ზუსტი საბლვრებით, რაც შეესაბამება საწყისი ანთების არეს. ასეთი კვალი შეიძლება დაფოვოს ელექტროდენით გავარვარებულმა რკინის მათრახმა ან გაბის სანთებელამ. ბევრი ნაწიბურის შემთხვევაში რთული ხდება დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარება. სპონფანურად წარმოქმნილი ანთებების დროს დაზიანებული ბლვრული არეები არ ჩანს. იშვიათად გვხვდება ქსოვილის დაშლა. გავარვარებული რეზინის მიერ მიღებულმა დამწვრობამ შეიძლება ჰიპერფოფირებული ან კელოიდური ნაწიბურების განვითარება გამოიწვიოს.

194. ფრჩხილების არეში დამწვრობის შემდგომ ამოსული ფრჩხილი თხელია, დეფორმირებული, იშლება ფენებად და ბოგ შემთხვევაში სიგრძივ სეგმენტებად ტყდება. თუკი ფრჩხილი ამოგლეჯილია, მაშინ ფრჩხილის ბალიშიდან უბომოდ იმრდება ქსოვილი, რომელიც წარმოქმნის ფრჩხილის ფტერიგიუმს. ერთადერთ დიფერენციულ დიაგნოზად შეიძლება ჩაითვალოს ცვლილებები ფრჩხილში, რომელიც გამოწვეულია ბრტყელი სისველით, თუმცა ეს პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობს კანის დიდი ფართობის დაზიანებით. მეორე მხრივ,

<sup>42</sup> Cürpinar S. and Korur Fincancı S. *İnsan Hakları İhlalleri ve hekim Sorumluluğu* (Human Rights Violation and Responsibility of the Physician). B: *Birinci Basamak İçin Adli Tip El Kitabı* (Handbook of Forensic Medicine for General Practitioners). Ankara, Turkish Medical Association, 1999

<sup>43</sup> Rasmussen O.V. Medical aspects of torture. *Danish Medical Bulletin*, 37 Supplement 1, 1990:1-88.

<sup>44</sup> Daniclsen L. Skin changes after torture. *Torture*, Supplement 1, 1992:27-28.

<sup>45</sup> ix. sqolio 80

გემოხსენებული ცვლილებებისაგან განსხვავებით, სოკოვანი ინფექციისათვის დამახასიათებელია ფრჩხილის გასქელება, ყვითელი ფერი და გაფცევნა.

195. ბასრი საგნით მიყენებული დაზიანების შედეგად ჭრილობა ჩნდება მაშინ, როდესაც კანი იჭრება ბასრი საგნით, როგორიცაა: დანა, ხიშტი, შეშის ნამსხვრევი. ჭრილობა შეიძლება იყოს გახვრეფილი ან გაჭრილი. ჭრილობები, რომლებიც მიყენებულია ბასრი საგნით, ჩვეულებრივ, დაგლეჯილი ჭრილობებისა და ნაწიბურების უსწორმასწორო მდებარეობის საშუალებით ადვილი დასადგენია (დაგვიანებული გამოკვლევის შემთხვევაშიც). გაჭრილი ჭრილობის თანაბარი სახის პატარა ნაწიბურები შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციული მკურნალის<sup>46</sup> მოქმედების შედეგად. ნაწიბურები შეიძლება ჰიპერტონიული გახდეს, თუკი დია ჭრილობაში აყრიდნენ მარილს, წიწაკას და სხვ. წამების დიაგნოსტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ნაწიბურების სხვადასხვა ზომასა და ასიმეტრიულ განლაგებას.

#### ბ) მოგეხილობები

196. სხვადასხვა ვექტორულ სიბრტყეებზე ბლაგვი საგნის მექანიკური გემოქმედების შედეგად მიღებული მოგეხილობები ძვლის მთლიანობას არღვევს. უშუალოდ პირდაპირი მოგეხილობა ხდება დარტყმის უბანში ან იმ ადგილას, სადაც ძალა არის გამოყენებული. ლოკალიზაცია, ფორმა და მოგეხილობის ხასიათი ასახავს მოქმედი ძალის მიმართულებასა და არსს. ზოგჯერ მოგეხილობის რენტგენოგრაფიული სურათი შესაძლებელია უბედური შემთხვევით მიღებული მოგეხილობების გარჩევა. შედარებით ახალი მიღებული მოგეხილობების თარიღის რენტგენოგრაფიული განსაზღვრა უნდა ტარდებოდეს გამოცდილი ექიმტრავმატოლოგის მიერ. ბლაგვი საგნით ტრავმის მიღების მომენტიდან გასული დროისა და ხასიათის შეფასებისას უნდა მოვერიდოთ ჰიპოთეთიკურ მსჯელობებს, ვინაიდან, პაციენტის ასაკიდან, სქესიდან, ქსოვილების უნარიანობიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან და, აგრეთვე, ტრავმის სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაზიანებების ვარიორება. მაგალითად, პრაქტიკულად ჯანმრთელი ახალგაზრდა, განვითარებული კუნთებით სილურჯის განვითარების მიმართ უფრო მდგრადია, ვიდრე ხანში შესული, არაჯანმრთელი ადამიანი.

#### გ) თავის ტრავმები

197. წამების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმად ტრავმა ითვლება. მრავალჯერადი ტრავმების შემთხვევაში, თუნდაც, ბოგ შემთხვევაში, არართულის, შეიძლება განვითარდეს თავის ცვინის ქერქის აცროფია და ტვინის აქსონების დიფუზური დაზიანება. დავარდნით გამოწვეული ტრავმების შემთხვევაში შეინიშნება ტვინის დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ჰილრავლიკური საპირისპირო დარტყმის შედეგად (ტრავმის ადგილის საპირისპირო არე). ამავდროულად, პირდაპირი ტრავმის დროს ტვინის შერყევა შეიძლება შევნიშნოთ უშუალოდ ტრავმირებულ უბანზე. სილურჯე, თუ შეშუპება არაა, თავის თმიან კანზე ძნელად შეინიშნება. რთულია შავგვრემან ადამიანს შეამჩნიოთ სილურჯე, მაგრამ პალპაციის მეშვეობით ადინიშნება ტკივილი.

198. თავში ცემის შედეგ წამების მსხვერპლს შესაძლოა უჩიოდეს თავის გამუდმებული ტკივილს. ასეთი ტკივილები ხშირად სომატური წარმოშობისაა და აფარებს ირადირებულ ხასიათს (იხ. ნაწილი V. C). მსხვერპლს შეუძლია ჩივილი, რომ ტრავმირებულ ადგილზე მიკარებისას ეწყება ტკივილი. თავის თმიან კანზე ჩატარებული პალპაციით შესაძლებელია გაფანგული ან ლოკალიზებული შეშუპების, ან მომატებული სიმკვრიფის აღმოჩენა. თავის თმიანი კანის დაფლეთილი ჭრილობების არსებობის შედეგად შეინიშნება ნაწიბურები. სუბდურალური

<sup>46</sup>Forrest D.Examination for the late physical after effect of torture. *Journal of Clinical Forensic Medicine*, 6 1999:4-13

ჰემატომის გავრცელების პირველი სიმპტომები შეიძლება იყოს თავის ტკიფილი, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლის მწვავე დასაწყისთან, რაც მოითხოვს სასწრაფო კომპიუტერულ-ტომოგრაფიულ სკანირებას. რაილი ქსოვილების შეშუპება ან სისხლჩაქცევა, როგორც წესი, კომპიუტერულ-ტომოგრაფიულ ან მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაციის მეშვეობით ვლინდება. მიზანშეწონილი იქნება, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ან ნეირო-ფსიქოლოგიური ექსპერტის ჩატარება (იხ. ნაწილი VI. C. 4).

199. ძლიერ შენჯღრევას, როგორც წამების ფორმას, შეუძლია გარეგანი კვალის გარეშე თავის ტვინის დაზიანების გამოწვევა, თუმცა ხელის მოჭერისაგან გულმკერდის ზედა ნაწილისა და მხრებზე შეიძლება დარჩეს დალურჯებები. ყველაზე მძიმე შემთხვევაში შენჯღრევამ შეიძლება გამოიწვიოს დაზიანებები, რომლის ანალოგიურია ბავშვის შენჯღრევის სინდრომი: თავის ტვინის ჰემატომა, სუბდურალური ჰემატომა და თვალის ბადურაში სისხლჩაქცევა. ყველა მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, უჩივის რეციდივის ხასიათის თავის ტკიფილს, ორიენტაციის დაკარგვასა და ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლას. შენჯღრევის ყოველი ეპიზოდი რამოდენიმე წეთი ან უფრო მცირე ხნით გრძელდება, მაგრამ შეიძლება რამოდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში მრავალგზის განმეორდეს.

#### ღ) გულ-მკერდისა და მუცლის ტრაგება

200. ხშირია გულმკერდის არეში მიყენებული დარტყმებით გამოწვეული ნეკნების მოტეხილობა. მოტეხილი ნეკნის გადაწევის, გადანაცვლების შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფილტვის დახეთქვას, ან ანევმოთორაქს. ბლაგვი საგნის პირდაპირმა დარტყმაში შეიძლება ხერხემლის მალების მოტეხილობა გამოიწვიოს.

201. მუცლის მწვავე ტრაგების ფიზიკური გამოკვლევის შემთხვევაში, საჭიროა მუცლის დრუსა და საშარდე ტრაქტის დაზიანებების მტკიცებულების მოპოვება, თუმცა გამოკვლევა ზოგჯერ უარყოფით რეტულტატებს იძლევა. თირკმელების დაშავების არსებით ნიშანს, უმეტეს შემთხვევაში, მაკროჰემატურია წარმოადგენს. პერიფონიურმა ლავაჟმა შეიძლება გამოავლინოს ფარული სისხლდენა მუცლის ღრუში. პერიფონიური ლავაჟის შემდეგ კომპიუტერული ტომოგრაფიის მეშვეობით გამოვლენილი მუცლის ღრუში არსებული თავისუფალი სითხე შეიძლება გამოწვეული იყოს ლავაჟით ან სისხლდენით, რაც შლის ან აქარწყლებს გამოკვლევის შედეგებს. ჩენგრალური ნერვული სისტემის მწვავე სისხლჩაქცევისაგან განსხვავებით, რომელიც მაღალი ინტენსიურობით გამოიწვევა, მუცლის ღრუს სისხლჩაქცევა, ჩეველებრივ, ერთნაირი ინტენსიურობისაა ან წყლის სიმკვრივის ტოლია – ეს ყველაფერი კომპიუტერული ტომოგრაფიის შედეგად შეიმჩნევა. ორგანოების დაზიანების ნიშნებად შეიძლება მივიჩნიოთ თავისუფალი ჰაერი, გაუშუქებული სითხე ან დასუსტებული აღვილები, რომლებიც თავისთავდ შეიძლება იყოს შეშუპება, დაეჭირობა, სისხლჩაქცევა ან გაგლევა. ტრავმული და არატრავმული ჰანკრეატიფიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს კუჭქვეშა ჯირკვლის გარშემო წარმოქმნილი შეშუპება წარმოადგენს. ნაღვლის ბეჭის სუბკასულარული ჰემატომების აღმოსაჩენად, განსაკუთრებით ულტრაბეგრითი გამოკვლევაა მიბანშეწონილი. სასტიკი ცემის შედეგად ვითარდება თირკმლების მწვავე უკმარისობა, რომელიც გაჭყლების სინდრომით არის გამოწვეული. თირკმლის დაზიანების გვიან შემდგომ გართულებას თირკმლის ჰიპერტონია წარმოადგენს.

#### 2. ფეხისგულებებები მიყენებული დარტყმები

202. „ფალანგა“-ყველაზე გავრცელებული ტერმინია, რომელიც ფეხისგულებებები (იმვიათად ხელის მტკიცებსა და მენჯებებები) ხელმეორედ მიყენებულ ბლაგვ ტრაგმას აღნიშნავს. „ფალანგის“ დროს გამოიყენება ხელპეტი, წაჭრილი მილი ან ანალოგიური იარაღი. „ფალანგის“ ყველაზე

მძიმე გართულებად ითვლება დახურული ნაკვეთური, რომელმაც შესაძლებელია კუნთის ნეკროზი, სისხლძარღვთა ობსტრუქცია, ტერფის ან ტერფის თითების დისტალური განგრენა გამოიწვიოს. ტერფის შეუქცევადი დეფორმაციები იშვიათია, თუმცა გზგვდება მაჯისა და თითების ფალანგის ძვლების მოტეხილობები. რამდენადაც დაზიანებები რბილი ქსოვილებით შემოიფარგლება, ამდენად დოკუმენტური რენტგენოგრაფიის მეთოდად მიზანშეწონილი იქნება კომპიუტერულ-ტომოგრაფიული ან მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაცია. აღსანიშნავია, რომ მწვავე ფაზის პერიოდში დიაგნოზის დადგენა შესაძლებელია ფიზიკური გამოკვლევით. „ფალანგაზ“ შეიძლება ქრონიკული შრომისუნარობა გამოიწვიოს. სიარული შეიძლება იყოს მტკიცნეული და გაძნელებული. წინა ტერფის ძვლები შეიძლება ფიქსირებული გახდეს ან დაფიქსირდეს მოძრაობის მომატება. ფქხისგელის შეკუმშვა (ძირის) და ტერფის ცერა თითის ბედა მხარეს გაღუნვა დიდ ტკივილს იწვევს. პალპაციის დროს ტერფის ძირის აპონევროზის მთელ სიგრძეზე ტკივილი შეიგრძნება. აპონევროზის დისტალური უბნები შეიძლება პროქსიმალური ფალანგისა და კანის ფუძეს ნაწილობრივ მოწყდეს. აპონევროზი ნორმალურად ვეღარ შეიკუმშება, გამნელდება სიარული, რასაც კუნთების დაღლა მოჰყვება. ტერფის ცერა თითის პასიურმა გაშლამ შეიძლება აპონევროზის გაგლეჯა გამოავლინოს. თუკი აპონევროზი დაზიანებული არ არის, მაშინ პაციენტი ტერფის ცერა თითის 20 გრადუსით ბემოთ გაღუნვით აპონევროზის დაჭიმვას უნდა გრძნობდეს; მაქსიმალური, ნორმალური გაღუნვა 70 გრადუსს უნდა შეადგენდეს. უფრო მაღალი მაჩვენებლები აპონევროზის უბნების დაზიანებას მოწმობს<sup>47,48,49,50</sup>. მეორე მხრივ, ტერფის ცერა თითის რიგიდულობაზე მიგვანიშნებს, რაც წინატერფის ძვლისა და ტერფის ცერა თითის პროქსიმალური ფალანგის ფუძის ოსტეოფიზის შედევია.

203. შეიძლება წარმოიქმნას მრავალრიცხვანი სინდრომი და გართულება:

- ა) დახურული ნაკვეთურის სინდრომი. ეს ყველაზე მძიმე გართულებაა. შეშუპება დახურულ ნაკვეთურში იწვევს სისხლძარღვთა ობსტრუქციასა და კუნთების ნეკროზს, რის შედეგადაც შეიძლება გაჩნდეს ფიბროზი, კონტრაქტურა, ტერფის თითების ან ტერფის დისტალური ნაწილის განგრენა. ეს სინდრომი, ჩვეულებრივ, ნაკვეთურში წნევის გაზომვით დიაგნოსტიკიდება.
- ბ) ტერფის წინა ბალიშებისა და ქუსლის რბილი ქსოვილების დაჟენვა. „ფალანგის“ დროს ქუსლის ძვლის ქვედა და ტერფის თითების პროქსიმალური ფალანგების ელასტიკური ბალიშები განიცდის დაჩქეჩქვას, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ტრავმულ შეშუპებასთან. ამასთან, ცხიმოვან ქსოვილში გამავალი შემაერთებელი ქსოვილებისა და ძვალთან კანის დამაკავშირებელი იოგები იგლიჯება, ცხიმოვან ქსოვილს სისხლის მომარაგება უწყდება და საბოლოოდ ის აფროფირდება. ამორტიზების ეფექტი ქრება და ტერფი ვეღარ ერევა სიარულის შედევად წარმოქმნილ დაძაბულობას.
- გ) „ფალანგის“ შემდგომი ტერფის კანისა და კანქვეშა ქსოვილების უხეში და ქსწორმასწორ ნაწილებრივი. ჯანმრთელი ტერფის კანი და კანქვეშა ქსოვილები შეერთებულია აპონევროზით შემაერთებელი ქსოვილის ჭიდროლ გამიჯნულ იოგების მეშვეობით, რომელიც „ფალანგის“ შემდეგ მიღებული შეშუპების შედევად შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად დაირღვეს.
- დ) ტერფის ძირის აპონევროზისა და მყენების გაგლეჯა. „ფალანგის“ შემდეგ მიღებულმა შეშუპებამ შეიძლება ამ სტრუქტურების გაგლეჯა გამოიწვიოს. ტერფისთვის აუცილებელი დამხმარე ფუნქციის გაქრობის შემდეგ ძნელდება სიარული, ხოლო ტერფის კუნთები, განსაკუთრებით, გრძელი კვადრატული კუნთი, ზედმეტად იგვირთება.

<sup>47</sup> Sklyv G. Physical sequelae of torture. B: Bal o lu, M.,ed.*Torture and its consequences, current treatment approaches*, Cambridge, Cembnge University Press, 1992:38-55.

<sup>48</sup> Forrest D.Examination for the late physical after effect of torture. *Jounal of Clinical Forensic Medicine*, 6 1999:4-13

<sup>49</sup> Prip K., Tived L., Holten N. *Physiotherapy for Torture Survivors; Basic Introduction*. Copenhagen, IRCT, 1995.

ე) ტერფის ძირის ფასციტი. ის შეიძლება განვითარდეს როგორც ტრავმის შემდგომი გართულება. „ფალანგის“ გამოყენების დროს აპონევროზი მთლიანად ღიბიანდება, რაც იწვევს ქრონიკულ აპონევროზიგს. ამ საკითხთან დაკავშირებულ კვლევებში აღინიშნებოდა, რომ თხუთმეტი წლის პატიმრობის შემდეგ განთავისუფლებულმა განაცხადა, თუ როგორ აწამებდნენ მათ „ფალანგის“ მეთოდით პატიმრობის საწყის პერიოდში, რაც დადასტურდა ტერფისა და ქუსლის ჰიპერაქტიური წერტილების სკანირების შედეგად მიღებულმა დადებითმა შედეგებმა<sup>51</sup>.

204. „ფალანგის“ გამოყენების შედეგად მიღებული ტრავმები შეიძლება დამტკიცდეს რენტგენოლოგიური მეთოდებით – მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაცია, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული სკანირება და ულტრაბგერითი გამოკვლევა. რენტგენოლოგიური გამოკვლევების დადებითი შედეგები შეიძლება სხვა დაავადებებით ან ტრავმებით იყოს გამოწვეული. პირველადი გამოკვლევისას რეკომენდებულია რენტგენოგრამა. რენტგენოლოგიური კვლევისას, რბილი ქსოვილების დაზიანებების გამოსავლენად, უპირატესობა მაგნიტურ-რეზონანსულ ვიზუალიზაციას ან სცინტიგრაციას ენიჭება. მაგნიტურ-რეზონანსულ ვიზუალიზაციას ან სცინტიგრაციას უნარი შესწევს გამოავლინოს სისხლნაელენთობის სახით ძვლის დაზიანება, რაც შეუძლებელია აღმოვაჩინოთ ჩვეულებრივი რენტგენოგრამის ან კომპიუტერული ტომოგრაფიის<sup>52</sup> დროს.

### 3. ჩამოკიდება

205. ჩამოკიდებას, რომელიც წამების გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, შეუძლია ძლიერი ტკივილის გამოწვევა. ის არ გოვებს ტრავმის ხილულ, აშკარა მტკიცებულებებს. პატიმრობაში მყოფი პირი ძნელად თუ აღიარებს წამების შესახებ, თუმცა პერიფერიული ნერვების ფუნქციის დარღვევის გამოვლენა, რაც მოწმობს მხრის წნულის დაზიანებას, ჩამოკიდებით წამების გამოყენების დიაგნოზს პრაქტიკულად ამტკიცებს. ჩამოკიდების სხვადასხვა ფორმა არსებობს:

- ა) ჩამოკიდება „ჯვარზე“. მსხვერპლს განზე გაწეული ხელებით კიდებენ და ჰორიზონტალურ კოჭს აბავენ.
- ბ) ცხოველის სახით ჩამოკიდება. მსხვერპლს კიდებენ მაღლა აწეული ხელის მტევნებით – ან ორივეთი, ან თითოთი დროგამოშვებით.
- გ) ჩამოკიდება ცხოველის სახით, თავით ქვემოთ. მსხვერპლს კიდებენ ტერფებით, თავით დაბლა.
- დ) „პალესტინური“ ჩამოკიდება. მსხვერპლი ჩამოკიდებულია წინამხრით და ზურგზე გაკოჭილი მიბმულია ჰორიზონტალურ კოჭზე, ამასთან იდაყვები 90 გრადუსითაა მოხრილი. კიდევ ერთი ხერხი, რომელიც თოკზე ჩამოკიდებას წარმოადგენს: ბურგსუკის შეკრული ხელებით მსხვერპლს კიდებენ იდაყვებით ან მაჯებით.
- ე) „თუთიყუშის ხარისხაზე“ ჩამოკიდება. მსხვერპლს კოჭზე აბავენ მოხრილი მუხლებით, ამ დროს, როგორც წესი მაჯები მიბმულია ფეხის კოჭებზე.

206. ჩამოკიდება შეიძლება გრძელდებოდეს 15-20 წუთიდან რამდენიმე საათის განმავლობაში. „პალესტინური“ ჩამოკიდების ფორმამ მოკლე დროის განმავლობაში შეიძლება მხრის წნულის ქრონიკული დაზიანებები გამოიწვიოს, ხოლო „თუთიყუშის ხარისხაზე“ ჩამოკიდებამ-მუხლის სახსრების ჯვარედინი იოგების გაგლევა. მსხვერპლს, ჩამოკიდების პროცესში, ხშირად სცემენ ან სასტიკი მოპყრობის სხვადასხვა ფორმით აწამებენ. შემდგომ

<sup>50</sup> Bojer-Moller F. and Flagstaff K.E. Plantar aponeurosis an plantar architecture of the ball of the foot. *Journal of Anatomy*, 121 1976:599-611

<sup>51</sup> Lök V., Tunca M., Kumanlioglu K. et al. Bone scintigraphy as clue to previous torture. *Lancet*, 337 (8745) 1991:846-847 ix. agreTve Tunca M. and Lök V. Bone scintigraphy in screening of torture survivors.. *Lancet*, 352(9143)1998:1859

<sup>52</sup> ix. sqolioebi 82 da 83, agreTve Lök V. et al. Bone scintigraphy as evidence of previous torture. B: *Treatment and Rehabilitation Center Report of HRFT*, Ankara, 1994:91-96

ქრონიკულ სტადიაში, როგორც წესი, ტკივილი და მხრის სახსრების მიღამოებში პალპაციის შედეგად ტკივილის შეგრძნება შეიმჩნევა და მრავალი წლის შემდეგაც სიმძიმის აწევა და ბრუნვითი მოძრაობები ძლიერ ტკივილს გამოიწვევს. ჩამოკიდების შემდეგ მწვავე პერიოდის გართულებას მიეკუთვნება: წინამხრისა და ხელის მტევნების კუნთების სისუსტე, პარათეზია და ტკივილი, დამუნჯება ან დაბუქება, შეხების შეგრძნებისა და მყესების რეფლექსის დაკარგვა, ბედაპირული ტკივილი. კუნთების სისუსტე შეიძლება დაფაროს ინტენსიურმა ღრმა ტკივილმა. სისუსტე ქრონიკული სტადიის დროს შეიძლება შენარჩუნდეს და უფრო მეტიც, შეიძლება კუნთების ატროფიაც გამოიწვიოს. შეიმჩნევა დამუნჯება, დაბუქება, ხშირ შემთხვევაში პარასთეზია. ხელების მაღლა აწევამ, სიმძიმემ შეიძლება ტკივილი გამოიწვიოს. ნევროლოგიური ტრავმის გარდა შეიძლება დაზიანდეს მხრის სახსრები, კუნთები, ბეჭები. ზურგის ვიზუალური დათვალიერებისას შეიძლება „ფრთისმაგვარი ბეჭის“ შემჩნევა (ხეხემალთან მოსამაღლობრივ ბეჭის ნაწილის ამოწევა)

207. წინამხრის ნაწილში ნევროლოგიური დაზიანებები, ჩვეულებრივ, ასიმეტრიული ხასიათისაა. მხრის წნევლის დაზიანება კლინდება მამოძრავებელი ფუნქციის, მგრძნობელობისა და რეფლექსების დარღვევით.

ა) მამოძრავებელი ფუნქციის გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგად, ალბათ უნდა ჩაითვალოს დისტალურ ნაწილებში გამოკვეთილი ასიმეტრიული კუნთების სისუსტე. მწვავე ტკივილმა შეიძლება გაართულოს კუნთის ძალის გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია. ქრონიკულ სტადიაში, მძიმე დაზიანების დროს, შეიძლება კუნთის ატროფია განვითარდეს.

ბ) მგრძნობელობის გამოკვლევა. ხშირად შეიმჩნევა მგრძნობელობის ან პარასთეზის სრული დაკარგვა ნერვული ღეროების სენსორულ გზებთან ერთად. აუცილებლად უნდა ჩაგარდეს გამოკვლევები გარემოში სხეული მდგომარეობის აღქმაზე, ორი წერტილის გარჩევის უნარზე, ჩხვდევის რეაქციასა და სითბოსა და სიცივის აღქმაზე. თუ სამი კვირის შემდეგ ადგილი აქვს რეფლექსების შესუსტებას ან დაკარგვას, მაშინ შესაბამისი ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევა უნდა ჩააგარის ნევროპათოლოგმა, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ამ მეთოდიკის ინტერპრეტაციასა და გამოყენებაში.

გ) რეფლექსების გამოკვლევა. შეიძლება ადგილი ჰქონდეს რეფლექსების შესუსტებას, დაკარგვას ან მათ განსხვავებას კიდურებზე. „პალესტინური“ ჩამოკიდების დროს, თუნდაც ორივე მხრის წნევლი იყოს ტრავმირებული, შეიძლება განვითარდეს ასიმეტრიული პლექსოპათია, რაც დამოკიდებულია მსხვერპლის ჩამოკიდების ხერხებსა და იმაზე, თუ რომელი ხელი არის ზემოთ ან გაკოჭვის რა მეთოდია გამოყენებული. მიუხედავად გამოკვლევებისა, რომელიც ამტკიცებს ცალი მხრის პათოლოგიას, ის არ შეესაბამება ჩვენს მონაცემებს თრმშერივი დაზიანებების ხშირი შემთხვევების შესახებ.

208. მხრის ნაწილის ქსოვილებიდან დაჭიმვის დროს დაზიანებისადმი ყველაზე უფრო მგრძნობიარეა მხრის წნევლის სტრუქტურა. „პალესტინური“ დაკიდების შედეგად მხრის წნევლი გიანდება, რასაც ზურგის მხრიდან მოღუნული ხელების იძულებითი გაშლა იწვევს. როგორც უკვე ადინიშნა, ტიპური „პალესტინური“ დაკიდების დროს, როდესაც სხეული ჩამოკიდებულია ხელებით და ძლიერია ხელების გაშლა უკნიდან, მხრის წნევლზე საკმაოდ დიდი ძალა მოქმედებს, მაშინ, ჩვეულებრივ, შესაბამისად გიანდება მხრის წნევლის ქვედა, შეა და ზედა ბოჭკოები. „ჯვარცმის“ ჩამოკიდების შემთხვევებაში, როდესაც ხელების ძლიერი გაშლა არ არის საჭირო, უპირველესად, ხელების გვერდზე ძლიერი გაწევით, მხრის წნევლის შეა ბოჭკოები გიანდება. დაზიანება შეიძლება დავყოთ შემდეგ კატეგორიებად:

ა) წნევლის ქვედა ნაწილის დაზიანება. ფუნქციის დაკარგვა წინამხრისა და მტევნის კუნთებში. შეიძლება გამოკლინდეს წინამხრისა და იდაყვის ნერვის ინევაციის განაწილების უბანზე მტევნის მედიალურ მხარეზე მეოთხე და მეხუთე თითების მგრძნობელობის შესუსტება.

- ბ) წნულის შეა ნაწილის დაზიანება. გიანდება იდაყვის სახსრებისა და თითების გამშლელი და წინამხრის კუნთები. წინამხრის პრონაცია და რადიუსის მიმართულებით მტევნების მოხრა-მოღუნვა შეიძლება იყოს სუსტი. შეიმჩნევა წინამხრის ნაწილისა და სხივერი ნერვის ინერვაციის განაწილების უბანზე, მტევნის პირველი, მეორე და მესამე თითების დორსალური მხარის მგრძნობელობის დაქვეითება. შეიძლება დაიკარგოს სამთავა კუნთის რეფლექსი.
- გ) წნულის ბედა ნაწილის დაზიანება. განსაკუთრებით მხრის კუნთები გიანდება. მხრის ბრუნვის დერძი და წინამხრის პრონაცია-სუპინაცია შეიძლება დაქვეითდეს. დელტისებური კუნთის არეში აღინიშნება მგრძნობელობის დაქვეითება, რომელიც შეიძლება ხელსა და წინამხრის გარენაწილზე გავრცელდეს.

#### **4 მდგომარეობით წამების სხვა სახეები.**

209. მდგომარეობით წამების მრავალი სახე არსებობს. ყველა ამ წამების დროს მსხვერპლი გათოვილი ან უმოძრაო მოლრეცილ ან ზეღმეტად გაშლილ ან სხვა არაბუნებრივ მდგომარეობაშია და განიცდის ძლიერ ტკივილს. ყველაფერმა ამან შეიძლება გამოიწვიოს მყესების, ნერვებისა და სისხლძარღვების დაზიანება. დამახასიათებელია, რომ ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად შემდგომი ინვალიდობისა, ამ სახის წამება თითქმის არ ტოვებს გარეგნულ კვალსა და რენტგენოლოგიურ მტკიცებულებებს.

210. მდგომარეობით წამების ყველა სახე მოქმედებს მყესებზე, სახსრებსა და კუნთებზე. არსებობს სხვადასხვა შეთოდი: „ თუთიყუშის სახით დაკიდება „, „ბანანის მდგომარეობა“ ან კლასიკური „ბანანების შეკვრა“, სკამზე ან უბრალოდ მიწაზე „მოგოციკლი“, იძულებითი დგომა, იძულებითი დგომა ცალ ფეხზე, ხანგრძლივი დგომა კედელთან ხელგაშლილი ან ხელებით მაღლა, ხანგრძლივი იძულებითი ჩაჯდომა და იძულებითი უმოძრაო მდგომარეობა ვიწრო გალიაში. ამ მდგომარეობების თავისებურებიდან გამომდინარე, პაციენტებს, როგორც წესი, შემდეგი ჩივილები აქვთ: ტკივილი სხეულის რომელიმე ნაწილში, სახსრების შეზღუდული მოძრაობა, ტკივილი ბურგის, ხელის მტევნებსა და კისრის ნაწილებში და ფეხის ქვედა ნაწილების შეშუპება. წამების ამ ფორმების დროს ნერვული და ძვლოვან-კუნთოვანი გამოკვლევის ისეთივე პრინციპები გამოიყენება, როგორც დაკიდების შემთხვევაში. ყველა სახის წამების შედეგად მიღებული დაზიანებების შესაფასებლად, რენტგენოლოგიური გამოკვლევების მეთოდებს შორის, უპირატესობა მაგნიტურ-რეზონანსულ ვიზუალიზაციას ენიჭება.

#### **5. ელექტროშოკით წამება**

211. ელექტროდენი მიეწოდება სხეულის ნებისმიერ ნაწილზე მოთავსებული ელექტროდების მეშვეობით. ხშირ შემთხვევაში, სხეულის ასეთ ნაწილებად გვევლინება ხელის მტევნები, ტერფები, ხელისა და ტერფის თითები, ყურები, პირი, ტუჩები, ძუძუს კერტები და სასქესო ორგანოები. ელექტროგენერგიის წყაროდ შეიძლება იყოს გენერატორი, რომელიც ხელით ან შიდაწვის ძრავაზე მუშაობს, კედლის რობეფი, საქონლისათვის განკუთვნილი ელექტრომაყუჩი, ელექტროგამრეკი და სხვა ელექტრომოწყობილობები. ელექტროდენი უმოკლეს გბას გაღის ორ ელექტროდს შორის. მისი მიეწოდების დროს დამახასიათებელი სიმპტომები ჩნდება. მაგალითად, მარჯვენა ტერფის თითზე და სასქესო ორგანოებზე მოთავსებული ელექტროდი იწვევს ტკივილს, კუნთების შეკუმშვას, იწყება მარჯვენა მენჯისა და მარჯვენა ფეხის წვივის კუნთების კრუნჩხვა. სასქესო ორგანოების არეში შეიგრძნობა მტანჯველი ტკივილი. ვინაიდან ყველა კუნთი, ელექტროდენის გავლის დროს, კრუნჩხვითი შეკუმშვის მდგომარეობაში იმყოფება, ზომიერად მაღალმა დენმა შეიძლება მხრის დრძობა და წელისა და კისრის არის რადიკულოპათია გამოიწვიოს. თუმცა მსხვერპლის ფიზიკური გამოკვლევის დროს

შეუძლებელია დაბეჯითებით განისაზღვროს ენერგიის სახესხვაობა, გამოყენების დრო და ძაბვისა და დენის ძალა. ხშირად წამების ეფექტურობისათვის, რომ გაფართოვდეს ელექტროდენის გაფარების არე და არ გაჩნდეს ელექტროდამწვრობა, ჯალათები წყალს ან გელს იყენებენ. ელექტროდამწვრობის შემდეგ, ჩვეულებრივ, ანთების გარეშე, წაბლისფერი 1-3მმ დიამეტრის ფორმის დაბიანების კვალი რჩება, რომლის შედეგადაც შეიძლება ჰიპერპიგმენტური ნაწიბურები წარმოიქმნას. საჭიროა კანის ყურადღებით დათვალიერება, რადგან ასეთი დაბიანებების გამოვლენა ძალიან ძნელია. ამ დაბიანებების წარმომავლობის დასამტკიცებლად ბიოფსიის ჩატარების გადაწყვეტილება სადაცოა. ელექტროდამწვრობებმა შეიძლება სპეციფიკური ჰისტოლოგიური ცვლილებები გამოიწვიოს, რომელიც მუდამ არ ჩანს და ამ ცვლილებების არარსებობა, არავითარ შემთხვევაში, არ მოწმობს ელექტროდამწვრობით მიღებული დაბიანებების უარყოფას. გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კანის ბიოფსიასთან დაკავშირებული ტკივილები და უსიამოვნო შეგრძნებები შესაძლებელია თუ არა, რომ გამართლდეს ამ პროცედურის შედეგად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნას მიღებული. (იხ. დამატება II. 2).

#### 6. კბილებები ბემოქმედებით წამება.

212. კბილებები ბემოქმედებით წამება კბილების ჩამტვრევას, დაძრობას ან კბილებში ელექტროდენის გაფარებას ნიშნავს. ასეთი წამება იწვევს კბილების მტვრევას, დაკარგვას, ღრძილების შეშუპებას, სისხლდენას, ტკივილს, გინგივიტს, სტომატიტს, ქვედა ყბის მოტეხილობას, ამოვარდნას. საფეთქლისა და ქვედა ყბის სახსრის სინდრომი ამ სახსრის ტკივილს იწვევს, ყბის მოძრაობას ბლუდავს და, ბოგ შემთხვევაში, ელექტროდენის გამოყენებისა და სახეში ცემით გამოწვეული კუნთების სპაზმების შედეგად ამ სახსრის ღრძობას.

#### 7. გაგუდვა

213. გაგუდვასთან მსგავსი მდგომარეობა წამების ყველაზე გავრცელებული მეთოდი ხდება. ასეთი წამების შემდეგ, როგორც წესი, კვალი არ რჩება, ხოლო აღდგენა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. წამების ამ მეთოდმა ლათინურ ამერიკაში ისეთი ფართო გავრცელება ჰპოვა, რომ მისი ესპანური სახელწოდება „სუმბარინო“ – ადამიანის უფლებების საკითხების ლექსიკაში შევიდა. ნორმალური სუნთქვის შეწყვეტა შემდეგი მეთოდებითაა შესაძლებელი – თავზე პლასტიკური პაკეტის ჩამოცმა, ცხვირისა და პირის ამოფენვა, კისრის გარშემო ლიგატურის მოჭერა, მტვრისა და ცემენტის, მწარე წიწავის იძულებითი შესუნთქვა და ა. შ. ეს მეთოდი, აგრეთვე, ცნობილია როგორც „მშრალი სუმბარინო“. შეიძლება განვითარდეს კანგე წერტილოვანი სისხლჩაქცევები, სისხლდენა ცხვირიდან, ყურებიდან, სახის ჰიპერემია, პირის ღრუს ინფექცია, სუნთქვის მწვავე ან ქრონიკული მოშლილობები. ძალისმიერი მეთოდებით თავის ჩაყოფამ წყალში, ხშირ შემთხვევაში, დაბინძურებულს შარდით, ფეკალური ნივთიერებებით, შეიძლება დახრჩობის მსგავსი შეგრძნებები გამოიწვიოს. ფილტვებში წყლის შეღწევის შემთხვევაში შეიძლება პნევმონია განვითარდეს. წამების ამ ფორმას „სველი სუმბარინო“ ეწოდება. სტრანგულაციის სხვა მეთოდების დახმარებით, ჩამოკიდებისა და გაგუდვის დროს, ხშირად შეიძლება კისერზე ფიგურული დაბეჭილობებისა და დალურჯებების აღმოჩენა. ნაწილობრივი სტრანგულაციისა და კისერში დარტყმების შედეგად შეიძლება მოტეხილი იქნეს ენისქვეშა ძვალი და ხორხის ხრტილი.

## 8. სექსუალური წამება, მათ შორის გაუპატიურება

214. სექსუალური ხასიათის წამება იძულებითი გაშიშვლებით იწყება, რომელიც მრავალ ქვეყანაში თან სდევს წამებას. ადამიანი თავის დაუცველობას ყველაზე მძაფრად სწორედ გაშიშვლებულსა და უმწეო მდგომარეობაში გრძნობს. სიშიშვლე აძლიერებს შიშს წამების ყოველი ელემენტის მიმართ, რამეთუ მუდამ არსებობს ალბათობა, გახდე სასტიკი მოპყრობის, გაუპატიურების, სოდომიის მსხვერპლი. გარდა ამისა, სექსუალური წამების ელემენტად სიტყვიერი მუქარა ითვლება, რადგან ის უფრო ამძიმებს შეურაცხყოფისა და დამცირების ასპექტებს, რაც ამ პროცედურის განცყოფელ ნაწილად ითვლება. ქალების მიმართ უხეში ხელის ცეცება, ყველა შემთხვევაში, ტრავმას იწვევს და წამებად ითვლება.

215. კაცების სექსუალურ წამებასა და ქალების სექსუალურ წამებას შორის არის ბოგიერთი განსხვავება. თუმცა არსებობს რიგი პრობლემებისა, რომლებიც ორივე სქესის წარმომადგენლებს ეხება. გაუპატიურება მუდამ დაკავშირებულია სასქესო ორგანოებით გადაღებული დაავადებების განვითარების რისკთან, კერძოდ, ადამიანის იმუნოლეფიციური ვირუსის გადაღებას (აივ)<sup>53</sup>. ამჟამად, პროფილაქტიკის მიზნით, აივ –ინფექციის პროფილაქტიკის ერთადერთი მეთოდი გამოყენებული უნდა იქნეს ინციდენტის შემდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში. ეს მეთოდი, ბოგჯერ, მთეწვლომელია იმ ქვეყნებისათვის, სადაც წამების გამოყენება ჩვეულებრივ საქმედ ითვლება. წამება, ხშირ შემთხვევაში, სექსუალური ავხორციელების ელემენტებთან არის დაკავშირებული, სხვა შემთხვევაში კი, წამება სასქესო ორგანოების მიმართ გამოიყენება. მამაკაცის სასქესო ორგანოები ხშირად წამების ობიექტია, რაც გამოიხატება ელექტროდენის შეერთებაში და დარტყმების მიყენებაში, დამატებითი წამების დროს ანალურ ხვრელზე ბემოქმედებით ან მის გარეშე. წამების შედევგად მიღებული ფიზიკური ტრავმა სიტყვიერი შეურაცხყოფებით მდიმდება. მამრობითი სქესის პირებს ხშირად ემუქრებიან მამაკაცობისა და საბოგადოებაში პატივისცემის დაკარგვით. პატიმრები, კულტურული აკრძალვების დარღვევით, შეიძლება მოათავსონ კამერაში შიშველ მგლომარეობაში ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ან აბსოლუტურად უცხო ადამიანებთან ერთად. ტუალეტით სარგებლობის დროს განმარტოების შეუძლებლობის გამო, შეიძლება მათი მდგომარეობა დამძიმდეს. მამაკაცი პატიმრები შეიძლება აიძულონ ერთმანეთის გაუპატიურება, რაც ემოციურად ძალგედ ძნელია. ქალის შესაძლებელმა გაუპატიურების შიშმა, დაკავშირებული სოციალური ნორმებით განსაზღვრული გაუპატიურების სიცხვილთან, შეიძლება უფრო გააღრმავოს მიღებული ტრავმა. არ შეიძლება ფეხმძიმობასთან დაკავშირებული ტრავმის აბუზად აგდება, რაც, ბუნებრივია, მამაკაცებს არ ეხებათ, მაგალითად, ქალწულობის დაკარგვის შიშისა და ბავშვების გაჩენის შესაძლებლობის არაფრად მიჩნევა (თუნდაც შესაძლებელი იყოს გაუპატიურების ფაქტის დაფარვა ქმრისა და საბოგადოების სხვა წევრებისაგან)

216. იმ შემთხვევებში, თუკი მსხვერპლს, სექსუალური ძალადობის საკუთარი სოციალურ-კულტურული პირობებისა და მოსამრებებიდან გამომდინარე ან პირადი მიზეზების გამო არ სურს ამ ფაქტის გახმაურება, ექიმი, რომელიც აფარებს სამედიცინო გამოკვლევას, დაწესებულება, რომელიც აფარებს გამომიებას, სასამართლოები ვალდებულია დაიცვას მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. წამების მსხვერპლთან ურთიერთგაგების დასამყარებლად, რომელმაც ახლახან განიცადა სექსუალური ძალადობა, საჭიროა სპეციალური ფსიქოლოგიური მომზადება და სათანადო ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. გამოკვლევის დაწყების წინ პაციენტისაგან უნდა მივიღოთ ნებისმიერი სახის გამოკვლევის უფლება, რომელიც კვლევის ყველაზე ინტიმური ეტაპების წინ მსხვერპლის მიერ უნდა დადასტურდეს. პაციენტმა ბუსფი და

<sup>53</sup> Sklyv G. Physical sequelae of torture. B: Bal o lu, M.,ed.*Torture and its consequences, current treatment approaches*, Cambridge, Cembrge University Press, 1992:38-55.

სრული ინფორმაცია უნდა მიიღოს გამოკვლევის მნიშვნელობისა და მისი შესაძლებელი შედეგების შესახებ.

### ა) სიმპტომების ანალიზი

217. სავარაუდო ძალადობის ანამნეზი წარმოდგენილი სახელმძღვანელოს მიხედვით უნდა შედგეს. (იხ. ნაწილი V. B). ამასთანავე, არსებობს ზოგიერთი სპეციფიური საკითხი, რომელიც მხოლოდ სექსუალური ძალადობის შესახებ განცხადებას ეხება, რაც ახლახან მომხდარი ძალადობის შედეგად წარმოქმნილ სიმპტომებს გამოავლენს, როგორიცაა: სისხლდენა, საშობან ან უკანა მხრიდან გამონადენი, ტკივილის ლოკალიზაცია, სისხლჩაქცევები, ჭრილობები. წარსულში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს კითხვები უნდა იყოს მიმართული ამ ძალადობით გამოწვეული გახანგრძლივებული სიმპტომების გამოსავლენად, როგორიცაა: შარდვის სიხშირე, შარდვდენი ორგანოს მოშლილობა, შარდის შეუკავებლობა, არყული ხასიათის მენსტრუაცია ფეხმძიმობის შემდგომი ანამნეზით, მუცლის მოშლა ან ვაგინალური სისხლდენა, სასქესო უუნქციის მოშლა და ამასთან ერთად, ტკივილი ინგიმური კავშირის დროს, ან ანალური ხვრელიდან სისხლდენა, ყაბობა ან განავლის შეუკავებლობა.

218. შესაბამისი გამოკვლევისათვის, სექსუალური ხასიათის წამებაგამოვლილი პირების გამოსაკვლევად და სამკურნალოდ, გამოცდილი ფსიქიატრების, ფსიქოლოგების, გინეკოლოგებისა და სამედიცინო დებისაგან შემდგარმა მომზადებულმა ჯგუფმა მაგერიალურ-ტექნიკური პირობები უნდა უზრუნველყოს. სექსუალური ძალადობის შემდეგ კონსულტაციის დამატებით მიზანს წარმოადგენს რეკომენდაციების უზრუნველყოფა, მხარდაჭერა, ნუგეშის მიცემა. ასეთი კონსულტაცია ისეთ საკითხებს უნდა მოიცავდეს, როგორიცაა: სქესობრივი გზით გადადებული დაბავადებები, აივ- ინფექცია, ფეხმძიმობა (თუკი მსხვერპლი ქალია), შეუქცევადი ფიზიკური გადავანაც ჯალათი მსხვერპლს აუწყებს, რომ იგი ვეღარასოდეს შეძლებს ნორმალური სექსუალური ცხოვრებით ცხოვრებას. და ეს მუქარა შეიძლება სინამდვილეში ახდეს.

### ბ) ახლახან მომხდარი ძალადობის გამოკვლევა

219. წამების მსვლელობის დროს გაუპატიურებულ მსხვერპლს იშვიათად ათავისუფლებენ, ვინაიდან შესაძლებელია ახლახან მომხდარი ძალადობის ნიშნების გამოვლენა. მსგავს შემთხვევებში გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის სამედიცინო შემოწმებას. შიშის, სოციალურ-კულტურული თავისებურებებისა ან ძალადობის დამანგრეველი ხასიათის გამო, ახლახან მომხდარი ძალადობის მსხვერპლმა, სამედიცინო და იურიდიული დახმარების მიმართ, შეიძლება დაბნეულობა და აფორიაქება განიცადოს. ასეთ შემთხვევაში, ექიმი ვალდებულია, აუხსნას მსხვერპლს ყველა შესაძლებელი სამედიცინო და სამართლებრივი ასპექტი და იმოქმედოს მსხვერპლს სურვილების შესაბამისად. ექიმი ვალდებულია წამებაგამოვლილისაგან მიიღოს ნებაყოფლობითი, გააჩრებული თანხმობა გამოკვლევისათვის, რეგისტრაციაში გაატაროს ძალადობის შესახებ ყველა სამედიცინო მონაცემი და აიღოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტისათვის ნიმუშები. შეძლებისდაგვარად, გამოკვლევა სექსუალური ძალადობის მსხვერპლის შესამოწმებლად, ექსპერტმა უნდა ჩააფაროს. თუკი ასეთი ექსპერტი არ იღებს მონაწილეობას გამოკვლევაში, მაშინ ექიმმა კონსულტაცია უნდა გაიაროს ექსპერტთან ან კლინიკურ-სასამართლო მედიცინის<sup>54</sup> ავტორიტეტულ შრომებს გაეცნოს. თუ ექიმი მსხვერპლის საწინააღმდეგო სქესისაა, მაშინ ამ უკანასკნელს უფლება აქვს თავისივე

სქესის წარმომადგენელი პირი დაასწროს. ამ წარმომადგენლის ფუნქცია შეიძლება თარჯიმანმაც შეასრულოს, თუკი გამოკვლევისათვის მისი დასწრება საჭიროა. წარმომადგენლის როლში მსხვერპლის ნათესავი არ გამოდგება (იხ. ნაწილი IV. I), ვინაიდან სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოძიება ფრიად დელიკატური ხასიათისაა. გამოკვლევის წინ პაციენტი მშვიდი და მოშვებული უნდა იყოს. უნდა ჩატარდეს გულმოღვინე ფიზიკური გამოკვლევა ყველა შედეგის დოკუმენტური რეგისტრაციით, მათ შორის დაზიანების კვრის, ზომების და ლოკალიზაციის აღნიშვნით. შეძლებისდაგვარად, აუცილებელია ამ შედეგების ფოტოგრაფირება და გამოკვლევის შედეგების მტკიცებულებათა შეგროვება.

220. რეკომენდირებული არ არის ფიზიკური გამოკვლევის სასქესო ორგანოებიდან დაწყება. საჭიროა ნებისმიერი ანომალიის აღნიშვნა. დაზიანების გამოსავლენად განსაკუთრებული ყურადღება კანის საფარის საგულდაგულო გამოკვლევას უნდა მიექცეს, რადგან ძალადობის შედეგების კვალი კანზე რჩება, ასეთებია: ნაღრძობა, გაგლეჯილი ჭრილობები, სისხლჩაქვევები, ავხორციობის შედეგად გამოკვლენილი ქმედებები (კოცნა, კენა). ასეთი დათვალიერება პაციენტს დაეხმარება, რომ უფრო მოღუნდეს და მოემზადოს სრული გამოკვლევისათვის. თუ სასქესო ორგანოების დაზიანებები მინიმალურია, მაშინ ძალადობის არსებით მტკიცებულებად შეიძლება სხეულის სხვა ნაწილის დაზიანებები ჩაითვალოს. ქალის სასქესო ორგანოების დათვალიერების დროს, თუნდაც უშუალოდ გაუპატიურების შემდეგ დაზიანებები გამოვლინებულია მომხდარის 50% ნაკლებ შემთხვევაში, ანალური გზით გაუპატიურების შემდეგ – მომხდარის 30% ნაკლები. ნათელია, თუკი წამების დროს საშოსა და უკანა ტანში მსხვილ საგნებს ხმარობდნენ, მაშინ დაზიანებების გამოვლენის ალბათობა გაცილებით მაღალია.

221. გამოკვლევის წინ აუცილებელია არსებულ სასამართლო-სამედიცინო ლაბორატორიებთან დაკავშირება იმ საკითხების განსახილევლად, თუ რა სახის სინჯების ჩატარება შეიძლება და როგორი სინჯების აღებაა რეკომენდირებული. მრავალ ლაბორატორიას აქვს აღჭურვილობა, რომელიც სექსუალურ ძალადობაგამოვლილი პირების ყველა აუცილებელი სინჯის აღების საშუალებას იძლევა. თუ არ არის ასეთი ლაბორატორია, მაშინ მიზანშეწინილია სინჯის აღება სველი ტამპონით, რომელიც შემდეგ მზებე უნდა გაშრეს. მოგვიანებით ეს ნიმუშები შეიძლება გამოვიყენოთ ღნმ-ის ანალიზისათვის. ღრმად საშოდან ტამპონის სინჯის აღებიდან ხუთი დღის განმავლობაში შეიძლება სპერმის გამოვლენა, სწორი ნაწლავიდან აღებული სინჯით კი სამი დღის განმავლობაში. რათა თავიდან აგიცილოთ მსხვერპლისაგან აღებული სინჯის დროს ჯვარედინი დაბინძურების შესახებ (განსაკუთრებით, თუ ეს სინჯები აღებულია სავარაუდო მოძალადებებისაგან) განცხადებები, აუცილებელია სიფრთხილის გომების მკაცრი დაცვა. უნდა უზრუნველვყოთ ყველა სასამართლო-სამედიცინო ნიმუშების სრული დაცვა და ათი შენახვის დოკუმენტური რეგისტრაცია.

#### გ) ძალადობის გამოკვლევა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ

222. თუკი სავარაუდო ძალადობის შემდეგ გასულია კვირაზე მეტი და არ არსებობს დაბეჭილობის ან გაგლეჯის არანაირი ნიშანი, მაშინ მენჯის ორგანოების გამოკვლევის გადაუდებელი აუცილებლობა საქმაოდ მცირდება. შეიძლება უფრო კვალიფიციური სპეციალისტის მოქმედნას დაეთმოს დრო, რომელიც დასაკითხ პირს შეუქმნის უკეთეს პირობებს და უზრუნველყოფს მონაცემების დოკუმენტურ რეგისტრაციას. და მაინც, უფრო უპრიანი იქნებოდა დარჩენილი დაზიანებების ფოტოგრაფირება.

223. საჭიროა, ზემოაღწერილის მიხედვით, საწყისი მონაცემების რეგისტრირება, ხოლო შემდეგ ჩავატაროთ გამოკვლევა და საერთო ფიზიკური გამოკვლევის მონაცემების

<sup>54</sup> ix. Howitt J. and Rogers D. Adult Sexual Offenses and Related Matters. B: McLay WDS, ed. *Clinical Forensic Medicine*, London, Greenwich Medical Media, 1996:193-218.

რეგისტრაცია. გაუპატიურებამდე ნამშობიარებ ქალებთან და მის შემდეგაც პათოგნომონიური მონაცემების მიღების აღბათობა არ არსებობს, თუმცა გამოცდილ ექიმს ქალის საქციელის მიხედვით, როცა იგი საკუთრ ისტორიას<sup>955</sup> ყვება, ბევრის განსაზღვრა შეუძლია. შეიძლება რაღაც პერიოდმა გაიაროს, რის შემდეგაც მსხვერპლს გაუჩნდეს იმ საკითხების გარშემო მსჯელობის სურვილი, რომელსაც ყველაზე სასირცხვილოდ თვლიდა. ანალოგიურად, თუკი დრო ამის საშუალებას იძლევა, პაციენტს შეუძლია გამოკვლევის ყველაზე ინფიმური ნაწილი გადადოს შემდეგ კონსულტაციამდე.

#### დ) შემდგომი დაკვირვება

224. სექსუალური ძალადობის დროს ადგილი აქეს ინფექციური დაავადებების გადადებას, როგორებიც არის: ჰონორეა, ქლამიდიოზი, აივ-ინფექცია, A და B ჰეპატიტი, მარტივი ფორმის ჰერპესი და condyloma acuminatum (წვეტიანი კონდილომა), სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული ველვოვაგინიტი, როგორიცაა ფრიქომონიაზი, moniliasis vaginitis, gardenarella vaginitis და enterobius vermicularis (ჭია), აგრეთვე საშარდო ორგანოების ინფექციური დაავადებები.

225. სექსუალური ძალადობის სხვა შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი ლაბორაცორიული გამოკვლევისა და მკურნალობის დანიშნა. ჰონორეასა და ქლამიდიოზთან დაკავშირებით, გამოკვლევის მიზნით მაინც, გათვალისწინებული უნდა იყოს ანუსის, ხახისა და პირის თანმდევი ინფექციების შესაძლებლობა. სექსუალური ძალადობის შემთხვევებში აუცილებელია თავდაპირველი კულტურების აღება და სეროლოგიური გამოკვლევები და შესაბამისი მკურნალობა. მსხვერპლისათვის დამახასიათებელია სასქესო ფუნქციის მოშლა, განსაკუთრებით იმ პირებს შორის, ვინც სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება განიცადა, და არამარტო მათ შორის. თავისი წარმომავლობით სიმპტომები შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან კომბინირებული და მოიცავს შემდეგს:

- (i) საწინააღმდეგო სქესის სიძულვილი ან სქესობრივი აქტიურობისადმი ინტერესის დაქვეითება;
- (ii) სქესობრივი აქტიურობისადმი შიში, დაკავშირებული სექსუალურ პარტნიორთან, რომელსაც შეუძლია მისი სექსუალური ძალადობის შესახებ ამბის გაგება, ან სასქესო ორგანოებზე მიყენებული ზიანის გაგების შიში. შესაძლებელია ჯალათები იყენებდნენ დაშინების შეთოდს, რითაც შთაუნერგეს ძალადობაგამოვლილ, ანალური გზით გაუპატიურებულ მამაკაცებს ჰომოსექსუალიზმისადმი შიში. ზოგიერთი ჰეტეროსექსუალური მამაკაცი ძალადობრივი, ანალური სქეობრივი კავშირის დროს განიცადის ერექციას, ზოგჯერ ეაკულაციასაც. საჭიროა მათი დარწმუნება, რომ ეს მხოლოდ ფიზიოლოგიური რეაქციაა;
- (iii) სექსუალური პარტნიორისადმი უნდობლობა;
- (iv) სქესობრივი აგზნებისა და ერექციის მოშლა;
- (v) დისპარეუნია (ქალებთან, სქესობრივი კავშირის დროს ტკივილის შეგრძნება) ან სქესობრივი კავშირით გადადებული ავადმყოფობების, რეპროდუქციული

<sup>955</sup> Hinshelwood G. *Gender-based persecution*, Toronto, United Nations Expert Group Meeting on Gender-based Persecution.

ორგანოების უშუალო ტრავმების ან არაკვალიფიციურად შესრულებული აბორტის შედეგად გამოწვეული უნაყოფობა;

### ვ) სასქესო ორგანოების გამოკვლევა ქალებში

226. მრავალი კულტურა კრძალავს ქალიშვილის საშოს გასინჯვას სარკით, თითით ან ტამპონით. თუ ქალის გარეგნული გასინჯვის შედეგები ნათლად მოწმობს გაუპატიურებას, მაშინ ალბათ აუცილებელია საშოს გამოკვლევა. სასქესო ორგანოების გამოკვლევის შედეგად შეიძლება აღმოჩენილ იქნეს:

- (i) ვულვების უმნიშვნელო ნახეთქი ან ნაგლეჯი. ზედმეტი დაჭიმვის შედეგად ისინი შეიძლება მწვავედ განვითარდეს. ჩვეულებრივ, ისინი მთლიანად ხორცდება, მაგრამ განმეორებითი ტრავმის შედეგად შესაძლებელია ნაწილურების გაჩენა;
- (ii) ქალის სასქესო ორგანოების სისხლჩაქცევები. სისხლჩაქცევები, სექსუალური კონტაქტის შედეგად, შეიძლება გამოიწყიოს, დამკაწვრელმა საგნებმა, როგორიცაა ბჟჰელი და ფრჩხილები.
- (iii) საშოს გაგლეჯა. ასეთი დაზიანება იშვიათია, მაგრამ თუ გზხვდება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ქსოვილების ატროფიასთან ან წინანდელ ოპერაციასთან. ამ დაზიანებების განსხვავება ბასრი დანის შეყვანის შედეგად მიღებული დაზიანებებისაგან შეუძლებელია.

227. ძალადობიდან ერთი კვირის და მეტი ხნის შემდეგ, ქალის სასქესო ორგანოების გამოკვლევის დროს, მნელდება ფიზიკური მტკიცებულების გამოვლენა. მოგვიანებით, ქალის ნებაყოფლობითი ან იძულებითი სქესობრივი აქტივობის ან მშობიარობის შემდეგ, შეუძლებელი იქნება ინკრიმინირებული ძალადობის კონკრეტული შემთხვევის მონაცემებით მსჯელობა და გამოკვლევა. ამიტომაც, სამედიცინო ექსპერტის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტად საწყისი ინფორმაციის ექსპერტისეული შეფასება ჩაითვლება (მაგალითად, განცხადებასა და ძალადობას შორის შესაბამისობა, მწვავე დაზიანებები), აგრეთვე მოცემული პირის ქსევა წამებაგამოვლილი ქალის კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

### გ) სასქესო ორგანოების გამოკვლევა მამაკაცებში

228. მამაკაცები, რომლებმაც განიცადეს წამება სასქესო ორგანოებზე (წაჭერა, დაგრეხა და სათესლის პარკის დაჭიმვა ან ამ ნაწილის პირდაპირი ტრავმა), მწვავე პერიოდში, ჩვეულებრივ, უჩივიან ტკივილს და ავადმყოფურ შეგრძნებას. შესაძლებელია გაჩნდეს პიპერებია, გამოკვეთილი შეშუპება და კანქვეშა პერიოდი. შარდის შემადგენლობაში შეიძლება მომატებული იყოს ლეიკოციტები და ერითროციტები. რაიმე მოცულობითი წარმონაქმნის შემთხვევაში უნდა გაირჩეოს კვერცხის წყალმანკია, პერიოდულების თუ საბარდეულის თიაქარი. თუკი საბარდეულის თიაქარია, მაშინ ამ შემთხვევაში, ექსპერტს გაუჭირდება მოცულობით წარმონაქმნები სათესლე არხის პალპირება, ხოლო თუკი ეს კვერცხის წყალმანკია ან პერიოდულები, მაშინ მოცულობით წარმონაქმნები შესაძლებელია სათესლე არხის ნორმალური სცრუქტურების პალპირება. კვერცხის ვაგინალური გარსის შეა ზედმეტი სითხის დაგროვების შედეგად ჩნდება კვერცხის წყალმანკი. სითხის დაგროვებას კი კვერცხისა და მისი დანამატების ანთება, ლიმფური ან ვენური სისხლძარღვების ობსტრუქციის შედეგად გამოწვეული შემცირებული დრენირება იწვევს. პერიოდულების მიღებული ტრავმის შედეგად კვერცხის ვაგინალური გარსის შიგნით დაგროვილი სისხლია. წყალმანკისაგან განსხვავებით კვერცხის პერიოდულები არ შექდება.

229. სათესლ პარკის ტრავმამ შეიძლება კვერცხის გადაგრეხა გამოიწვიოს. ამგვარი დაზიანების დროს ხდება ჩაგრეხა ძირში, რის შედეგადაც ფერხდება კვერცხთან სისხლის მიწოდება, რაც ძლიერ ტყივილსა და შეშუპებას იწვევს და საჭიროებს სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას. თუ ჩაგრეხა სასწრაფოდ არ იქნა მოცილებული, შეიძლება კვერცხის ინფარქტი განვითარდეს. თუკი პატიმრობაში მყოფი პირი უარს მიიღებს სამედიცინო დახმარებაზე, მაშინ, მოგვიანებით, ამ დაზიანების გართულებასთან გვექნება საქმე.

230. ის პირები, რომლებმაც სათესლე პარკის ტრავმა გადაიტანეს, შემდგომ, შესაძლებელია, შარდმდენი გზების ქრონიკული ინფექციით დაიტანჯონ, ერექციის მოშლა ან კვერცხების ატროფია განუვითარდეთ. ხშირია პოსტგრავმატული სტრესული მოშლილობის სიმპტომები. ქრონიკული სტადიის დროს მნელდება ტრავმის შედეგად გამოწვეული სათესლე პარკის პათოლოგიის განსხვავება სხვა დაავადების შედეგად განვითარებული სათესლე პარკის პათოლოგიისაგან. იმ შემთხვევაში, თუ სრული უროლოგიური გამოკვლევა ვერ გამოავლენს ფიზიკურ გადახრებს, მაშინ უროლოგიური სიმპტომები, იმპოტენცია და სექსუალური პრობლემები, სავარაუდო, შეიძლება ფსიქოლოგიური მიზეზებით აიხსნას. ნაწიბურები სათესლის პარკის კანსა და პენისბე მნელად არის გამოსავლენი. ამდენად, ნაწიბურების უქონლობა, სხეულის ასეთ სპეციფიკურ ნაწილებში, სულაც არ მოწმობს იმ ფაქტს, რომ წამება არ იყო გამოყენებული. მეორე მხრივ, ნაწიბურების არსებობა, ჩვეულებრივ, სერიოზული ტრავმის გადატანას ადასტურებს.

### გ) უკანა ტანის მიღამოს გამოკვლევა

231. რაიმე საგნის შეტენით ანალურ ხვრელში ან ანალური გაუპატიურების შემდეგ როგორც მამაკაცებთან, ასევე ქალებთან რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში შეიძლება აღინიშნოს სისხლდენა. ყველაფერი ეს ყაბბობას იწვევს, რასაც უფრო ართულებს საპატიმროების დარიბული რაციონი. აგრეთვე, შესაძლებელია კუჭ-ნაწლავისა და შარდმდენი სისტემის სიმპტომების გაჩენაც. ვიზუალური დათვალიერების გარდა, მწვავე ფაზის ნებისმიერი გამოკვლევა საჭიროებს სპეციალისტის მიერ ადგილობრივი ან სრული ანესთეზის გაკეთებას. აუცილებელია ქრონიკულ ფაზაში შესანარჩუნებელი სიმპტომების გამოკვლევა. უკანა ტანში შეიძლება აღმოჩენილი იყოს უჩვეულო ზომის ან განლაგების ნაწიბურები, რაც საჭიროებს დოკუმენტირებას. უკანა ტანის ნახეთქები შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში იყოს შენარჩუნებული, თუმცა, ჩვეულებრივ, შეუძლებელია განვასხვავოთ წამების შედეგად გაჩენილი ნახეთქები სხვა მიზეზებით წარმოქმნილი ნახეთქებისაგან. უკანა ტანის გამოკვლევა საჭიროებს შემდეგის გამოვლენასა და დოკუმენტირებას:

- (i) ნახეთქებს ახასიათებს არასპეციფიური ტენდენცია, რამეთუ ისინი წარმოიქმნება „ჩვეულებრივი“ სიტყაციიდან (ყაბბობა, ჰიგიენა). თუმცა, თუ ნახეთქები მწვავე ფაზაშია დაფიქსირებული (წამებიდან 72 საათის განმავლობაში), მაშინ ეს ნახეთქები სპეციფიური ხასიათის იქნება და შეიძლება შტკიცებულებადაც კი ჩაითვალოს;
- (ii) შესაძლებელია აღინიშნოს სწორი ნაწლავის გაფლეხა სისხლდენით ან მის გარეშე;
- (iii) გაფლეხილი ნაკეცი ქსოვილების ნაწიბურები გლუკი მარაოსებრი სახისაა. თუკი ეს ნაწიბურები შეა ხაზის გარეთავა განლაგებული (ე. ი. არაა აღნიშნული 12 და 6 საათგე), მაშინ უკანა ტანის ტრავმასთან გვაქვს საქმე;
- (iv) ანალური ხვრელის არეში წარმოქმნილი ფიბროზული პოლიპები, შესაძლებელია, ტრავმის შეხორცების შედეგი იყოს;
- (v) ჩირქოვანი გამონადენი ანალური ხვრელიდან. უკანა ტანში შეღწევის ყველა სავარაუდო შემთხვევაში, მიუხედავად გამონადენის არსებობისა ან პირიქით, ჰონორეის ან ქლამიდიოზის გამოსავლენად, კულტურების დათესვაა საჭირო.

## **Е. სპეცილური დიაგნოსტიკური გამოკვლევები**

232. წამებაგამოვლილი პირის, კლინიკური ექსპერტის დროს, დიაგნოსტიკური გამოკვლევა აუცილებელ ნაწილად ითვლება. ხშირ შემთხვევაში, საკმარისია სამედიცინო ანამნეზის შეგროვება და ფიზიკური გამოკვლევა. არსებობს გარემოებები, როდესაც ასეთი გამოკვლევები მნიშვნელოვან დამატებით მტკიცებულებებს წარმოადგენს, მაგალითად, კომპენსაციაზე სარჩელის შეტანის ან ხელისუფლების წარმომადგენლების წანააღმდეგ საქმის აღძვრის დროს. ასეთ შემთხვევებში გამოკვლევის დადებითმა შედეგებმა შეიძლება სასამართლოს გარჩევის საბოლოო შედეგი განსაზღვროს. ამას გარდა, თუკი დიაგნოსტიკური გამოკვლევები მკურნალობის მიზნით ტარდება, მაშინ შედეგები კლინიკური გამოკვლევის ანგარიშშია შესატანი. აუცილებელია იმის შეგნება, რომ თუ დიაგნოსტიკური გამოკვლევების დადებითი შედეგები არ არის – ეს ეხება ფიზიკური გამოკვლევების შედეგებსაც – არ შეიძლება დასკვნის გაკეთება, თითქოს პატიმარი არ აწამეს. უამრავი სიტუაცია არსებობს, როდესაც ტექნიკური მიზებების გამო დიაგნოსტიკური გამოკვლევები არ ტარდება, თუმცა ფაქტმა კანონის ძალა არ უნდა დააკარგვინოს ანგარიშს, რომელიც ყველა დანარჩენ შემთხვევაში სათანადოდ არის შედგენილი. არ არის მართებული, მხოლოდ სამართლებრივი მიზებებით გამოწვეული დაზიანებების დოკუმენტირებისათვის, შეზღუდული დიაგნოსტიკური შესაძლებლობების გამოყენება, როდესაც არსებობს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი კლინიკური მოთხოვნები შესაბამისი მოწყობით (იხ. დაწვრილებით დანართში II).

## თავი VI

### წამების ფიქტურობის მთავარი როლი

#### A. ზოგადი მოსაზრებანი

##### I. ფხიქოლოგიური კქსპერტის მთავარი როლი

233. ფართოდ გავრცელებული აზრის თანახმად, წამება ცხოვრებაში განსაკუთრებულ მოვლენად ითვლება, რომელსაც ძალუძს სხვადასხვაგვარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფანჯვის მიყენება. ექიმებისა და მკვლევარების უმრავლესობა იმიარებს აზრს იმის შესახებ, რომ წამების ფაქტის განსაკუთრებული ხასიათი იმდენად ძლიერია, რომ მიუხედავად დაპატიმრებამდე ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა, მას გააჩნია ფსიქიკური და ემოციური შედეგები. მიუხედავად ამისა, წამების ფსიქოლოგიური შედეგები მომხდარის პირადი აღქმის, პიროვნების განვითარების დონის, აგრეთვე სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების კონტექსტში წარმოიქმნება. ამის გამო არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ წამების ყველა ფორმას ერთი და იგივე შედეგი აქვს. მაგალითად, სიკვდილით დასჯის იმიტაციის ფსიქოლოგიური შედეგები განსხვავდება სექსუალური ძალადობის შედეგებისაგან, ხოლო განმარტოებას ან იზოლაციას, ალბათ, არ ექნება ის შედეგები რაც წამების ფიზიკურ აქტს შეიძლება მოჰკვეთს. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მომზრდილი პატიმრის წამების შედეგები იგივე იქნება, როგორიც ბავშვის წამების შემდეგ. მიუხედავად ამისა, არსებობს სიმპტომებისა და ფსიქოლოგიური რეაქციის გამოვლენის ჯგუფები, რომლებიც წამებაგამოვლილი პირების მიმართ გარკვეული რეგულარობით აღინიშნება და დოკუმენტირდება.

234. ჯალათები ხშირად საკუთარი საქციელის გამართლებას ცდილობენ – წამება და სასტიკი მოპყრობა ინფორმაციის მიღების აუცილებელი საშუალებაა, რაც თავისი კონცეპტუალობით ხელს უშლის წამებისა და სავარაუდო შედეგების მიზნის გაგებას. წამების მთავარი მიზანია ადამიანის უკიდურესი უსუსურობისა და სულიერი ტანჯვის გამოუცნობ მდგომარეობამდე მიყვანა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კოგნიტიური, ემოციური და მოქმედების ფუნქციის<sup>92</sup> მომლა. ამგარად, წამება წარმოადგენს ადამიანის ფსიქოლოგიური და სოციალური აქტივობის ძირითადი სახეობების ხელყოფის ერთ-ერთ მთავარ ხერხს. ასეთ გარემოებებში ჯალათებს არამარტო ფიზიკური მდგომარეობიდან გამოჰყავთ ადამიანი, არამედ ცდილობებ დაანგრიონ, გაანადგურონ როგორც პიროვნება. ჯალათები ცდილობენ წაართვან აღქმის უნარი, რომ იგი ოჯახისა და საზოგადოების ნაწილია, რომელსაც შეუძლია იოცნებოს, ჰქონდეს იმედი და მომავლის გეგმები. მსხვერპლის ნებისყოფის დასუსტებითა და ჩახშობით ჯალათები აშინებენ მათ, ვისაც მოგვიანებით ურთიერთობა ექნება მსხვერპლთან. ამგვარად, წამების მეშვეობით შესაძლებელია პიროვნების ნებისყოფისა და მთელი თემის ერთობის ჩახშობა და დასუსტება. ამის გარდა, წამება შეიძლება ღრმად შეეხოს მეუღლების, მშობლების, ბავშვებისა და ოჯახის სხვა წევრების პირად ურთიერთობებს. ასევე, მსხვერპლსა და თემს მორის ურთიერთობებსაც.

235. აღსანიშნავია, რომ წამების ყველა მსხვერპლს არ უვითარდება დიაგნოსტიკისათვის ხელმისაწვდომი ფსიქიკური დაავადებები. მიუხედავად ამისა, მრავალი წამებაგამოვლილი ემოციურ მდელვარებასა და ფსიქოლოგიურ სიმპტომებს განიცდის. წამებასთან დაკავშირებულ მირითად ფსიქიკ ამლილობად პოსტრავიაგული სტრესული ამლილობა (PTSD) და ღრმა

<sup>92</sup> Fischer G. and Gurris N.F. Grenzverletzungen: Folter und sexuelle Traumatisierung. B: Senf W. and Broda W., eds. *Praxis der Psychotherapie - Ein intergratives Lehrbuch für Psychoanalyse und Verhaltenstherapie*, Stuttgart, Thieme, 1996.

დეპრესია ითვლება. ასეთი აშლილობები მოსახლეობას შორისაც გვხვდება, მაგრამ უფრო მეტად ტრავმაგამოვლილ პირებს შორის არის გავრცელებული. ყოველი ადამიანისათვის წამების პლიტიკური, სოციალური და კულტურული შედეგები უნიკალურია. ეს შედეგები ადამიანის წამების გადმოცემის უნარზე მოქმედებს. შედეგები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან იგი წამების სოციალურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ხელს უწყობს რაც, სხვა კულტურის წარმომადგენლის მდგომარეობის შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს. რამოდენიმე კულტურის ჩარჩოებში წარმოებული გამოკვლევა მოწმობს, რომ ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული აშლილობების შეფასებისას ფენომენური ან აღწერითი მეთოდი ბევრად უფრო რაციონალურია. ის, რომ მოქმედება და დაავადება ერთი კულტურის ჩარჩოებში მოშლილობად ითვლება, სხვა კულტურის ჩარჩოებში შეიძლება პათოლოგიად<sup>957,958,959</sup> არ ითვლებოდეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შესაძლებელი გახდა ძალადობის ფსიქოლოგიური შედეგების სწორი გაგება. წამება და ძალადობაგამოვლილ პირებს აღნიშნებოდათ და დოკუმენტირებულად იყო დაფიქსირებული ფსიქიური სიმპტომები ან სიმპტომთა ჯგუფი.

236. ბოლო წლებში უფრო მეტ სხვადასხვაგარ ძალადობაგამოვლილ ადამიანებს უსვამენ პოსტრავმატული აშლილობის დიაგნოზს. თუმცა, არადასავლური კულტურის ჩარჩოებში, ამ დიაგნოზის სიკეთე ჯერ არ ჩანს. მიუხედავად ამისა, არის მტკიცებულებანი, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური და კულტურული წარმომავლობის<sup>960,961,962</sup> ტრავმირებულ ჯგუფებს შორის მაღალი დონის პოსტრავმატული სტრესული აშლილობისა და დეპრესიული სიმპტომების არსებობის ვარაუდის საშუალებას იძლევა. ჯანმრთელობის დაცვის<sup>9</sup> მსოფლიო<sup>63</sup> ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა კულტურებში ჩატარებული დეპრესიის გამოკვლევა სასარგებლო ინფორმაციას მოიცავს. სხვადასხვა კულტურის ზოგიერთი სიმპტომი შეიძლება არ ეკუთვნოდეს იმ სიმპტომთა რაობას, რომელსაც ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდება.

## 2. ფსიქოლოგიური ექსპერტიმის კონტექსტი

237. სხვადასხვა პოლიტიკურ კონტექსტში ჩატარებული ექსპერტიმა განაპირობებს ექსპერტიმის ჩატარების ხერხების მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოვლენას. ექიმმა ან ფსიქოლოგმა ქვემოთ მოყვანილი სახელმძღვანელო პრინციპები უნდა შეუფარდოს კონკრეტულ სიტუაციასა და ექსპერტიმის მიზანს (იხ. ნაწილი III. 2).

238. რისკის გარეშე გარევეული შეკითხვების დასმა დამოკიდებულია სიტუაციასა და კონფიდენციურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. მაგალითად, საპატიმროში მიწვევული ექიმის თხუთმეტწეთიანი, შეტყუდული დათვალიერება ვერ წარიმართება იმავე სქემით, რა სქემითაც იგივე დათვალიერება კერძო დაწესებულებაში ბოგჯერ რამდენიმე საათს გრძელდება. იმის შესაფასებლად, არის თუ არა ფსიქოლოგიური სიმპტომები ან ქცევის თავისებურებანი პათოლოგიური ან ადაპტირებული, ჩნდება დამატებითი პრობლემები. ტანჯვისა და შიშის ქვეშ

<sup>93</sup> Kleinman A. Anthropology and psychiatry: the role of culture in cross-cultural research on illness and care. Paper delivered at the WPA regional symposium on psychiatry and its related disciplines. 1986.

<sup>94</sup> Engelhardt H.T. The concepts of the health and disease. B: H.T. Engelhardt and S.F. Spicker, eds. *Evaluation and Explanation in the Biomedical Sciences*, Dordrecht: D. Reidel Publishing Co., 1975:125-141.

<sup>95</sup> Westermeyer J. Psychiatry diagnosis across cultural boundaries. *American Journal of Psychiatry*, 142(7) 1985:798-805

<sup>96</sup> Mollica R.F., Donelan K., Tor S. et al. The effect of trauma and confinement on the functional health and mental health status of Cambodians living in Thailand-Cambodia border camps. *Journal of the American Medical Association (JAMA)*, 270 1993:581-586.

<sup>97</sup> Kinzic J.D. et al. The Prevalence of post-traumatic stress disorder and its clinical significance among Southeast Asian Refugees. *American Journal of Psychiatry*, 147 (7) 1990:913-917.

<sup>98</sup> Alledden K. et al. Burmese Political Dissidents in Thailand: Trauma; and survival among young adults in exile. *American Journal of Public Health*, 86 1996:1561-1569.

<sup>99</sup> Sartorius N. Cross-cultural research on depression. *Psychopathology*. 19(2) 1987:6-11.

მყოფი პატიმრის გასინჯვის დროს, შესაძლებელია სიმპტომების აღაპეტაცია. მაგალითად, ადვილი გასაგებია მარტოხელა პატიმრების აქტიური საქმიანობისადმი ინტერესის დაქვეითება, განდგომისა და გაუცხოების გრძნობა. ასევე შესაძლებელია აღინიშნებოდეს ზედმეტი სიფრთხილე და გადარჩენის რეაქცია<sup>640</sup> იმ პირებთან, რომლებიც რეპრესიული რეჟიმის ქვეშ იმყოფებიან და ცხოვრობენ საბოგადოებაში, მიუხედავად ამისა, დაკითხვის ჩატარების ბოგიერთი პირობის მიმართ არსებული შეზღუდვები არ გამორიცხავს წარმოდგენილ სახელმძღვანელოში გადმოცემულ სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენების სურვილს. ძალგედ მნიშვნელოვანია იმის მიღწევა რათა, რთულ პირობებში, მთავრობამ და შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელობამ გულმოდგინედ დაიცვან ეს სტანდარტები.

## B. წამების ფსიქოლოგიური შედეგები

### I. წინასწარი შენიშვნები

239. სანამ სიმპტომების ტექნიკურ აღწერასა და ფსიქიატრიულ კლასიფიკაციას შევუდგებით, ფსიქიატრიული კლასიფიკაცია მართებულია, რომ ჩაითვალოს დასავლურ სამედიცინო კონცეფციებად და მათი გამოყენება არადასავლური ქვეყნების მიმართ გარკვეულ სიძნელეებს ქმნის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთი ფსიქოლოგიური პროცესების სამედიცინო ასპექტის მიმართ მეტისმეტ ყურადღებას იჩენს. იდეა იმის შესახებ, რომ სულიერი განცდა არის ადამინის თრგანიბმში არსებული და რიგი ტიპური სიმპტომების დამახასიათებელი აშლილობა, შესაძლებელია, არადასავლური საბოგადოების მრავალი წევრისთვის მიუღებელი იყოს. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი მტკიცებულება; მაგალითად, პოსტტრავმატული სტრესული აშლილობები იწვევს ბიოლოგიურ ცვლილებებს, და აქედან გამომდინარე, პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა დიაგნოსტირებადი დიაგნოზია, რომელიც ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მკურნალობას<sup>101</sup> ექვემდებარება. ექიმი ან ფსიქოლოგი ექსპერტი, შეძლებისდაგვარად, უნდა შეეცადოს რეაგირება მოახდინოს აღნიშნული პიროვნების სულიერ განცდებზე შეხედულებისა და კულტურული ნორმების კონტექსტში. ეს პოლიფიკური კონტექსტის, აგრეთვე, კულტურული თავისებურებებისა და რელიგიური მრწამსის პატივისცემას გულისხმობს. ფსიქოლოგიური ექსპერტის დროს, წამებისა და მისი შედეგების სისასტიკის გათვალისწინებით, პირველ რიგში, საჭიროა მიღებული ინფორმაციის შესწავლა, და არა დიაგნოზის სწრაფი დასმა და შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრა. ასეთი მიღობა მსხვერპლს დაარწმუნებს, რომ მისი ჩივილები და ტანჯვა სიმართლეს შეეფერება და აღიარებულია და მოცემულ გარემოებებში საგსებით გასაგებია. ასე რომ, გულისხმიერება და თანაფრთხობა მსხვერპლს გაუცხოების შეგრძნებისაგან თავის დაღწევაში დაეხმარება.

### 2. გავრცელებული ფსიქოლოგიური რეაქციები

#### ა) ტრაგეზის განმეორებითი განცდა

240. ფიქრებში მსხვერპლს შეუძლია წარსულს დაუბრუნდეს, ან აკვიატებულ მოგონებებს, და განიცადოს მტკიცნეული მოვლენები მაშინაც კი, როდესაც იგი ფხიმლად არის და გონიგეა, ან

<sup>100</sup> Simpson M.A. What Went Wrong?: Diagnostic and Ethical Problems in Dealing with the Effects of Torture and Repression in South Africa. B: Klember R.J., Figley C.R., Gersons B.P.R., eds. *Beyond Trauma-Cultural and Societal Dynamics*. New York, Plenum Press, 1995:188-210.

<sup>101</sup> Friedman M. and Jaranson J. The Applicability of the Post-traumatic Concept to Refugees. B: Marsella T. et all., eds. *Amidst Peril and Pain: The Mental Health and Well-being of the World's Refugees*. Washington, D.C., American Association Press, 1994:207-227.

განიცადოს განმეორებითი დამის კოშმარები. სულიერი ტკივილი, გამოწვეული ყველაფრით, რაც კი გადატანილ ტრაგედიასთან სიმბოლიზირდება ან ახსენებს მას, ძალაუფლების მქონე პირების, ექიმებისა და ფსიქოლოგების მიმართ შიშა და უნდობლობაში ვლინდება. ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ შიში და უნდობლობა არ უნდა ჩაითვალოს პათოლოგიად იმ ქვეყნებსა და სიგუაციებში, სადაც ხელისუფლება ადამინის უფლებათა დარღვევის თანამონაწილეა:

**ბ) თავის არიდება და ემოციური შეფერხება**

- (i) მცდელობა, სწრაფვა აარიდო თავი ნებისმიერ ფიქრს, საუბარს, მოქმედებას, ადგილს ან ადამიანს, რაც გადატანილ ტრავმას ახსენებს.
- (ii) ღრმა ემოციური შებოჭილობა.
- (iii) ღრმა პირადი გაუცხოება და სოციალური განდგომა.
- (iv) ამა თუ იმ ტრავმის მნიშვნელოვანი ასპექტის გახსენების უუნარობა.

**გ) მომატებლი აგზებადობა**

- (i) ჩაძინებასთან და ძილთან დაკავშირებული პრობლემები.
- (ii) გაღიმიანება და განრისხება.
- (iii) ყურადღების კონცენტრირებასთან დაკავშირებული სიძნელეები.
- (iv) მეტისმეტი ეჭვიანობა, შეკრთომის გაძლიერებული რეაქცია.
- (v) საერთო მოუსვენრობა
- (vi) აჩქარებული სუნთქვა, ოფლიანობა, პირის სიმშრალე ან თავბრუსხვევა და კუჭ-ნაწლავის აშლილობა.

**დ) დეპრესიის სიმპტომები**

241. აღნიშნება დეპრესიის შემდეგი სიმპტომები: დამძიმებული გუნება, ემოციური ანესთეზია (აქტიური მოქმედებისა ან მისგან მიღებული სიამოვნებისადმი ინტერესის დაქვეითება), მომატებული ძილიანობა, მადის მოშლილობა, ან წონაში დაკლება. უძილობა ან ფსიქომოფორული აგზებადობა ან შებოჭილობა, დადლილობა და ძალის გამოცდა, არარაობისა და უზომო დანამაულის გრძნობა, ყურადღების შესუსტება, მეხსიერების აღდგენასა და კონცენტრაციასთან დაკავშირებული სიძნელეები, ფიქრი სიკვდილზე, თვითმკვლელობაზე ან თვითმკვლელობის მცდელობა.

**ე) დარღვეული თვითშეფასება და შემზღვევი პერსონაჟივა**

242. მსხვერპლი სუბიექტურად თვლის, რომ მას მიაყენეს აუნაზღაურებადი გარალი, და რომ მისმა პიროვნებამ შეუქცევადი ცვლილებები<sup>102</sup> განიცადა. იგი მომავალს შემზღვეულ პერსპექტივაში აღიქვამს – უიმედობას კარიერაში, ქორწინებაში, ბავშვებსა და ნორმალურ ცხოვრებაში.

**ვ) დისოციაცია, დეპრესონალიზაცია და არატიპური მოქმედება**

243. დისოციაცია – ესაა გონების თვითაღქმის, მეხსიერებისა და საქციელის მთლიანობის დარღვევა. ადამიანს შეიძლება გარკვეული საქციელი არ ახსოვდეს ან ვერ აცნობიერებდეს, ან საკუთარ თავზე გვერდიდან დაკვირვების შედეგად პიროვნების გაორებას გრძნობდეს. დეპერსონალიზაცია – ეს არის საკუთარი თავისა და საკუთარის სხეულისაგან

<sup>102</sup> <sup>112</sup> Holtan N.R. How Medical Assessment of Victims of Relates to Psychiatric Care. B: Jaranson J.M. and Popkin M.K., eds. *Caring Victims of Torture*. Washington, D.C., American Psychiatric Press. 1998:107-113.

გაუცხოების გრძნობა. ქცევის იმპულსების კონტროლის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები, შემდგომ საქციელს წამებაგამოვლილი ადამიანი საკუთარი პიროვნებიდან გამომდინარე, ჩათვლიდა როგორც ტრავმამდე მისთვის არადამახასიათებელს. პირმა, რომელიც აღრე სიფრთხილით გამოირჩეოდა თავისი საქციელით შეიძლება რისკის საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს.

### გ) სომაგური სიმპოზიუმი

244. წამებაგამოვლილ პირთა შორის დამოუკიდებლად ობიექტური საფუძვლების არსებობისას გაერცელებულია სომაგური სიმპტომები. მაგალითად, ტკივილი, თავის ტკივილი და ფიზიკური სისუსტე ტკივილი ლოკალიზაციის შეცვლისა და სხვადასხვა ინტენსივობის ცდების ჩასაფარებლად ერთადერთი აშკარა სიმპტომია. სომაგური სიმპტომები შეიძლება უშუალოდ წამების ფიზიკური შედეგებით ან ფსიქოლოგიური ხასიათით იყოს გამოწვეული. ყველანაირი ტკივილი, შესაძლებელია, წამების პირდაპირი ფიზიკური შედეგი იყოს ან ფსიქოლოგიური მიზები გააჩნდეს. ტიპურ სომაგურ სიმპტომებს განეკუთვნება: ზურგის ტკივილი, ხშირ შემთხვევებში, თავის ტრავმით გამოწვეული, ძვალ-კუნთოვანი ან თავის ტკივილი. თავის ტკივილები წამებაგამოვლილ პირთა შორის საკმაოდ დამახასიათებელი ნიშანია, რაც ხშირად ქრონიკულ პოსტრავმატულ თავის ტკივილებში გადადის. ქრონიკული პოსტრავმატული თავის ტკივილები, ასევე, შეიძლება გამოწვეული იყოს გადაჭარბებული დაბაბულობითა და სტრესის შედეგად.

### თ) სექსუალური მოშლილობა

245. სექსუალური მოშლილობა დამახასიათებელია წამებაგამოვლილ იმ პირთათვის, რომლებმაც სექსუალური წამება და გაუპატიურება გადაიგანეს, და არა მხოლოდ მათთვის (იხ. ნაწილი VI. E. 8).

### ი) ფსიქოზი

246. კულტურული და ენობრივი განსხვავებები, შესაძლებელია, ფსიქოზის სიმპტომებად იყოს მიჩნეული. პიროვნების ფსიქოზურ ავადმყოფად აღიარებამდე, საჭიროა სახებე არსებული სიმპტომები უნიკალურ კულტურულ კონტექსტში შეფასდეს. ფსიქოზური რეაქცია შეიძლება ხანმოკლე ან გახანგრძლივებული იყოს და შესაბამისი სიმპტომები მაშინ გაჩნდეს, როდესაც მოცემული პირი საპატიმროშია და წამებას განიცდის ან განთავისუფლების შემდგომ პერიოდში. შესაძლებლია შემდეგი გამოვლინებები:

- (i) აკვიატებული იდეები;
- (ii) სმენის, მხედველობის, შეგრძნებისა და ყნოსვის პალუცინაციები;
- (iii) იდეის აღქმისა და ქცევის ანომალია
- (iv) ილუზიები ან დამახინჯებული აღქმა, როელთაც ფსევდოპალუციინაციის ფორმის მიღება შეუძლიათ და ნამდვილი ფსიქოზური მდგომარეობის ზღვარზე იყვნენ. ადამიანის დაძინებისა და გაღვიძებისას წარმოქმნილი ცრუ აღქმა და ჰალუცინაციები გვხვდება მთელს მოსახლეობაში, რაც ფსიქოზის დამადასტურებელი არ არის. წამების მსხვერპლი, ხშირად, აცხადებენ, რომ დროდადრო მათ ესმით განმგმირავი ხმები, გამოწვეული მათი სახელების დაძახებით და აჩრდილების ხედვით, თუმცა მათ არ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული ფსიქოზის ნიშნები და სიმპტომები.
- (v) პარანოია და დეკნის მანია;
- (vi) ფსიქოზური აშლილობის განმეორებითი გამოვლინება ან მკვეთრი ხასიათის ცვალებადობა ფსიქოზის ელემენტებით შეიძლება განუვითარდეს იმ პირებს, რომლებმაც წარსულში ფსიქიკური დაავადებები გადაიგანეს. პირებმა, რომლებიც წარსულში მანიაკურ-დეპრესული აშლილობით, განმეორებითი ღრმა დეპრესიით ფსიქოზის ელემენტების დართვით,

შიბოფრენიით ან შიბოაფექტური აშლილობით იფანჯებოდნენ, შეიძლება ამ აშლილობათა განმეორებითი შეტევა გადაიტანოს.

#### k) ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება

247. წამებაგამოვლილ პირებში ხშირად შეიმჩნევა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების მეორადი ფაქტები, რისი საშუალებითაც ისინი ცდილობენ წაშალონ თავის მეხსიერებაში ავადმყოფური მოგონებები, თავი შეიკავონ ემოციური რეაქციებისაგან და ჩაიხშონ შიში.

#### ლ) ნეიროფსიქოლოგიური მოშლილობა

248. წამებას შეუძლია ფიზიკური ტრავმის მიყენება, რაც თავის ტვინის სხვადასხვა ხარისხის მოშლილობას იწვევს. თავის არეში მიყენებულ ტრამვებს, გაგუდვას და ხანგრძლივ შიმშილობას შეუძლია გამოიწვიოს გრძელებადიანი ნერიოლოგიური და ნეიროფსიქოლოგიური შედეგები, რომლებიც, შეიძლება ძნელი შესაფასებელი იყოს სამედიცინო გამოკვლევის დროს. როგორც თავის ტვინის მოშლილობის უველა შემთხვევაში, რომლებიც არ შეიძლება იყოს დოკუმენტირებული თავის სკანირებით ან სხვა სამედიცინო პროცედურების მეშვეობით, ნეიროფსიქოლოგიური შეფასება და ტესტირება შეიძლება იყოს ერთადერთი საიმედო ხერხი შედეგების დოკუმენტური ასახვისათვის. ასეთი შეფასების დროს გამოვლენილი სიმპტომები ხშირად ემთხვევა სიმპტომებს, რომლებიც გამოწვეულია პოსტტრაumatic სტრესული აშლილობითა და ღრმა დეპრესიული აშლილობით. მერყეობა ან ცნობიერების, ორიენტაციის, ყურადღების, მეხსიერების, კონცენტრაციისა და კოორდინაციის არასაკმარისი დონე შეიძლება როგორც ფუნქციური, ასევე ორგანული მოშლილობის მიზებით იყოს გამოწვეული. ამის შედეგად ასეთი სხვაობების გასაგარებლად აუცილებელია ვფლობდეთ ნეიროფსიქოლოგიური შეფასების სპეციალურ სიახლეებს და გავაცნობიეროთ პრობლემები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან ნეიროფსიქოლოგიური შეფასებების მექანიზმის გამოყენების სფეროში (იხ. ნაწილი VI. C. 4).

### 3. დიაგნოსტიკური კლასიფიკაცია

249. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ჩივილების მეტნა კლებად ხშირი გამოვლინება წამებაგამოვლილ პირებს შორის ფრიად განსხვავებულია და დაკავშირებულია შესაბამისი პირის ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მისი კულტურის, ცხოვრების სოციალურ და პოლიტიკურ გარემობები, ექსპერტებისათვის აუცილებელია გაეცნონ მოშლილობის დიაგნოზებს, რომლებიც ხშირად გეხვდება წამებაგამოვლილ და ტრამვირებულ პირებში. ამას გარდა, არცთუ იშვიათად, ერთ ადამიანში შეიმჩნევა რამდენიმე ფსიქიკური მოშლილობა, რამდენადაც ტრამვასთან დაკავშირებული ფსიქიკური მოშლილობა ხშირად გვხვდება ერთდროულად. წამების შედეგად წარმოქმნილი საერთო სიმპტომები წარმოადგენს მეტნა კლებად სხვადასხვა სახის აღელვებისა და დეპრესიის გამოვლინებას. არცთუ იშვიათად, გემოთ წარმოდგენილი სიმპტომატიკა კლასიფიცირდება ისეთი კატეგორიის ფარგლებში, როგორიცაა აღელვება და ხასიათის სწრაფი ცვლილება. არსებობს ორი ძირითადი კლასიფიკაციის სისტემა – დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია (ICD-10), ფსიქიკური და ქცევის მოშლილობის კლასიფიკაცია და ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის (DSM-IV)<sup>103,104</sup>

<sup>103</sup> World Health Organization. *The ICD-10 Classification of Mental and Behavioral Disorders and Diagnostic Guidelines*. Geneva. 1994.

ჟსიქიკური აშლილობათა დიაგნოსტიკურ-სტატისტიკური სახელმძღვანელო. იმისათვის, რომ გვქონდეს სრული წარმოდგენა დიაგნოსტიკურ კატეგორიებზე, საჭიროა მივმართოთ ICD-10-სა და DSM-IV-ს. წარმოდგენილ მიმოხილვაში ძირითადი ყურადღება ეთმობა მეტნაკლებად გავრცელებულ დიაგნოზებს, რომლებიც დაკავშირებულია ტრავმასთან: პოსტრავმატული სტრესული აშლილობა (PTSD), ღრმა დეპრესია და მყარი პიროვნული ცვლილებები.

### ა) დეპრესიული აშლილობა

250. წამებაგამოვლილ პირებში ხშირად გვხვდება დეპრესიული მდგომარეობა. წამების შედეგების შეფასება კონტექსტში ძნელი დასამტკიცებელია, რადგან PTSD და ღრმა დეპრესიული აშლილობა განეკუთვნება მკვეთრად განსხვავებული ეციოლოგიის ორ სხვადასხვა კატეგორიის დაგვადებას. დეპრესიულ აშლილობას განეკუთვნება ღრმა დეპრესიული აშლილობა, რომელიც მიმდინარეობს ერთჯერადი შეტევით ან პერიოდული განმეორებითი შეტევით. დეპრესიულ აშლილობას თან სდევს ფსქოზური, კატაფონური, მელანქოლიური ან აფიპური ნიშნები, ან პროცესი მიმდინარეობს მათ გარეშე. DSM-IV-ის შესაბამისად, იმისათვის, რომ ღრმა დეპრესიის დიაგნოზი დაისვას, აუცილებელია ორი კვირის განმავლობაში ყურადღება მიექცეს ხუთ ქვემოთ ჩამოთვლილ სიმპტომს, რომლებიც მოწმობს ცვლილებებს წინა ქცევებთან შედარებით (ყოველ შემთხვევაში, ამ სიმპტომებიდან ერთ-ერთი უნდა იყოს დათრგუნული განწყობა, ინგერესის ან სიხარულის უნარის დაკარგვა): 1) დათრგუნული განწყობა, 2) ინგერესის საგრძნობი დაქვეითება და ინგერესის დაკარგვა ან თითქმის დაკარგვა ცხოვრებისეულ სიამოვნებებზე, 3) წონის დაკარგვა ან მაღის შეცვლა, 4) უძილობა ან გადამეტებული ძილი, 5) ფსიქომოტორული აგზება ან დაქვეითება, 6) დაღლილობა ან ძალის გამოცლა, 7) უსარგებლობის შეგრძნება და ზედმეტად ან უმიზებოდ თავის დადანაშაულება, 8) ფიქრისა ან აჩრის მოკრების დაქვეითებული უნარი, 9) აკვიატებული ფიქრი სიკვდილზე ან თვითმკვლელობაზე. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი დააგნოზის დასმა, ეს სიმპტომები უნდა იწვევდეს სერიოზულ შეუძლოდ ყოფნას ან უნდა წარმოადგენდეს სერიოზულ დაბრკოლებას სოციალურ, ან პროფესიულ საქმიანობაში, და არ იყოს დაკავშირებული რომელიმე ფიზიოლოგიურ მომლილობასთან და არ აიხსნებოდეს რომელიმე სხვა დიაგნოზით DSM-IV-ს შესაბამისად.

### ბ) პოსტრავმატული სტრესული აშლილობა

251. პოსტრავმატული სტრესული აშლილობა (PTSD) – ეს არის დიაგნოზი, რომელიც ყველაზე ხშირად ასოცირდება წამების ფსიქოლოგიურ შედეგებთან. ამ დიაგნოზის კავშირი წამებასთან ღრმად ფესვგადგმულია ჯანდაცვის მუშაკთა, საიმიგრაციო სასამართლოებისა და საქმეში ჩახედულ არაპროფესიონალების შეგნებაში. საბოლოო ჯამში შეიქმნა მცდარი და გამარტივებული აზრი იმაზე, რომ PTSD წარმოადგენს წამების მთავარ ფსიქოლოგიურ შედეგებს.

252. PTSD-ის განმარტება, რომელსაც შეიცავს DSM-IV, უმრავლეს შემთხვევაში, დაფუძნებულია მესიერების მოშლის არსებობაზე, რაც გამოწვეულია მიღებული ტრავმით, მაგალითად: აკვიატებული მოვონებები, დამის კოშმარები და ტრავმის მიღების მნიშვნელოვანი ასპექტების გახსენების უუნარობა. აღამიანმა შეიძლება ზუსტად ვერ გაიხსენოს წამებასთან დაკავშირებული შემთხვევის კონკრეტული დეტალები, მაგრამ შეეძლოს ძირითადი მომენტების გახსენება. მაგალითად, მსხვერპლმა შეიძლება გაიხსენოს ძალადობის რამდენიმე ფაქტი, მაგრამ ვერ გაიხსენოს ბუსტი თარიღი და ადგილმდებარეობა, და დაწვრილებით აღწეროს გარემო

<sup>104</sup> American Psychiatric Association. *Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders*, 4<sup>th</sup> ed. Washington. D.C., 1994.

პირობები და მოძალადეები. ასეთ ვითარებაში ზუსტი დეფალების გახსენების შეუძლებლობა არ იწვევს მსხვერპლის მონათხრობის შესახებ უნდობლობას, უფრო მეტიც ამტკიცებს მის უტყუარობას. ამ მონათხრობის ძირითადი მომენტები მტკიცება განმეორებით დაკითხვაზე. დიაგნოზი PTSD ICD-10-ში ძალიან ჰგავს DSM-IV-ის დიაგნოზს. DSM-IV-ის თანახმად, PTSD შეიძლება იყოს მწვავე, ქრონიკული ან შენელებული. სიმპტომები უნდა შეიმჩნეოდეს ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, და შფოთვის მდგომარეობამ უნდა გამოიწვიოს სერიოზული მოშლილობა ან ორგანიზმის ფუნქციონირების დარღვევა. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის დიაგნოზის დასმა, შესაბამისი პირი უნდა იყოს ტრაგმული შემთხვევის მონაწილე, რაც დაკავშირებულია მსხვერპლის ან სხვა პირთა სასიცოცხლო რისკთან და რომელიც იწვევს ძლიერ შიშვა და უმწეობის გრძნობას. ამ მოვლენებთან დაკავშირებული ტანჯვა უნდა მუდმივად ხელახლა იყოს განცდილი ერთ ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ფორმიდან: აკვიატებული სულიერი ტკიფილი მოვლენის გახსენებისას; გამუდმებული მტანჯველი სიმრები იგივე მოვლენებთან დაკავშირებით; ქმედება ან შეგრძნება იმისა, რომ ყველაფერი იწყება თავიდან ჰალუცინაციების ჩათვლით, რეტროსპექტია და ილუზია; ძლიერი ფსიქოლოგიური დაბნეულობა მოვლენების გახსენების დროს და ფიზიოლოგური რეაქციის განმეორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა წამების დროს იმ სტიმულების პასუხად, რომელიც ამ მოვლენის განსაზღვრული ასპექტების გახსენებას ან სიმბოლიზმებას იწვევს.

253. წამებაგამოვლილი პირი განუწყვეტლივ დემონსტრირებას ახდენს, რომ ის გაურბის გამაღიბიანებელ ფაქტორებს, რაც ასოცირდება მიუწებული ტრაგმით ან ამჟღავნებს რეაქციის საერთო დასუსტებას, რასაც ამტკიცებს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან სამი ფაქტორი მაინც: 1) მისწრაფება გაექცეს იმ აბრებს ან საუბარს, რაც დაკავშირებულია ტრაგმასთან; 2) მისწრაფება გაექცეს საქციელს, ადგილს ან ხალხს, რაც ახსენებს ტრავმას; 3) უუნარობა გაიხსენოს მოვლენის ესა თუ ის ასპექტი; 4) მნიშვნელოვანი საკითხებისადმი დაქვეითებული ინტერესი; 5) სხვა ადამიანებისაგან განმარტოება და განცალკევება; 6) აფექტის შეზღუდვა; 7) პერსპექტივის შეზღუდველი აღქმა. PTSD-ის დიაგნოზის დასმის კიდევ ერთი მიზეზი DSM-IV-ის მიხედვით არის მომატებული აგზებულობის სფაბილური სიმპტომების არსებობა, რომელიც არ აღინიშნებოდა ტრავმამდე, რაბედაც მეტყველებს ორი შემდეგი ფაქტორი, დაძინების ან ძილის პროცესი, გადიმიანება ან ფეთქებადი სიბრაზე, ძნელად კონცენტრირებადი ყურადღება და მეტისმეტი ეჭვიანობა, მეტისმეტი შეკრობა.

254. PTSD-ის სიმპტომები შეიძლება იყოს ქრონიკული ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდნენ ცვლილებებს. განსაზღვრულ პერიოდში კლინიკურ სურათზე დომინირებს მეტისმეტი აგზებულობის და გაღიზიანების სიმპტომები. ამ დროს წამებაგამოვლილი პირი იტყობინება, რომ აქვს გახმირებული აკვიატებული მოვლენები, დამის კოშმარები და რეტროსპექტიული მოვლენები. სხვა დროს მსხვერპლმა შეიძლება გამოავლინოს შედარებით ნაკლები სიმპტომები ან იყოს ემოციურად შებოჭილი და გულჩათხრობილი. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ, თუ PTSD-ის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები არ გამოვლინდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ წამება არ იყო გამოყენებული. ICD-10-ის შესაბამისად, გარკვეულწილად, ბოგიერთ შემთხვევაში, PTSD შეიძლება მიმდინარეობდეს ქრონიკული ფორმით რამდენიმე წლის განმავლობაში და თანდათან გადავიდეს მყარ პიროვნულ ცვლილებაში.

### გ) მყარი პიროვნული ცვლილება

255. კაფასტროფული ან ხანგრძლივი სტრესის შემდეგ პირებს, რომლებიც ადრე არ განიცდიდნენ პიროვნულ დარღვევებს, შეიძლება განუვითარდეთ ბრდასრული ადამიანის

პიროვნეული დარღვევა. უკიდურესი სტრესის სახეობებს, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს პიროვნების შეცვლა, განეკუთვნებიან პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკში ან გადატანილი აქვთ სტიქიური უბედურებები, ტყვეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რასაც თან ერთვოდა სიკვდილის შიში ან მუქარა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს, მაგალითად: ტერორის ან წამების მსხვერპლი. ICD-10-ის შესაბამისად, მყარი პიროვნეული ცვლილების დიაგნოზი საჭიროა დაისვას იმ შემთხვევაში, როდესაც არის აღქმის, რეაგირების ან მოცემული პირის გარე სამყაროსა და თავის თავზე მსჯელობის სისტემების განსაზღვრული, არსებითი და მყარი ცვლილებების მტკიცებულება, რაც დაკავშირებულია ადაპტაციისადმი მოუქნელ და უუნარო ქმედებით, რომელიც აღრე არ შეინიშნებოდა. ეს დიაგნოზი გამორიცხავს ცვლილებებს, რომელიც სხვა ფსიქიკური მოშლილობის შედეგი ან თითოეული ადრინდელი ფსიქიკური მოშლილობის დარჩენილი სიმპტომია, ასევე პიროვნების ცვლილება და საქციელი ავადმყოფობის შედეგად, ნორმალური საქმიანობის დარღვევა ან თავის ფინის დაზიანება.

256. იმისათვის, რომ გადატანილი ტანჯვის შემდეგ, ICD-10-ის შესაბამისად, დაისვას მყარი პიროვნეული ცვლილების დიაგნოზი, სტრესის შემდეგად განვითარებული პიროვნეული ცვლილებები უკიდურეს შემთხვევაში ორი წლის მანძილზე უნდა აღინიშნებოდეს. ICD-10-ის მიხედვით, სტრესი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ “მისი მოქმედების სიღრმის ასახსნელად არ უნდა იყოს აუცილებელი პიროვნეული თავისებურებების გათვალისწინება”. პიროვნების ასეთი ცვლილება ხასიათდება სამყაროსადმი მტრული განწყობითა და უნდობლობით, სოციალური ჩაკეფილობით, უმიზნობის ან უიმედობის განცდითით, “გაღიმიანების” ქრონიკული შეგრძნებით, საფრთხის მუდმივი მოლოდინისა და გაუცხოების განცდით.

#### ღ) წამალთდამოკიდაბულება

257. ექიმები აღნიშნავენ, რომ წამებაგამოვლილ პირებში მეორადი გამოვლინების სახით ხშირად ვლინდება ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად მოხმარების ფაქტები, რათა დათრგუნონ ავდმყოფური მოგონებები, გაუმკლავდნენ არასასიამოვნო ემოციებს და ჩაიხშონ შიში. თუმცა, ცნობილია, რომ PTSD ხშირად გვხვდება სხვა მოშლილობებთან პარალელურად, სისტემატურ კვლევებში იშვიათად ეხებიან წამებაგამოვლილ პირების მხრიდან ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად მოხმარების საკითხს. მოსახლეობის ჯგუფებში მუშაობის დროს, რომლებიც იგანჯებიან PTSD-ით, ხშირად განიხილებიან წამებაგამოვლილი პირებიც, მაგალითად, ლტოლვილები, ყოფილი სამხედრო ტყვეები და შეიარაღებული კონფლიქტის ვეფერანები, რაც განაპირობებს ამ საკითხების გააჩრებას. ასეთი ჯგუფების გამოკვლევით მტკიცდება, რომ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად მოხმარება განსხვავებულია, რაც გამოწვეულია ამა თუ იმ ჯგუფის ეთნიკურ და კულტურულ კუთვნილებაზე. PTSD-ით დაავადებულ ყოფილ სამხედრო ტყვეებში ალკოჰოლისა და ნარკოტიკული სამუალებებისადმი ბოროტად მოხმარების მიღრეკილების რისკი მაღალია, ხოლო ომის ვეფერანებში კი ხშირად გვხვდება პოსტტრავმატული სტრესული მოშლილობის შეთავესება ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად მოხმარებასთან<sup>105,106,107,108,109,110,111,112</sup>. ამგვარად არსებობს

<sup>105</sup> Farias P.J. Emotional distress and its socio-political correlates in Salvadoran refugees: Analysis of a clinical sample. *Culture, Medicine and Psychiatry*. 15 1991:167-192.

<sup>106</sup> Dadfar A. The Afghans: Bearing the scars of a forgotten war. B Marsella A. et al. *Amidst peril and pain*, Washington, D.C., American psychological Association, 1994.

<sup>107</sup> Beebe G.W. Follow-up studies of World War II and Korean War prisoners, II: Morbidity, disability and maladjustments. *American Journal of Epidemiology*. 101 1975:400-422.

<sup>108</sup> Engdahl B.E. et al. (in review). The comorbidity and course of psychiatric disorders in a community sample of former prisoners of war.

მნიშვნელოვანი მაჩვენებლები PTSD-ის რისკის მქონე სხვა პოპულაციაში, რომელიც მიუთითებს, რომ წამალთდამოკიდებულება პოტენციურად თანმხლები დიაგნოზია წამებაგამოვლილ პირთათვის.

## გ) სხვა დიაგნოზები

258. როგორც VI. ნაწილში ჩამონათვალი სიმპტომებიდან ჩანს, პოსტრავმატული სტრესულ აშლილობასთან ერთად უნდა განიხილებოდეს სხვა დიაგნოზებიც, მაგალითად, ღრმა დეპრესიული აშლილობა და პიროვნების მყარი ცვლილება (იხ. შესაბამისი ნაწილი). სხვა შესაძლებელი დიაგნოზის ჩამონათვალში, რომელიც არ ითვლება ამოწურულად, შედის:

- (i) გენერალიზირებული შფოთვითი აშლილობა, რომელიც ხასიათდება რიგი სხვადასხვა შემთხვევისა და საქმიანობის სახეობების გამო მეტისმეტი შიშითა და მღელვარებით, მოგორული დაბაბულობითა და მოუსვენრობით;
- (ii) პანიკური აშლილობა, რომელიც გამოხატულია განმეორებითი და მოულოდნელი ძლიერი შიშის სახით ან შფოთვით, მათ შორის, ოფლიანობის, ხუთვის, კანკალის, გახშირებული გულისცემის, თაებრუსხვევის, ღებინების, ციებ-ცხელების სიმპტომები;
- (iii) მწვავე სტრესული აშლილობა, რომელსაც აქვს იგივე სიმპტომები, რაც PTSD-ს, მაგრამ რომლის მიმართაც დიაგნოზი ისმება ტრავმული მოვლენების ზემოქმედებიდან ერთი თვის შემდეგ;
- (iv) ფსიქოსომატური აშლილობა, რომელიც ხასიათდება ფიზიკური სიმპტომებით, და არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვა რომელიმე დაავადებას;
- (v) მანიაკალურ-დეპრესიული აშლილობა, რომელიც ხასიათდება მანიაკალური ან ჰიპომანიაკალური შეტევებით, რაც დაკავშირებულია მომატებულ ექსპანსიურ ან გადიზიანებულ ხასიათთან, განდიდების მანიასთან, ძილის მოთხოვნილების დაქვეითებასთან, იდეების ხშირ ცვლასთან, ფსიქომოგორულ აგზებასთან და ასოცირებულ ფსიქოზებთან;
- (vi) აგადმყოფის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე აშლილობა, ხშირად თავის ტვინის დაბიანებების ფორმით, იწვევს წონასწორობის დაკარგებას ან ცნობიერების დონის, ორიენტაციის, ყურადღების, კონცენტრაციის, მეხსიერებისა და კოორდინაციის უკმარისობას;
- (vii) ფობიები, მაგალითად, ურთიერთობის შიში და დია სივრცის შიში.

## C. ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული ექსპერტიმა

### 1. ეთიკური და კლინიკური მოსამარებანი

259. ფსიქოლოგიურმა ექსპერტიმა შეიძლება უზრუნველყოს წამებაგამოვლილ პირთა პალადობის მნიშვნელოვანი მტკიცებულებანი რიგი მიზებებით: წამება ხშირად იწვევს დამანგრეველ ფსიქოლოგიურ სიმპტომებს, წამების მეთოდები ხშირად გათვალისწინებულია

<sup>109</sup> Ksane T.M. and Wolfe J. Comorbidity in post-traumatic stress disorder: an analysis of community and clinical studies. *Journal of Applied Social Psychology*, 20(21,1) 1990:1776-1778.

<sup>110</sup> Kulka R.A. et al. *Trauma and the Vietnam War generation: report of Findings from the National Vietnam Veterans Readjustment Study*. New York, Brunner/Mazel. 1990.

<sup>111</sup> Jordan K. et al. Lifetime and current prevalence of specific psychiatric disorders among Vietnam veterans and controls. *Archives of General Psychiatry*, 48(3) 1991:207-215.

<sup>112</sup> Shalev A.Y., Bleich A., Ursano R.J. Post-traumatic stress disorder: somatic comorbidity and effort tolerance. *Psychosomatics*, 31(2) 1990:197-203.

იმაზე, რომ არ იქნეს მიუწვდომელი ფიზიკური დაბიანებები, ხოლო წამების ფიზიკურმა მეთოდებმა შეიძლება დატოვოს კვალი, რომლებიც ან არასაკმარისად აშკარაა, ან არასაკმარისად სპეციფიკური.

260. ფსიქოლოგიური ექსპერტიმა უბრუნველყოფს სასარგებლო მტკიცებულებებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიმათვის, განცხადებების განხილვას პოლიტიკური თავშესაფრის უბრუნველყოფაზე, პირობების დადგენას, რომელშიც შეიძლება მიღებული იყოს ცრუ აღიარებები, წამების გამოყენების რეგიონული პრაქტიკის გაგება, მსხვერპლის მკურნალობის საჭიროების გამოვლენა; ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გამოიყების ჩატარების დროს ასევე გამოიყენება ექსპერტიმა შედეგები. ფსიქოლოგიური ექსპერტიმა საერთო მიზანი გამოიხატება იმაში, რომ შეფასდეს ამა თუ იმ პირის წამების შესახებ შეცყობინების შესაბამისობის ხარისხი ფსიქოლოგიურ მონაცემებთან, რომელიც მიღებულია ექსპერტიმა მსვლელობაში. ამისათვის, ექსპერტიმამ უნდა უბრუნველყოს შესაბამისი პირის ანამნეზის თანმიმდევრული გადმოცემა, მისი ფსიქიკური მდგომარეობის კვლევა, სოციალური აქტივობისა და კლინიკური დასკვნების შეფასება (იხ. ნაწილი III. C და IV. E). აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაისვას ფსიქიატრიული დიაგნოზი, რაღაცანაც წამებაგამოვლილ პირებს შორის იმდენად გავრცელებულია ფსიქოლოგიური სიმპტომები, რომ წამების შედეგების ნებისმიერი შეფასების დროს დაჟინებით რეკომენდებულია ფსიქოლოგიური ექსპერტიმა ჩართვა.

261. ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებისა და კლინიკური დიაგნოზის ფორმულირებისას ყოველთვის საჭიროა კულტურული კონტექსტის გათვალისწინება. დაკითხვის ჩასატარებლად და კლინიკური დასკვნების ფორმულირებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული კულტურისათვის დამახასიათებელი სინდრომებისა და დაზარალებულის მშობლიურ ენაზე სულიერი ტანჯვის გამომხატველი იდიომატური გამოთქმების ცოდნას. თუ პირი, რომელიც ატარებს გამოკითხვას, არ იცნობს ან ნაკლებად იცნობს მსხვერპლის კულტურას, მაშინ აუცილებელია თარჯიმნის დახმარება. თუ თარჯიმანი იმავე ქვეყნის მოქალაქეა, რომლისაც მსხვერპლი, იცის ენა, ჩვევები, რელიგიური ტრადიციები და სხვა აღმსარებლობანი, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული გამოიყების მსვლელობისას. გამოკითხვამ შეიძლება გამოიწიოს მსხვერპლის შიში და უნდობლობა და შესაძლებელია გაახსენოს წარსულში განცდილი დაკითხვები. იმისათვის, რომ განმეორებითი ტრაგმირების შედეგები შემცირდეს, ექიმმა უნდა გააგებინოს დასაკითხ პირს, რომ მას ესმის მისი ტანჯვის მთელი სიმძიმე და, აგრეთვე, გათვითცნობიერებულია მისი კულტურის ტრადიციების შესახებ. უადგილოა “კლინიკური მიუკერძოებლობის” მკაცრად დაცვა, რომელიც გამოიყენება ფსიქოთერაპიის ბოგიერთ ნაირსახობაში, როცა ექიმი ცოდნას ლაპარაკობს და არ აქტიურობს. ექიმმა უნდა დაანახვოს, რომ ის არის მსხვერპლის თანამოაზრე, გამოიყენოს მიღობა, რომელიც წამებაგამოვლილი პირის მხარდაჭერაზე დაუუძნებული და არ შეაფასოს მისი ქცევები.

## 2. გამოკითხვის მსვლელობა

262. გამოკითხვის დაწყების წინ ექიმმა დაწვრილებით უნდა ახსნას მისი ჩატარების თანმიმდევრობა (საკითხები ეხება წამებაგამოვლილის ფსიქოსოციალურ ანალიზს წამების ანალიზთან ერთად, აგრეთვე, მის ამჟამინდელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას); ეს აძლევს გამოსაკვლევ პირს საშუალებას, რომ მოემზადოს რთული ემოციური რეაქციებისათვის, რომელიც შეიძლება პროვოცირებული იყოს ასეთი კითხვებით. დასაკითხ პირს უნდა ჰქონდეს შესვენების მოთხოვნის უფლება, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დაკითხვა და წავიდეს, თუკი დაძაბულობა აუტანელი ხდება და მოელაპარაკოს მოგვიანებით შეხვედრაზე. ექიმებმა შეკითხვების დროს უნდა გამოიჩინონ ყერადღება და თანაგრმნობა და, ამავე დროს, კლინიკური შეფასების

გამოგანისას შეინარჩუნონ თბილქურობა. მიუხედავად ამისა, პირმა, რომელიც აწარმოებს გამოკითხვას, უნდა გაათვითენოდიეროს საკუთარი რეაქცია წამებაგამოვლილის პიროვნებაზე და წამების აღწერაზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის აღქმასა და გადაწყვეტილების მიღებაზე.

263. გამოკითხვის პროცედურამ მსხვერპლს შეიძლება გაახსენოს დაკითხვა წამების დროს. ამიტომ, გამოსაკვლევ პირს შეიძლება გაუჩნდეს ექიმის მიმართ უარყოფითი ემოციები, მაგალითად, შიში, მდვინვარება, ზიზდი, უსუსურობა, რიდი, პანიკა და სიძულვილი. ექომმა უნდა გაითვალისწინოს გრძნობებისა და მათი მიზეზების გამოვლენა და გამოიჩინოს გამოსაკვლევი პირის რთული მდგომარეობის გავების უნარი. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები, რომ გამოსაკვლევმა პირმა შეიძლება ისევ განიცადოს დევნა ან შევიწროება. აუცილებლობის შემთხვევაში, თავი უნდა ავარიით აკრძალული ქმედებების შესახებ კითხვებს. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ფსიქოლოგიური ექსპერტიბის ჩატარების მიზეზები, რადგანაც ისინი განსაზღვრავს კონფიდენციურობის ხარისხს, რომელიც ექსპერტმა ვალდებულია დაიცვას. თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანომ სასამართლო გარჩევის ფარგლებში მოითხოვა ამა თუ იმ პირის შესახებ უტყუარი შეფასება, მაშინ ასეთი პირი აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციურობა დარღვეული იქნება. თუ თხოვნა ფსიქოლოგიური ექსპერტიბის ჩატარებაზე მომდინარეობს წამებაგამოვლილი პირისაგან, ექსპერტმა უნდა დაიცვას საექიმო საიდუმლოება.

264. ექიმებმა, რომლებიც ატარებენ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ექსპერტიბას, უნდა იცოდნენ იმ შესაძლებელი ემოციური რეაქციის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ტრავმის შეფასებამ წამებაგამოვლილ პირებსა და იმ პირებში, რომლებიც ატარებენ გამოკვლევას. ეს ემოციური რეაქციები ვლინდება როგორც აფექტის გადაფანაში და “შემხვედრი” აფექტის გადატანაში. უნდობლობა, შიში, სირცევილის გრძნობა, მძვინვარება და დანაშაულის გრძნობა – აი, წამების მსხვერპლის დამახასიათებელი რეაქციები, როდესაც მათ სთხოვენ გადმოსცენ ან გაიხსენონ ტრავმის დროს მიყენებული წვრილმანები. აფექტის გადატანა ხდება დაბარალებულის გრძნობების გამოყენებით მედიკოსის მიმართ, რომელიც წარსულში გადატანილს განეკუთვნება, მაგრამ დაბარალებულის მიერ შეცდომით აღქმული და მიმართული მედიკოსის, როგორც პიროვნების მიმართ. გარდა ამისა, მსხვერპლის წამებასთან დაკავშირებით ექიმის ემოციურმა რეაქციამ, რომელიც ცნობილია, როგორც “შემხვედრი” აფექტის გადატანა, შეიძლება იმოქმედოს ფსიქოლოგიურ შეფასებაზე. გადატანა და “შემხვედრის” გადატანა – ესენი არის ურთიერთდამო კიდებული და ურთიერთმოქმედი მოვლენები.

265. აშკარა ხდება ექსპერტიბის მსვლელობისას აფექტის გადატანის პოტენციური ბემოქმედება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოკიდხვა ან გამოკვლევა, რომელიც დაკავშირებულია ტრავმის შედეგად მიღებულ წვრილმანების გახსნებასა და გადმოცემასთან, გამოიწვევს მცანჯველ და არასასიამოვნო მოგონებებასა და ფიქრებს. ამგარად, თუკი წამების მსხვერპლი თანახმაა ექსპერტიბის ჩატარებაზე იმ იმედით, რომ ექსპერტიბი მის სასარგებლოდ წარიმართება, განცდილზე მსჯელობამ შეიძლება კვლავ გამოიწვიოს ტრავმასთან დაკავშირებული განცდები. ეს შეიძლება გამომქდარნებს შემდეგნაირად.

266. ექსპერტის შეკითხვები შეიძლება აღქმული იყოს, როგორც დაკითხვის მსგავსი იძულებითი პროცედურა. ექსპერტი შეიძლება დაადანაშაულონ სადისტურ გადახრაში და სასტიკი სცენებისა და ძალადობისაგან მიღებულ სიამოვნებისაკენ მიღრეკილებაში და დასაკითხ პირს შეიძლება გაუჩნდეს შემდეგი კითხვები: “რაფომ მაიძულებენ გავიხსენო ყველა ის საშინელი წვრილმანი, რომელიც თავს გადამხდა?” “რაფომ უნდა იყოს ჩემი მონაცოლი ნორმალური ადამიანისათვის საარსებო წყარო? აღბათ ექსპერტს გააჩნია რაღაც უზვეულო მოტივები”. დასაკითხ პირს შეიძლება ექსპერტის მიმართ შეექმნას ცედი იმის გამო, რომ ის

არასოდეს არ იყო პატიმრობაში და არ განუცდია წამება. საბოლოო ჯამში, ეს პირი ექსპერტს თვლის როგორც მტრის მხარეზე მყოფს.

267. ექსპერტი აღიქმება, როგორც ძალაუფლების მქონე პირი, რაც ხშირად სიმართლეს შეეფერება და ამ მიზეზით ითვლება, რომ არ შეიძლება მას მივანდოთ მომხდარის ზოგიერთი ასპექტი. ხშირ შემთხვევაში პატიმარი ზედმეტად ენდობა ექსპერტს მაშინ, როცა ექსპერტი ვერ იძლევა გარანტიებს, რომ ამ ნდობას არ მოჰყვება რეპრესიები. აუცილებელია, გამოყენებული იყოს უსაფრთხოების ყველა ბომბა იმის უმრუნველსაყოფად, რომ პატიმარმა გაუაზრებელი რისკი არ გასწიოს იმ იმედით, რომ მას დაიცავს უცხო ადამიანი. წამებაგამოვლილებს შესაძლებელია ჰქონდეთ შიში იმისა, რომ ექსპერტის მსვლელობის დროს მიწოდებული ინფორმაცია ვერ დაიმაღლება იმ ორგანოებისაგან, რომლებიც ახორციელებენ დევნას. შიში და უნდობლობა შეიძლება იყოს ძალიან ძლიერი იმ შემთხვევაში, თუ ექიმები ან მედიცინის სხვა მუშაკები იღებდღნენ მონაწილეობას წამების პროცესში.

268. ექსპერტი არის ბევრ შემთხვევაში კულტურული და ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი მაშინ, როცა დასაკითხი პირი მიეკუთვნება ჯგუფს ან კულტურულ უმცირესობას. ასეთი უთანასწორობის გამოვლინებამ შეიძლება გააღრმავოს რეალური დისპროპორცია ძალების განლაგებასა და მის აღქმაში, აგრეთვე, გააძლიეროს შიშის შეგრძნება, უნდობლობა და იძულებითი მორჩილება, რომელსაც, შესაძლებელია, განიცდის დასაკითხი პირი. ბოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით, როცა დასაკითხი პირი დაპატიმრებულნი არიან, ამ გარემოებას შეიძლება ჰქონდეს კაგშირი უფრო თარჯიმანთან, ვიღრე ექსპერტთან. ამგვარად, სინამდვილეში თარჯიმანიც უნდა იყოს მოწვევული სხვა მხრიდან, და არა ადგილობრივი მოსახლეობიდან, რათა ნათელი იყოს, რომ ის ისეთივე დამოუკიდებელია გამოძიებაში, როგორც პირი, რომელიც აფარებს გამოძიებას. ცხადია, თარჯიმანის სახით არ შეიძლება გამოვიყენოთ ოჯახის წევრი, რომელგანც მოახდენენ ზეგავლენას იმის გამორკვევის მიზნით, თუ რაზე იყო საუბარი ექსპერტის დროს.

269. თუ ექსპერტი და მსხვერპლი ერთი სქესისაა, მაშინ დაკითხვა უფრო იქნება აღქმული როგორც გამოვლილი წამების პირდაპირი ანალოგია, ვიდრე მაშინ, თუ ისინი სხვადასხვა სქესს განეკუთვნებიან. მაგალითად, ქალი, რომელიც გააუპატიურა ან აწამა ციხის მცველმა მამაკაცმა, ექსპერტ-მამაკაცთან შეხვედრისას, შესაძლებელია, განიცდის უფრო ძლიერ ტანჯვას, უნდობლობასა და შიშს, ვიღრე მდედრობითი სქესის ექსპერტთან საუბრისას. მამაკაცებთან მიმართებაში, რომლებმაც განიცადეს სექსუალური ძალადობა, სწორია საპირისპირო. მამაკაცებს ერიდებათ გადაგანილი წამების დაწვრილებით მოყოლა ქალ-ექსპერტთან. გამოცდილება გვიჩვენებს, განსაკუთრებით როდესაც მსხვერპლი ისევ პატიმრობაში არიან, რომ ყველა საზოგადოებაში, გარდა ყველაზე უფრო უცნდამენტალისტურისა (სადაც არც არის დასაშვები, რომ მამაკაცმა დაკითხოს ქალი, რომ ადარაფერი ვთქვათ მის გასინჯვაზე), შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია, რომ დაკითხვა ჩაატაროს ექიმმა, რომელსაც მსხვერპლმა შეუძლია დაუსვას კონკრეტული კითხვები, ვიღრე ის, რომ ექსპერტი არ იყოს მამრობითი სქესის, როგორც გაუპატიურების შემთხვევაში. ცნობილია შემთხვევები, რომ გაუპატიურების მსხვერპლი არაფერს უყვებოდნენ იმ გამომბიებელ ქალებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სამედიცინო განათლება, მაგრამ სურდათ გასაუბრება ექიმთან, თუნდაც მამაკაცთან, რომ მისცემოდათ კონკრეტული კითხვების დასმის შესაძლებლობა მეღიცინასთან დაკავშირებით. ტიპური შეკითხვები ეხება შესაძლებელ შედეგებს, როგორიცაა: ორსულობა, ჩასახვის უნარი შემდგომ პერიოდში ან მეუღლეებს შორის სექსუალური ურთიერთობის პერსპექტივა. თუ ექსპერტიმა ტარდება მართლმსაჯულების ინფერესებში, აუცილებელი ყურადღების კონცენტრაცია წვრილმანებები და ბუსტ შეკითხვებზე, თუ რა მოხდა, ხშირად აღიქმება ექსპერტის მხრიდან როგორც უნდობლობის ნიშანი ან ეჭვი.

270. ბერთ ადნიშნული ფსიქოლოგიური ბეგავლენის გამო წამებაგამოვლილმა პირებმა, გახსენების ბემოქმედების ქვეშ, შეიძლება ისევ განიცადონ ტრავმა და დათრგუნვა, რის შედეგადაც, გასინჯვის ან დაკითხვის დროს, იყენებენ აქტიურ დამცავ მექანიზმებს, რასაც მივყავართ სრულ გულჩათხრობილობამდე ან აფექტის განმტკიცებამდე. გულჩათხრობილობა და აფექტის განმტკიცება განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს ღოკუმენტირებასთან დაკავშირებით, რამდენადაც წამებაგამოვლილი პირი შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ დამაჯერებლად ვერ გადმოსცენ გადატანილი ამბავი და ახლანდელი განცდები, თუმცა მათვის ეს იქნებოდა ფრიად ხელსაყრელი.

271. “შემხვედრი” აფექტის გადატანის რეაქციები ხშირად უნებლიერა, და თუ ის პიროვნება, რომელიც ატარებს დაკითხვას ვერ შეიგნებს მის დამთრგუნველ ემოციებს, მაშინ ეს რეაქციები პრობლემად იქცევა. მოსალოდნელია, რომ ადამიანი, რომელმაც მოუსმინა იმ პირებს, რომლებიც ყვებიან მათზე გამოყენებულ წამებებზე, განიცდის გარკვეულ გრძნობას, თუმცა ამ ემოციებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ექიმის მუშაობის უფექტიანობაზე. თუკი პიროვნებას, რომელიც ატარებს დაკითხებას, ესმის, რომ ხდება აფექტის გადატანა, მაშინ მას შეუძლია იხელმძღვანელოს განცდილი ემოციებით. ექიმები და ფსიქოლოგები, რომლებსაც იწვევდნენ ექსპერტის ჩასატარებლად და წამებაგამოვლილთა სამკურნალოდ, თანახმა არიან იმაზე, რომ ტიპური რეაქციების შეგნებას და გაგებას, აფექტის გადატანის “შემხვედრი” რეაქციის ფარგლებში, აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც ექსპერტის მიერ განცდილმა ემოციებმა შეიძლება არსებითად შეზღუდოს წამების შემდგომი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეფასების ჩატარება და ღოკუმენტირება. წამებისა და სხვა სახის სასტიკი მოქსევის ღოკუმენტირების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა პირადი მოტივების გაგება, რომლის მიხედვითაც შეირჩევა სამუშაო ამ სფეროში. აღიარებულია, რომ პროფესიონალებმა, რომლებიც მუდმივად ატარებენ მსგავს ექსპერტისტებს, უნდა იმუშაონ კონტროლის ქვეშ და უნდა ჰქონდეთ პროფესიული მხარდაჭერა თავიანთი კოლეგების მხრიდან, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ სფეროში. აფექტის გადატანის “შემხვედრი” გავრცელებული რეაქციებია:

- (i) თავის არიდება, გულჩათხრობილობა და დამცავი გულგრილობა წარმოადგენს მასალების გაცნობაზე შიშით გამოწვეულ რეაქციას. ამის შედეგად შეიძლება დავიწყებულ იქნეს რაღაც დეტალები და სათანადოდ ვერ შეფასდეს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შედეგების სიმძიმე;
- (ii) იმედის გაცრუება, უმწეობა, უიმედობა და მეტისმეტი გაიგივება, რომლებმაც შესაძლებელია მიგვიყვანოს დეპრესიის სიმპტომების წარმოქმნამდე და კომპენსატორულ ტრავმებამდე, მაგალითად, კომპარები, განგაში და შიში;
- (iii) ყოვლისშემძლების და განდიდების მანის გრძნობა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ადამიანი შეიგრძნობს თავის თავს მსხვერპლის გარეშე ექსპერტად ან წამებაგამოვლილი პირების გამოჯანმრთელებისა და კეთილდღეობის საქმეში უკანასკნელ იმედად.
- (iv) თავის პროფესიულ ჩვევებში გაუბედაობის შეგრძნება მასშტაბური შემთხვევების ან გამოვლილი წამების წინაშე, რომლებმედაც მსხვერპლი ყვებიან. ეს შეიძლება გამოვლინდეს როგორც გაუბედაობა თავის შესაძლებლობებში, რომ საკადრისი მიუზღას წამების მსხვერპლს, და იდეალიზებული საექიმო ნორმებით უგომო გატაცებაში;
- (v) დანაშაულის შეგრძნება იმისათვის, რომ არ შეუძლია გაიზიაროს წამების მსხვერპლის ის ტანჯვა და ტკივილი, რომელიც მას მიაყენეს, ან ეს არ იყო დაკავშირებული პოლიტიკასთან, შეიძლება მიიყვანოს წამებაგამოვლილ პირთან მეტისმეტად სენტიმენტალურ ან იდეალიზებულ დამოკიდებულებამდე;

- (vi) რისხვა და გაშმაგება ჯალათებსა და მოძალადებთან დაკავშირებით ცნობილია, მაგრამ ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს ობიექტურობის შენარჩუნების შესაძლებლობაზე, თუ მას საფუძვლად უდევს შეუცნობადი პირადი გამოცდილება, და მიიღებს ქრონიკულ ხასიათს ან უზომო მასშტაბებს;
- (vii) რისხვა ან ზიზღი მსხვერპლთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, რომ უჩვეულო ძლიერი აღელვების გადაფანა მოუხდა. ეს გრძნობები შეიძლება წარმოიშვას, აგრეთვე, იმ შეგრძნების პასუხად, როცა მსხვერპლი ექსპლუატაციას უწევს ექიმს, როდესაც ეს უკანასკნელი ეჭვობს წამების შესახებ მოყოლილის სიმართლეზე, ხოლო მსხვერპლმა შეიძლება მიიღოს სარგებლობა ექსპერტიზიდან, რომელიც დოკუმენტურად აფიქსირებს სავარაუდო ინციდენტის შედეგებს;
- (viii) ექიმისა და წამებაგამოვლილი პირის კულტურული ფასეულობების სისტემებს შორის არსებითი განსხვავება გამოიხატება მითების რწმენაში ეთნიკური ჯგუფების კუთვნილების მიხედვით, გამოცდილებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულებით და შეუფასებლობით ან ერთ-ერთი ამ პირის გაგების უნარით.

272. უმრავლესობა ექიმებისა ეთანხმება იმას, რომ აფექტის გადატანის “შემხვედრი” რეაქციის ფარგლებში ზოგიერთი ფორმა წარმოადგენს არა უბრალოდ ფაქტების დამახინჯების მაგალითს, არამედ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წამების მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. შეიძლება საშიშროების წინაშე დადგეს მედიკოსების მოქმედების ეფექტიანობა, რადგან ექიმმა კი არ უნდა გაიზიაროს ემოციები, არამედ მხედველობაში უნდა მიიღოს. ექიმები, რომლებიც ექსპერტიზით და წამების მსხვერპლთა მკურნალობით არიან დაკავებულნი, რეკომენდაციას იძლევიან შეისწავლონ აფექტის გადატანის “შემხვედრი” რეაქციის საკითხი და, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყონ კონფრონლი და კონსულტაციები ამა თუ იმ კოლეგის მხრიდან.

273. მდგომარეობამ შეიძლება მოითხოვოს, რომ გამოკითხვა აწარმოოს ექიმმა სხვა კულტურის ან ენობრივი ჯგუფიდან, ვიღრე იმავე ჯგუფიდან, რომელსაც მიეკუთვნება მსხვერპლი. ასეთ შემთხვევებში არის ორი შესაძლებელი მიღები, ყოველ მათგანს აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი. ექიმმა, რომელიც ატარებს დაკითხვას, შეუძლია გამოიყენოს თარჯიმნის ბუსტი, სიტყვასიტყვითი თარგმანი (იხ. ნაწილი IV. I). ამის ალტერნატივას წარმოადგენს ისეთი მიღება, რომლის ფარგლებშიც დაკითხვა ტარდება ორივე კულტურის საფუძველზე. ასეთი მიღება გულისხმობს დაკითხვისათვის გამოიყენებულ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედის ექიმი, რომელიც ატარებს დაკითხვას და თარჯიმანი, რომელიც უზრუნველყოფს ბეპირ თარგმანს და ეხმარება მოცემულ კულტურაში შემთხვევის, განცდის, სიმპატიმებისა და იდიომების მნიშვნელობის გაგებაში. რადგან ხშირად ექიმი არ იცნობს შესაბამის კულტურულ, რელიგიურ და სოციალურ ფაქტორებს, გამოცდილი თარჯიმანი შეძლებს გამოყოს ეს კრიტერიუმები და აუხსნას ექიმს. თუ ექიმი ეყრდნობა მხოლოდ ბუსტ, სიტყვასიტყვით თარგმანს, მაშინ ინფორმაციის ასეთი ღრმა ინტერპრეტაცია არ იქნება. მეორე მხრივ, თუ თარჯიმნებიდან ელოდებიან, რომ ისინი ექიმის ყურადღებას მიაპყრობენ შესაბამის კულტურულ, რელიგიურ და სოციალურ ფაქტორებს, მაშინ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამან არავითარ შემთხვევაში არ იმოქმედოს წამების მსხვერპლის მიერ ექიმის კითხვებზე გაცემულ პასუხებზე. არაბუსტი თარგმანის ღროს ექიმი უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ თარჯიმნის საშუალებით გადმოცემული დასაკითხი პირის პასუხები წარმოადგენს ბუსტად იმას, რაც თქვა მოცემულმა პირმა, თარჯიმნის მხრიდან ყოველგვარი დამატებებისა და გამოტოვების გარეშე. გამოყენებული მიღებისაგან დამოუკიდებლად, მნიშვნელოვანი მოსაბრება თარჯიმნის შერჩევის დროს არის მისი პირადი მონაცემები და ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური კუთვნილება. წამების მსხვერპლს მოუწევს ანდოს თარჯიმანს იმის განმარტება, რასაც ის

ლაპარაკობს, და ამ ინფორმაციის ბუსტი გადაცემა ექიმისათვის. თარჯიმანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სამართალდამცავი ორგანოების მუშავი ან სახელმწიფო მოსამსახურე. კონფიდენციალობის დაცვის გამო არასოდეს შეიძლება თარჯიმნის სახით ოჯახის წევრის გამოყენება. ჯგუფმა, რომელიც აფარებს გამომიებას, უნდა ამოირჩიოს დამოუკიდებელი თარჯიმანი.

### 3. ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული კებელების კომპონენტები

274. ექსპერტის ანგარიშის შესავალში უნდა იყოს მითითებული, ვის მიერ არის გაგზავნილი მოცემული პიროვნება ექსპერტიზაბე, მოკლედ იყოს გადმოცემული დამატებითი წყაროების მონაცემები (როგორიცაა: სამედიცინო, იურიდიული და ფსიქიატრიული დოკუმენტაცია) და აღწერილი იყოს შეფასების გამოყენებული მეთოდები (გამოკითხვა, სიმპტომების ჩამონათვალისა და საკონტროლო სიების გამოყენება, ასევე ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება).

#### ა) წამებისა და სახეის მოპყრობის ანამნეზი

275. საჭიროა მიღებული იქნეს ყველა ღონე წამების, დევნის და სხვა შესაბამისი დამაზიანებელი ზემოქმედების სრული ანამნეზის რეგისტრაციისათვის (იხ. ნაწილი IV. E). ექსპერტის ეს ნაწილი ხშირად დამღლელია გამოსაკვლევი პირისათვის, ამიღომ შეიძლება აუცილებელი იყოს მისი ჩატარება სხვადასხვა ხერხით. გამოკითხვა უნდა დაიწყოს მთლიანად შემთხვევის მოკლე ჩამონათვალით, შემდეგ კი საჭიროა გადატანილი წამების წვრილმანების გამოვლენაზე გადასვლა. პირმა, რომელიც ატარებს დაკითხვას, უნდა იცოდეს მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებული იურიდიული მდგომარეობა, რადგან ეს საზღვრავს ინფორმაციის არსა და მოცელობას, რომელიც აუცილებელია ფაქტების დოკუმენტირებისათვის.

#### ბ) ამჟამად არსებული ფსიქოლოგიური ხასიათის ჩივილები

276. ექსპერტის საფუძველს წარმოადგენს წამებაგამოვლილი პირის მდგომარეობის შეფასება გამოკვლევის პერიოდში. რადგან სამხედრო ტყვეებს და გაუპატიურების მსხვერპლთ, რომლებსაც სასტიკად ექვევიან, მთელი ცხოვრების განმავლობაში შეენიშნებათ ტრავმის შემდგომი სტრესული აშლილობა, რომელთა გავრცელებაც შეადგენს 80-დან 90 პროცენტს, უნდა დაესვას კონკრეტული კითხვები ტრავმის შემდგომი სტრესული აშლილობის სამ კატეგორიაზე DSM -IV ქლასიფიკაციის შესაბამისად (ტრავმირებული შემთხვევის ხელმეორედ გადატანა, თავის არიდება ან რეაგირების უნარის დასუსტება, მათ შორის ამნეზია და აღგზნების მომატება)<sup>113,114</sup>. საჭიროა დაწვრილებით აღწერილ იქნეს სიმპტომები, რომლებიც ახასიათებს ემოციურ და შემეცნებით ფუნქციას და ქცევას, აგრეთვე, აღინიშნოს დამის კოშმარების გამოცხადების, პალუცინაციებისა და შეკრთმის რეაქციის სიხშირე და მოვანილი იყოს ამ მოვლენების მაგალითები. სიმპტომების არარსებობა შეიძლება აიხსნას პოსტრავმატული სტრესული აშლილობის ეპიზოდები ან ხშირად გადავადებული ბუნებით, ან სიმპტომების უარყოფით სირცხვილის გრძნობის გამო.

<sup>113</sup> Rothbaum B.O. et al. A prospective examination of post-traumatic stress disorder rape victims. *Journal of Traumatic Stress*. S 1992:455-475.

<sup>114</sup> Sutker P.B., Winstead D.K., Galina Z.H. Cognitive deficits and psycho-pathology among former prisoners of war and veterans of the Korean conflict. *American Journal of psychiatry*. 148, 1991:62-72.

## გ) წამების შემდგომი პერიოდის ანამნეზი

277. ფსიქოლოგიური ექსპერტის ეს კომპონენტი მოიცავს სიცოცხლის მდგომარეობის გამორკვევას ამჟამად. მნიშვნელოვანია შეკითხვის დასმა გამოკითხვის მომენტში არსებული სტრესის წყაროების შესახებ, როგორიცაა: განშორება ან ახლობლების დაკარგვა, მშობლიური ქვეყნიდან გაქცევა და გადასახლებაში ცხოვრება. ჩატარებულმა გამოკითხვამ უნდა გამოარკვიოს, თუ არის გამოსაკვლევი პირი დაკავებული ნაყოფიერი შრომით, თუ შეუძლია თავის რჩენა, ოჯახშე ზრუნვა, აგრეთვე, თუ აქვს სოციალური დახმარება.

## დ) წამების წინა პერიოდის ანამნეზი

278. თუ მიზანშეწონილია, აღწერეთ წამების მსხვერპლის ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა, მისი ოჯახი, ოჯახის წევრთა შესწავლილი დაავადებები და ოჯახის შემადგენლობა. საჭიროა, აგრეთვე, ანამნეზი წამების მსხვერპლის განათლებასთან და შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნეთ ყველა ტრავმის ანამნეზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, როგორიცაა: ცემა ბავშვობის ასაკში, ტრავმები სამხედრო მოქმედებების ან ოჯახში ძალადობის დროს, აგრეთვე, მიუთითეთ წამების მსხვერპლის ამა თუ იმ კულტურული ან რელიგიური ჯგუფის კუთვნილება.

279. ტრავმის წინა პერიოდის ანამნეზი მნიშვნელოვანია ტრავმის შემთხვევამდე წამების მსხვერპლის ფსიქიური ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფსიქოსოციალური ფუნქციონირების დონის შესაფასებლად. მისი დახმარებით ჩატარებული დაკითხვა შეადარებს მოცემული პირის ამჟამინდელ ფსიქიკურ მდგომარეობას წამების წინა მდგომარეობასთან. საწყისი ინფორმაციის შეფასებისას გამოკითხვამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ტრავმის ხანგრძლივობასა და რეაქციის ხარისხებები მოქმედებს მრავალი ფაქტორი. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება, დანარჩენებს შორის, წამების ვითარება, მსხვერპლის მიერ წამების აღქმა და განსჯა, სოციალური მდგომარეობა წამებამდე, წამების დროს და მის შემდეგ, რესურსები, ფასეულობა და დამოკიდებულება ტრავმის გამომწვევ შემთხვევასთან თემში და მსხვერპლის ასაკისა და მდგომარეობის პირთა შორის, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები, ტრავმის გამომწვევი შემთხვევის სიმძიმე და ხანგრძლივობა, გენეტიკური და ბიოლოგიური მიდრეკილება, მსხვერპლის განვითარების დონე და ასაკი, ადრინდელი ტრავმების ანამნეზი და პიროვნების ადრინდელი დახასიათება. გამოკითხვით დროს, დროში შედგენერირებისა და სხვა პრობლემების არსებობის გამო ხშირად შესაძლებელია გამნელდეს ამ ინფორმაციის მოპოვება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია შეგროვდეს საკმარისი რაოდენობის მონაცემები გამოსაკვლევი პიროვნების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური ფუნქციონირების მდგომარეობაზე იმისათვის, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თუ წამების რა ხარისხმა შეუწყობელი არსებული ფსიქოლოგიური აშლილობის განვითარებას.

## ე) სამედიცინო ანამნეზი

280. სამედიცინო ანამნეზში მოქლევ არის გაღმოცემული ტრავმის წინა პერიოდისა და ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ორგანიზმში ტკივილის შეგრძნება, სომატიკური ჩივილები, სამკურნალო საშუალებების მიღება და მათი თანამდევი ეფექტები, შესაბამისი სექსუალური ანამნეზი, ინფორმაცია ადრინდელი ქირურგიული ჩარევისა და სხვა სამედიცინო მონაცემთა შესახებ (იხ. ნაწილი V. B).

### **ვ) ფსიქიატრიული ანამნეზი**

281. საჭიროა გავარკვიოთ, ანამნეზში წარმოდგენილია თუ არა ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური მოშლილობა, როგორია მათი არსი, აგრეთვე, უტარდებოდათ თუ არა მკურნალობა და საჭირო იყო თუ არა ამ მიზეზით პოსპიტალიზაცია ფსიქიატრიულ სტაციონარში. ასევე გასარკვევია მკურნალობდნენ თუ არა ფსიქოფროპიული პრეპარატებით.

### **გ) აღკოშოლისა და ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენების ანამნეზი**

282. მედიკოსმა უნდა გამოარკვიოს, გამოიყენებოდა თუ არა წამებამდე და მას შემდეგ ნარკოტიკული საშუალება და ალკოჰოლი, იცვლებოდა თუ არა მათი მიღების სქემა და გამოიყენება თუ არა ეს საშუალებები უძილობის ან ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მოშლილობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება არა მხოლოდ ალკოჰოლი, კანაფი და ოპიუმი, ასევე მოცემულ აღვილებები გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებები, როგორიცაა ბეტელი და მრავალი სხვა.

### **დ) ფსიქიკური მდგომარეობის გამოყენება**

283. ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა იწყება იმ მომენტში, როდესაც ექიმი ხვდება გამოსაკვლევ პირს. მკვლევარმა უნდა აღწეროს გამოსაკვლევი პირის გარეგნობა კვების ნაკლებობის, უსუფთაობის, გამოკითხვის დროს მოძრაობის აქტივობის ცვლილების, გამოყენებული ლექსიკის, მხედველობითი კონტაქტის არსებობის, ექიმთან ურთიერთმოქმედების უნარის და მოცემული პირის მიერ გამოყენებული ურთიერთობის საშუალებების ჩათვლით. ფსიქოლოგიური ექსპერტის ანგარიშში აუცილებელია აისახოს ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევის ყველა ასპექტი და აღწერილი იყოს შემდეგი ფაქტორები: საერთო გარეგნული შესახედაობა, მოძრაობის აქტივობა, მეტყველების თავისებურება, განწყობა და აფექტი, აბროვნების თვისება, აბროვნების პროცესი, წარმოდგენა თვითმკვლელობასა და მკვლელობის შესახებ, აგრეთვე, მონაცემები შემცნებითი ფუნქციის გამოკვლევის შესახებ (ორიენტაცია, ხანგრძლივი მახსოვრობა, შემთხვევიდან საშუალო დროის გასვლის ხანგრძლივობის მახსოვრობა და მახსოვრობა ახლახანს მომხდარ შემთხვევაზე).

### **ე) სოციალური ფუნქციის შეფასება**

284. ტრავმამ და წამებამ შეიძლება უშუალოდ და ირიბად იქონიოს გავლენა ადამიანის ქმედუნარიანობაზე. წამებამ შეიძლება, აგრეთვე, გამოიწვიოს მოქმედების უნარის საშუალო დაკარგვა და მიგვიყვანოს შრომისუნარობამდე, თუ გადატანილის ფსიქოლოგიური შედეგები არღვევს ადამიანის თავის თავშე ბრუნვის, თავისი სარჩენი სახსრების შოვნის, ოჯახის შენახვისა და განათლების მიღების უნარს. ექიმმა უნდა შეაფასოს დასაკითხი პირის ამჟამინდელი ქმედუნარიანობა: შეკითხვებით ყოველდღიური ქმედების სახეობებზე, სოციალურ როლზე (როგორც დიასახლისი, მოსამსახურე, მუშა), კულტურულ და გასართობ ღონისძიებებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობის აღქმაზე. გამოკვლევამ უნდა შესთავაზოს გამოსაკვლევ პირს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, განაცხადოს ქრონიკული დაღლილობის შეგრძნების არსებობასა ან არარსებობაზე და აცნობოს საერთო ფუნქციონალური მდგომარეობის შესაძლებელ ცვლილებებზე.

კ) ფსიქოლოგიური ტესტირება და საკონტროლო ჩამონათვალისა და კითხვარების გამოყენება

285. გამოქვეყნებული მონაცემების მოცულობა ფსიქოლოგიური ტესტირების გამოყენებაზე (გეგმური და ობიექტური პირადული ტექსტები), წამებაგამოვლილი პირის მდგომარეობის შეფასების დროს, არ არის დიდი. ამასთან, პიროვნების ფსიქოლოგიური ტესტირება მიუღებელია სხვა კულტურის წარმომადგენლების მიმართ. ამ ფაქტორების ერთობლიობა მკვეთრად ზღუდავს ფსიქოლოგიური ტესტირების გამოყენების შესაძლებლობას წამებაგამოვლილთა მდგომარეობის შეფასებისას. მიუხედავად ამისა, ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება შეიძლება დაეხმაროს წამების შედეგად წარმოქმნილი ტვინის ტრამის შემთხვევების შეფასებაში (იხ. ნაწილი VI.C.4). წამებაგამოვლილ ადამიანს შეიძლება გაუჟირდეს სიტყვით გადმოსცეს თავისი გრძნობები ან სიმპტომები. ზოგიერთ შემთხვევაში სასარგებლო იქნება ტრაგმის სახეობისა და სიმპტომების საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენება. თუ მკვლევარი მიიჩნევს, რომ სასარგებლო იქნებოდა ტრამის სახეობისა და სიმპტომების საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენება, მაშინ არსებობს მრავალი კითხვარი, თუმცა არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს წამებაგამოვლილთა თავისებურებებს.

ლ) კლინიკური დასკვიპნა

286. კლინიკური დასკვნის შედგენისას წამების ფსიქოლოგიური მკიცებულებების ანგარიშისათვის საჭიროა მხედველობაში მივიღოთ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- (i) შეესაბამება თუ არა ფსიქოლოგიური გამოკვლევის მონაცემები ცნობას თითქოსდა მომხდარ წამებაზე?
  - (ii) არის თუ არა ფსიქოლოგიური გამოკვლევის მონაცემები მოსალოდნელი ან ფიპური რეაქციები სტრესის ექსტრემალურ ხარისხებე, როდესაც გათვალისწინებულია მოცემული პირის კულტურული და სოციალური თავისებურებანი?
  - (iii) ფსიქიკური მოშლილობის განვითარების უთანასწორობის გათვალისწინებით დაკითხვის მომენტთან დაკავშირებით როდის მოხდა წამება? გამოჯანმრთელების რომელ სტადიაზე მოცემული პირი?
  - (iv) როგორია დასაკითხი პირზე ზემოქმედებული სტრესის თანმხლები ფაქტორები (მაგალითად, მუდმივი დევნა, იძულებითი მიგრაცია, გასახლება ქვეყნიდან, ოჯახისა და სოციალური როლის დაკარგვა)? როგორ ზეგავლენას ახდენს ეს პრობლემები მოცემულ პირზე?
  - (v) როგორი ფიზიკური ვითარება ახდენს გავლენას კლინიკურ სურათზე? უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება წამების ან პატიმრობის დროს თავის არეში მიყენებულ დაზიანებაზე.
  - (vi) მოწმობს თუ არა კლინიკური სურათი იმაზე, რომ წამების გამოყენებაზე ბრალდება ტყეილია?

287. მედიკოსებმა უნდა გამოოქვენათ თავიანთი მოსაზრება ფსიქოლოგიური გამოკვლევისა და ხარისხის მონაცემთა შეთანხმებულობაზე, რომელშიც ეს მონაცემები შეესაბამება თითქოსდა სასტიკ მოპყრობას. საჭიროა აღწერილ იქნეს გამოსაკვლევი პირის ემოციური მდგომარეობა და მისი გარეგნული გამოვლინებები გამოკითხვის დროს, შესწავლილი სიმპტომატიკა, პატიმრობის ან წამების მდგომარეობა, აგრეთვე ცხოვრების პირადული მდგომარეობა წამებამდე. აუცილებელია აღინიშნოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ტრაგედიასთან დაკავშირებული

კონკრეტული სიმპტომების წარმოშობა, ამა თუ იმ გამოვლენილი ფსიქოლოგიური პარამეტრის სპეციფიკურობა და განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ფუნქციონირება. გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი ფაქტორები, როგორიცაა: იძულებითი მიგრაცია, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, კულტურული ასიმილაციის სირთულეები, ენობრივი პრობლემები, უმუშევრობა, ოჯახისა და სოციალური სტატუსის დაკარგვა. აუცილებელია შეფასდეს და აღწერილი იქნეს მოვლენებისა და შესწავლილი სიმპტომების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. ისეთ მდგომარეობას, როგორიცაა: თავის ტრავმა ან თავის ქალისა და ტვინის ტრავმა, შეიძლება დასჭირდეს შემდგომი ექსპერტიბა. შესაძლებელია რეკომენდაციული იყოს ნეკროლოგიური ან ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევა.

288. თუ წამებაგამოვლილთა სიმპტომატიკის გამოხატულების ხარისხი შეესაბამება ფსიქიატრიულ დიაგნოზს შემდეგი კლასიფიკაციით – DSM - IV ან ICD - 10, მაშინ საჭიროა მიუთითოთ ეს დიაგნოზი. შესაძლებელია რამდენიმე დიაგნოზის დასმა. აუცილებელია კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური აშლილობის ტრავმასთან დაკავშირებული დიაგნოზი აღასტურებს წამების მტკიცების დასაბუთებულობას, ფსიქიატრიული დიაგნოზის კრიტერიუმებთან შეესაბამობა არ ნიშნავს, რომ ადამიანი არ უწამებიათ. წამებაგამოვლილი პირის სიმპტომატიკის გამოხატულების ხარისხი შეიძლება არ შეესაბამებოდეს დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს –DSM - IV ან ICD - 10. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც სხვა შემთხვევებშიც, საჭიროა წამებაგამოვლილ პირთა სიმპტომები და მათ მიერ გადმოცემული ვითარება თითქოსდა გადატანილ წამებაზე განხილული იყოს ერთობლივად. დასკვნაში საჭიროა შეფასდეს და აღწერილი იქნეს შესაბამისობის ხარისხი მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი წამების სურათსა და მის მიერ გადმოცემულ სიმპტომებს შორის.

289. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ბოგიერთი პიროვნება რაღაც მიზების გამო უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ გადაიგანა წამება, ხოლო სხვებმა პირადული ან პოლიტიკური მიზებით შეუძლიათ გააგვიადონ უხეში მოპყრობის შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდები. პირმა, რომელიც ატარებს გამოძიებას, ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ეს და უნდა ისწრაფვოდეს გამოავლინოს გამოიადებისა და გამოგონების შესაძლებელი მიზებები. მიუხედავად ამისა, ექიმს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი ფანტაზიები მოითხოვს ტრავმასთან დაკავშირებულ სიმპტომების ღრმა ცოდნას, რომელიც გამოსაკვლევ პირებს იშვიათად აქვთ. ჩვენებათა შეუთანხმებლობა შეიძლება მოხდეს ბოგიერთი საპატიო მიზებით, როგორიცაა: მახსოვრობის დარღვევა თავის ქალისა და ტვინის ტრამპის შედეგად, ცნობიერების არევა, დისოციაცია, დროის აღქმის კულტურული სხვაობა ან ფრაგმენტაცია და მეხსიერების დაქვეითება, რომელიც დაკავშირებულია ტრავმასთან. წამების ფსიქოლოგიური მტკიცებულებების სათანადო დოკუმენტირებისათვის აუცილებელია, რომ ექიმებს შეეძლოთ დასკვნაში მოცემული შესაბამისობისა და სხვადასხვაობის შეფასება. თუ პირი, რომელიც გამოკიტხვას ატარებს, ეჭვობს, რომ წამებასთან დაკავშირებული მკიცებულებები ტყუილია, მიწოდებულ ინფორმაციაში შეუსაბამობის დასაბუსტებლად საჭიროა დაინიშნოს დამატებითი გამოკითხვა. ოჯახის წევრებს ან მეგობრებს შეუძლიათ დაეხმარონ საქმის ვითარების დამოწმებაში. თუ დამატებითი გამოკითხვის შემდეგ ექიმი კვლავ ეჭვობს ბრალდების სიცრუეში, მაშინ მან უნდა გაუგზავნოს გამოსაკვლევი პირი სხვა ექიმს და გაიგოს თავისი კოლეგის აზრი. ეჭვი ბრალდების სიმართლის შესახებ დოკუმენტურად ფორმდება ორი ექიმის დასკვნით.

### 1) რეკომენდაციები

290. რეკომენდაციები, რომლებიც ფსიქოლოგიური ექსპერტის შედეგია, დამოკიდებულია იმაზე, რა მიზებით იყო მოთხოვნილი ექსპერტის ჩატარება. განსახილველი პრობლემები შეიძლება ეხებოდეს იურიდიულ და სასამართლო საკითხებს, თავმექსაფრით უზრუნველყოფა,

გადასახლება ან აუცილებელი მკურნალობა. შეიძლება რეკომენდებული იყოს დამატებითი შემოწმება, როგორიცაა: ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, თერაპიული ან ფსიქიატრიული მკურნალობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმ პირის, რომელსაც უზარებენ ექსპერტისა ან მისი თავშესაფრით უზრუნველყოფა.

#### 4. ნეიროფსიქოლოგიური შეფასება

291. კლინიკური ნეიროფსიქოლოგია წარმოადგენს გამოყენებით მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის გვინის ფუნქციის დარღვევის ქსევით გამოვლინებას. ნეიროფსიქოლოგიური შეფასება ეხება, კერძოდ, ხარისხის განსაზღვრას და ქსევითი მოშლილობის კლასიფიკაციას, რომელიც დაკავშირებულია გვინის ორგანულ დაზიანებასთან. დიდი ხანია აღიარებულია მეცნიერების ამ დარგის ეფექტურობა ნევროლოგიური დაავადებებისა და ფსიქოლოგიური დარღვევების დიფერენციალური დიაგნოზის დროს, აგრეთვე, როგორც სახელმძღვანელო პაციენტების მკურნალობისა და რებილიტაციის დროს, რომლებიც თავის ფვინის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების შედეგებისგან იგანჯებიან. წამებაგამოვლილი პირების ნეიროფსიქოლოგიური ექსპერტია ტარდება იშვიათად, და დღეისათვის ლიტერატურაში არ არის მონაცემები წამებაგამოვლილ პირთა ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევის შესახებ. ამიტომ, ქვემოთ წარმოდგენილი შენიშვნები შემოიფარგლება საერთო პრინციპებზე მსჯელობით, რომლებიც ხელს უწყობს ჯანდაცვის მუშაკებს ნეიროფსიქოლოგიური შეფასებისა და მისი წამებაგამოვლილ პირთა მიმართ გამოყენების მაჩვენებლების პრაქტიკული მნიშვნელობის გაგებაში. მაჩვენებელთა პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მსჯელობამდე აუცილებელია ნეიროფსიქოლოგიური შეფასებების შესაძლებლობების ბლვარის შეგნება მოსახლეობის ამ ჯგუფთან მიმართებაში.

#### ა) ნეიროფსიქოლოგიური შეფასების შეზღუდვა

292. არსებობს რიგი საერთო ფაქტორებისა, რაც ართულებს წამებაგამოვლილ პირთა მდგომარეობის შეფასებას მთლიანად, რომლებიც განხილულია წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სხვა ნაწილებში. ეს ფაქტორები განეკუთვნება როგორც ნეიროფსიქოლოგიური შეფასებას, ასევე სამედიცინო ან ფსიქოლოგიურ გამოკვლევასაც. ნეიროფსიქოლოგიური შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს რიგი დამატებითი ფაქტორებით, როგორიცაა: წამებაგამოვლილ პირთა სამეცნიერო გამოკვლევების უქონლობა, ნორმების გამოყენება, კულტურული და ენთბრივი განსხვავება და წამებაგამოვლილ პირთა განმეორებითი ტრაგიზმება.

293. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ლიტერატურაში ნახსენებია მხოლოდ უკიდურესად შეზღუდული ციფრი წამებაგამოვლილ პირთა ნეიროფსიქოლოგიური შეფასების შესახებ. ძირითადი ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება ამ პრობლემის ლიტერატურას, ეხება თავის ტრავმის სხვადასხვა ტიპებსა და პოსტტრავმული სტრესების აშლილობის ნეიროფსიქოლოგიურ შეფასებას მთლიანად. ამიტომ, ქვემოთ მოყვანილი ნეიროფსიქოლოგიური შეფასების შედეგების გარჩევები და განხილვები აუცილებლად დაფუძნებულია საერთო პრინციპების გამოყენებაზე, რომლებიც გამოიყენება მოსახლეობის სხვა გამოკვლეული ჯგუფის მიხედვით.

294. ნეიროფსიქოლოგიური შეფასება იმ სახით, როგორც ის მუშავდება და გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში, ძირითადად დაფუძნებულია აქტუალულ მიღომაზე. ეს მიღომა ჩვეულებრივ წარმოადგენს სტანდარტული ტესტების კომპლექსის შედეგების შედარებას მოსახლეობისათვის განსაზღვრულ მთლიან ნორმებთან. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ნეიროფსიქოლოგიური შეფასების განხილვას, ეტალონის სახით ნორმების გამოყენების

საფუძველზე, შეიძლება დაემატოს ლურიის მეთოდის ხარისხიანი ანალიზები, კერძოდ, როდესაც ამას მოითხოვს კლინიკური სიტუაცია, მაინც მირითადად გამოიყენება აქტუარული მიდგომა<sup>115,116</sup>. უფრო მეტიც, ტესტების შედეგებს ქულებში აქვს ყველაზე უფრო არსებითი მნიშვნელობა, როდესაც ტვინის დაზიანება უმნიშვნელოა ან ზომიერი, მაგრამ არა მძიმე შემთხვევებში, აგრეთვე, ნეიროფსიქოლოგიური დეფიციტები ითვლება მეორეხარისხოვნად ფსიქიატრიულ მოშლილობასთან მიმართებაში.

295. კულტურულმა და ენობრივმა სხვაობამ შეიძლება არსებითად შეზღუდოს წამებაგამოვლილ პირთა ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მნიშვნელობა და გამოყენების შესაძლებლობა. ნეიროფსიქოლოგიური შეფასების შედეგების უტყუარობა საეჭვოა, თუ არ მოიპოვება ტესტების ვალიდური თარგმანი, ხოლო ექიმი, რომელიც ატარებს გამოკითხვას, ცუდად ფლობს გამოსაკვლევი პირების მშობლიურ ენას. თუ არ მოიპოვება ტესტების ვალიდური თარგმანი, ხოლო პირები, რომლებიც ატარებენ გამოკითხვას, ვერ ფლობენ გამოსაკვლევი პირების მშობლიურ ენას, არ შეიძლება ზეპირ აღქმაზე გათვალისწინებული ტესტების გამოყენება, რადგან მათი შედეგების განმარტება ნიშნადი სახით შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ შეიძლება მხოლოდ არასიტყვიერი ტესტების გამოყენება, და ეს გამორიცხავს სიტყვიერისა და არასიტყვიერის აღქმის შედარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, უფრო რთული პრობლემაა მოშლილობის ლაგერალიზაციის ანალიზი (ან ლოკალიზაცია). თუმცა, ეს ანალიზი ხშირად გამოსადევია ტვინის ასიმეტრიული ორგანიზაციის გამო, ჩვეულებრივ, მეტყველების ფუნქციის მარცხენა ნახევარსფეროს გაძლიერებული როლის დროს. თუ გამოსაკვლევი პირის კულტურულ და ენობრივ ჯგუფში არ მოიპოვება ნორმები, რომელიც დაგენილია მოსახლეობის ჯგუფისათვის, მაშინ ნეიროფსიქოლოგიური შეფასების შედეგების უტყუარობა ასევე საეჭვოა. IQ -ის (გონებრივი განვითარების კოეფიციენტი) მაჩვენებელი წარმოადგენს მაჩვენებლების ერთ-ერთ ცენტრალურ ეტალონს, რაც აძლევს საშუალებას პირებს, რომლებიც ატარებენ გამოკითხვას სათანადო შეაფასონ ნეიროფსიქოლოგიური ტესტების შედეგები. მაგალითად, რაც შეეხება აშშ-ს მოსახლეობას, ამ მონაცემებს ხშირად იდებენ სიტყვიერ ქვეჯგუფები დაყრდნობისას ვექსლეროვის სკალის გამოყენებით, კერძოდ, საინფორმაციო ქვესკალის, რადგან ტვინის ორგანული დაბიანების არსებობისას შეძენილი ფაქტობრივი ცოდნის დაკინება ნაკლებმოსალოდნელია, ვიდრე სხვა ამოცანების გადაჭრის უნარის დარღვევა, და სხვა მონაცემებზე უკეთესად განსაზღვრავს ადრე არსებულ სწავლების უნარს. შეფასება ასევე შეიძლება დაეყრდნოს გამოსაკვლევი პირის განათლებისა და მუშაობის მონაცემებს, აგრეთვე, დემოგრაფიულ მონაცემებს. ნათელია, რომ არც ერთი ამ გასათვალისწინებელი ფაქტორებიდან არ ეხება პირებს, რომელთა მიმართაც მოსახლეობის ჯგუფებისათვის მთლიანად არ იყო დადგენილი ნორმები. ამიტომ, ტრავმის წინ აბროვნების ფუნქციის მიმართ შესაძლებელია მხოლოდ ყველაზე მიახლოებითი შეფასება. ამის შედეგად ძნელი იქნება მიეცეს ინტერპრეტაცია ნეიროფსიქოლოგიურ აშლილობას, რომელიც ნაკლებად გამოხატულია, ვიდრე მძიმე ან ზომიერი ხარისხის დარღვევა.

296. ნეიროფსიქოლოგიურმა შეფასებამ შეიძლება ხელმეორედ მიაყენოს ტრავმა წამებაგამოვლილ პირს. აუცილებელია, გამაფრთხილებელი ბომების მიღება იმისათვის, რომ ყოველგვარი დიაგნოსტიკური პროცედურების დროს მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გამოსაკვლევი პირისადმი ხელმეორედ მიყენებული ტრავმის შესაძლებლობა (იხ. ნაწილი IV. H). ნეიროფსიქოლოგიური ტესტირებისათვის დამახასიათებელ მხოლოდ ერთ მაგალითზე

<sup>115</sup> Luria A.K. and Majovski L.V. Basic approaches used in American and Soviet clinical neuropsychology. *American Psychologist*. 32(11) 1977:959-968.

<sup>116</sup> Ivnik R.I. Overstatement of differences. *American Psychologist*. 33(8) 1978:766-767.

აღვნიშნავთ, რომ ხალსტედ-რეიტანის ტესტების კრებულის სტანდარტულმა გამოყენებამ, კერძოდ, შეხების ფუნქციის ტესტმა, რომლის დროსაც გამოსაკვლევ პირს თვალებს უხვევენ, შეიძლება მასზე იქნიოს ფსიქიკის დამაზიანებელი ძლიერი გავლენა. წამების დროს უხვევდნენ თვალებს, და მათგეც კი, რომლებსაც არ უხვევდნენ, ამ პროცედურისათვის დამახასიათებელი უმწეობის შეგრძებამ, შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკის ძლიერი დაზიანება. ნეიროფსიქოლოგიური ტესტირების ყველა ფორმის გამოყენებამ, მიუხედავად რომელიმე მეთოდისა, თავისთავად შეიძლება შექმნას პრობლემები. გამოკვლევის ქვეშ ყოფნა, ამა თუ იმ მოქმედების აუცილებლად შესრულება გარკვეულ დროში და მაქსიმალური ძალისხმევა უწნობი ამოცანის შესასრულებლად, როდესაც მიზანი გამოიხატება უფრო იმაში, რომ შესრულდეს დავალება, ვიდრე დიალოგში მონაწილეობა, – ყველაფერმა ამან გამოსაკვლევ პირებში შეიძლება გამოიწვიოს მეტისმეტი სტრესი ან გამოვლილი წამების გახსენება.

### **ბ) ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მაჩვენებლები**

297. ქცევითი დეფიციტის შეფასების დროს სავარაულო წამებაგამოვლილ პირებში ნეიროფსიქოლოგიური შეფასებისას არსებობს ორი ძირითადი მაჩვენებელი: თავის ქალისა და ტვინის ტრავმა და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული დიაგნოზები. თუმცა მდგომარეობის ორივე მაჩვენებელი ზოგიერთ ასპექტში ემთხვევა და ხშირად გვხვდება ერთად, მხოლოდ მათგან პირველის დროს ჩვეულებრივ და ტრადიციულად გამოიყენება კლინიკური ნეიროფსიქოლოგია იმ დროს, როდესაც მეორე არის შედარებით ახალი, არასაკმარისად გამოკვლეული და გარკვეული ბომით პრობლემატური.

298. თავის ქალისა და ტვინის ტრავმა და მის შედეგად ტვინის დაზიანება იყოს თავის სხვადასხვა სახის ტრავმისა და ნივთიერებათა ცვლის შედეგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დევნის, პატიმრობის და წამების დროს. მათში შედის იარაღით მიყენებული ჭრილობები, მოწამვლის შედეგები, ალიმენტარული დისტროფია შიმშილისა და ძალად მიღებული მავნე ნივთიერებების შედეგად, პიპოქსიის შედეგები გაგუდვის ან წყალში თავის ჩაყოფის შედეგად, ყველაზე ხშირად, ცემის დროს თავში ჩარტყმით გამოწვეული. თავში ჩარტყმა ხშირად ხდება პატიმრობისა და წამების დროს. მაგალითად, ერთ-ერთ წამებაგამოვლილ შერჩეულ ჯგუფზე თავის არეში მიყენებული დარტყმები იყო სიბმირით მეორე სხეულის შეურაცხყოფის ფორმებთან შედარებით (48 პროცენტი) სხეულზე დარტყმების შემდეგ (58 პროცენტი)<sup>117</sup>. წამებაგამოვლილ პირთა შორის ტვინის დაზიანებისს ალბათობა ძალიან მაღალია.

299. თავის დახურული ტრავმები, რომლებსაც მიყვავართ სიმძიმის ხარისხის მიხედვით მსუბუქ ან ზომიერ დარღვევებთან, შეფასებისას წარმოადგენს ნეიროფსიქოლოგიური პათოლოგიის ყველაზე ხშირ მიზეზს. თუმცა, ტრავმის ნიშანს შეიძლება მიეკუთვნოს თავგენა ნაჭდევები, მაგრამ დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის დახმარებით ჩვეულებრივ შეუძლებელია ტვინის დაზიანების გამოვლინება. ფსიქიატრებმა შეიძლება არ განსაზღვრონ ან სათანადოდ არ შეაფასონ ტვინის დაზიანების სიმძიმის ხარისხის მიხედვით მსუბუქი ან ზომიერი დარღვევები, რადგან ამ დროს კლინიკურ სურათში დეპრესიის სიმპტომების გამოხატვის და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ალბათობა დიდია, რის შედეგადაც თავის ტრავმის შესაძლებელ გემოქმედებას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. წამებაგამოვლილ პირთა სუბიექტურ ჩივილებს ჩვეულებრივ მიეკუთვნება პრობლემები ყურადღების, კონცენტრაციისა და ხანმოკლე მეხსიერების სფეროში, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ტვინის დაზიანების ან პოსტტრავმული სტრესული აშლილობის შედეგად. რადგან ეს ჩივილები ხშირად გვხვდება

წამებაგამოვლილ პირთა შორის, რომლებსაც აწებებთ პოსტრავმული სტრესული აშლილობა, კითხვა, აიხსნება თუ არა ეს თავის ტვინის დაბიანებით, შეიძლება არც დაისვას.

300. გამოკვლევის პირველ ეტაპზე ექიმი, რომელიც სვამს დიაგნოზს, უნდა დაეყრდნოს თავის ტრავმის ანამნეზს და სიმპტომების დინამიკას. ჩვეულებრივ, თავის ქალისა და ტვინის ტრავმის შემთხვევაში, დიაგნოზის დასმაში შეიძლება დაეხმაროს ინფორმაცია, რომელიც მიღებულია სხვა ადამიანებისგან, კერძოდ, დაბარალებულების ნათესავებისგან. უნდა გვახსოვდეს, რომ პირებს, თავის ქალასა და ტვინის დაბიანებით, ხშირად უძნელდებათ აღწერონ ან კიდევ შეაფასონ თავისი ორგანული შესაძლებლობები, რაღაც ისინი თითქოს “შიდა” პრობლემებია. პირველი შთაბეჭდილებების მიღებისას, რომელიც მიეკუთვნება ტვინის ორგანულ დაბიანებასა და პოსტრავმულ სტრესულ აშლილობას შორის განსხვავებას, სასარგებლოა შეფასების დაწყება სიმპტომების ქრონიკული ხასიათიდან. თუ ყურადღების, კონცენტრაციისა და მეხსიერების სიმპტომების ინტენსივობა მერყეობს შიშისა და დეპრესიის გამოხატულების ხარისხთან ერთად, ეს, ყველაზე უფრო, დაკავშირებულია პოსტრავმული სტრესული აშლილობის ფაზურ არსთან. მეორე მხრივ, თუ დარღვევა მიიღებს ქრონიკულ მიმღინარეობას, არ ხასიათდება მერყეობით და დადასტურებულია ოჯახის წევრების მიერ, მაშინ თავის ტრავმის მკვეთრი ანამნეზის საწყისი მდგომარეობის არარსებობის დროსაც კი საჭიროა განვიხილოთ ტვინის დაბიანების შესაძლებლობის საკითხი.

301. ტვინის ორგანული დაბიანების ეჭვის არსებობის დროს ფსიქიატრმა პირველ რიგში უნდა განიხილოს გამოსაკვლევი პირის აუცილებელი გაგზავნა სპეციალისტთან შემდგომი ნევროლოგიური გამოკვლევისთვის. გამოკვლევის თავდაპირველი შედეგების შესაბამისად, ექიმს შეუძლია საკონსულტაციოდ მიმართოს ნევროპათოლოგს ან დანიშნოს დიაგნოსტიკური გამოკვლევა. შემდგომი ტაქტიკის სახით შეიძლება განიხილოს ფართო სამედიცინო გამოკვლევა, ნევროპათოლოგის კონსულტაციით კონკრეტულ საკითხებზე და ნეიროფსიქოლოგიური ექსპერტითა. ნეიროფსიქოლოგიური ექსპერტის ჩატარება ჩვეულებრივ ნაჩვენებია ნევროლოგიური მოშლილობის საერთოდ არარსებობის დროს, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოსაკვლევი პირის მიერ გადმოცემული სიმპტომები მიეკუთვნება უპირატესად შემეცნებით ფუნქციას ან როდესაც აუცილებელია ტვინის დაბიანებისა და პოსტრავმული სტრესული აშლილობის დიფერენციალური დიაგნოსტიკის ჩატარება.

302. ნეიროფსიქოლოგიური ტესტებისა და მეთოდების შერჩევას აქვს ზემოთ აღნიშნული შეზღუდვები და გამორიცხავს ტესტების სტანდარტული კრებულის გამოყენებას; ის უფრო უნდა განისაზღვროს თითოეული კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკით და გათვალისწინებული იქნეს ინდივიდუალური თავისებურებანი. მოქნილობა, რომელიც აუცილებელია ტესტებისა და მეთოდების შერჩევისას, მოითხოვს იმ პირისაგან, რომელიც აფარებს გამოკვლევას, მნიშვნელოვან გამოცდილებას, ცოდნასა და სიფრთხილეს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საშუალებების დიაპაზონი, რომლის გამოყენებაც დაგეგმილია, ხშირად შემოიფარგლება არავერბალური საკითხებით, და, შესაძლებელია, თითოეული სტანდარტული ტესტის ფსიქომეტრიული მახასიათებლები იყოს ნაკლებინფორმაციული იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული სებიექტის მიმართ არ შეიძლება მთლიანად მოსახლეობის ჯგუფისათვის დამტკიცებული ნორმების გამოყენება. ვერბალური პარამეტრების არარსებობა წარმოადგენს ძალიან სერიოზულ შეზღუდვას. შემეცნებითი ფუნქციის გამოყენების ბევრი სფერო გაშუალებულია მეტყველებით, და სხვადასხვა ვერბალური და არავერბალური მაჩვენებლების სისტემატური შედარება გამოიყენება იმისათვის, რომ მივიღეთ ნაკლოვანებების არსის დასკვნამდე.

<sup>117</sup> Traue H.C., Schwarz-Langer G., Gurris N.F. Extremtraumatisierung durch Folter. Die psychotherapeutische Arbeit der Behandlungszentren für Folteropfer. Verhaltenstherapie und Verhaltensmedizin. 1 1997:41-62.

303. სიტუაციის დამატებით გართულებას იწვევს მონაცემები იმის შესახებ, რომ წარმომადგენლების მიერ არავერბალური ტესტების შესრულებისას, მონათესავე კულტურებთან შედარებით ახლოს, აღმოჩენილია სტატისტიკურად ნიშნადი ჯგუფებშორისი განსხვავება. მაგალითად, ნეიროფსიქოლოგიური ტესტების მოკლე კრებულის გამოყენებით ჩატარებული იყო ხანში შესული მოსახლეობის თემიდან ამორჩეული 118 ინგლისურენოვანი და 118 ესპანურენოვანი შემთხვევითი ჯგუფის შედარებითი გამოკვლევა<sup>118</sup>. შერჩევა ჩატარდა შემთხვევითი ამორჩევის მეთოდით იმ ამორჩევასთან შეთანხმებით, რომელიც ტარდება დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ქულებში ვერბალური პარამეტრების მიხედვით იყო მსგავსი, ესპანურენოვან პირებს თითქმის ყველა არავერბალური კრიტერიუმის მიხედვით შეფასებები ჰქონდათ სტატისტიკური ნიშნადის ქვევით. ეს მონაცემები მოწმობს იმას, რომ არაინგლისურენოვანი პირების შეფასებისათვის არავერბალური და ვერბალური მაჩვენებლების გამოყენებისას საჭიროა დაცული იყოს სიფრთხილე, თუ ტესტები შედგენილია ინგლისურენოვანი პირებისათვის.

304. სავარაუდო წამებაგამოვლილთა ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მეთოდებისა და პროცედურების ამორჩევის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა იმ ექიმს, რომელიც ატარებს გამოკვლევას, რომელმაც უნდა შეარჩიოს ისინი კონკრეტულ სიტუაციაში მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ნეიროფსიქოლოგიური ტესტების სწორად გამოყენება შეუძლებელია გონებრივ მოქმედებასა და ქმედებას მორის ურთიერთკავშირის შესახებ სერიოზული მომზადებისა და ცოდნის გარეშე. ნეიროფსიქოლოგიური პროცედურებისა და ტესტების სრული ჩამონათვალის, აგრეთვე, მათი სწორად გამოყენების რეკომენდაციების მოქმედნა შესაძლებელია ავტორიტეტულ სახელმძღვანელოებში<sup>119</sup>.

### გ) პოსტტრაუმატული სტრესული აშლილობანი

305. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან ნათელია, რომ სავარაუდო წამებაგამოვლილ პირთა ტვინის დაბიანების ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მცდელობისას აუცილებელია სიფრთხილის დაცვა. ეს უფრო მეტად მიეკუთვნება ნეიროფსიქოლოგიური შეფასების დახმარებით წამებაგამოვლილ პირებში პოსტტრავმატული სტრესული აშლილობის (PTSD) არსებობის დოკუმენტური დადასტურების მცდელობას. იმ პირების, რომელებიც იტანჯებიან PTSD-ით, მდგომარეობის შეფასების შემთხვევაშიც კი, რომელთა მიმართაც მოიპოვება მთლიანად მოსახლეობის ჯგუფისათვის დამტკიცებული ნორმები, არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები. PTSD წარმოადგენს ფსიქიატრიულ მოშლილობას და, როგორც წესი, ადრე არ იყო ნეიროფსიქოლოგიური შეფასების ობიექტი. გარდა ამისა, PTSD არ შეესაბამება ტვინის იდენტიფიცირებული დაბიანების ანალიზის კლასიკურ პარადიგმას, რომელთა დამტკიცებაც შესაძლებელია სამედიცინო მეთოდიკის საშუალებით. მთლიანად ფსიქიატრიულ მოშლილობაში მოქმედ ბიოლოგიურ მექანიზმებზე ყურადღების გამახვილებისა და მათი გაგების მიხედვით, ნეიროფსიქოლოგიური პარადიგმები გამოიყენება უფრო ხშირად, ვიდრე წარსულში. თუმცა, როგორც იყო აღნიშნული, “ამჟამად ნეიროფსიქოლოგიასთან შეფარდებით PTSD-ზე არსებობს შედარებით მცირე რაოდენობის პუბლიკცია”<sup>120</sup>.

<sup>118</sup> Jacobs D.M., Sano M. Albert S. Schofield P. et al. Cross-cultural neuropsychological assessment: A comparison of randomly selected, demographically matched cohorts of English and Spanish-speaking older adults. *Journal of Clinical and Experimental Neuropsychology*. 19(3) 1997:331-339.

<sup>119</sup> Spreen O. and Strauss E. A Comparison of Neuropsychological Tests. New York, Oxford University Press.

<sup>120</sup> Knight J.A. Neuropsychological assessment in post-traumatic stress disorder. B: Wilson J.P. and Keane T.M., eds. Assessing psychological Trauma and PTSD. New York, Guilford, 1997.

306. პოსტრავმატული სტრესის დროს ნეიროფსიქოლოგიური მაჩვენებლების შესასწავლად გამოყენებულ შერჩეულ ჯგუფებში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება მაჩვენებლებში. ამან შეიძლება ახსნას შემცნებითი ფუნქციის დაღვევაში განსხვავება, რომელზედაც გვამცნობს ამ გამოკვლევების მონაცემები. აღინიშნებოდა, რომ “როგორც კლინიკური დაკვირვებები ადასტურებს, PTSD სიმპტომები ყველაზე ხშირად ნაწილობრივ ემთხვევა ნევროლოგიურ და შემცნებით ფუნქციასთან დაკავშირებულ ყურადღების, მახსოვრობისა და შემსრულებელი ფუნქციის სფეროს”. ეს ეთანხმება წამებაგამოვლილ პირებისაგან შემოსულ ჩივილებს. ისინი აღნიშნავენ სირთულეებს ყურადღების კონცენტრაციის, ინფორმაციის დამახსოვრებისა და მიზანმიმართული, დაგეგმილი საქმიანობის უწარობის შეგრძნების დროს.

307. ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მეთოდებს, როგორც არის წარმოდგენილი, შეუძლიათ გამოავლინონ ნევროლოგიური და PTSD-ის დროს შემცნებით ფუნქციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, თუმცა ამ ნაკლოვანებების კონკრეტული ბუნების დადგენა უფრო მნელია. ზოგიერთ გამოკვლევაში, ასეთი სახის ნაკლოვანებების არსებობა იმ პირებში, რომლებიც იტანჯებოდნენ PTSD-ით, ღოკუმენტურად აღნიშნებოდათ ჯანმრთელ საკონტროლო პირებთან შედარების დროს, მაგრამ ამ პირებისა და შეპირისპირებული საკონტროლო პირების დიფერენციალური დიაგნოსტიკა ფსიქიატრიულ დაავადებებთან ვერ მოხერხდა<sup>121,122</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტესტების შესრულების დროს ნევროლოგიური და შემცნებით ფუნქციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, შესაძლებელია, ნათელი იყოს PTSD-ის შემთხვევაში, მაგრამ არასაკმარისი ამ მოშლილობის დიაგნოსტიკისათვის. როგორც სხვა მრავალი სახის შეფასებისას, ტესტების შედეგების განხილვა უნდა იყოს ჩართული გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაციის უფრო ფართო კონტექსტში და, შესაძლებელია, პიროვნების გამოკვლევაც. ამ მნიშვნელობით ნეიროფსიქოლოგიური შეფასების კონკრეტულმა მეთოდებმა შეიძლება განაპირობოს PTSD-ის არსებობის ღოკუმენტური დადასტურება ისევე, როგორც სხვა ფსიქიატრიული მოშლილობის დროს, რაც დაკავშირებულია ცნობილ ნევროლოგიურ ცვლილებებთან და შემცნებითი ფუნქციის დარღვევასთან.

308. არსებითი შეზღუდვების მიუხედავად, ნეიროფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენება შესაძლებელია იმ პირების მდგომარეობის შესაფასებლად, რომლებსაც სავარაუდოდ აქვთ თავის ქალისა და ტვინის დაზიანებები, აგრეთვე, თავის ქალისა და ტვინის და PTSD-ის დიფერენციალური დიაგნოსტიკის დროს. ნეიროფსიქოლოგიური მეთოდები შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი კონკრეტული სიმპტომების შესაფასებლადაც, როგორც მეხსიერების დარღვევა, რომლებიც შეინიშნება PTSD-ის და მასთან დაკავშირებული მოშლილობის დროს.

## 5. ბავშვები და წამება

309. წამებამ ბავშვებზე შეიძლება მოახდინოს პირდაპირი და ირიბი ზემოქმედება. ეს უკანასკნელი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბავშვებს აწამებდნენ ან ჰყავდათ დაპატიმრებული; აწამებდნენ მათ მშობლებს ან ახლო ნათესავებს; ბავშვი ესწრებოდა წამებას ან ძალადობას. თუ აწამებენ ადამიანებს ბავშვის გარემოცვიდან, ეს აუცილებლად მოახდენს მასზე გავლენას, თუნდაც ირიბს, რადგანაც წამებები თავს იჩენს ოჯახის ყველა წევრზე და წამებაგამოვლილ პირთა თემზე. ბავშვებზე წამებების ფსიქოლოგიური ზემოქმედებების ყოვლისმომცველი განხილვა და წამებაგამოვლილი ბავშვის გათვითცნობიერებისათვის ჩატარებული

<sup>121</sup> Dalton J.E., Pederson S.L., Ryan J.J. Effects of post-traumatic stress disorder on neurological test performance. International Journal of Clinical Neuropsychology. 11(3) 1989:121-124.

<sup>122</sup> Gil T. et al. Cognitive functioning in post-traumatic stress disorder. Journal of Traumatic Stress, 3(1) 1990:29-45.

რეკომენდაციები არ შედის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სფეროში. მიუხედავად ამისა, შეიძლება რამდენიმე მნშვნელოვანი მომენტის მოკლედ აღნიშვნა.

310. ერთი მხრივ, ბავშვები ექსპერტის ჩატარების დროს, რომელიც, როგორც ნავარაუდევია, არის წამების მსხვერპლი ან იყო მისი მოწმე, ექიმი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ბავშვი მხარდაჭერას იღებს იმ პიროვნებებისგან, რომლებიც მათზე ზრუნავენ, და, რომ ექსპერტის დროს ის ვრმნობს თავს უსაფრთხოდ. ეს მოითხოვს ექსპერტის დროს ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვის ნდობით აღჭურვილი პირის დასწრებას. მეორე მხრივ, ექიმმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ტრაგმასთან დაკავშირებულ აზრებსა და ემოციებს ბავშვები ხშირად გამოხატავენ არა ვერბალურად, არამედ უფრო თავისი ქცევით<sup>123</sup>. ბავშვების მიერ სიტყვიერად ჩამოყალიბებული აზრებისა და გრძნობების ხარისხი დამოკიდებულია ბავშვის ასაქტები, მისი განვითარების დონეზე და სხვა ფაქტორებზე, როგორიცაა: ოჯახის თავისებურებები, პირადობის მახასიათებლები და კულტურული ნორმები.

311. თუ ბავშვები მიყენებული ჰქონდა ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა, მნიშვნელოვანია, რომ ის, თუ ეს შესაძლებელია, გასინჯოს სპეციალისტმა ბავშვებე სასტიკი მოპყრობის შედეგების მიღამოებში. ბავშვების სასქესო ორგანოების გასინჯვა, რომელმაც, შესაძლებელია, მათ ტრაგმა მიაყენოს, საჭიროა მივანდოთ ექიმს, რომელსაც აქვს მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის გამოცდილება. ზოგჯერ მიმანშეწონილია გამოკვლევის ვიდეოჩანაწერის გაკეთება, რომ სხვა სპეციალისტებმა, ბავშვის განმეორებითი გასინჯვის აუცილებლობის გარეშე, გააკეთონ თავიანთი დასკვნები ფიზიკური მონაცემების მიხედვით. სასქესო ორგანოებისა და უკანა ტანის მიღამოების სრული გამოკვლევის ანესთეზის გარეშე ჩატარება მიმანშეწონილი არ არის. გარდა ამისა, პირმა, რომელიც ატარებს გამოკვლევას, უნდა გაათვითცნობიეროს, რომ თვითონ გამოკვლევამ შეიძლება ბავშვები გაახსენოს სასტიკი მოპყრობა და გასინჯვის დროს ბავშვი შეიძლება სპონტანურად შეეწინააღმდეგოს გამოსაკვლევ მანიპულაციებს ან მას შეიძლება ჰქონდეს ფსიქოლოგიური ჩავარდნა.

### ა) განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტორები

312. წამებაზე ბავშვის რეაქცია დამოკიდებულია მის ასაქტების სტადიასა და შემეცნებით ჩვევებზე. რაც უფრო პატარა ბავშვი, ტრაგმირებულ შემთხვევასთან დაკავშირებულ მის განცდებსა და გაგებაზე მით უფრო მეტ გავლენას ახდენს უშალო რეაქციები და ურთიერთობა იმ პირებისა, რომლებიც ამ შემთხვევის შემდეგ მასზე ზრუნავები<sup>124</sup>. სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, რომლებმაც გადაიგანეს წამება ან იყვნენ მათი მოწმეები, ბავშვებები მზრუნავი ადამიანების მხრიდან დაცვასა და მხარდაჭერას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა<sup>125</sup>. მცირე ასაკის ბავშვთა რეაქცია ტრაგმირებულ შემთხვევაზე ჩვეულებრივ გამოიხატება მომზებულ აღელვებაში – შფოთვა, ძილის დარღვევა, გაღიმიანება, შეკრთომისა და თავის არიდების გაძლიერებული რეაქცია. სამ წელზე მეტი ხნის ბავშვები თავის თავში იკეტებიან და უარს ამბობენ გადატანილი ტრამების შესახებ პირდაპირ საუბარზე. გარკვეულ ფუნქციურ სფადიაში (8-9 წლის ასაკში) ხდება ბავშვთან კონტაქტის შესაძლებლობის გამოხატული ბრძა, როდესაც ბავშვებს უვითარდებათ შემთხვევის უფყუარი ქრონილოგიური სურათის წარმოდგენის უნარი. ამ სტადიაზე ვითარდება გარკვეული ფუნქციები, აგრეთვე, შემთხვევის

<sup>123</sup> Schlar C. Evaluation and documentation of psychological evidence of torture (gamouqveynebeli naSromi) (1999).

<sup>124</sup> von Overbeck Ottino S. Familles victimes de violences collectives et en exil: Quelle urgence, quel modèle de soins? Le point de vue d'une psychopatologue. *La Revue Francaise de Psychiatrie et de Psychologie Medicale*, 14 1998:35-49.

<sup>125</sup> Grappe M. La guerre en ex-Yugoslavie: un regard sur les enfants réfugiés. B: Moro M.R. and Lebovici S., eds. *psychiatrie humanitaire en ex-Yugoslavie et en Armenie. Face au traumatisme*. Paris, PUF, 1995.

აღქმის უნარი დროსა და სივრცეში<sup>126</sup>. ეს ახალი ჩვევები ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა და ჩვეულებრივ ბავშვები იძენენ ფაქტების თანმიმდევრობით გადმოცემის მტკიცე უნარს თვიციალური ქმედუნარიანობის ასაკის მიღწევისათან ერთად (12 წელი). მობარდის ასაკი წარმოადგენს მშვიოვარუ განვითარების პერიოდს. წამების შედეგები შეიძლება გადასხვაფერდეს ფართო დიაპაზონით. გადატანილმა წამებამ შეიძლება გამოიწვიოს მობარდებში პიროვნების ღრმა ცვლილებები, რომელსაც მივყავართ ანტისაზოგადოებრივ ქმედებებამდე<sup>127</sup>, ან კიდევ მობარდებზე წამების ბემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ანალოგიური შედეგები, რომელიც შეინიშნება უფრო მცირეწლოვან ბავშვებში.

### ბ) კლინიკური ასპექტები

313. ბავშვებს შეიძლება გამოაჩნდეთ პოსტრავმატული სტრესული აშლილობის სიმპტომები. ეს სიმპტომები უფროსებში შემჩნეული სიმპტომების ანალოგიურია, მაგრამ ექიმმა მეტი თრიენტირება უნდა გააკეთოს ბავშვის ქცევებზე, ვიდრე ვერბალურ გამოხატულებაზე<sup>128,129,130,131</sup>. ბავშვს შეუძლია, მაგალითად, გამოავლინოს ტრავმის განმეორებითი გადატანის სიმპტომები მონოგონური, ერთი და იგივე თამაშების სახით, რომლებიც წარმოადგენს ტრავმირების შემთხვევის ასპექტებს, გადატანილის მხედველობითი გახსენებით თამაშის დროს და თამაშის გარეშე, ტრავმის შემთხვევის ან დამის კოშმარების შესახებ კითხვების ან განცხადებების სახით. ბავშვს შეიძლება განუვითარდეს დამით შარდის შეუკავებლობა, დეფეკციის კონტროლის დაკარგვა, სოციალური აუტიზმი, აფექტის შეზღუდვა, შეეცვალოს დამოკიდებულება თავის თავისა და გარშემო მყოფ პირთა მიმართ და გაუწნდეს შეგრძნება, რომ მას არ აქვს მომავალი. ბავშვმა შეიძლება განიცადოს მომატებული აგზება, და მას შეიძლება ჰქონდეს დამის კოშმარები, ჩაძინების პრობლემა, ძილის მოშლა, შეკრიომის გაძლიერებული რეაქცია, გადიბიანება და ყურადღებისა და კონცენტრაციის გამოხატული დარღვევა. შიში და აგრესიული მოქმედებები, რომლებიც არ შეიმჩნეოდა ტრავმის შემთხვევამდე, შეიძლება გამოხატოს აგრესის სახით თავის ტოლების, უფროსების ან ცხოველების მიმართ, სიბნელის შიში, ტუალეტში მარტო წასვლის შიში და სხვადასხვა ფობია. ბავშვმა შეიძლება გამოავლინოს სექსუალური ქცევები, რომლებიც არ შეესაბამება მის ასაკსა და სომატურ რეაქციებს. შეიძლება აღნიშნოთ განგაშის სიმპტომები, როგორიცაა: უცნობი ადამიანების მიმართ მეტისმეტი შიში, განშორების შიში, პანიკური მდგომარეობა, შემაშფოთებელი აგზება, განრისხება და უკონტროლო ტირილი. ბავშვმა შეიძლება დაკარგოს მადა.

### გ) ოჯახის როლი

314. ოჯახი ასრულებს მნიშვნელოვან დინამიკურ როლს ბავშვებში მტკიცე სიმპტომების გამოვლენის დროს. ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით შეიძლება ხდებოდეს ქცევების ცვლილებები და როლის გადანაწილება ოჯახის წევრებს შორის. ოჯახის წევრს, ხშირად ბავშვს, შეიძლება დაევალოს ავადმყოფის “როლი”, და მას შეიძლება განუვითარდეს მძიმე აშლილობანი. ბავშვს შეიძლება მეტისმეტად მოუფრთხილდნენ ან დაუმალონ ტრავმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შემთხვევები. პირიქით, ბავშვს შეიძლება მიაკუთვნონ მშობლების ფუნქცია და

<sup>126</sup> Piaget J. *La naissance de l'intelligence chez l'enfant*. Neuchatel. Delachaux et Niestle, 1977.

<sup>127</sup> Grappe M. La guerre en ex-Yugoslavie: un regard sur les enfants réfugiés. In: Moro M.R. and Lebovici S., eds. *Psychiatrie humanitaire en ex-Yugoslavie et en Arménie. Face au traumatisme*. Paris, PUF, 1995.

<sup>128</sup> Tett L. C. Childhood traumas. An outline and overview. *American Journal of Psychiatry*, 148 1991:10-20.

<sup>129</sup> National Center for Infants, Toddlers and Families, *Zero to Three*, 1994.

<sup>130</sup> Sironi F. On torture un enfant, ou les avatars de l'ethnocentrisme psychologique. *Enfances*. 4 1995: 205-215.

<sup>131</sup> Bailly L. *Les catastrophes et leurs conséquences psychotraumatiques*. Paris. ESF, 1996.

მაშინ მისგან ელიან მშობლებმე მრუნვას. თუ ბავშვი არ არის უშუალოდ წამების მსხვერპლი, მხოლოდ ირიბი შეხება ჰქონდა მასთან, უფროსები ხშირად ვერ საზღვრავენ მის გავლენას ბავშვის ფსიქიკასა და განვითარებაზე. თუ ბავშვის გარშემო მყოფი ახლობელი ადამიანები განიცდიდნენ დევნას, გაუპატიურებას და წამებას ან ბავშვი იყო მძიმე ტრაგმის, ან წამების მოწმე, მას შეიძლება განუვითარდეს ნორმასთან შეუსაბამო შეგნება იმისა, რომ ის აგებს პასუხს მომხდარ უბედურებაზე ან მან უნდა ატაროს მშობლის ტვირთი. ასეთმა რწმენამ შეიძლება მიგვიყვანოს ხანგრძლივი პრობლემის განვითარებამდე, დანაშაულის გრძნობასთან, მიჩვევის გრძნობის კოლიზიასთან, პიროვნების განვითარებასთან და დროთა განმავლობაში გრძასრულ დამოუკიდებელ ადამიანად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებლ პრობლემებთან.

## დანართი I

წამებებისა და სასტიკი, არაადამიანური ან ადამიანის ღირსების შემლახველი მოპყრობისა და  
დასჯის ეფექტიანი გამოკვლევისა და დოკუმენტირების  
პრინციპები<sup>132</sup>

წამებებისა და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოკვლევისა და დოკუმენტირების მიზნები (შემდეგში ნახსენები წამებები და სასტიკი მოპყრობის სხვა სახეობები) მოიცავს შემდეგს: ფაქტების გამოკვლევასა და დადგენას და ინდივიდუალური და სახელმწიფო ვალდებულებების აღიარებას მსხვერპლებისა და მათი ოჯახების წინაშე; რეციდივების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების განსაზღვრას და დახმარებას დევნის უბრუნველსაყოფად ან, შესაბამის შემთხვევებში, იმ პირების დისციპლინარულ დასჯას, რომელთა ბრალეულობა დადგენილია გამოკვლევის მსვლელობისას, და მთავრობის მხრიდან სრული ანაზღაურებისა და კომპენსაციის აუცილებლობას, მათ შორის სამართლიან და ადეკვატურ ფინანსურ კომპენსაციას და სახსრების გამოყოფას მკერნალობისა და რეაბილიტაციისათვის.

სახელმწიფო უბრუნველყოფს წამებებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ საჩივრებისა და სხვა შეტყობინებების ოპერატორ და ეფექტურ გამოკვლევას. აშკარა საჩივრის უქონლობის შემთხვევაშიც კი ფარდება გამოძიება, თუ არსებობს სხვა მითითება წამების ან სასტიკი მოპყრობის შესაძლებელ გამოყენებაზე. პირები, რომლებიც აფარებენ გამოძიებას და რომლებიც უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი სავარაუდო დამნაშავისაგან და იმ დაწესებულებისაგან, სადაც ისინი მუშაობენ, უნდა იყვნენ კომპეტენტურნი და მიუკერძოებელნი. მათ ხელი მიუწვდებათ მიუკერძოებელ სამედიცინო და სხვა ექსპერტებამდე ან აქვთ უფლება მოიწვიონ ისინი გამოძიების ჩასატარებლად. მეთოდები, რომლებიც გამოყენებულია ასეთი გამოძიების ჩასატარებლად, უნდა აკმაყოფილებდეს ყველაზე მაღალ პროფესიულ სტანდარტებს, ხოლო მათი დასკვნები გადაეცემა საჯარობას.

საგამოძიებო ორგანოს აქვს უფლება და მოვალეობა გამოითხოვოს გამოძიების ჩასატარებლად ყველა აუცილებელი ინფორმაცია<sup>133</sup>. პირებს, რომლებიც აფარებენ გამოძიებას, თავიანთ განკარგელებაში აქვთ ყველა აუცილებელი საბიუჯეტო და ტექნიკური საშუალებები გამოძიების ეფექტიანადად ჩასატარებლად. მათ, აგრეთვე, აქვთ უფლებამოსილება დაავალდებულონ ყველა პირი, რომლებიც მოქმედებენ ოფიციალური წესით და სავარაუდოდ მონაწილენი არიან წამებაში ან სასტიკ მოპყრობაში, გამოცხადნენ ჩვენების მისაცემად. ეს ეხება ყველა მოწმესაც. ამ მიზნით საგამოძიებო ორგანო უფლებამოსილია გასცეს უწყება მოწმეების გამოსამახსებლად, მათ შორის, ყველა ოფიციალური პირის ჩათვლით, რომლებიც სავარაუდოდ არიან დაკავშირებულნი ასეთ ქმედობებთან, და მოითხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა. წამებისა და სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი, მოწმეები, პირები, რომლებიც აფარებენ გამოძიებას, და მათი ოჯახები დაცულნი არიან ძალადობისაგან, დაშინებისაგან ძალადობის გამოყენებაზე ან დაშინების ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გამოძიების შედეგად. პირები, რომლებიც შეიძლება იყვნენ დაკავშირებულნი წამებასთან ან სასტიკ მოპყრობასთან, გადაყენებული არიან ყველანაირი თანამდებობიდან, რომელიც უბრუნველყოფს კონფრონტს ან ძალაუფლებას, პირდაპირს თუ ირიბს, მოსარჩლევებთან,

<sup>132</sup> ადამიანთა უფლებების კომისიამ თავის რებოლუციაში 2000/43 და გენერალურმა ასამბლეამ თავის რებოლუციაში 55/89 მიიქციეს სახელმწიფოების ყურადღება მოცემულ პრინციპებები და დაფინანსირებულ ეფექტურ რეკომენდაცია სახელმწიფოებს, რომ განეხილათ ეს პრინციპები როგორც წამების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი იარაღი.

<sup>133</sup> ბოგიერთ შემთხვევაში, პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, შეიძლება მოითხოვონ ინფორმაციის კონფიდენციალობის შენახვა. ასეთ მოსაზრებებს პატივი უნდა ვცეთ.

მოწმეებთან ან მათ ოჯახებთან დაკავშირებით, აგრეთვე, პირებს, რომლებიც აფარებენ გამოძიებას.

წამების ან სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ ყველა მოსმენას და ყველა ინფორმაციას, რომელიც ქება გამოძიებას, და ხელი მიუწვდებათ მათზე, აგრეთვე, უფლება აქვთ წარმოადგინონ სხვა შტკიცებულებანი.

იმ შემთხვევაში, როცა გამოძიების მიერ დადგენილი პროცედურები არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს არასაქმარისი კომპეტენციის ან სავარაუდო მიუკერძოებლობის, ან სისტემატური ბოროტმოქმედების აშკარად არსებობის გამო, ან სხვა არსებითი მიზების გამო, სახელმწიფო უზრუნველყოფს გამოძიების ჩატარებას დამოუკიდებელი კომისიის დახმარებით ან ანალოგიური პროცედურების ფარგლებში. ასეთი კომისიის წევრებად ირჩევენ იმ პირებს, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი მიუკერძოებლობით, კომპეტენციურობით და პირადი დამოუკიდებლობით. კერძოდ, ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელი ყველა სავარაუდო დამნაშავისგან და ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან, სადაც მათ შეუძლიათ მუშაობა. კომისიას აქვს უფლება გამოითხოვოს გამოძიების ჩასატარებლად ყველა აუსილებელი ინფორმაცია და წარმართოს გამოძიება წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისად<sup>134</sup>.

გათვლილი ღროის განმავლობაში დგება წერილობითი ანგარიში, რომელშიც მითითებულია გამოძიების, პროცედურებისა და მეთოდების ჩარჩოები, რომელსაც იყენებენ მტკიცებულებების შესაფასებლად, ასევე დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც დაფუძნებულია ფაქტებები და გამოსაყენებელ კანონმდებლობაზე. შედგენის დამთავრებისას ასეთი ანგარიში გადაეცემა საჯარობას. მასში, აგრეთვე, უნდა იყოს დაწერილებითი ინფორმაცია კონკრეტულ შემთხვევებშე, რომლებსაც, როგორც იყო დადგენილი, ჰქონდა ადგილი, აგრეთვე ის მტკიცებულებები, რომელზეც დაფუძნებულია ეს დასკვნები, და მოწმეთა გვარების სია, რომლებმაც მისცეს ჩვენება, იმათ გარდა, რომელთა პიროვნებაც არ გახმაურებულა მათი დაცვის მიზნით. მთავრობა, გათვლილი ვალის განმავლობაში, იძლევა პასუხს ამ გამოძიების ანგარიშზე და იტყობინება, შესაბამის შემთხვევებში, მასთან დაკავშირებული როგორი ზომები იქნება მიღებული.

სამედიცინო ექსპერტები, რომლებიც მონაწილეობდნენ წამებებისა და სასტიკი მოპყრობის გამოძიებაში, ყველა შემთხვევაში მოქმედებენ ყველაზე მაღალი ეთიკური ნორმების მიხედვით და, ხშირად, იღებენ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მოცემულ თანხმობას თითოეული ექსპერტის ჩატარებამდე. ექსპერტიზა უნდა შეესაბამებოდეს სამედიცინო პრაქტიკის დადგენილ სტანდარტებს. კერძოდ, ექსპერტიზა ტარდება დახურულ კარს მიღმა სამედიცინო ექსპერტის კონტროლის ქვეშ და უშიშროების სამსახურის აგენტებისა და სხვა სახელმწიფო ოფიციალური პირების გარეშე.

სამედიცინო ექსპერტი თპერატიულად ადგენს ბუსტ წერილობით ანგარიშს. ამ ანგარიშში მითითებულია შემდეგი:

- ა) გამოსაკვლევის გვარი და იმ პირის გვარი, რომელიც ესწრება ექსპერტიზას, აგრეთვე, ორგანიზაციის ან დაწესებულების დასახელება, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ზუსტი დრო და რიცხვი, ადგილი, დაწესებულების ხასიათი და მისამართი (შეძლებისდაგვარად, თთახის ნომერი), სადაც ტარდება ექსპერტიზა (მაგალითად, პენიტენციური ცენტრი, კლინიკა, სახლი); გამოსაკვლევი პირის მდგომარეობა ექსპერტიზის მომენტში (მაგალითად, ყველა დამამშვიდებელი საშუალებების ხასიათი შემოსვლისას ან ექსპერტიზის დროს, უშიშროების თანამშრომელთა დასწრება ექსპერტიზის დროს, იმ პირების ქცევები, რომლებიც ახლავთ

<sup>134</sup> იხ. შენიშვნა 8ემთ.

პატიმრებს, მუქარის განცხადებები იმ პირების მისამართით, რომლებიც ატარებენ ექსპერტიას) და ყველა სხვა მნიშვნელოვანი ასპექტი;

ბ) დაკითხვის პროცესში მიღებული გამოსაკვლევი პირის ისტორიის დაწვრილებითი ანგარიში, მათ შორის, წამებისა და სასტიკი მოპყრობის სავარაუდო მეთოდები, სავარაუდო წამებების მიყენების დრო და ყველა ჩივილი ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ სიმპტომებზე;

ც) ანგარიში ყველა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სიმპტომებზე, რომელიც აღმოჩენილია კლინიკური დათვალიერების დროს, მათ შორის, შესაბამისი დიაგნოსტიკური ანალიზი და, შეძლებისდაგვარად, სხეულის ყველა დაზიანების ფერადი ფოტოები;

დ) მოსაზრება აღმოჩენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიმპტომების შესაძლებელ კავშირზე წამებასა და სასტიკ მოპყრობასთან. ადგენენ რეკომენდაციებს ყველა აუცილებელ სამედიცინო მკურნალობასა და ფსიქოლოგიურ დახმარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, შემდგომ გამოკვლევაზე;

ე) ანგარიშში გარკვევით არის მითითებული პირი, რომელიც ატარებს ექსპერტიას, და ისმევა ხელმოწერა.

დასკვნა ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს და გადაეცემა გამოსაკვლევ პირს ან მის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს. გამოითხოვება და შეტანილი იქნება ანგარიშში გამოსაკვლევი პირის ან მისი წარმომადგენელის აზრი ექსპერტიაში პროცესის შესახებ. დასკვნას, აგრეთვე, წარმუდგენენ წერილობით, შესაბამის შემთხვევებში, ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია სავარაუდო წამებისა და სასტიკი მოპყრობის გამოძიებაზე, მთავრობაშ უნდა უზრუნველყოს ამ პირებთან მათი უსაფრთხო წარდგენა. დასკვნა არ გადაეცემა სხვა პირს, გარდა გამოსაკვლევი პირის თანხმობის საფუძველზე ან სასამართლოს დადგენილების მიხედვით, უფლებამოსილ პირს, რომ უზრუნველყოს ასეთი გადაცემა.

## დანართი II

### დიაგნოსტიკური გამოკვლევები

დიაგნოსტიკური გამოკვლევების დამუშავება და შეფასება მუდმივად მიმდინარეობს. წარმოდგენილი სახელმძღვანელოს შედგენისას საქმაოდ ინფორმაციულად ითვლებოდა ქვემოთ მოყვანილი გამოკვლევები. თუმცა, იმ პირებმა, რომლებიც ადარებენ გამოძიებას, დამატებითი მკიცებულებების მიღების აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა გამოიყენონ ყველაზე თანამედროვე საინფორმაციო წყაროები, და მიმართონ დახმარებისთვის წამების (იხ. ნაწილი V. E) ფაქტების დოკუმენტაციის სპეციალიზებულ ცენტრს.

#### 1. რენტგენოლოგიური ვიზუალიზაცია

ტრავმის მწვავე ფაზის დროს, ძვლისა და რბილი ქსოვილების დაზიანებების დამატებითი დოკუმენტირებისათვის, ვიზუალიზაციის სხვადასხვა ხერხი საქმაოდ ინფორმაციულია. თუმცა, მიყენებული წამების შედეგად, ტრავმების შეხორცების დარჩენილი მოვლენები, როგორც წესი, მედავნდება ვიზუალიზაციის ასეთი ხერხების მეშვეობით. ეს, ხშირად, სამართლიანია იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც წამების მსხვერპლი, მიყენებული ტრავმის შედეგად, კვლავ განიცდის ძლიერ ტკივილებს ან იგი კვლავ შრომისუნაროა. პაციენტის ან წამების ამა თუ იმ სახეობასთან დაკავშირებული გამოკვლევების განხილვისას, ზემოთ უკვე იყო ნახსენები გამოკვლევების სხვადასხვა რენტგენოლოგიური მეთოდი. ქვემოთ მოყვანილია ამ მეთოდების გამოყენების რეზიუმე, თუმცა მეტად რთული და ძვირადღირებული ტექნოლოგიები ყოველთვის არ არის ერთდროულად ხელმისაწვდომი, ყოველ შემთხვევაში იმ პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობაში.

რენტგენოლოგიური ვიზუალიზაციის მეთოდებით დიაგნოსტიკური გამოკვლევები მოიცავს ჩვეულებრივ რენტგენოგრაფიას (რენტგენის სურათი), რადიოიმაგნეტურ სკინტიგრაფიას, კომპიუტერულ ტომოგრაფიას (CT), მაგნიტურ - ბირთვულ - რეზონანსულ ვიზუალიზაციას (NMR) და ულტრაბენერით გამოკვლევებს. ამ მეთოდიდან თითოეულს აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი. რენტგენოგრაფიაში, სკინტიგრაფიასა და კომპიუტერულ ტომოგრაფიაში გამოიყენება იონიზირებადი გამოსხივება, რაც პრობლემას უქმნის ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებს. მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაცია მაგნიტური ველის გამოყენებაზეა დაფუძნებული. ემბრიონებსა და ბავშვებზე მისი პოტენციურ-ბიოლოგიური ბენტექტურა შესაძლებელია, მაგრამ მინიმალურია. ულტრაბენერითი მეთოდი ბგერითი ტალღების გამოყენებაზეა დაფუძნებული და მისი ბიოლოგიური რისკი დაუდგენერირდა.

რენტგენოგრაფია ყველასთვის მისაწვდომი პროცედურაა. საწყისი გამოკვლევის დროს უნდა გაკეთდეს ყველა დაზიანებული ნაწილის, გარდა თავის ქალის რენტგენის სურათი. ჩვეულებრივი რენტგენის სურათი სახის ძვლების მოტეხილობების გამომჟღავნების საშუალებას იძლევა, თუმცა კომპიუტერული ტომოგრაფია გამოკვლევის ყველაზე სრულყოფილი მეთოდია, ვინაიდან მისი საშუალებით მედავნდება მეტი მოტეხილობა, ძვლების ფრაგმენტების გადაადგილება და მასთან დაკავშირებული რბილი ქსოვილების დაზიანება და გართულება. თუკი სახემ გვაქვს ძვლისაზრდელას ან მცირე მოტეხილობების დაზიანებები, მაშინ რენტგენოგრაფიასთან დამატებით უნდა გამოვიყენოთ სცინტიგრაფია. რენტგენის ბოგიერთი სურათი გვაძლევს უარყოფით შედეგს ოსტეომიელიტის დასაწყისი სტადიისა და ახალი მოტეხილობის შემთხვევაშიც კი. შესაძლებელია, აგრეთვე, მოტეხილობის შეხორცება, რომლის დროსაც რენტგენოგრაფიული გამოკვლევით ვერ მტკიცდება ადრინდელი ტრავმა. ეს, განსაკუთრებით, ხშირად ბავშვებში გვხვდება.

სცინტიგრაფია მაღალმგრძნობელობის გამოკვლევის მეთოდად ითვლება, მაგრამ დაბალი სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს არის იაფი და ეფექტური გამოკვლევა, რომელიც ტარდება მთელი ჩონჩხის სკრინინგისათვის პათოლოგიური პროცესების გამოვლენის მიზნით, როგორიცაა ოსტეომიელიგი ან ტრავმა. ის, აგრეთვე, საშუალებას იძლევა, რომ გამოვავლინოთ სათესლე ჯირკვლის გადგაგრეხა, თუმცა, ამისათვის უფრო მეტად ულტრაბგერითი გამოკვლევაა მიზანშეწონილი. რბილი ქსოვილების ტრავმების გამოსავლენად სცინტიგრაფია უვარებისა. სცინტიგრაფია ოცდაოთხი საათის განმავლობაში ახალი მოტეხილობის გამომედავნების საშუალებას იძლევა, თუმცა, ჩვეულებრივ ამაზე ორი-სამი დღე იხარჯება, ზოგჯერ კვირაზე მეტიც კი, განსაკუთრებით, ხანდაგმულ ადამიანებში. სკანოგრამის აღდგენა ნორმამდე, ჩვეულებრივ, ორი წლის შემდეგ ხდება, თუმცა მოტეხილობებისა და ნამკურნალები ოსტეომიელიგის დროს ის შეიძლება დადებითი იყოს რამდენიმე წლის განმავლობაში. მოტეხილობების გამოსავლენად ეპიფიზისა და მეტადიაფიზის (გრძელი ძვლების დაბოლოებები) მიღამოებში ძვლის სცინტიგრაფიის გამოყენება ბავშვებში ფრიად გართულებულია, ვინაიდან ეპიფიზში ჩვეულებრივ გროვდება რადიოფარმაცევტული პრეპარატები. ხშირად სცინტიგრაფია ნეკნების მოტეხილობის განსაბლვრის საშუალებას იძლევა, რომლის გამოვლენაც რენტგენის სურათზე შეუძლებელია.

### **ა) ძელის სცინტიგრაფიის გამოყენება წამება “ფალანგის” დიაგნოსტიკისათვის**

ძვლების სკანირება შეიძლება შესრულდეს როგორც სამი საათით გაგრძელებული ვიზუალიზაციით, ასევე სამფაბიანი გამოკვლევით. ეს სამი ფაზა წარმოადგენს: რადიონუკლეიდურ ანგიოგრამას (არტერიული ფაზა), სისხლის დეპოს გამოსახულების მიღებას (ვენობური ფაზა, რომელიც წარმოადგენს რბილი ქსოვილების ფაზას) და გაგრძლებულ (ძვლის) ფაზას. რაც შეეხება გამოსაკვლევ პაციენტებს, წამება “ფალანგის” შემდეგ მოკლე დროში საჭიროა ჩაუტარდეს ერთი კვირის ინტერვალით ძვლის ორი სკანირება. პირველი გაგრძელებული სკანოგრამის უარყოფითი შედეგი და მეორე საკანოგრამის დადებითი შედეგი, მოწმობს პაციენტის პირველ სკანირებამდე რამდენიმე დღის ფარგლებში “ფალანგით” წამებას. მწვავე შემთხვევის დროს ერთი კვირის ინტერვალით ძვლის ორი სკანოგრამის უარყოფითი შედეგები აღნიშნავს, რომ “ფალანგა” არ გამოიყენება, მაგრამ შესაძლებელია ნიშნავდეს, რომ “ფალანგის” ინტენსივობამ სცინტიგრაფიის მგრძნობელობის ზღურბლს ვერ მიაღწია. სამფაბიანი სკანირების დროს რადიონუკლეიდური ანგიოგრამის ფაზაზე თავდაპირველი მომატებული დაგროვება და სისხლის დეპოს გამოსახულების მიღება, აგრეთვე, ძვლის ფაზაში დაგროვების მომატების არარსებობა, მიუთითებს ჰიპერემიაზე, რომელიც, შესაძლებელია, დაკავშირებულია რბილი ქსოვილების დაბიანებებთან. რბილი ქსოვილებისა და ტერფის ძვლების ტრავმები შესაძლებელია, აგრეთვე, ვიზუალიზაციის დახმარებით გამოვლინდეს<sup>135</sup>.

### **ბ) ულტრაბგერითი გამოკვლევები**

ულტრაბგერითი მეთოდი იაფია და ბიოლოგიურ რისკთან არ არის დაკავშირებული. გამოკვლევის ხარისხი თქერაგორი ხარისხშეა დამოკიდებული. მუცლის მწვავე ტრავმის შესაფასებლად კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარების საშუალების უქონლობის გამო გამოიყენება ულტრაბგერითი გამოკვლევები. აგრეთვე, ულტრაბგერის დახმარებით შესაძლებელია მყენების პათოლოგიური ცვლილებების გამოვლენა და ამ მეთოდს საჭიროა

<sup>135</sup> იხ. შენიშვნა 81-83; დამატებითი ინფორმაცია, აგრეთვე, შესაძლებელია იყოს რენტგენოლოგიისა და სამედიცინო რადიოლოგიის ავტორიტეტულ შრომებში.

მივანიჭოთ უპირატესობა კვერცხების პათოლოგიის გამომჟღავნებაში. მხრის სახსრების მიღამოების ულტრაბგერითი გამოკვლევა ტარდება ჩამოკიდებით წამების შემდგომ მწვავე ან ქრონიკულ პერიოდში. მწვავე პერიოდის განმავლობაში ულტრაბგერის დახმარებით შეიძლება გამოკვლინდეს შეშუპება, მხრის სახსარში ან მის გარშემო სისხლის დაგროვება, საშოს კუნთების ნახეთქები და ჰემატომები. დიაგნოზი მტკიცდება განმეორებითი ულტრაბგერითი გამოკვლევით და მწვავე პერიოდში მიღებული მონაცემები დროთა განმავლობაში ქრება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მაგნიტურ-რებონანსური ვიზუალიზაციის, სცინტიგრაფიისა და სხვა რენტგენოლოგიური გამოკვლევების ერთობლივი ჩატარება და მათი კორელაციის განსაზღვრა. სხვა გამოკვლევების დადგებითი შედეგების არარსებობის შემთხვევაში, ერთი ულტრაბგერითი გამოკვლევის მონაცემებიც კი საკმარისია ჩამოკიდებით წამების გამოყენების დასამტკიცებლად.

### ე) კომპიუტერული ტომოგრაფია

კომპიუტერული ტომოგრაფია წარმოადგენს რბილი ქსოვილებისა და ძელების გაზუალიზაციის შესანიშნავ მეთოდს, თუმცა მაგნიტურ-რებონანსული ვიზუალიზაცია რბილი ქსოვილების ვიზუალიზაციას უფრო შეეფერება, ვიდრე ძვლებისას. მაგნიტურ-რებონანსული ვიზუალიზაცია საშუალებას იძლევა ფარული მოტეხილობის გამომჟღავნებას უფრო ადრე, ვიდრე ამის აღმოჩენას შეძლებს ჩვეულებრივი რენტგენოგრამა ან სცინტიგრაფია. ლია სკანირებისა და სედაფიური საშუალებების გამოყენებას შეუძლია შფოთვისა და კლაუსტოფობის შესუსტება, რომელიც ხშირად წამებაგამოვლილ პირებთან გვხვდება. კომპიუტერული ტომოგრაფია, აგრეთვე, შესანიშნავია მოტეხილობების, განსაკუთრებით, საფეთქლისა და სახის ძვლების დიაგნოსტიკისა და შეფასებისთვის. ხერხემლის, მენჯის მხრისა და მენჯის ფოსოს მოტეხილობის დროს სხვა უპირატესობა მდგომარეობს ძვლების ფრაგმენტების შეთავსებისა და გადაადგილების გამოაშკარავების შესაძლებლობაში. ეს მეთოდი ძვლების ნაღრმობის დიაგნოსტირების საშუალებას არ იძლევა. ცენტრალური ნერვული სისტემის მწვავე, ნახევრად მწვავე და ქრონიკული დაბიანებების გამოკვლევა საჭიროა დავიწყოთ კომპიუტერული ტომოგრაფიის დროს ვენაში კონტრასტული ნივთიერებების შეყვანით ან მის გარეშე. თუ გამოკვლევის დროს მიღებული შედეგი უარყოფითა, საეჭვოა ან ვერ ხსნის ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებების ჩივილებს, ან სიმპტომებს, გამოსაკვლევი პირი საჭიროებს მაგნიტურ-რებონანსული ვიზუალიზაციის გამოკვლევას. საფეთქლის ძვლების მოტეხილობების დროს გამოკვლევის შეთოდებს შორის პირველი უნდა იყოს კომპიუტერული ტომოგრაფია “ძვლების ფანჯრებით” და კონტრასტული ნივთიერების შეყვანამდე და შეყვანის შემდეგ გამოკვლევებით. “ძვლების ფანჯრები” შეიძლება მოტეხილობებისა და ძვლების მცირე ბზარების არსებობის მკიცებულებად გამოიდგეს. კონტრასტული ნივთიერების შეყვანამდე გამოკვლევამ შეიძლება გამოავლინოს სითხისა და ქოლესტერომის არსებობა. კონტრასტული ნივთიერების შეყვანა რეკომენდებულია ამ უბანზე კერძო სისხლძარღვების ანომალიის გამო. რინორეის დროს ხერხემლის არხში კონტრასტული ნივთიერების შეყვანა საჭიროა საფეთქლის ძვლის გამოკვლევის შემდეგ. მაგნიტურ-რებონანსულ ვიზუალიზაციის, აგრეთვე, შეუძლია გამოავლინოს სკედომა, რომელიც სითხისგან დაცლის მიზეზს წარმოადგენს. რინორეის ეჭვის დროს საჭიროა კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარება “ძვლების ფანჯრებისა” და რბილი ქსოვილების “ფანჯრების” მქონე პირებზე. შემდეგ აუცილებელია ხერხემლის არხში კონტრასტული ნივთიერების შეყვანის შემდეგ კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარება.

## ღ) მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაცია

მაგნიტურ-რეზონანსული ვიზუალიზაცია, ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგიების გამოსავლენად, უფრო მგრძნობიარე მეთოდია, ვიდრე კომპიუტერული ტომოგრაფია. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში სისხლჩაქცევის დინამიკა იყოფა შემდეგ ფაზებად: უშავლო, ბემწვავე, მწვავე, მწვავის მსგავსი და ქრონიკული. სისხლჩაქცევას ცენტრალურ ნერვულ სისტემაში აქვს დიაპაზონები, რომელიც ვიზუალიზაციის დროს სისხლჩაქცევის დამახასიათებელ ნიშნებთან თანაფარდობაშია. ამრიგად, ვიზუალიზაცია საშუალებას იძლევა დადგინდეს თავის ქალისა და ტვინის ტრავმის მიენების დრო და კავშირი ინციდენტთან, რომლის შესახებაც გაკეთდა განაცხადი. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში სისხლჩაქცევა შესაძლებელია სრულად გაიწოვოს ან განვითარდეს ჰემოსიდერინის ისეთი დაგროვება, რომ რამდენიმე წლის შემდეგაც კომპიუტერული ტომოგრაფიის შედეგი დადებითი იქნება. რბილ ქსოვილებსა და კუნთებში განვითარებული სისხლჩაქცევა, ჩვეულებრივ, კვალის დატოვების გარეშე მთლიანად იწოვება. თუმცა, იშვიათად შესაძლებელია მისი ოსიფიცირებული მიოზიტი ეწოდება და ვლინდება კომპიუტერული ტომოგრაფიით.

## 2. ელექტროშოკის ტრავმის ბიოფსია

ელექტროგრამები ზოგჯერ ისეთი ცვლილებებით მუდავნდება, რომელიც შესაძლებელია ელექტროდენით მიენებული სპეციფიკური დაზიანებების საიმედო დიაგნოსტიკური მაჩვენებელი იყოს. ბიოფსიებში ამ სპეციფიკური ცვლილებების უქონლობა ელექტროდენის განმუხტვით წამების დიაგნოზის გამორიცხვის საფუძველს არ იძლევა, რაც უნდა გაითვალისწინონ სასამართლო ორგანოებმა. სამწუხაროდ, თუკი სასამართლო ითხოვს იმ მოსარჩევესაგან, რომელმაც ელექტროდენით წამების შესახებ განაცხადა, განცხადების დასამტკიცებლად ბიოფსიის გაკეთებას, უარი ამ პროცედურაზე ან მიღებული უარყოფითი შედეგი სასამართლოს წინასწარ უქმნის ცუდ აზრს. ამას გარდა, წამების შედეგად მიღებული ელექტროტრავმის დიაგნოსტიკისათვის ბიოფსიის კლინიკური გამოყენების გამოცდილება შეზღუდულია და დაბეჭითებით დიაგნოზის დასმა მხოლოდ ანამნეზისა და ფიზიკური გამოკვლევის საფუძველზე შესაძლებელი.

ამიგომ ბიოფსია უნდა გაკეთდეს დაწესებულებებში, სადაც კლინიკური გამოკვლევები ხორციელდება და მისი ყოველდღიური გამოყენება რეკომენდებული არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ბიოფსიის გაკეთების შემთხვევაში, გამოსაკვლევმა პირმა უნდა იცოდეს მიღებული შედეგების არაერთგვარი მნიშვნელობის შესახებ, ამასთან, ჰქონდეს უფლება, რათა ამ გამოკვლევის პოტენციური უპირატესობა შეადაროს ისედაც უკვე ტრავმირებულ ფსიქიკაზე ზემოქმედებას.

## ა) ბიოფსიის ჩატარების საფუძვლები

ანესთეზიის<sup>136,137,138,139,140,141</sup> პირობებში ღორის კანზე ელექტროდენის განმუხტვის ზემოქმედების განსაზღვრისათვის ფართო ლაბორატორიული გამოკვლევები ჩატარდა. გამოკვლევებმა

<sup>136</sup> Thomsen et al. Early epidermal changes in heat and electrically injured pig skin: A light microscopic study. *Forensic Science International*. 17 1981:133-43.

<sup>137</sup> Thomsen et al. The effect of direct current, sodium hydroxide, and hydrochloric acid on pig epidermis: A light microscopic and electron microscopic study. *Acta path microbial immunol. Scand. Sect A* 91 1983:307-16.

ელექტროფრავმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ჰისტოლოგიური მონაცემები გვიჩვენა, რომლის დადგენაც შესაძლებელია დაზიანებული ადგილების ფუნქციური ბიოფაზების მიკროსკოპიული გამოკვლევის დახმარებით. თუმცა, ამ გამოკვლევის უფრო თანმიმდევრული განხილვა, რომელსაც ფართო კლინიკური გამოყენების შესაძლებლობა აქვს, წარმოდგენილი ჟებლიკაციის სფეროში არ შედის. ბევრი დასახელებულ შრომებში შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მიღება. ჰისტოლოგიური გამოკვლევები<sup>142,143,144,145</sup> ელექტროდენით მიყენებული ტრავმების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევის დროს იყო ჩატარებული. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, დაახლოებით ტრავმის მეშვიდე დღეს, ამოიკვეთა დაზიანებული ნაწილი და კანის დამახასიათებელი ცვლილებები ელექტროტრავმულ დიაგნოზად (ნეკროზული ქსოვილების გარშემო გავლაგებული სიცოცხლისუნარიანი ქსოვილების კანის ბოჭკოვებზე კალციუმის მარილების დალექვა) ჩაითვალა. სხვა შემთხვევებში, ელექტროდენით ტრავმების მიყენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, დაზიანებული ნაწილების ამოკვეთისას გამოვლინდა სეგმენტური ცვლილებები და უჯრედის სტრუქტურაში კალციუმის მარილების დალექვა, რომელიც დაკავშირებული იყო ელექტროდენის გემოქმედებასთან ალბათობის მაღალი ხარისხით, თუმცა ეს დიაგნოზის დასმის საფუძველს არ იძლევა, რამდენადც კანის ბოჭკოვებზე კალციუმის მარილების დალექვა არ შეინიშნებოდა. ელექტროდენით წამებიდან ერთი თვის შემდეგ ჩატარებულმა ბიოფსიამ, ფიბრობლასტების მომატებული რაოდენობითა და კანის გედაპირზე პარალელურად განთავსებული მჭიდროდ შეჯგუფებული თხელი კოლაგენური ბოჭკოვებით, 1-2 მმ სიგანის კონუსისმაგვარი ნაწიბური გამოავლინა, რაც მაღალი ალბათობითა დაკავშირებული ელექტროფრავმასთან, მაგრამ ელექტროტრავმის დიაგნოზის საფუძველს არ წარმოადგენს.

### ბ) მეთოდი

პაციენტის გაცნობიერებული თანხმობის შემდეგ დაზიანებული ნაწილის ბიოფსიის ჩატარებამდე უნდა გაკეთდეს ფოტოსურათი, რომელიც მიღებულია სასამართლო- სამედიცინო მეთოდების გამოყენებით. ფუნქციური ბიოფსია ადგილობრივი ანესთეზიით კეთდება, მიღებული ნიმუში ფორმალინის ბუფერულ ან მის მსგავს ფიქსირებულ ხსნარში თავსდება. კანის ბიოფსია ტრავმის მიღებიდან ძალიან სწრაფად კეთდება. ვინაიდან ელექტროტრავმა შემოსაბლვრულია ეპიდერმისითა და დერმის გედაპირული ფენით, დაზიანება შესაძლებელია სწრაფად გაქრეს. ბიოფსიები შეიძლება დაზიანების რამდენიმე ნაწილიდან იყოს აღებული, ამასთანავე,

<sup>138</sup> Thomsen H.K. Electrically induced epidermal changes. A morphological study of poreine skin after transfer of low-moderate amounts of electrical energy. (Dissertation). University of Copenhagen. E.A.D.L. 1984:1-78.

<sup>139</sup> Karismark T. et al. Tracing the use of torture: Electrically induced calcification of collagen in pig skin. *Nature*. 301 1983: 75-78.

<sup>140</sup> Karismark T. et al. Electrically-induced collagen calcification in pig skin. A histopathologic and histochemical study. *Forensic Science International*. 39 1988:163-74.

<sup>141</sup> Karismark T. Electrically induced dermal changes: A morphological study of porcine skin after transfer of low to moderate amounts of electrical energy. (Dissertation). University of Copenhagen. *Danish Medical Bulletin*. 37 1990:507-520.

<sup>142</sup> Danielsen L. et al. Diagnosis of electrical skin injures: A review and a description of a case. *American Journal of Forensic Medical Pathology*. 12 1991:222-226.

<sup>143</sup> Oztop F. et al. Signs of electrical torture on the skin. B: Human Rights Foundation of Turkey. Treatment and Rehabilitation Centers Report 1994. HRFT Publication II 1994:97-104.

<sup>144</sup> Danielsen L., Karismark T., Thomsen H.K. Diagnosis of skin lesions following eleectrical torture. *Rom J. Leg. Med.* 5 1997:15-20.

<sup>145</sup> Jacobsen H. Electrically induced deposition of metal on the human skin. *Forensic Science International*. 90 1997: 85-92.

გასათვალისწინებელია პაციენტზე ტკიფილის მიუენების<sup>146</sup> აღბათობა. ბიოფსიის მასალა პათომორფოლოგიის სფეროში გამოცდილმა პათანატომმა უნდა გამოიკვლიოს.

*ვ) ელექტროტრავმის მკიცებულებების დიაგნოსტიკური მონაცემები*

ელექტროტრავმის დამამტკიცებელი დიაგნოსტიკური მონაცემები მოიცავს ეპიდერმისში ვებიკულარული ბირთვების არსებობას, საოფლე ჯირკვლებისა და სისხლძარღვების კედლებს (ერთადერთი დიფერენციალური დიაგნოზი – ტუტე სსნარით დაბიანება) და კოლაგენურ და ელასტიკურ ბოჭკოებზე (დიფერენციალური დიაგნოზი – კანის კალცინოზი, რომელიც იშვიათად გვხვდება. ადამიანის კანის თანმიმდევრული ბიოფსიის შედეგად გამოკვლეული 220 000 ადამიანიდან მხოლოდ 75 ადამიანში იყო გამოვლენილი და თანაც კალცინოზის დროს კალციუმის დანალექი მასიური ხასიათისაა, კოლაგენურ და ელასტიკურ ბოჭკოებზე ბუნდოვნადაა განლაგებული)<sup>147</sup> კალციუმის მარილების დალექვას.

ტიპურ მონაცემებს, რომლებიც ელექტროტრავმის დამამტკიცებელი დიაგნოზის დასმის საფუძველს არ იძლევა, განეკუთვნება კონიკური სეგმენტების (ხშირად 1-2 მმ) სახით დაბიანება, ეპიდერმისზე (ელექტროდებისაგან) რკინისა და სპილენძის დალექვა, ეპიდერმისში, საოფლე ჯირკვლებსა და სისხლძარღვების კედლებში პომოგენური ციფოპლაზმა. აგრეთვე, შეიმჩნევა სეგმენტური დაბიანებების უჯრედის სტრუქტურებში კალციუმის დალექვა ან პათოლოგიური ჰისტოლოგიური მონაცემები არარსებობა.


<sup>146</sup> S. Gurpinar, "Korur Fincancı u, İnsan Hakları İnhallari ve Hekim Sorumluluğu" (Human Rights Violations and Responsibility of the Physician). B: *Birinct Basamak İcin Adli Tip El Kitabi* (Handbook of Forensic Medicine for General Practitioners) (Ankara, Turkish Medical Association. 1999).

<sup>147</sup> Danielsen et al. 1991.


### ღანართი III

ანატომიური ილუსტრაციები წამებისა და სასტიკი მოპყრობის დოკუმენტირებისათვის

ქალის სხეულის საერთო ხედი წინიდან და უკნიდან




ქალის სხეულის საერთო ხედი გვერდიდან




გვარი ————— ავადმყოფობის ისტორია № —————  
თარიღი —————

გვარი ————— ავადმყოფობის ისტორია № —————  
თარიღი —————


მამაკაცის სხეულის საერთო ხედი წინიდან და უკნიდან  
(კენტრალური და ღორსალური)



გვარი — ავადმყოფობის ისტორია № \_\_\_\_\_  
თარიღი —




მამაკაცის საერთო ხედი გვერდიდან



მარცხენა ხედი მარჯვენა ხედი


გვარი — ავადმყოფობის ისტორია № \_\_\_\_\_  
თარიღი —

მამაკაცის გულმკერდი და მუცელი – წინა და უკანა ხედი




გვარი ————— ავადმყოფობის ისტორია № —————  
თარიღი —————

მარჯვენა და მარცხენა ტერფი – ძირი




გვარი ————— ავადმყოფობის ისტორია № —————  
თარიღი —————

მარკვენა მტევანი – ხელისგულისა და ზურგის მხარეები




გვარი ————— ავადმყოფობის ისტორია № —————  
თარიღი —————

მარცხენა მტევანი – ხელისგულისა და ზურგის მხარეები




გვარი ————— ავადმყოფობის ისტორია № —————  
თარიღი —————

თავი – პლასტიკური და ჩონჩხის ანატომია –  
ხედი ზემოდან და ქისრის ხედი ქვემოდან




გვარი \_\_\_\_\_ ავადმყოფობის ისტორია № \_\_\_\_\_  
თარიღი \_\_\_\_\_

თავი – პლასტიკური და ჩონჩხის ანატომია –  
ხედი ოთხი მხრიდან



გვარი \_\_\_\_\_ ავადმყოფობის ისტორია № \_\_\_\_\_  
თარიღი \_\_\_\_\_

ჩონჩხი – ხედი წინიდან და უკნიდან



გვარი

ავალმყოფობის ისტორია №

თარიღი



## დანართი IV

### წამებისა და სასტიკი მოპყრობის მიმართ სამედიცინო ექსპერტის ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები

ქვემოთ მოყვანილი სახელმძღვანელო პრინციპები წამებისა და სასტიკი, არააღამიანური ან აღამიანის ღირსების შემდახავი მოპყრობისა და ღახვის ეფექტიანი გამოკვლევისა და დოკუმენტირების პრინციპების სახელმძღვანელოს ეფექტიბა (ხდამბულის ოქმი). ეს პრინციპები ურყევ მითითებას არ ნიშნავს და მათი გამოყენება, ექსპერტის მიზნებიდან გამომდინარე, არსებული საშუალებების შეფასების შემდეგადა შესაძლებელი. წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მკიცებულებების ექსპერტიბა შეიძლება ჩატაროს, მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, ერთმა ან რამდენიმე ექიმმა.

#### I. ინფორმაცია გამოსაკვლევ შემთხვევაზე

გამოკვლევის თარიღი: ————— ჩატარებულია მოთხოვნით (გვარი/თანამდებობა): —————  
ავადმყოფობის ისტორია/ანგარიში №: ————— გამოკვლევის ხანგრძლივობა ————— სთ. — წთ.—  
გამოსაკვლევის სახელი: ————— დაბადების თარიღი: ————— დაბადების ადგილი: —————  
გამოსაკვლევის გვარი: ————— სქესი: მამრ./მდედრ.  
გამოკვლევის ჩატარების მიზანი: —————  
გამოსაკვლევის საიდენტიფიკაციო № ( ): —————  
ექიმის გვარი: ————— თარჯიმის მონაწილეობით (დიახ/არა), გვარი: —————  
წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე თანხმობა მიღებულია: დიახ/არა —————  
თუ არ არის მიღებული, რა მიზებით? —————  
გამოსაკვლევს თან ახლავს (გვარი/თანამდებობა): —————  
ექსპერტიბაზე დამსწრე პირები (გვარი/თანამდებობა): —————  
გამოკვლევის დროს დასაკითხი პირი იმობილიბული იყო: დიახ/არა; თუ “დიახ”, მაშინ რა სახით/რა მიზებით? —————  
სამედიცინო დასკვნა გაგზავნილია (გვარი/თანამდებობა/ ): —————  
გაგზავნის თარიღი: ————— გაგზავნის დრო: —————  
სამედიცინო ექსპერტი/გამოკვლევა შეზღუდვების გარეშეა ჩატარებული (პატიმრების მიმართ): დიახ/არა  
აღწერეთ დაწვრილებით ნებისმიერი შეზღუდვა: —————

#### II. ექიმის კვალიფიკაცია (სასამართლოზე ჩვენებისათვის)

სამედიცინო განათლება და კლინიკური მომზადება

ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული მომზადება

წამებისა და სასტიკი მოპყრობის მტკიცებულებების დოკუმენტირების გამოცდილება რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოცემულ გამოკვლევასთან დაკავშირებული სპეციალობის ცოდნა და გამოცდილება

კუბლიკურის კვლევასთან დაკავშირებული საჯარო გამოსვლები და პროფესიული მომზადების კურსები



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



## მოკლე ბიოგრაფია

### III. განცხადება ჩვენებების უფყუარობის შესახებ (სასამართლოზე ჩვენებისათვის)

მაგალითად: “პირადად ჩემთვის ქვემოთ მოყვანილი ფაქტები ნაცნობია, და ვთვლი სარწმუნოდ იმ ინფორმაციის გარდა, რომლის სისწორის შესახებაც აქ ვარაუდი გამოითქვა. ჩემთვის ნაცნობი და სარწმუნო ინფორმაციიდან გამომდინარე, მზად ვარ დავამოწმო ზემოთ ნათქვამი”.

### IV. საწყისი ინფორმაცია

საერთო მონაცემები (ასაკი, საქმიანობის სახე, განათლება, ოჯახის შემადგენლობა და ა.შ.)  
წამდლგარებული სამედიცინო ანამნეზი  
წამებისა და სასტიკი მოპყრობის წინასამედიცინო ექსპერტის განხილვა  
ფსიქოსოციალური ანამნეზი დაპატიმრებამდე

#### (v) განცხადება წამებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ

1. დაკავებისა და სასტიკი მოპყრობის მოკლე აღწერა
2. დაკავებისა და დაპატიმრების გარემოებები
3. პატიმრობის თავდაპირველი და მომდევნო ადგილები (თარიღები, ტრანსპორტირებისა და ცხოვრების პირობები)
4. სასტიკი მოპყრობისა და წამების შესახებ თავისუფალი თხრობა (ციხეში ყოფნის ყველა ადგილზე)
5. წამების მეთოდების განხილვა

#### (vi) ფიზიკური სიმპტომები და შრომისუნარიანობის მოშლა

აღწერეთ მწვავე და ქრონიკული სიმპტომებისა და შრომისუნარიანობის მოშლის განვითარებისა და გამოჯანმრთელების მომდევნო პროცესები.

1. მწვავე სიმპტომები და შრომისუნარიანობის მოშლა
2. ქრონიკული სიმპტომები და შრომისუნარიანობის მოშლა

#### (vii) ფიზიკური გამოკვლევა

1. საერთო გარეგნული იერი
2. კანის საფარი
3. სახე და თავი
4. თვალები, ყურები, ცხვირი და ყელი
5. პირის ღრუ და კბილები
6. გულმკერდი და მუცელი (სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციების მაჩვენებლების ჩათვლით)
7. შარდ-სასქესო სისტემა
8. ძვლოვან-კუნთოვანი სისტემა

9. ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემები

(viii) ფსიქოლოგიური ანამნეზი/გამოკვლევა

1. შეფასების მეთოდები
2. ფსიქოლოგიური ხასიათის ჩივილები გამოკვლევის დროს
3. ანამნეზი წამების შემდეგ
4. ანამნეზი წამებამდე
5. თავდაპირველი ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული ანამნეზი
6. ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ხმარებისა და მათი ბოროტად გამოყენების ანამნეზი
7. ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები
8. სოციალური ფუნქციონირების შეფასება
9. ფსიქოლოგიური ტესტირება (ჩვენებები და შეზღუდვები იხ. ნაწილი VI. C 1)
10. ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება (ჩვენებები და შეზღუდვები იხ. ნაწილი VI. C 4)

(ix) ფოტოსურათები

(x) დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგები (ჩვენებები და შეზღუდვები იხ. დანართი II)

(xi) კონსულტაციები

(xii) მოცემული გამოკვლევის ინტერგრეტაცია

1. ფიზიკური მონაცემები

- ა) დაადგინეთ მწვავე და ქრონიკული სიმპომებისა და შრომისუნარიანობის მომლისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ განცხადებების შესაბამისობის ხარისხი.
- ბ) დაადგინეთ ფიზიკური გამოკვლევების მონაცემებისა და სასტიკი მოპყრობის შესახებ განცხადებების შესაბამისობის ხარისხი (შენიშვნა: ფიზიკური მონაცემების არარსებობა არ გამორიცხავს წამებასა და სასტიკ მოპყრობას).
- ც) დაადგინეთ პაციენტის გამოკვლევის შედეგებისა და კონკრეტულ რეგიონში წამების მეთოდებსა და მათ მომდევნო შედეგებს შორის შესაბამისობის ხარისხი.

2. ფსიქოლოგიური მონაცემები

- ა) დაადგინეთ ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგებისა და ვითომდა წამების შესახებ ცნობის შესაბამისობის ხარისხი.
- ბ) შეაფასეთ, ექსტრემალური სტრესის დროს ტიპურ ან მოსალოდნელ რეაქციად მიღებული ფსიქოლოგიური მონაცემები არის თუ არა გამოსაკვლევი პირის კულტურული და სოციალური წრის კონტექსტში.
- ც) მიუთითეთ გამოსაკვლევი პირის ფაქტობრივი მდგომარეობა ფსიქიკური მომღლილობის დინამიკის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ტრავმასთან, ანუ გამოკვლევის მომენტი დროის მიხედვით რა თანაფარდობაშია წამების მომენტან და გამოჯანსაღების რა ეფაპზე იმყოფება გამოსაკვლევი.
- დ) დაადგინეთ პარალელურად არსებული სტრესის ფაქტორების ზემოქმედება გამოსაკვლევ პირზე (მაგალითად, გახანგრძლივებული დევნა, იძულებითი მიგრაცია, გასახლება, ოჯახის დაკარგვა, სოციალური როლის დაკარგვა და ა.შ.).

ე) მიუთითოთ ფიზიკური მდგომარეობის ასპექტებზე, რომელიც შესაძლებელია აისახოს კლინიკურ სურათზე და რომელიც განსაკუთრებულად არის დაკავშირებული წამების ან პატიმრობის პერიოდში მიღებული თავის ტრაგემის შესაძლებელ მონაცემებთან.

(xiii) დასკვნები და რეკომენდაციები

1. მოგვეცით დასკენა ყველა ზემოთ დასახელებული წყაროების მონაცემების შესაბამისობის შესახებ.
  2. დაამოწმეთ სიმპტომები და შრომისუნარიანობის მოშლა, რომელიც სავარაუდო, სასტიკი მოპყრობის შედეგად, გამოსაკვლევ პირთან კვლავ შეინიშნება.
  3. რეკომენდაციებში ჩართულ გამოსაკვლევი პირის შემდგომი ექსპერტიზა და მკურნალობა.

(xiv) განკუთხება სიმართლის ჩვენების შესახებ (სასამართლოზე ჩვენებისათვის)

მაგალითად: “ვიცი რა, ცრუმოწმეობის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის თანახმად —— (ქვეყანა) ვაცხადებ, რომ ზემოთ ნათქვამი სიმართლეს შეესაბამება და ზუსტია და რომ წარმოდგენილი ჩვენება ფიცის ქვეშ იყო მიცემული —— (თარიღი) —— (ქალაქი) —— (შტატი ან ოლქი)”.

(xv) განცხადება სამედიცინო ექსპერტიზა/გამოკვლევის ჩატარების დროს არსებული  
შეტყუდვების შესახებ (პარტიმრობაში მყოფ პირთათვების)

მაგალითად: “ქვემოთ ხელის მომწერი ექიმები ამოწმებენ, რომ ჰქონდათ თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება, შეეძლოთ ესაუბრათ (გამოსაკვლევთან) და გაესინჯათ ყოველგვარი შეტყუდვების გარეშე დახურულ კარს მიღმა და საპატიმრო დაწესებულების თანამდებობის პირთა მხრიდან არავითარი ფორმის იძულება არ ჰქონდათ”, ან “ქვემოთ ხელის მომწერი ექიმი იძულებული ვარ ექსპერტიზა ჩატარარო შემდეგი შეტყუდებით”.

(xvi) ექიმის ხელის მოწერა, თარიღი, ადგილი

(xvii) შესაბამისი დანართი

ექიმის ნამსახურობის ნუსხის ასლი, ანაფორიური იღუსტრაციები წამებისა და სასტიკი მოპყრობის დოკუმენტირებისათვის, ფოტოსურათები, კონსულტაციისა და დიაგნოსტიკური გამოკვლევების შედეგები და ა.შ.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აღამიანის უფლებათა დაცვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისიის სამმართველოდან, ერების სასახლე, 1211 ჟენევა 10, შვეიცარია  
ფორ.: (+41-22) 917 90 00 ფორ.: ((+41-22) 917 02 12  
E-mail: [webadmin.hchr@unog.ch](mailto:webadmin.hchr@unog.ch) ინტერნეტი: [www.unhchr.ch](http://www.unhchr.ch)

სტამბოლის პროგოკოლი (ქართული თარგმანი, მეორე გამოცემა)

წამებისა და სხვა სახით, არააღმიანური ან დირსების შემღავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – თბილისი, 2004,  
გვ.147

**ISBN –978-9941-27-958-4**

გამოცემულია: თბილისში, მპს “კომი-პრინტი 2000”

თარგმანი შესრულებულია მთარგმნელობით ფირმა “დიკე” – ხელმძღვანელი განდა  
ღოლიმზილი

სარედაქციო საბჭო: მარიამ ჯიშკარიანი; თეიმურაზ ბოკუჩავა; გიორგი ბერულავა

საკონფაექტო მისამართი:

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი ‘ემპათია’  
კახდელაკის ქუჩა 23, თბილისი 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: [centre@empathy.ge](mailto:centre@empathy.ge)  
[www.empathy.ge](http://www.empathy.ge)

გირაფი 300

ISTANBUL PROTOCOL (Translation on Georgian)

Manual on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Tbilisi, 2004, Number of Pages 147

ISBN –978-9941-27-958-4

Published in Tbilisi, LTD “Copy-Print 2000”

Translated by Consulting Firm “DIKKE”; Chairperson Mrs. Vanda Dolishvili

Editorial Board: Dr. Mariam Jishkariani; Dr. Teimuraz Bokuchava; Dr. George Berulava

Contact Address: RCT/EMPATHY, Georgia

23 Kandelaki Str., Tbilisi 0160, Georgia

Phone/Fax: +995 32 238 10 15; +995 32 238 10 33.

e – mail: [centre@empathy.ge](mailto:centre@empathy.ge)

[www.empathy.ge](http://www.empathy.ge)

Copies: 300

“This publication has been produced with the assistance of the European Union. The contents of this publication are the sole responsibility of the RCT/EMPATHY and can in no way be taken to reflect the views of the European Union.”